

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სალომე სანიკიძე

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსობრივი
პლანის ანალიზი თარგმანთან მიმართებაში
(ქართული, ინგლისური და რუსული ენების მასალაზე)

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ინესა მერაბიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ
პროფესორი, აკადემიკოსი*

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია.....	5
Summary.....	8
შესავალი.....	10
სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა	11
კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები	12
ნაშრომის მეცნიერული სიახლე	12
საკვლევი მასალა	13
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები	14
ნაშრომის თეორიული ღირებულება.....	14
თავი I. “ვეფხისტყაოსანი”, როგორც ქართული კულტურის განვითარების უმაღლესი გამოხატულება.....	15
<u>§ 1.1. “ვეფხისტყაოსნის” რელიგიური და ფილოსოფიური ქარგა.....</u>	<u>15</u>
§ 1.2. პოემის სიუჟეტი.....	21
§ 1.3. “ვეფხისტყაოსნის” ლექსთწყობა	23
§ 1.4. რუსთველის ვინაობის შესახებ	25
§ 1.5. “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერები, რედაქციები და გაგრძელებები.....	30
§ 1.6 პოემის გააზრება ქართულ საზოგადოებაში.....	32
თავი II. “ვეფხისტყაოსანი” უცხო ენებზე	35
თავი III. პოემის სათაური თარგმანში	46
§ 3.1. პოემის სათაური	46
§ 3.2. პოემის სათაური ინგლისურ თარგმანებში	47
§ 3.3. პოემის სათაური რუსულ თარგმანებში	51
თავი IV. „ვეფხისტყაოსნის” ტექსტისა და მისი თარგმანების ანალიზი - ერთი სტროფის მაგალითზე (ქართული, ინგლისური და რუსული ენების მასალაზე).....	54
§.4.1. “ვეფხისტყაოსნის” ერთი სტროფის ენობრივი საკითხების ანალიზისთვის.....	54
§.4.2. რუსთველის ენის გავლენა როგორც ქართულ, ასევე თარგმნილ ლიტერატურაზე - საანალიზო სტროფის კონტექსტში	63
§4.3. საანალიზო სტროფის სიყალბის და განსხვავებული ვარიაციების საკითხი	65

§ 4.4. „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე	70
§ 4.4.1. „ვეფხისტყაოსანი“ მარჯორი უორდროპის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე	71
§ 4.4.2. „ვეფხისტყაოსანი“ ვენერა ურუშაძის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე	81
§ 4.4.3. „ვეფხისტყაოსანი“ რობერტ სტივენსონის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე	87
§ 4.4.4. „ვეფხისტყაოსანი“ ქეთრინ ვივიანის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე	93
§ 4.4.5. „ვეფხისტყაოსანი“ ლინ კოფინის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე	100
§ 4.5. „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე.....	104
§ 4.5.1. „ვეფხისტყაოსანი“ კონსტანტინე ბალმონტის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე	106
§ 4.5.2. „ვეფხისტყაოსანი“ პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე	111
§ 4.5.3. „ვეფხისტყაოსანი“ გიორგი ცაგარელის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე	115
§ 4.5.4. „ვეფხისტყაოსანი“ ნიკოლაი ზაბოლოცკის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე	117
§ 4.5.5. „ვეფხისტყაოსანი“ შალვა ნუცუბიძის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე.....	121
თავი V. „ვეფხისტყაოსანის“ ორი ტაეპის შინაარსობრივი პლანის ანალიზი ინგლისურ და რუსულ თარგმანებთან მიმართებაში	124
§ 5.1. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი	124
§ 5.2. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ინგლისურ თარგმანებთან მიმართებაში	126
§ 5.2.1. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი მარჯორი უორდროპის თარგმანში	126
§ 5.2.2. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ვენერა ურუშაძის თარგმანში.....	128
§ 5.2.3. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი რობერტ სტივენსონის თარგმანში.....	129
§ 5.2.4. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ქეთრინ ვივიანის თარგმანში.....	130
§ 5.2.5. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ლინ კოფინის თარგმანში.....	131
§ 5.3 საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი რუსულ თარგმანებთან მიმართებაში.....	133

§ 5.3.1. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი კონსტანტინე ბალმონტის თარგმანში	133
§ 5.3.2. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანში.....	134
§ 5.3.3. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი გიორგი ცაგარელის თარგმანში.....	135
§ 5.3.4. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ნიკოლაი ზაბოლოცკის თარგმანში	136
§ 5.3.5. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი შალვა ნუცუბიძის თარგმანში.....	137
თავი VI. სიყვარული “ვეფხისტყაოსანში” - ერთი ტაეპის მიხედვით (ქართული, ინგლისური და რუსული ენების მასალაზე).....	139
§ 6.1. სიყვარული „ვეფხისტყაოსანში“ - ერთი ტაეპის მიხედვით.....	139
§ 6.2. საანალიზო ტაეპის თარგმანები ინგლისურ ენაზე	142
§ 6.3. საანალიზო ტაეპის თარგმანები რუსულ ენაზე	147
დასკვნა	151
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	157

ანოტაცია

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსობრივი პლანის ანალიზს თარგმანთან მიმართებაში (ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვანი მასალის საფუძველზე), რამდენიმე მაგალითის კვლევის კონტექსტში. ნაშრომი მოიცავს პოემის სათაურის, ერთი სრული სტროფისა და სხვადასხვა სტროფების ცალკეული ტაეპების კვლევას, ცნობილი რუსთველოლოგების მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგების საფუძველზე, და შედარებულია ინგლისურ და რუსულ თარგმანებთან, მათი დედანთან სიახლოვისა და თარგმანში ადეკვატურად ასახვის დადგენის მიზნით. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შერჩეული საანალიზო მასალა შედარებულია ინგლისურ თარგმანებთან, რომლებიც შესრულებულია მარჯორი უორდროპის, ვენერა ურუშაძის, რობერტ სტივენსონის, ქეთრინ ვივიანის და ლინ კოფინის მიერ, ხოლო რუსულენოვანი თარგმანების ავტორებად გვევლინებიან კონსტანტინე ბალმონტი, პანტელეიმონ პეტრენკო, გიორგი ცაგარელი, ნიკოლაი ზაბოლოცკი და შალვა ნუცუბიძე.

თემის **აქტუალურობა** განპირობებულია თვით პოემის აქტუალურობით, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქიდან ცხრა საუკუნოვანი დაშორების მიუხედავად, რუსთველის ქმნილება დღესაც ელის ღირსეული და დამსახურებული ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო ასპარეზზე, რაც მხოლოდ სათანადო თარგმანის საფუძველზე მიიღწევა და თანამედროვეობაშიც დაუძლეველ გამოწვევას წარმოადგენს.

2015 წელს შესრულებულმა პოემის ინგლისურმა თარგმანმა კვლავ აქტუალური გახადა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის ადეკვატურობის კვლევის საკითხი, რადგან გაჩნდა შეკითხვა, თუ რამდენად მოხდა პოემაში წინამორბედი მთარგმნელების მიერ მიღწეული მიგნებების ასახვა, თუ უგულებელყოფა და შესაბამისად, გაუმჯობესდა, თუ პირიქით, გაუარესდა პოემის თარგმნის საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ტენდენციების ასახვა თანამედროვე თარგმანში.

სადისერტაციო ნაშრომის **მიზანია** საანალიზო მაგალითების საფუძველზე ინგლისური და რუსული თარგმანების გაანალიზება, კონკრეტულ მსოფლმხედველობრივ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, თითოეული მთარგმნელისთვის დამახასიათებელი თარგმნის თავისებურებების გამოვლენა, შედარებითი კვლევა ორიგინალთან მიმართებაში და საუკეთესო ვერსიების დადგენა.

სადისერტაციო თემის **სამეცნიერო სიახლეს** პოემის ინგლისური და რუსული თარგმანების შედარებითი შესწავლა წარმოადგენს. ამასთან აღსანიშნავია, რომ პირველი ოთხი ინგლისური თარგმანი (მ. უორდროპისა, ვ. ურუშაძისა, რ. სტივენსონისა და ქ. ვივიანისა) მეტნაკლებად შესწავლილია ქართველი მკვლევარების მიერ, ხოლო ლინ კოფინის თარგმანი პირველადაა წარმოდგენილი შედარებითი კვლევის ასპექტში.

საკვლევი მასალა ძირითადად ეყრდნობა პოემის 1957 წლის გამოცემას, ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით, აგრეთვე პოემის გვიანდელ გამოცემას, ნ. ნათაძის განმარტებებით, კომენტარებით და ბოლოსიტყვაობით (1974 წ.), რაც შედარებულია ინგლისური და რუსული თარგმანების შესაბამის გამოცემებთან.

დასახული მიზნების, ამოცანების და პრობლემების გადასაწყვეტად, ნაშრომში გამოყენებულია ტექსტის **ლინგვისტური მეთოდის** კა, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ შინაარსის ცნების განსაზღვრას დედანსა და თარგმანში, არამედ თარგმანის შექმნის მექანიზმის გახსნას. აღნიშნული გულისხმობს დედნის (1) შინაარსობრივ-ფაქტობრივი, (2) შინაარსობრივ-კონცეპტუალური, (3) ქვეტექსტური და (4) შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაციის ასახვის დადგენას თარგმანში.

ნაშრომის **თეორიული ღირებულება** მის პრაქტიკულობაში მდგომარეობს, რადგან კვლევაში მითითებულია ის ნაკლოვანებები, თუ დადებითი მხარეები, რასაც ამა თუ იმ მთარგმნელთან ვხვდებით. აღნიშნული საკითხების გათვალისწინება კი, ხელს შეუწყობს „ვეფხისტყაოსნის“ უფრო დახვეწილი თარგმანის მიღებას მომავალში.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს შესავალს, ექვს თავს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

ნაშრომის **პირველ თავში** განხილულია „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული კვლევების შედეგები, სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, მონაცემები პოემის რელიგიური და ფილოსოფიური ქარგის, პოემის სიუჟეტის, ლექსთწყობის შესახებ, ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა გამოკვლევების შედეგები რუსთველის ვინაობის შესახებ, ინფორმაცია პოემის ხელნაწერების, რედაქციების, გაგრძელებების თაობაზე და ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაზე პოემის მიმართ, საუკუნეების განმავლობაში.

მეორე თავი ეთმობა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორიას, როგორც ინგლისურ და რუსულ, ასევე სხვა ენებზე. მოცემულ თავში განხილულია, თუ როდის, როგორ და სად მოხდა პირველად პოემით დაინტერესება, თარგმნა და ა.შ.

მესამე თავი ეხება პოემის სათაურის შინაარსობრივ მნიშვნელობასა და გააზრებას ჯერ ქართულ ენაში, ხოლო შემდეგ, მის ასახვას ინგლისურ და რუსულ თარგმანებში.

მეოთხე თავში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და მისი თარგმანების ანალიზი ერთი სტროფის მაგალითზე. მოცემულ თავში წარმოდგენილია, როგორც საანალიზო სტროფის ენობრივი საკითხების კვლევა, ასევე რუსთველის ენის გავლენა როგორც ქართულ, ასევე თარგმნილ ლიტერატურაზე - საანალიზო სტროფის კონტექსტში. მეოთხე თავი ასევე მოიცავს საანალიზო სტროფის სიყალბის და განსხვავებული ვარიაციების საკითხებს და სტროფის ვრცელ შედარებით ანალიზს, ინგლისურ და რუსულ თარგმანებთან მიმართებაში.

მეხუთე თავი განიხილავს პოემის ორ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტაეპს თარგმანების კონტექსტში, რადგან სწორედ აღნიშნული ტაეპები წარმოადგენს რუსთველის ქმნილების ერთ-ერთ საფუძველს, ნეოპლატონიზმის მოძღვრების მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლო, **მეექვსე თავი** ეთმობა სიყვარულის თემას „ვეფხისტყაოსანში“, ერთი ტაეპის მიხედვით და მის შედარებით ანალიზს, ინგლისურენოვან და რუსულენოვან თარგმანებთან მიმართებაში.

სადისერტაციო თემის **დასკვნაში** წარმოდგენილია ნაშრომის ფარგლებში წარმოებული კვლევის შედეგები, დასკვნის სახით.

Summary

The present thesis studies the content plane of “The Man in the Panther’s Skin” by Shota Rustveli in relation with its translations (based on Georgian, English and Russian materials). The thesis analyses the title, one complete stanza and lines from two various stanzas of the poem on the basis of those academic findings and data, Rustvelology had achieved and obtained by the time of their renderings. English translations of the poem are by Marjory Wardrop, Venera Urushadze, Robert Stevenson, Katherine Vivian and Lynn Coffin, while Russian translations are offered by Konstantin Balmont, Panteleimon Petrenko, Giorgi Tsagareli, Nikolai Zabolotsky and Shalva Nutsubidze.

Actuality of the thesis has been conditioned by actuality of the poem itself, as notwithstanding the nine-century distance from Rustveli’s era, his poem still expects to hold the relevant position in the world literature, that may be achieved through adequate translation of the poem only, representing the challenge even to date.

The latest translation of the poem in English was published in 2015 that resulted in actualization of translation issues with regard to the poem in general.

The **objective** of the thesis is to analyze English and Russian translations of the poem based on specific examples that reflect the main worldviews and ideas of the poem.

Scientific novelty of the thesis is comparative research of English and Russian translations of the poem. It is worth mentioning as well that four renderings in English (except for L. Coffin) are already studied by Georgian researchers, whilst rendering by L. Coffin in the aspect of comparative studies has been represented under the thesis for the first time.

Research material is based on editions published in XX century as a result of studies and editorial work by A. Baramidze, K. Kekelide and A. Shanidze (1957), alongside with the one offered later by N. Natadze (1974) as that compared with all its translated English and Russian versions.

For dealing with the objectives and tasks of the thesis, the study deals with the **linguistic method** that provides for not only determination of the idea of content in original and its translations, but identification of means on how that rendering was created, in particular whether

(1) substantial-factual; (2) substantial-conceptual (3) sub-textual and (4) substantial-representational information of original text was reflected in translations or not.

Theoretical value of the thesis is in its usability, as the thesis summarizes those deficiencies and advantages that are characterizing for each translator. Consideration of all the referenced issues will assist to provision of more refined and elaborated translations of the poem in future.

The Thesis consists of an Introduction, Six Chapters, Conclusion and a Reference List.

The **First Chapter** reviews the findings of Rustvelologists in relation with the poem, including the data on religious and philosophical topics, its plot, versification etc.

The **Second Chapter** summarizes the translation history of “The Man in the Panther’s Skin” not only in English and Russian, but in many other languages too.

The **Third Chapter** refers to significance and conceptualization of the title of the poem in Georgian language, and then how adequately it is reflected in its English and Russian renderings.

The **Fourth Chapter** provides analysis of Rustveli’s text alongside with its translations, based on one stanza. The chapter summarizes issues related to that particular stanza, as well as impact of Rustaveli’s language on Georgian and translated literature in the context of the referenced stanza. The same chapter comprises also the data with regard to falsity of that example and its different variations, as well as meticulous and comprehensive analysis of it in relation with its renderings in English and Russian languages.

The **Fifth Chapter** is dedicated to two lines of special significance as that compared with all its translated English and Russian versions, since the stanza comprises Neoplatonic teaching as the leading philosophical doctrine offered in the poem.

The **Sixth Chapter** considers the topic of Love in the poem as per one line and its comparative analysis in relation with its translations.

The **Conclusion** summarizes the findings of conducted scientific research.

შესავალი

საქართველოში არც ერთ პოეტურ ქმნილებას არ გამოუწვევია აზრთა ისეთი სხვადასხვაობა, როგორც „ვეფხისტყაოსანს“. პირველი რუსთველოლოგი, ვახტანგ მეექვსე, გვამცნობს, რომ მასზე ბევრად ადრე, მრავალნი ცდილან ამ პოემის „თარგმანებას“, ანუ განმარტებას, მის ეთიკურ-ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას. მეტად მნიშვნელოვანია დიდი მწერლის, სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლიც, „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული განმარტებების და ინტერპრეტაციის კონტექსტში, რადგან ის, თავის ლექსიკონში მეტად მნიშვნელოვან ადგილს უთმობს შოთა რუსთველის ლექსიკას. შესაბამისად, ცხადია, რომ სწორედ მან შთაუწერა თავის აღზრდილს, ვახტანგ მეექვსეს, ის დიდი სიყვარული „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ, რომელმაც მოწარმეს „თარგმანის“ დაწერის სტიმული მისცა.

საყურადღებოა დავით გურამიშვილის მოსაზრებაც რუსთველის პოემის შესახებ, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ „იგავთ ხედ“, ანუ იგავურად ნათქვამ ამბად მიუჩნევია, რაც თავისთავად გულისხმობს მეტად ღრმა და დაფარულ აზრს ნაწარმოებში, რომლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა არა მხოლოდ დაფარული, არამედ ძნელად ამოსაცნობია. სწორედ ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია პოემის თარგმანების ჭრილში განხილვამდე იმ მსოფლმხედველობრივი თუ სხვა სახის საკითხების დადგენა, რომელთა გარკვევას რუსთველოლოგები საუკუნეების მანძილზე წარმოებული კვლევებით ცდილობდნენ და ცდილობენ დღემდე. მხოლოდ ქართული ტექსტის მნიშვნელობისა თუ განმარტების დადგენის საფუძველზე იქნება შესაძლებელი განვსაზღვროთ, პოემის ამა თუ იმ უცხოური თარგმანის სიაკვარგე, და რაც უფრო მეტად დაემყარება თარგმანი ჭეშმარტ განმარტებას, მით უფრო სრულყოფილი იქნება იგი და მით უფრო ნაკლები იქნება „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯების საფრთხე.

სწორედ აღნიშული მიდგომის გამოყენებით არის წარმოებული კვლევა მოცემულ ნაშრომში. თავდაპირველად გაანალიზებულია უშუალოდ რუსთველისეული სიტყვის მნიშვნელობა, თუ ინტერპრეტაცია, შემოთავაზებული რუსთველოლოგების მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ არის შედარებული საანალიზო სტროფები, თუ ტაეპები როგორც ინგლისურენოვან, ასევე რუსულენოვან მასალებთან.

ინგლისურენოვან თარგმანებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ მსოფლიოში ინგლისური ენის უაღრესად ფართო გავრცელების გამო, „ვეფხისტყაოსანს“

კაცობრიობა მეტწილად ინგლისურ ენაზე ეცნობა. მეტიც, სხვა ენებზე მთარგმნელები უპირატესად სარგებლობენ ინგლისური თარგმანებით, ვინაიდან ინგლისური ენა მრავალთათვისაა მისაწვდომი. ამიტომ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ინგლისური თარგმანების და განსაკუთრებით უახლესი, 2015 წლის თარგმანის კრიტიკულ შესწავლასა და სწორ შეფასებას, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს „ვეფხისტყაოსნის“ ბედს საერთაშორისო ასპარეზზე. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია პოემის რუსულენოვანი თარგმანების შესწავლაც, რადგან თარგმანები შესრულებულია როგორც დიდი რუსი პოეტების, ასევე ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და რუსთველოლოგების მიერ, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს მათ მიერ შესრულებული თარგმანების მიმართ, ორიგინალთან მათი სიახლოვის დადგენის, თუ ინგლისურენოვან თარგმანებთან მათი შედარების თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა განპირობებულია თავად პოემის აქტუალურობით, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქიდან ცხრა საუკუნოვანი დაშორების მიუხედავად, რუსთველის ქმნილება დღესაც ელის ღირსეული და დამსახურებული ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო ლიტერატურაში, რაც საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ ინგლისურენოვანი და შესაბამისად, მსოფლიო მასშტაბით მკითხველისათვის შექმნილი, სათანადო თარგმანის საფუძველზე უნდა იქნას მიღწეული, რაც სამწუხაროდ, დაუძლეველ გამოწვევას წარმოადგენს დღემდე.

ლინ კოფინის მიერ 2015 წელს შესრულებულმა ინგლისურენოვანმა თარგმანმა კვლავ აქტუალური გახადა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის ადეკვატურობის კვლევის საკითხი, რადგან გაჩნდა შეკითხვები, თუ რამდენად მოხდა პოემაში წინამორბედი მთარგმნელების მიერ მიღწეული მიგნებების ასახვა, თუ უგულებელყოფა და შესაბამისად, გაუმჯობესდა, თუ პირიქით, გაუარესდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ტენდენციების ასახვა თანამედროვე თარგმანში.

აღნიშნული საკითხები შესწავლილ იქნა მოცემული ნაშრომის ფარგლებში და საჭიროებს კვლევის გაგრძელებას აღნიშნული მიმართულებით, რაც გაკონტროლებული უნდა იქნას რუსთველოლოგების მიერ, ვინაიდან, არასრულყოფილი თარგმანების შედეგად შეიძლება მოხდეს უცხოელი მკითხველის დეზინფორმირება, რაც დღესაც

უმლის ხელს ქართველების „მთავარ წიგნს“, მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში დამსახურებული ადგილის დამკვიდრებაში. შესაბამისი კვლევების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრითა და დადებითი მხარეების შენარჩუნებით კი, შესაძლებელი იქნება პოემის თარგმანის გაუმჯობესება მომავალი მთარგმნელების მიერ, რაც ხელს შეუწყობს „ვეფხისტყაოსნის“ ხელახალ „აღმოჩენას“ წიგნიერ სამყაროში.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შესრულებული კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანაა ინგლისური და რუსული თარგმანების გაანალიზება, „ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტული მაგალითების კონტექსტში, განსაკუთრებით, მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ საკითხებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ასევე თითოეული მთარგმნელისთვის დამახასიათებელი თარგმნის მანერის, თავისებურებების, მეთოდისა თუ სტილის გამოვლენა, შედარებითი კვლევა და საუკეთესო ვერსიების დადგენა, დედნის ტექსტთან შედარებითი ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო თემის სამეცნიერო სიახლეს ნაშრომის ფარგლებში შესრულებული შედარებითი კვლევა წარმოადგენს ინგლისური და რუსული თარგმანებისა. შეპირისპირებითი ანალიზი წარმოდგენილია როგორც ინგლისურენოვან, ასევე რუსულენოვან თარგმანებს შორის და დასკვნის სახით, ორივენოვანი თარგმანების კონტექსტში, რაც ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს.

საყურადღებოა, რომ პირველი ოთხი ინგლისური თარგმანი (მ. უორდროპისა, ვ. ურუშაძისა, რ. სტივენსონისა და ქ. ვივიანისა) მეტნაკლებად შესწავლილია ქართველი მკვლევარების მიერ, ხოლო ლინ კოფინის თარგმანი პირველადაა წარმოდგენილი შედარებითი კვლევის ასპექტში. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უახლესი თარგმანის შედარებითი კვლევა როგორც ორიგინალთან შეპირისპირების, ასევე „ვეფხისტყაოსნის“ პირველ თარგმანთან და მომდევნო მთარგმნელების მიერ შესრულებულ თარგმანებთან მიმართებაში, პოემის თარგმნის ტენდენციების გაუმჯობესების, თუ პირიქით, გაუარესების დასადგენად.

საკვლევი მასალა

საკვლევ მასალას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ სათაური და სხვადასხვა სტროფები და ტაეპები, პოემის 1957 წ. აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის გამოცემის, აგრეთვე პოემის გვიანდელი გამოცემის (ნ. ნათაძის განმარტებები, კომენტარები და ბოლოსიტყვაობა (1974 წ.)) მიხედვით, რაც შედარებულია ინგლისური და რუსული თარგმანების შემდეგ გამოცემებთან:

- i. **მარჯორი უორდროპი** (The Man in the Panther's Skin, A romantic Epic by Shot'ha Rustaveli, A Close Rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop with a Preface by Sir Oliver Wardrop, Tbilisi, 1966);
- ii. **ვენერა ურუშაძე** (Shota Rustaveli, The Knight in the Panther's Skin, Translated by V. Urushadze, T., 1968);
- iii. **რობერტ სტივენსონი** (Shota Rustaveli, The Lord of the Panther Skin, translated by R.H. Stevenson, State University of New York Press, Albany, 1977);
- iv. **ქეტრინ ვივიანი** (Shota Rustaveli, The Knight in Panther Skin, A Free Translation in Prose by Katherine Vivian, Tbilisi, 2003) და
- v. **უახლესი თარგმანი, შესრულებული ლინ კოფინის მიერ** (Shota Rustaveli, The Knight in the Panther Skin, New Translation by Lyn Coffin, 2015).

რუსული თარგმანების შემთხვევაში, გამოყენებულია შემდეგი გამოცემები:

- i. **კონსტანტინე ბალმონტი** (Шота Руставели, Носящий Барсову Шкуру, Перевод К. Д. Бальмонта, Тбилиси, 1983);
- ii. **პანტელეიმონ პეტრენკო** (Шота Руставели, Витязь в Тигровой Шкуре, Перевод с Грузинского Пантелеймона Петренко, Тбилиси, 1983);
- iii. **გიორგი ცაგარელი** (Шота Руставели, Витязь в Тигровой Шкуре, Перевод с Грузинского Г. Цагарели, Москва, 1987);
- iv. **ნიკოლაი ზაბოლოცკი** (Шота Руставели, Витязь в Тигровой Шкуре, Перевод с Грузинского Н. А. Заболоцкого, Ленинградское Отделение, 1988);
- v. **შალვა ნუცუბიძე** (Шота Руставели, Витязь в Тигровой Шкуре, Перевод с Грузинского Шалва Нуцубидзе, Тбилиси, 1957).

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სადისერტაციო ნაშრომში დასახული მიზნების, ამოცანებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, კვლევის პროცესში გამოყენებულია თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში დამკვიდრებული ტექსტის ლინგვისტიკა.

ტექსტის ლინგვისტური მეთოდიკის გამოყენებამ განსაზღვრა შინაარსის ცნების დადგენის შესაძლებლობა დედანსა და თარგმანში და თარგმანის შექმნის მექანიზმის გახსნა, მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით. აღნიშნული გულისხმობს დედნის (1) შინაარსობრივ-ფაქტობრივი, (2) შინაარსობრივ-კონცეპტუალური, (3) ქვეტექსტური და (4) შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაციის ასახვას თარგმანში. წარმოებული კვლევის ფარგლებში განხორციელდა საანალიზო სტროფებისა, თუ ტაეპების თარგმანების შედარებითი კვლევა ორიგინალთან, სწორედ აღნიშნული ოთხი ფაქტორის თარგმანში ასახვის განსაზღვრის მიზნით.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიული ღირებულება მის პრაქტიკულობაში მდგომარეობს, რადგან კვლევაში მითითებულია ის ნაკლოვანებები, თუ დადებითი მხარეები, რასაც ამა თუ იმ მთარგმნელთან ვხვდებით. აღნიშნული საკითხების გათვალისწინება კი, ხელს შეუწყობს „ვეფხისტყაოსნის“ მომავალი მთარგმნელების მიერ, უფრო დახვეწილი თარგმანის მიღებას მომავალში, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული მთარგმნელების მიერ უკვე დაშვებული უზუსტობებისა თუ შეცდომების გამორიცხვას და თარგმანში ასახული საუკეთესო მიგნებების შენარჩუნებას, რაც შედარებით სრულყოფილ სახეს მისცემს მომავალ თარგმანებს.

თავი I. “ვეფხისტყაოსანი”, როგორც ქართული კულტურის განვითარების უმაღლესი გამოხატულება

§ 1.1. “ვეფხისტყაოსნის” რელიგიური და ფილოსოფიური ქარგა

შუასაუკუნეების კულტურამ საქართველოში განვითარების მწვერვალს XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისში მიაღწია, როდესაც ქართულმა კულტურამ გამოხატა მაშინდელი მსოფლიოს ქრისტიანული აზროვნების უახლესი და თანამედროვე ტენდენციები. ლიტერატურულად სრულყოფილი ეპიკური ფორმის და მხატვრული უნიკალურობის საშუალებით კი ქრისტიანულ მსოფლმეგრძნებაში ისეთი ესთეტიკური და ეთიკური ფენომენი შემოიტანა, რომლის ტიპოლოგიურმა პარალელებმა ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის პროცესში მხოლოდ XIII-XIV საუკუნეებში იჩინეს თავი, მათმა შემდგომმა განვითარებამ კი ევროპა უკვე რენესანსამდე მიიყვანა (ხინთიბიძე 2017:22-23).

აღნიშნული პერიოდის ქართული კულტურის უმაღლეს გამოხატულებას, აღმოსავლური და დასავლური კულტურის, კერძოდ კი ლიტერატურული ნაკადების სინთეზის საუკეთესო ნიმუში - რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს, რომელიც თავისი ეპოქის მსოფლმხედველობითი და ესთეტიკური იდეალების მხატვრული რეალიზებით, უდავოდ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად არის მიჩნეული (ხინთიბიძე 2017:31), თუმცა, „ვეფხისტყაოსანი“, ისევე როგორც წარსული კულტურული მემკვიდრეობის სხვა დიდი ნიმუშები, უდიდეს მნიშვნელობას ინარჩუნებს თანამედროვეობის თვალსაზრისითაც, რადგან ის ჩვენი ეპოქის ძირითად სააზროვნო პრობლემატიკას განიხილავს და მისი გაგება და გაანალიზება, სწორედ რომ თანამედროვეობის დიადი ლიტერატურული ქმნილების სახით უნდა იქნას აღქმული (ხინთიბიძე 1989:3), რადგან გადის საუკუნეები, რუსთველის პოემა კი ისევ და ისევ აოცებს და ალაფროვანებს ადამიანებს, მხატვრული ბრწყინვალეობით, სიბრძნითა და ჰუმანურობით. მეტიც, კაცობრიობის კულტურული განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე სულ უფრო იზრდება ინტერესი რუსთველის, მისი შედეგისა და იმ ხალხის მიმართ, რომელმაც მსოფლიოს მისცა უდიდესი პოეტი - ჰუმანისტი (ჩაჩანიძე 1980:16).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენაც სწორედ „ვეფხისტყაოსანმა“ ჩამოაყალიბა, რის შემდეგაც, ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა ხუთ-საუკუნოვანი ვაკუუმი, რამაც უცვლელად შემოინახა ეს ენა და ენის განვითარება მის ბაზაზე ერთბაშად დაიწყო უკვე XVII-XVIII საუკუნეებში (მე-19 საუკუნეში ენამ მხოლოდ ახალი, ეპოქისმიერი ცვლილებები განიცადა, რაც ძირითადად ლექსიკის სფეროს შეეხო, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კი, ივ. მაჩაბელმა ფაქტობრივად დაასრულა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი - სწორედ თარგმანის სფეროში (ფანჯიკიძე 2005:226-227).

პოემის ღრმად რელიგიური ფონის არსებითი მახასიათებელი არა-დოგმატურობაა. „ვეფხისტყაოსანში“ არ არის გამოკვეთილი რომელიმე ისტორიულად არსებული რელიგიის სპეციფიკა, პერსონაჟთა რელიგიური განცდის მახასიათებლის სახით, შესაბამისად, პოემის მხედველობის ბაზისად გვევლინება ისეთი რელიგიური ხედვა, რომელიც ერთნაირად მისაღებია არაბი ავთანდილისთვის, ინდოელი ტარიელისთვის, მულაზანზარელი ფრიდონისა და გულანშაროელი ფატმანისთვის (შოთა მართალია სიმპათიით აგვიწერს მუსულმანურ ქვეყნებს, მაგრამ ამავე დროს დაუფარავ ირონიას ამჟღავნებს მუსულმანური რელიგიისადმი. მუსულმანური რელიგიური წესები პოემაში პირდაპირ მოხსენიებულია სისულელის, „ჩმახვის“ სახელით. მუსულმანი მუყრებისა და მულიმების შესახებ, რომლებიც კითხულობდნენ მუსულმანთა საღვთო წიგნს „მუსაფს“ (ყურანს), ნათქვამია, რომ ისინი სისულელეს „ჩმახვიდნენ“ (ინგოროყვა 1963:158). აღნიშნული სპეციფიკა „ვეფხისტყაოსნისა“, ქართული ფენომენიდან აღმოცენებულ მსოფლმხედველობით ტოლერანტიზმზე მიუთითებს და სწორეს ეს არის ის, რასაც მიჰყავს რუსთველი შუა საუკუნეებიდან რენესანსისკენ (ევროპული კულტურის და კერძოდ, ხელოვნებისა და ლიტერატურული განვითარების ეტაპების წარმოსაჩენად მიღებულია, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს ადრინდელი შუა საუკუნეები (დაახლოებით V-X საუკუნეები), გვიანდელი შუა საუკუნეები (დაახლოებით XI-XIII საუკუნეები) და რენესანსის ეპოქა (დაახლოებით XIV-XVI საუკუნეები). ამ პერიოდიზაციის თანახმად უწოდებენ მეცნიერები პოემას გვიანდელი შუა საუკუნეების ქმნილებას (ხინთიბიძე 1989:5)).

„ვეფხისტყაოსნის“ სწორედ აღნიშნულ, მაღალ ტოლერანტულ იდეურ-მსოფლმხედველობით სამყაროში იქმნება ქართველი კაცის და ქართველი ერის

სულიერი და ზნეობრივი მეობა - ქართული ფენომენი, რაც ბიბლიასთან ერთად რუსთველის პოეზიიდან იღებს სათავეს, რუსთველი კი, თავის მხრივ, ბიბლიასთან ერთად, მისი ეპოქის ინტელექტუალურ მისწრაფებებზე და ცოდნაზე აგებს საკუთარ სიბრძნეს (ქართული ტოლერანტიზმის უდავო ნიმუშს წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას საოცარი პოეტურ-მსოფლმხედველობითი გმირობაც, რომელიც ადამიანურის რელიგიურსა და ნაციონალურზე მაღლა დაყენებამდე მიდის („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“). იგივე ითქმის ანა კალანდაძის შემოქმედებითი სამყაროს სამკაულებზე: „ბომა ქალი“, „თათრის გოგონავ“ და სხვ. ყველა მათგანი გრძნობს იმ სიმშვიდეს და სითბოს, რომელსაც მათ ქართული გარემო უქმნის, ისევე როგორც შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ (ხინთიბიძე 2017: 54-55)).

პოემის ავტორის მსოფლმხედველობას აშკარად ეტყობა როგორც ანტიკური ფილოსოფიის (პლატონის, არისტოტელეს), ასევე ნეოპლატონური (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) თეოსოფიის ღრმად გააზრება (ხინთიბიძე 2017:55). ნეოპლატონიზმი ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომელიც ასაბუთებს სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე (შ. ნუცუბიძის მტკიცებით, „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული დივნოსი არის V საუკუნის ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი, არეოპაგიტული წიგნების ავტორი (ნუცუბიძე 1982:102-103), რასაც უფრო ვრცლად, ქვემოთ შევხებით).

რუსთველი ასევე კარგად იცნობდა ჰერაკლიტეს, ამპიდოკლესა და სხვებს. შოთა ცხადია, ბერძნულ ფილოსოფიას და მწერლობას ორიგინალებში ეცნობოდა. ბერძნული ენის ცოდნა ამ ეპოქაში ქართული უმაღლესი განათლების აუცილებელი მხარე იყო. შოთა გაცნობილი ყოფილა თვით სპარსულ ორიგინალებს, ხოლო ის ფაქტი, რომ შოთა, სპარსულის გარდა, იცნობდა არაბულ მწერლობასაც, ამას ცხადჰყოფს ეზროს დივანის დასახელება, რომლის წაკითხვა ავტორს მხოლოდ არაბულ ენაზე შეეძლო (ინგოროყვა 1963:180-182), მაგრამ მისი მთავარი იდეური არსენალი იყო ანტიკურობის იდეები, გადამუშავებული ქართველ ბრძენ მოაზროვნეთა - პეტრე იბერის, იოანე ლაზის, იოანე მოსხის (მესხის), ეფრემ იბერისა და იოანე პეტრიწის ნაწარმოებებში (თუმცა ზოგ შემთხვევაში, შოთა, რომელიც - „არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად“, და იოანე ფილოსოფოსი - სამი-ჰიპოსტასობის აპოლოგეტი, დაშორებულნი არიან ერთმანეთს (ინგოროყვა 1963:159).

აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია გელათის სამონასტრო სკოლა, რომელიც 1106 წელს დაარსდა და ერთ-ერთ უძლიერეს ფილოსოფიურ და თეოლოგიურ სამეცნიერო ცენტრად იქცა რეგიონში. გელათის ბიბლიოთეკაში არსებულ ხელნაწერებთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ მათი აღწუსხვა, როგორც ბატონმა ვალერი სილოგავამ განაცხადა, საბჭოთა რევოლუციის შემდგომ წლებში კორნელი კეკელიძეს დაუვალება თავისი მეგობრის, ევსევი ნიკოლაძისათვის და დღეს დაახლოებით 700 ერთეულის ნუსხა არსებობს, რაც სრულად მაინც ვერ ასახავს ქუთაისის არქივში დაცულ მასალას (მერაბიშვილი 2005:32). სწორედ გელათის სწავლულებმა თარგმნეს პირველად პლატონი, არისტოტელე და ნეოპლატონისტები ბერძნულიდან და თარგმანებთან ერთად, საკუთარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური შენიშვნებიც დაურთეს აღნიშნულ ნაშრომებს.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა საფუძვლიანად იცოდა არა მხოლოდ ნეოპლატონური ტრადიცია, არამედ ბიბლია და ყურანი, აღმოსავლეთის მამათა წერილები, სუფიზმის მისტიციზმი, რაც გამოვლენილია მის მიერ სუფიზმის თემების ასახვაში (სწორედ ღმერთისადმი მისტიკური სიყვარული იყო გაიდებულელი არაბულ სუფიზმში, რომელსაც რუსთველის მიჯნურობის თეორიის ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის (ხინთიბიძე 2009:402).

რუსთველი ასევე კარგად იცნობს სპარსელ პოეტებს, მაგ. ფერდოუსს (დაახლ. 940-1030 წწ.), ასად გორგანს (გარდაიცვალა დაახ. 1058 წ.), ალქიმიურ-ასტროლოგიურ და მინეროლოგიურ სწავლებებს, რაც მისი მრავალრიცხოვანი წყაროების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ და რომელთა ერთობლიობით, საფუძველი დაედო რუსთველის სრულიად ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რის გამოც საფუძვლიანად დასტურდება მე-12 საუკუნის რენესანსის არსებობა საქართველოში, რომელსაც სათავეში სწორედ იოანე პეტრიწი და რუსთველი ედგნენ. შესაბამისად, შალვა ნუცუბიძის მიერ განვითარებული თეორია, რომ აღმოსავლური რენესანსი, წინ უსწრებდა დასავლურისას, სავსებით აღიარებული, გააზრებული და მეცნიერულ კვლევა-ძიებაში რეალიზებულია. შალვა ნუცუბიძემ დაამტკიცა, რომ ქართველმა მოაზროვნეებმა რამდენიმე საუკუნით დაასწრეს დასავლეთ ევროპას და ეს შეეხება XII საუკუნის ქართველი მოაზროვნის იოანე პეტრიწის ნააზრევსა და განსაკუთრებით, შოთა რუსთველის გენიალურ ნაწარმოებს (ნუცუბიძე 1982:5). ყოველივე

ზემოაღნიშნული ნათელს ჰფენს რუსთველის გონებრივი ჰორიზონტის საკითხსაც და შესაბამისად იმ ფაქტს, რომ მას შეეძლო მთელი თავისი ფილოსოფიური განათლება მიეღო საქართველოში.

„ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო ღვთაებრივი ჰარმონიის და სამართლიანობის ამქვეყნიურ ცხოვრებაში გამოვლენასა და დამკვიდრებას წამოსწევს წინა პლანზე, თუმცა ამავე დროს ინარჩუნებს სამართლიანობის იმქვეყნიურ, სამარადისო ყოფაში არსებობის რწმენას, რაც ფაქტობრივად, პლატონის თეზის დეკლამირებას წარმოადგენს (ხინთიბიძე 2009:474-496), ხოლო XII-XIII საუკუნეების ქრისტიანული და არაბული სქოლასტიკის კვალდაკვალ (ავერიოსი, თომა აკვინელი), პოემის ავტორი არისტოტელისეულ სულის მეტაფიზიკურ დეფინიციას (ენტელეხია - სული არის „სახე ყოვლისა ტანისა“) ეყრდნობა და შემოაქვს ის თეოლოგიურ თეზაში, რომლის თანახმად, ყოველი სული შექმნილი არის უფლის მიერ (შოთა ამ მხრივ ბევრ ხაზებში მოგვაგონებს ქართველ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწს, რომელიც პროკლე დიადოხოსის ტექსტის ცნობილ ბოლოსიტყვაობაში იძლევა ცდას ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის იდეების შეთანხმებისა (ინგოროყვა 1963:157)).

არისტოტელეს ეთიკურ იდეალს რუსთველი მიჰყავს ადამიანის მორალურ-ფიზიკური სრულქმნილების აპოთეოზამდე (ხინთიბიძე 2017:55-57), ხოლო უზენაეს არსზე მსჯელობისას ის არეოპაგეტულ მეთოდს (კატაფატიკა-აპოფატიკა) იყენებს და მოჰყავს არეოპაგელის დებულება კეთილისა და ბოროტის ურთიერთმიმართებაზე, კერძოდ კი ბოროტის სუბსტანციურად არარსებობაზე, რასაც უფრო ვრცლად ქვემოთ (თავი V), საანალიზო ტაეპების კონტექსტში შევხებით (შოთას ფილოსოფიური კონცეფციის საფუძველი არის ის, რომ ღვთაება არის „ბოროტის უმყოფო“, თვით ღვთაების არსში არის კეთილი მხოლოდ, ბოროტი მისგან არ მომდინარეობს. ამასთან, ბოროტი წარმავალი ბუნებისაა, იგი ხანმოკლეა; ბნელი ბოროტისა ჰქრება, როდესაც მას ადგება სინათლე კეთილისა (ინგოროყვა 1963:156.), რაც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განვითარების ფილოსოფიურ მოტივაციას წარმოადგენს (ხინთიბიძე 2017:58)). უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ რუსთველი იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი ღვთისმეტყველი, „რიტორი“ და „ბრძენი“. აკად. კ. კეკელიძე წერდა: „როდესაც ჩვენ რუსთველის ქრისტიანობის შესახებ ვლაპარაკობთ, შემდეგი გარემოება უნდა გვახსოვდეს. რუსთველი მთლიანად ემყარება ქრისტიანიზმის პირველწყაროს,

ბიბლიას, „სადმრთო წერილს“. ამ მხრივ იგი წარმომადგენელია ე.წ. „ბიბლიური ქრისტიანობისა“ და თეოლოგიისა, თუმცა მისთვის უცხოა დოგმატური ეკლესიური ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიო კრებათა საფუძველზე და შემდეგი დროის სქოლასტიკურ-მისტიკურ აკრობატიკაზე, მისთვის უცხოა მთელი ის ბალასტი, რომელიც ქრისტიანობას შეეზარდა შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში“ (კეკელიძე 1958:204). იგივეს აცხადებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი 1937 წ. გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში: „რუსთველი აღსარებით ქრისტიანი ჩანს, თუმცა ქრისტიანულ დოგმებს არ ქადაგებს“. საინტერესოა, რომ მეოცე საუკუნის ქართული მეცნიერების კორიფეები - ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე სხვადასხვა გზებით მივიდნენ საერთო დასკვნამდე, რუსთველის ქრისტიანობის შესახებ (გამსახურდია 1984:11).

საყურადღებოა ასევე ისიც, რომ რუსთველი მარტო „ბიბლიურ“ ქრისტიანობას კი არ ეყრდნობა, არამედ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას და არ არსებობს არავითარი საფუძველი რუსთველის არაქრისტიანად გამოცხადებისა. რუსთველის ქრისტიანობის უარმყოფელნი უმთავრესად იმით ასაბუთებენ თავიანთ თვალსაზრისს, რომ თითქოს პოემაში არსად ხდება სამების მოხსენიება, მაშინ როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ პირველივე სტროფი ახსენებს ქრისტიანულ სამებას (სამება ნახსენებია აგრეთვე „ავთანდილის ანდერძში“ (792)), რაც გამორიცხავს შესაქმის რუსთველისეული გაგების არაქრისტიანულობას. პოემის პირველივე სტროფში ვკითხულობთ: *„რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერიითა...“* პირველივე სიტყვიდან ცხადია, რომ აქ მოხსენიებული ღმერთი ქრისტიანული ღმერთია, ვინაიდან სიტყვა „რომელმან“ ამ შემთხვევაში არის ნაცვალსახელი „ვინც“. აღნიშნული სიტყვა ხსენებულ კონტექსტებში და რუსთველთანაც უპირატესად ნიშნავს (i) **მამა ღმერთს**; სიტყვა ძალი აქ ნიშნავს (ii) **ძე ღმერთს**. ძე ღვთისა, სამების მეორე პირი, ქრისტიან ღვთისმეტყველთა ნაშრომებში ხშირად იწოდება ძალად. მამისა და ძის შემდეგ კი ნახსენებია (iii) **სული**, ანუ სულიწმინდა, რომელიც ისეთივე თანამონაწილეა შესაქმისა, როგორც ძე. შესაბამისად, რუსთველის ტერმინოლოგია ზედმიწევნით ემთხვევა სამებისმიერი თეოლოგიის ტერმინოლოგიას, ემთხვევა ასევე შესაქმისმიერი თანმიმდევრობა, პირთა თანმიმდევრობა და როლი. ყოველივე ამის გამო, აქ გამორიცხულია რაიმე არაქრისტიანული რელიგიური თუ ფილოსოფიური

თვალსაზრისები. აქ აღებულია პოეტის მიერ ბიბლიური შესაქმის უაღრესად არსებითი მომენტები და ლაკონურ, პოეტურ ფორმაშია მოცემული შესაქმის მთელი ფილოსოფიის კვინტესენცია პოეტურ ენაზე. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ პროლოგში მოცემული უფლის სამპიროვნება და ერთბუნებოვნება არ არის მოხსენიებული ავტორის მიერ მისი ტრადიციული სახელით, როგორც „მამა, ძე და სულიწმინდა“, ვინაიდან საქმე გვაქვს პოეტურ ნაწარმოებთან და არა თეოლოგიურ ტრაქტატთან, შესაბამისად, არ არსებობს არავითარი საფუძველი, რუსთველის არაქრისტიანად გამოცხადებისა (გამსახურდია 1984:24-40, 46, 174-175, 207).

§ 1.2. პოემის სიუჟეტი

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 1600 ოთხტაეპიანი სტროფის მოცულობის ეპიკური თხზულების სიუჟეტი არაბეთსა და ინდოეთში ვითარდება და ქართულ რეალობასთან მისადაგებულ, აღმოსავლური ტიპის ქარგაზეა გაშლილი (აღმოსავლურ სურნელს „ვეფხისტყაოსნის“ ნარატივი სიუჟეტის ცალკეულ კომპონენტებშიც ინარჩუნებს. აშკარა მითითებები ჩანს ნიჰამი განჯევის პოემებთან, გურგანის „ვის ო რამინთან“, ფიროუსის „შაჰნამესთან“ (ხინთიბიძე 2017:38)). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლიტერატურას თავისი ინტერნაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, უცხო-ეროვნული თემატიკის უდიდესი და უძველესი ტრადიცია გააჩნია. ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ორიგინალურ ძეგლში იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ უკვე ვხვდებით უცხოელ პერსონაჟს. უცხო-ეროვნული თემატიკის ტრადიციები კიდევ უფრო განავრცო და განავითარა საერთო მწერლობამ, რის საუკეთესო მაგალითსაც სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს (გაფრინდაშვილი...1987:38-41). სწორედ ამიტომ, რუსთველის პოემა მოგვაგონებს ქართული არქიტექტურის შედეგს - ფიტარეთის დიდებულ ტაძარს, XIII საუკუნისას, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების პრინციპზე აგებული ქრისტიანული სალოცავია, მაგრამ მის ჩუქურთმებსა და ორნამენტაციაში აღმოსავლური ორნამენტის იმიტაცია იგრძნობა. ხოლო ის ფაქტი, რომ მაგალითად, თბილისის მახლობლად მდებარე მაჩხანის ეკლესიას, აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ აღწერილს, ქართული წარწერის გვერდით არაბული წარწერაც აქვს, სულაც არ

მიუთითებს ამ ეკლესიის არაბულ წარმოშობაზე, ან თუნდაც არაბეთის ხუროთმოძღვრების გავლენაზე (გამსახურდია 1984: 184-185).

აღმოსავლური ტიპის ამბავს რუსთველი XII საუკუნის ქართული სამეფო კარის ისტორიის ალეგორიულ დატვირთვას სძენს და ყველაფერს ერთად ქართული პოემის ორიგინალურ სიუჟეტად გარდაქმნის, სადაც ქართული კოლორიტი პოემის ყველა ასპექტში ჩანს - აქ ფლორა და ფაუნაც კი ქართული, უფრო ზუსტად, კავკასიური სინამდვილიდანაა აღებული (გეგეჭკორი 2010:5). პოემაში ფორმაც და შინაარსიც უაღრესად ეროვნულია, ქართულია და თუკი რამ იყო ქართული აღმოსავლური პოეზიის მიმბაძველთა შემოქმედებაში, ეს წყალობაა უპირველესყოვლისა რუსთველის ფორმისა, რომელსაც ისინი იყენებდნენ. საერთოდ კი რუსთველის პოემის ქართულობა არსებითად სადავო საგანს არ წარმოადგენს (გაჩეჩილაძე 1959:32). პოემის სიუჟეტის არასპარსულ წარმომავლობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ამ სიუჟეტის კვალს მეცნიერები ვერ პოულობენ ირანულ ლიტერატურაში, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ძიება კი ირანულ მწერლობაში უკვე ორას წელზე მეტია რაც წარმოებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ სტროფი, რომელიც სიუჟეტის „სპარსულობას“ ეხება, ყალბია და შემდეგ არის ჩართული „ვეფხისტყაოსანში“. ინტერპოლაციების განხილვიდან ირკვევა, რომ თავდაპირველად, როცა საუბრობდნენ „ვეფხისტყაოსანზე“, გულისხმობდნენ არა სიუჟეტის სპარსულიდან სესხებას, არამედ მის მსოფლმხედველობას, „ვეფხისტყაოსნის“ არაქრისტიანულ, „მწვალებლურს“ (ერეტიკულს) იდეოლოგიას. ვახტანგ VI, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მეცნიერი, გამომცემელი და კომენტატორი, საგანგებოდ იყო დაინტერესებული პოემის სიუჟეტის საკითხით და სცდილა გამოერკვია, მოიპოვება თუ არა ირანულ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი სიუჟეტის შემცველი ნაწარმოები. ვახტანგ VI ირანულ კულტურაზე იყო აღზრდილი და მას ჰქონდა შესაძლებლობა ამ საკითხის გამო ამომწურავი ძიება ეწარმოებია. ვახტანგი ამ ძიებამ უარყოფით დასკვნამდე მიიყვანა. ძიება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა ვახტანგ VI-ით არ დასრულებულა. ამის შემდეგ სხვებიც, და მათ შორის ისეთი ავტორიტეტული მკვლევარი, როგორც იყო ნ. მარი, განაგრძობდნენ ძებნას „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის პროტოტიპისა, მაგრამ უშედეგოდ. ირანულ მწერლობაში მსგავსი არაფერი აღმოჩენილა. შესაბამისად, გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის

არაირანული წარმოშობისა და იმ ფაქტის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი უღრმესი ორიგინალობის ბეჭდებს ატარებს, რადგან აქ არის არა მხოლოდ პოეზია, არამედ ისტორიული სინამდვილის ანარეკლი, მოცემული პოეტურ ჭრილში. პოემაში არის გარკვეული ისტორიული ქარგა, რომელიც ორგანული ნაწილია მოთხრობისა და ასევე ორგანულად არის შექსოვილი სიუჟეტთან. ამის მიხედვით, უღრმესი ორიგინალობა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა სრულიად ნათელი და ცხადლივ ხდება დასანახი (ინგოროყვა: 1963:223-227).

რენესანსული ეპოქის ლიტერატურის საერთო სპეციფიკის მსგავსად, ყველა მიმოხრა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტში მკაცრადაა მოტივირებული და ავტორის ჩანაფიქრს დამორჩილებული. „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია აშკარად ამყარებს მიმართებას ეპიკური სტილის კლასიკურ მოდელთან, რომელიც ჯერ კიდევ ჰომეროსის პოემებში არის გამოკვეთილი და არისტოტელეს მიერ მის „პოეტიკაში“ გაანალიზებული. გრძელი ამბის და ვრცლად აღწერილი უმთავრესი ეპიზოდების მთლიანობა ძირითადი ისტორიის თხრობაში ჩართულ პერსონაჟთა მოგონებებითა და ნაამბობით არის დარეგულირებული (ხინთიბიძე 2017:36).

§ 1.3. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსთწყობა

პოემის შინაარსობრივ სიუჟეტთან ერთად, რასაკვირველია, ძალზედ საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სამყაროც, რაც ავითარებს როგორც ქართული ხალხური პოეზიის, ასევე მდიდარი ქართული სასულიერო ლიტერატურის - ჰიმნოგრაფიის ტრადიციებს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ნათლად ადასტურებს ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული ლიტერატურის მჭიდრო კავშირს. ცნობილი მწერლები არა მარტო ღრმად იცნობდნენ ფოლკლორულ მასალას, არამედ ფართოდ იყენებდნენ მას თავიანთ შემოქმედებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ პარალელიზმები ჩახრუხაის-ძის ოდებთან, რომლებიც ეკუთვნის მე-12 საუკუნის დასასრულს. ლექსის ფაქტურა და აგრეთვე ზოგადი ხასიათი „ვეფხისტყაოსნის“ სტილისა იმდენად ახლო უდგება ჩახრუხაის-ძის ოდებს, რომ ისეთი მახვილი ფილოლოგი, როგორც არის ნ. მარი, ერთ დროს ფიქრობდა, თითქოს რუსთველი და ჩახრუხაის-ძე ერთი და იგივე პირია. თავისთავად ეს მოსაზრება ამ ორი პოეტის იგივეობის შესახებ, რასაკვირველია, შეცდომაა, თუმცა ერთი კულტურის ბეჭდით

აღნიშნული ქარგა ნათლად მოწმობს, რომ ორივე პოეტი ერთსა და იმავე ეპოქას, ერთსა და იმავე სალიტერატურო სკოლას წარმოადგენენ (ინგოროყვა 1963:73). ვაჟა-ფშაველა, რომელმაც ხალხურ წყაროზე არაერთი ნაწარმოები აამეტყველა, წერდა: „...ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გოეტესი ხალხურ თქმულებაზეა აშენებული.. ავტორები „ფაუსტს“ გოეტეს გარდა ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გოეტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ვერავინ შეძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შეძლო გადადუღება, ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა, ასევე დაემართათ შექსპირის „ჰამლეტს“, „მეფე ლირს“, „რომიო და ჯულიეტას“ და სხვ. ასევე ითქმის დიდებულს შოთაზე და მის „ვეფხისტყაოსანზე...“ (გაფრინდაშვილი...1987: 49-50).

ქართულ ეროვნულ ხალხურ და ლიტერატურულ ტრადიციებთან ერთად, რუსთველი საზრდოობს აღმოსავლური, სპარსულ-არაბული ეპიკისა და ლირიკის მდიდარი ტრადიციებით. ქრისტიანული მორალი, ანტიკური ფილოსოფია, ქართული ხალხური და აღმოსავლური სიბრძნე რუსთველის პოეტურ ხელოვნებაში ზუსტ, სხარტ, დახვეწილ ნათქვამად, ტევად, ბრძნულ გამონათქვამებად ჩამოიკვეთება და თავისი მრავალმხრივობით ადამიანური ოპტიმიზმის, სიბრძნის და მაღალი ზნეობის ფილოსოფიურ კოდექსს ქმნის (ხინთიბიძე 2017:62-66). „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკური ფენომენი ჰიპერბოლური და სიმბოლური პოეტური სახეებით იქმნება. პოეტური სემანტიკიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეტაფორული მეტყველება, აგრეთვე განმეორება, პარალელიზმი, ეპითეტი და ა.შ. რუსთველს ტრადიციულ პოეტიკაში შეაქვს საკუთარი ხელწერა, რაც განსაკუთრებით საგრძნობია პოეტური ლექსიკის და პოეტური სინტაქსის სფეროში (ხინთიბიძე 2017:59-60).

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული პოეტიკის ნორმად ითვლება ლექსთწყობის სფეროშიც. შუასაუკუნეების ეპიკური სტილისაგან განსხვავებით, პოემაში მოხსნილია მონოტონურობა, რაც მიიღწევა რუსთველური პოეტური საზომის - შაირის ორი ვარიანტის მონაცვლეობით. აღნიშნული სალექსე ფორმის საწყისები დასტურდება არა მხოლოდ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, არამედ თვით ლიტერატურულ ტრადიციაში ჯერ კიდევ IX საუკუნიდან, რუსთველთან კი იგი სრულყოფილებას აღწევს. პოემაში მაღალი შაირი - 16 მარცვლიანი სტრიქონის თითოეული ნახევარტაეპი ცეზურებით დაყოფილია 4 მარცვლიან მუხლად (4/4/4/4), რაც უფრო ექსპრესიული

რიტმით ხასიათდება, ხოლო დაბალი შაირი (3/5/3/5; 5/3/5/3) თავისი შედარებით დინჯი რიტმიკით უპირატესად ეპიკურ ამბებს და ფილოსოფიურ სენტენციებს მიესადაგება. შენიშნულია, რომ რუსთველისეული მაღალი შაირის სიმეტრიული სტროფები დაბალი შაირის ასიმეტრიული სტროფებით შენაცვლებისას გადადის მაქსიმალური ჰარმონიის, ე.წ. „ოქროს კვეთის“ შეფარდებაში; ნახევარტაეპის მარცვალთა რაოდენობა - 8 ისეთ შეფარდებაშია დიდ რიტმულ მონაკვეთში მარცვალთა რაოდენობასთან - 5, როგორც ეს უკანასკნელი მარცვალთა რაოდენობასთან მცირე მონაკვეთში - 3 (წერეთელი 1973:7). რუსთველური შაირის თითოეული სტროფი ოთხი სტრიქონისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან გარეგანი რითმებითაა შეკავშირებული. რითმა უპირატესად ორ და სამმარცვლიანია, თუმცა გვხვდება ოთხ და ხუთმარცვლიანი რითმებიც (ხინთიბიძე 2009:33-39; 2019-229).

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სამყაროს მიმზიდველობა მეტწილად მაღალი აზრობრივი ღირებულების და გამომსახველობითი სრულყოფილების ჰარმონიზაციით არის განპირობებული, რაც პოეტის აფორისტულ მეტყველებაშიც არის გამოვლენილი (აფორისტული მეტყველება შუა საუკუნეებში ფილოსოფიური აზრის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო, რომლის უდიდეს ნიმუშს სოლომონის ეკლესიასტე წარმოადგენდა (ხინთიბიძე 2017: 62-63)).

§ 1.4. რუსთველის ვინაობის შესახებ

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის უკიდევანო ცოდნასა თუ სიბრძნეზე, ასევე უაღრესად დახვეწილ და სრულყოფილ პოეტურ გამომსახველობით უნარებზე საუკეთესოდ მისივე ქმნილება მეტყველებს, თუმცა მეტად საინტერესოა ბიოგრაფიული მონაცემებიც. პოემის ავტორის შესახებ. კლასობრივი ისტორიოგრაფია ყველგან და ყოველთვის აკეთებდა თავის საქმეს ხელისუფლების მპყრობელთა გულის მოსაგებად და არ შეჰქონდა ქორონიკონში მათგან ათვალწუნებული ისტორიული მოღვაწენი, ასე ხდებოდა საქართველოშიც. აი, რატომ გვიხდება საუბარი მხოლოდ ცალკეულ ცნობებზე რუსთველის ცხოვრებისა და მისი პოემის შესახებ, ამ ცნობების ერთადერთ წყაროს კი თავად პოემა წარმოადგენს (ჩაჩანიძე 1980:12).

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, შოთა რუსთველი XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს სამეფო კარის პოეტი იყო, მაგრამ უშუალო ბიოგრაფიული

მონაცემები მის შესახებ სამწუხაროდ შემონახული არ არის, თუმცა წყაროები იძლევიან მითითებას იმის შესახებ, რომ შოთა ეკუთვნოდა სამეფოს უმაღლეს არისტოკრატას, ანუ უფრო ზედმიწევნით - სამეფო გვარეულობის ამა თუ იმ შტოს (რასაკვირველია აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ასე კვალ-წმინდად დაკარგვა ყოველგვარი ხსენებისა პოეტის შესახებ, კიდევ უფრო უცნაურად უნდა გვეჩვენოს (ინგოროყვა 1963:83-87)).

რუსთველის ვინაობა დადასტურებულია პოემის პროლოგში, სახელი შოთა კი (ძველ საქართველოში თითოეულ დიდ გვარში იყო ისეთი სპეციფიკური სახელები, რომლებიც სხვა გვარში ჩვენ არ გვხვდება. ასეთებია, მაგ. დადიანთა და გურიელთა გვარში სახელები: მამია, ცოტნე; ტაოელ ერისთავთა გვარში სახელი: თორნიკე და ა.შ. ჰერეთის ბაგრატიონთა გვარში ასეთი საგვარეულო სახელი არის - შოთა. ეს სახელი ჰერეთის ბაგრატიონთა გვარის გარეშე არც ერთხელ არ გვხვდება მე-8 საუკუნიდან ვიდრე მე-13 საუკუნემდე (ინგოროყვა 1963 :116)), მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისისა და შემდგომი დროის ქართულ ლიტერატურულ წყაროებში გვხვდება. სახელი შოთა პოპულარული ხდება მხოლოდ მომდევნო საუკუნეებში, პოეტ რუსთველის შემდეგ, ისევე როგორც მისი პოემის გმირთა სახელები: ტარიელ, ავთანდილ, თინათინ, ნესტან-დარეჯან და სხვ. (ინგოროყვა 1963 : 116).

თავად პოემა დაწერილი უნდა იყოს თამარ მეფისა და დავით სოსლანის ზეობის ხანაში, დაახლოებით 1189-1207 წლებში (შოთას „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე გამოქვეყნებული ჰქონია ორი პოეტური ნაწარმოები: რომანი იოსებ მშვენიერზე (ცნობა შოთას ამ არ მოღწეული პოემის შესახებ დაცულია ძველ-ქართული პოეტური ძეგლის „იოსებ-ზილიხანიანის“ პირველი ვერსიის პროლოგში) და „ქებანი“ („ქებანი“ შოთას გამოქვეყნებული ჰქონია „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე, 1190-იან წლებში (არა უადრეს 1196 წლისა)), რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, ისევე როგორც დაკარგულია ათეული სხვა თხზულებანი კლასიკური ხანის ქართული პოეზიისა. შოთა თავის ნაწარმოებს „ქებანი“ შედეგრად თვლიდა; იგი ადარებს მას „ვეფხისტყაოსანს“ და ამბობს, რომ ეს ადრინდელი თხზულება წარმოადგენდა - „სრულქმნას სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“. შოთას ამ ნაწარმოებს არათუ ჩვენამდე არ მოუღწევია, არამედ მის შესახებ საზოგადოდ არ შემონახულა არავითარი ცნობა ძველ-ქართულ ბიბლიოგრაფიულ ინდექსებში (ინგოროყვა 1963:191-216, 670).

რუსთველის ვინაობის შესახებ შექმნილ მრავალ ხალხურ გადმოცემასა და მეცნიერულ ვარაუდებს შორის, დღეისთვის უფრო პოპულარობით სარგებლობის ის თვალსაზრისი, რომლის თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის კედელზე გამოხატული და სააღაპე (სამონასტრო მატთანის) წიგნში მოხსენებული მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთველი. იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანე შესანიშნავი ძეგლია საქართველოს წარსულისა, იგი წარმოაჩენს იმ დიდ როლს, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს სახელმწიფოს საშუალ-საუკუნეთა პალესტინის ისტორიაში, პალესტინისა, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა ინტერესები დასავლეთის და აღმოსავლეთის. ჯვარის ქართული სავანის ჩვენ დრომდე მოღწეული მთავარი ტაძარი მე-11 საუკუნის ძეგლია (ინგოროყვა 1963 :782).

1902 წელს, იერუსალიმში მოგზაურობის დროს, გამოჩენილმა მეცნიერმა ნიკო მარმა, კვარის სავანის ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში აღმოაჩინა ჯვარის სამონასტრო მატთანეები („სააღაპე მატთანეები“), რომლებიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში უნახავს ქართველ მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს. ნიკო მარმა მის მიერ აღმოჩენილი ტექსტები გამოაქვეყნა 1914 წელს წიგნში - „აღაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“. მონასტრებს ჰქონდათ საგანგებო წიგნები, რომლებშიც კალენდარულის თანრიგით ჩაწერილი იყო, თუ რომელი რიცხვისთვის იყო დანიშნული ამა თუ იმ პირის მოსაგონარი („აღაპი“) დღე. ასეთ წიგნებს „სააღაპე მატთანეები“ ეწოდებოდა. ისტორიული ძიების შედეგად შესაძლებელი გახდა ზუსტად განსაზღვრა, რომ შოთას აღაპი განწესებული ყოფილა და შეტანილი მატთანეში 1245-1250 წლებს შორის. შოთა, თანამედროვე თამარისა, ამ დროს ღრმად მოხუცებული იქნებოდა; და, მართლაც, იერუსალიმის ფრესკაზე შოთა წარმოდგენილია ღრმად მოხუცებული (ინგოროყვა 1963: 537-541).

შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესი არის შოთა რუსთველი და იერუსალიმის ფრესკა ავთენტურია, იგი წარმოგვიდგენს ჩვენს დიადს პოეტს მოხუცობის ჟამს. შოთა რუსთველი, ჰერეთის ბაგრატიონი, მოხუცობის ჟამს, 1245-1250 წლებში იყო საქართველოს ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი. პირველი ცნობა იერუსალიმის ჯვარის ქართულ სავანეში დაცული შოთას ფრესკის შესახებ ეკუთვნის მე-18 საუკუნის ცნობილ ქართველ მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს, რომელმაც 1757-1759 წლებში მოიხილა და

აღწერა ქართული კულტურის ძველი კერები საბერძნეთსა და პალესტინაში. მეორე ცნობა შოთას ფრესკის შესახებ ეკუთვნის ნიკოლოზ ჩუბინაშვილს, რომელმაც მოიხილა ჯვარის მონასტერი 1845 წელს, ხოლო მესამე ცნობა შოთას ფრესკის და მასთან დართული წარწერის შესახებ ეკუთვნის პროფ. ალ. ცაგარელს, რომელმაც იმოგზაურა ქართული სიძველეების შესასწავლად პალესტინაში და სინას მთაზე 1883 წელს. 1960 წელს იერუსალიმში იმოგზაურა ექსპედიციამ, რომელშიც შედიოდნენ პოეტი ირაკლი აბაშიძე და ცნობილი მეცნიერები: აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი. ამ ექსპედიციამ ჩამოგვიტანა მართლაც რომ უდიდესი საჩუქარი - შოთას პორტრეტის პირი. იერუსალიმის მასალები ადასტურებენ, რომ შოთა რუსთველი, მოხუცობის ჟამს, ყოფილა საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი (ინგოროყვა 1963: 533-543, 846).

შოთას მოსახსენებელი მისი, როგორც საქართველოს სახელმწიფო ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის წარმომადგენლის - ანტონი ალავერდელი მთავარეპისკოპოსის ხელით უნდა იყოს ჩაწერილი ჯვარის მატთანში (ინგოროყვა 1963:856). მონასტრის გუმბათის ქვეშ ერთ-ერთ ცენტრალურ სვეტზე გამოსახულ წმ. მაქსიმე აღმსარებლისა (ფილოსოფოს-თეოლოგი, კომენტატორი დიონისე არეოპაგელისა) და წმ. იოვანე დამასკელის (სასულიერო პოეზიის მამამთავარი) ფრესკათა შორის გამოხატულია ლოცვად ხელაპყრობილი დიდგვაროვანი მოხუცი ერისკაცის პორტრეტი. ეს არის „ვედრების“ კომპოზიცია, კარგად ცნობილი როგორც ძველ ქართულ იკონოგრაფიაში, ისე ბერძნულსა და საერთოდ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში. „ვედრების“ კომპოზიციაში მფარველი წმინდანები, როგორც წესი, წარმოდგენილია დიდი პლანით, ხოლო მვედრებელნი მცირე პლანით. იოანე დამასკელი აქ წარმოდგენილია როგორც სიმბოლო პოეზიისა, მაქსიმე აღმსარებელი - ფილოსოფიისა. ეს არის სრულიად ექვმიუტანელი და მტკიცე საბუთი იმისა, რომ იერუსალიმის ფრესკაზე წარმოდგენილი შოთა არის პოეტი შოთა რუსთველი (ინგოროყვა 1963: 825-830).

პორტრეტს აწერია „რუსთველი“ და წარწერა, რომლის შინაარსიც ასე იკითხება: „ამისა დამხატავსა [შოთას] შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ“. ვინაიდან წარწერა იმ პორტრეტს ეხება, რომელსაც „რუსთველი“ აწერია, ამიტომ ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ამ წარწერის შოთაში სწორედ რუსთველზეა ლაპარაკი (სრულიად წარმოუდგენელია, რომ აქ ვინმე სხვა შოთა იგულისხმებოდეს. შოთას პორტრეტი,

როგორც შემდეგ გამოირკვა, შესრულებული უნდა ყოფილიყო 1245-1250 წლებში. ხელოვნების ამ შედევრს, მე-13 საუკუნის შემდეგ, ჯვარის მონასტრის მხატვრობის შემდგომი ხანის რესტავრაციის დროს, ჩანს, არ განუცდია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება (ინგოროყვა 1963: 542-543).

ჯვარის მონასტერში ფრეკაზე გამოსახული რუსთველი არის უკვე ადამიანი, რომელმაც გაიარა სუბლიმაციის გზა (ქალისადმი სიყვარულისა) და ამჯერად „დაშვრების აღმაფრენითა“ და აქვს „საღმრთო სიახლე“. ასეთივე გზები გაიარეს დანტემ და პეტრარკამ (რუსთველზე უფრო გვიან, კერძოდ, ისინი მიწიერი ქალებისადმი სიყვარულის შედეგად მივიდნენ საღვთო სიყვარულამდე (ისევე როგორც მოგვიანებით დავით გურამიშვილი „ზუბოვკაში“), რითიც მათში მოხდა სუბლიმაცია ეროსისა). ცნობილია პეტრარკას შემონაზვნება და დანტეს წმინდა საღვთისმეტყველო გზაზე დადგომა („სამოთხე“). მიწიერი ეროსის დაუკმაყოფილებლობამ („ვერ მიხვდომამ“) მათში დაბადა ურანიული (ზეციური) „აგაპე“, მათ გაიარეს გზა შმაგობისა „მისისა ვერ მიხვდომისა წყენითა“. ასეთივე უნდა ყოფილიყო რუსთველის გზა, როგორც ეს პოემიდან და მის შესახებ ლეგენდიდან ჩანს, თუმცა კი მისი ბიოგრაფია ჩვენთვის არ არის ცნობილი (გამსახურდია 1984:164).

გარდაცვლილა შოთა 1250 წლის ახლოს, ღრმად მოხუცებული, როდესაც იგი 84 წლის ყოფილა მიწვენილი (შოთა დაბადებულა 1166 წლის ახლო, ხოლო გარდაცვლილა 1250 წლის ახლო. შოთას უცხოვრია იმდენივე, რამდენიც გოეთეს, ვოლტერს, ლევ ტოლსტოის (ინგოროყვა 1963: 670-691). არსებობდა მოსაზრება, რომ შოთა ვითომც იერუსალიმში იყო დასაფლავებული, რაც ემყარება მხოლოდ იმ ფაქტს, რომ იერუსალიმის ჯვარის ქართულ მონასტერში დახატულია შოთას სურათი. თავდაპირველად ისიც კი ითქვა, რომ შოთა სურათს ქვეშ არის დასაფლავებული. მაგრამ ყოველივე ეს მცდარი, სავსებით ილუზორული მოსაზრებაა, ძვირფასი ნეშტი შოთა რუსთველისა, პ. ინგოროყვას ღრმა რწმენით, განისვენებს მის ქვეყანაში, საქართველოში (პ. ინგოროყვას მოსაზრებით, შოთა რუსთველი დასაფლავებულია მის მშობლიურ რუსთავში, რუსთავის ძველი კათედრალის სანახებში (ინგოროყვა 1963:856).

§ 1.5. “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერები, რედაქციები და გაგრძელებები

ჩვენამდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ XII და შემდგომ საუკუნეებში გადაწერილი 164 ხელნაწერი, რომელთაგან უძველესი, იოანე კათალიკოსის-ავალიშვილის ნუსხა, XVI-XVII საუკუნეების მიჯნით თარიღდება, ხოლო ყველაზე ძველი, თარიღიანი ხელნაწერი 1646 წლით არის დათარიღებული (გადამწერი და ჩართული მინიატურების ავტორი - მამუკა თავაქარაშვილი). ყველა ძეგლის (XVII საუკუნის) ხელნაწერი ერთი რედაქციის, ერთი გადამუშავების ტექსტს წარმოადგენს, რომელშიც უკვე შეტანილია ჩანართი სტროფები და გაგრძელებები, ამ ხელნაწერებში დაცულ ტექსტს ვრცელ რედაქციას უწოდებენ. შესაბამისად, „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერები, რომლებიც ამჟამად ცნობილია, საკმაოდ გვიანი ხანისაა, მე-16-17 საუკუნეებისა, და ოთხი საუკუნით არის დაშორებული იმ ეპოქას, როდესაც პოემა დაიწერა (ინგოროყვა 1963:13).

პოემის პირველ ბეჭდურ, 1712 წლის გამოცემაში დასტამბულია ე.წ. მოკლე რედაქციის ტექსტი, რომელიც ვრცელი რედაქციის კრიტიკული გადამუშავებით უნდა იყოს მიღებული. ეს არის ყველაზე მოკლე რედაქცია „ვეფხისტყაოსნისა“ (შეიცავს 1587 სტროფს), რომელშიც არ არის შეტანილი მთელი რიგი დანართი ეპიზოდები, რომლებიც მოიპოვება მე-16-17 საუკუნის ხელნაწერებში. ვახტანგისეული ტექსტი არ არის ხელოვნურად შემუშავებული დედანი, არამედ ისეთივე ტრადიციული ტექსტია, როგორც დანარჩენი ხელნაწერები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგისეულ დედანში დაცულია შედარებით უფრო სუფთა ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“, თუმცა ტექსტის ზედმიწევნითი ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ ვახტანგისეულ დედანშიც არის ინტერპოლაციები, თუმცა მისი დედანი ეკუთვნის საკმაოდ ძველ ხანას, XIV საუკუნის ნახევარზე ადრინდელ დროს, მაგრამ შოთას პოემას ვიდრე ამ დრომდე განუცდია დამატებანი, თუმცა მას არ აქვს ისეთი ფართო ხასიათი, როგორსაც ჩვენ ვხედავთ გვიან ხელნაწერებში. ვახტანგისეულ დედანში შედარებით შეურევნელად არის დაცული შოთას პოემის ტექსტი (ინგოროყვა 1963:43-44). რაც შეეხება ყველა დანარჩენ მე-16-17 საუკუნეების ხელნაწერებს, ისინი წარმოადგენენ ვახტანგისეული დედნის მხოლოდ უბრალო გაგრძელებას და შევსებას (ინგოროყვა 1963: 17-22).

გვიანდელ, XVIII და XIX საუკუნეების ხელნაწერებში დაცულია პოემის კიდევ ორიოდ რედაქცია, რომლებიც მოკლე და ვრცელი რედაქციების შერეულ ტექსტს

შეიცავენ და პოემის პირველი და მეორე ბეჭდური გამოცემის (1841 წ.) შევსებას წარმოადგენენ (ბარამიძე 1975:356-392). მოკლე რედაქციას ვრცელთან შედარებით დასასრულში აკლია 3 დიდი ამბავი, რომელთაც გაგრძელებებს უწოდებენ (სამი ამბავი, დაწერილი სხვადასხვა დროს, სამი მელექსის მიერ: ინდო-ხატაელთა ამბავი, ხვარაზმელთა ამბავი და პოემის გმირთა სიკვდილის ამბავი).

პირველი, ე.წ. ინდო-ხატაელთა ამბავი, შეტანილია პოემის დასასრულში, სახელდობრ უკანასკნელ თავში, ტარიელისა და ნესტანის ინდოეთში გამეფების წინ. მთელი ეს დამატება შეიცავს 71 სტროფს. მისი ავტორი უნდა იყოს სარგის თმოგველი, ესე იგი სარგის III - უკანასკნელი მფლობელი თმოგვის საპატრონოსი (მე-14 საუკუნის პირველი ნახევარი) (ინგოროყვა 1963:29-35).

რაც შეეხება მეორე, ე.წ. ხვარაზმელთა ამბავს, ყალბისმქნელს შეუთხზავს ეს (მეორე) დამატება, დაწერილი სრულიად უმწეო ლექსებით, რომელშიც გადმოცემულია ხვარაზმელებთან ომები. ეს მეორე დამატება, ანუ ხვარაზმელთა ამბავი, შეტანილია „ვეფხისტყაოსანში“ პირველი დამატების (ინდო-ხატაელთა ამბის) შემდეგ. ეს დამატება შეიცავს საერთო რიცხვით 112 სტროფს. სარგისს ინდო-ხატაელთა ამბავი დაუწერია ლექსად, ხოლო ხვარაზმელთა ამბავის გალექსვა ვერ მოუსწრია და პროზაული ჩანაწერის სახით ჰქონია შესრულებული, ხოლო თუ ვინ გალექსა ხვარაზმელთა ამბავი, მოხსენიებული არ არის, თუმცა ჩანს, რომ ის თმოგვის სამფლობელოდან იყო. თვით სარგის თმოგველისეული ხელნაწერი მას, ჩანს, თმოგვში, სამფლობელოს რეზიდენციაში უპოვნია. ხვარაზმელთა ამბის გალექსილი ტექსტი უნდა ეკუთვნოდეს მე-14 საუკუნის მეორე ნახევარს (ინგოროყვა 1963 : 30-37).

მესამე ამბავს კი წარმოადგენს პოემის გმირთა სიკვდილის ამბავი. ეს არის მესამე დამატება, რომელშიც გადმოცემულია პოემის გმირთა ცხოვრების უკანასკნელი ხანა და მათი სიკვდილი. ეს მესამე დამატება დართულია მეორე დამატების („ხვარაზმელთა ამბის“) შემდეგ, შეიცავს იგი 22 სტროფს. დამატება ეკუთვნის ხანას მე-14 საუკუნიდან - მე-17 საუკუნემდე (ინგოროყვა 1963 :30-41).

აღნიშნული სამი ამბავი, რუსთველის ხელიდან გამოსული არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეული სახით, რაზეც მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების არა მხოლოდ ცალკეული მინაწერები, არამედ მკვეთრი განსხვავება „ვეფხისტყაოსანსა“ და ე.წ. გაგრძელებათა მხატვრულ სისტემებს შორის: განსხვავება

აღნიშნება მსოფლმხედველობით სისტემაში, თვალშისაცემია „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის სტილის დარღვევა, პერსონაჟების ხატვის პირობითობის მხატვრული სტრუქტურის მოშლა და ა.შ. (ხინთიბიძე 2009: 72-87). საშუალო საუკუნეებში ასეთი შემატება-შეცემა ძველ ნაწარმოებთა არ წარმოადგენდა იშვიათ მოვლენას, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ამას უფრო ფართო ხასიათი მიუღია (ინგოროყვა 1963:15).

§ 1.6. პოემის გააზრება ქართულ საზოგადოებაში

რუსთველის პოემამ პოპულარობა ქართულ საზოგადოებაში, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე მოიპოვა. XIV საუკუნიდან დაწყებული, ქართული სასულიერო მწერლობის ხელნაწერთა ამიებზე უკვე ვხვდებით პოემის ცალკეულ ტაეპთა მინაწერებს, რაც ქართველ სამღვდელთა მიერ პოემისეული ნაწყვეტების ზეპირ ციტირებაზე მეტყველებს. ქართული საზოგადოებრივი ყოფის გარკვეულ პერიოდში ადგილი ჰქონდა ერთგვარ საპროტესტო მოძრაობასაც პოემის წინააღმდეგ, რაც სავარაუდოდ XVI საუკუნის ევროპაში არსებული ქრისტიანული რადიკალიზმის ერთგვარი გამოძახილიც შეიძლება ყოფილიყო.

აღნიშნული პროტესტი პოემის წინააღმდეგ გამოწვეული იყო შემდეგით: ჯერ ერთი, პოემის ავტორი იწვევდა კლერიკალურ-რეაქციული წრეების ოპოზიციას მისი თავისუფალ-მოაზრობის გამო. სწორედ შოთას თავისუფალ-მოაზრობასთან არის დაკავშირებული ბრალდება, რომელსაც აღნიშნავს ერთი ინტერპოლატორი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად“, „არას გვარგებს საუკუნოს, რადღე იქმნას აღსასრულად“, რომ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია არა-ქრისტიანული მსოფლმხედველობა. ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანთან“ (რომელსაც კლერიკალური წრეები არაქრისტიანულ ნაწარმოებად თვლიდნენ) - დაკავშირებული იყო სახელი თამარისა (რომელიც გარდაცვალების შემდეგ აღიარებული იყო საეკლესიო წმინდანად), რასაკვირველია წარმოადგენდა სარწმუნოებრივ საცდურს. ერთ-ერთ ინტერპოლატორს, მაგ. სურს ჩაგვაგონოს, რომ რუსთველი სიბოროტით, „სიავით“ არის შეპყრობილი, რომ შოთა არ არის გულწრფელი, როდესაც იგი თამარის ამაღლებულ მიჯნურობაზე ლაპარაკობს, რადგან ნამდვილი მიჯნური არასოდეს არ იქცევა ასე, არ აცხადებს თავის მიჯნურობას. იგი ყველაფერს ხსნის შოთას ბოროტი განზრახვით, რადგან თვით ინტერპოლატორის სიტყვებით: „ავსა

კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა!“ - ვახტანგისეულ დედანში შემონახულა ანარეკლი იმ პოლემიკისა, რომელიც არსებულა პოემის გარშემო მე-13-14 საუკუნეებში (ინგოროყვა 1963: 58). ამგვარად, ის ოპოზიცია პოემის გარშემო, რომელმაც თავი იჩინა მე-18 საუკუნეშიც, არის მხოლოდ ნაგვიანები გამოძახილი იმ დევნისა, რომელსაც პოემა წინა საუკუნეებში განიცდიდა. კლერიკალურ წრეებს, ცხადია, ვერ უპატიებიათ შოთა რუსთველისათვის მისი თავისუფალი მოაზრობა. „ერეტიკოსობის“ და თავისუფალი მოაზრობის გარდა, ძველ ქართულ სალიტერატურო წყაროებში შოთას წინააღმდეგ პირდაპირ წამოყენებულია ბრალდება მისი ქრისტიანული მოძღვრებიდან გადახრის შესახებ (ინგოროყვა 1963: 127-128), რაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, სავსებით იქნა უგულებელყოფილი მკვლევარების მიერ.

პოემის ჩვენამდე მოღწეული ძველი ხელნაწერები მხოლოდ ერთი რედაქციისაა და მხოლოდ ერთი გადამუშავებიდან მომდინარეობს. მიჩნეულია, რომ იგი რუსთველისეული ორიგინალიდან უმთავრესად მხოლოდ დასასრული ნაწილით, ე.წ. დანართებით უნდა განსხვავდებოდეს, რომელთა შექმნა, სპარსული ლიტერატურული ტრადიციის მსგავსად, პოემის პოპულარობის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობითი პოზიციის სასულიერო წოდებასთან შერიგებას ცდილობს პირველ ბეჭდურ გამოცემაზე დართული ქართლის გამგებლის ვახტანგ VI განმარტება, რომელიც საფუძველს უდებს პოემის ალეგორიურ-მისტიკურ ინტერპრეტირებას. XIX საუკუნეში პოპულარული იყო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის საქართველოს ისტორიული სინამდვილის ალეგორიულად განმარტება, XX საუკუნის საბჭოთა იდეოლოგიამ კი პოემაში ანტირელიგიური პასაჟებისა და მატერიალისტური მინიშნებების ძიება დაიწყო. ამავე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გახშირდა პოემის ალეგორიულ-რელიგიური ინტერპრეტაცია, როგორც რეაქცია საბჭოურ გააზრებაზე (ხინთიბიძე 2017:64-65), დღესდღეობით კი, ხელოვნების ნიმუშების და თვით ობიექტური რეალობის აღქმის კანონზომიერების შესაბამისად, რუსთველის ქმნილების, „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყაროც ყოველი მკითხველის, შემსწავლელის ცნობიერებაში ამ უკანასკნელის სუბიექტურ პოზიციას, ხედვას, ასოციაციებს მოიცავს, საკუთრივ პოემის რეალობასთან, ანუ ავტორისეულ ჩანაფიქრთან ერთად. „ვეფხისტყაოსანში“ შუასაუკუნეობრივს რენესანსული აზროვნება ერწყმის, ქრისტიანულ და ზოგადად

რელიგიურ მსოფლხედვას - ანტიკური ბერძნული ფილოსოფია, მითოსურ და ტრანსცენდენტურ მსოფლადქმას - ანალიტიკური აზროვნება, რაც მკითხველის, სუბიექტის ასოციაციებს უსასრულოდ დიდ სააზროვნო სივრცეს სთავაზობს. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ პოემის ყველა მკითხველს და თვით ყველა მკვლევარს, თავისი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს. ლიტერატურის და ზეპირსიტყვიერების ეს უზარმაზარი მითოსური, საგმირო და რომანული ნარატივი, მრავალგვარ რემინისცენციებს იწვევს, რაც დიდი მხატვრული ქმნილების სპეციფიკაა, ამიტომაც აქვს ყველას თავისი „ვეფხისტყაოსანი“, თუმცა რუსთველოლოგია იკვლევს და იძიებს იმ სათქმელს, რასაც თავად ავტორი დებდა თავის ქმნილებაში (ხინთიბიძე 2017:32-33).

თავი II. „ვეფხისტყაოსანი“ უცხო ენებზე

„ვეფხისტყაოსანი“ მისი თანამედროვე და მომდევნო, თუ წინამორბედი დიდი ლიტერატურული ქმნილებებიდან ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ყველაზე მეტი გააზრებით და თანმიმდევრობით გამოკვეთს მისივე ეპოქის ახალ მსოფლშეგრძნებას. იმავე მსოფლხედვის ლიტერატურული აზროვნება ჩანს გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპაშიც (ტრუბადურები, დანტე, პეტრარკა), სადაც სოციალური მსოფლშეგრძნების და ლიტერატურული აზრის ეს პროცესი რენესანსამდე მივიდა და თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი საფუძველი აღმოჩნდა, მაშინ როდესაც საქართველოში, ქვეყნის პოლიტიკურმა კატასტროფამ აზროვნების ეს სვლა შეაჩერა და რუსთველის სიტყვა ვერ აღმოჩნდა ევროპული ცივილიზაციის იმ პროცესის ორგანული მონაწილე, რომლის გენეზისის ერთ-ერთ უპირველს წევრს წარმოადგენდა. და ეს იყო საუკუნეზე უფრო მეტი ხნით ადრე, ვიდრე დიდი იტალიელები ამ საოცნებო იდეალებს უშუალოდ მიიტანდნენ რენესანსის ეპოქის კარიბჭემდე. ნუთუ მართლაც ასეთი მძიმე იყო განგების განაჩენი, რომ ეპოსის ეს ახალი სიტყვა ქართულ ენაში ჩამარხულიყო, რომ მისთვის ევროპულ ინტელექტუალთა თვალს არ დაეხედა?!

რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი, მისი სათაური და ავტორის სახელი ევროპულ ენებზე პირველად რუსულად, XIX საუკუნის დასაწყისში გამოცემულ ერთ წიგნში გამოჩნდა (ევგენი ბოლხოვიტინოვი, ისტორიული აღწერა საქართველოსი..., სანკტ-პეტერბურგი, 1802 წ.). მეორეს მხრივ, არის საინტერესო, მაგრამ დაუმტკიცებელი და ამდენად ჯერჯერობით საეჭვო ცნობა, რომ რუსთველის ერთი ლექსი სხვა ქართველ პოეტთა უცნობ ლექსებთან ერთად თვით შუა საუკუნეებშივე უნდა ყოფილიყო თარგმნილი არაბულად (ხინთიბიძე 2017:5). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცნობები რუსთველის პოეტურ შემოქმედებაზე XIII-XIV საუკუნეებში იქნებოდა გასული საქართველოს საზღვრებს გარეთ, უპირატესად აღმოსავლეთში. ამას გვაფიქრებინებს ჩვენამდე მოღწეული რუსთველის უცნობი ლექსის არაბულიდან შესრულებული თარგმანი. მაგრამ ამ ლექსის არაბული ვერსიის მიგნება დღემდე არ ხერხდება, ამდენად ამ ცნობის ჭეშმარიტება, რუსთველოლოგიაში ვარაუდის სტატუსს ინარჩუნებს (ხინთიბიძე 2017:64-65).

1942 წელს, მარსელში, ფრანც ტუსენის მიერ გამოიცა წიგნი სათაურით „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები“ (Toussaint F., *Chants d'Amour et de Geurre*

de'Islam, Marseille 1942), რომელშიც შეტანილია არაბული ენიდან ფრანგულად თარგმნილი ოთხი ქართველი ავტორის ლექსები: თავადი ზუმელის „ვარდი“, შავთელის „დაბრკოლება“, რუსთველის „ვეფხის ტყავი“ (ნაწყვეტი), ანონიმის „ღამე“. ფ. ტუსენის ზეპირი განცხადებით, რომელიც მან უფრო მოგვიანებით მიაწოდა ამ ფაქტით დაინტერესებულ ქართველ მეცნიერებს, მას ეს ნაწარმოები ამოუღია აბულ-ფარაჯის ლექსთა არაბული კრებულიდან, რომელიც კაიროს უნივერსიტეტის წიგნთსაცავში უნახავს. არც ერთი ზემოთ მითითებული ლექსი ქართული წყაროებით ჩვენამდე მოღწეული არ არის. „ვეფხის ტყავის“ ტექსტს, გარდა სათაურისა, არავითარი კავშირი არ აქვს „ვეფხისტყაოსანთან“, მაგრამ ამ კრებულში შეტანილ ქართველ ავტორთა სახელების თავისებური (ქართული ტრადიციიდან განსხვავებული) დაწერილობა ზოგიერთ ქართველ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ მათ მართლაც არაბულ წყაროებში მიაგნო ფრანგმა ავტორმა.

პოემის სათაური „ვეფხისტყაოსანი“ „ვეფხის ტყავად“ (პანტერის ტყავი, ჯიქის ტყავი) ითარგმნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა მიერ XIX საუკუნეშიც (მარი ბროსე, ნიკო მარი, კონსტანტინე ბალმონტი). ზემოთ დასახელებული აბულ-ფარაჯი (Abul'Farg), პროფ. ე. ხინთიბიძის აზრით, დაახლოებით 1225 წელს იყო დაბადებული და ეპისკოპოსად მსახურობდა სომხეთში, ცხოვრობდა აზერბაიჯანშიც. იგი ძალზე პროდუქტიული მთარგმნელი და კომპილატორი იყო. კარგად იცნობდა საქართველოს. მის ნაწერებში ცნობებია იბერიელებზე, მათ ქრისტიანობაზე მოქცევაზე, მონღოლებისა და იბერიელების ურთიერთობაზე. სხვა რამე დამადასტურებელი მინიშნება კი ამ წიგნის არსებობაზე, რომელზედაც ფ. ტუსენმა თავისი ზეპირი განცხადებით მიუთითა, ჯერჯერობით არ ჩანს. მაგრამ არც ფ. ტუსენის ყალბისმქმნელობის დამადასტურებელი არგუმენტები მოეპოვებათ ქართველ მეცნიერებს (ხინთიბიძე 2017:6-7).

„ვეფხისტყაოსნის“ გასვლა საქართველოს საზღვრებს გარეთ XIX საუკუნიდან იწყება, რაც ერთგვარად ქართული საზოგადოების მიერ საკუთარი კულტურის და ეროვნული მეობის ყველაზე დიდი ფენომენის ევროპულ სივრცეში გატანის ძალისხმევითაა განპირობებული. 1712 წლიდან მოყოლებული XX საუკუნის 80-იან წლებამდე, „ვეფხისტყაოსანი“ სტამბურად 215-ჯერ გამოიცა, მათ შორის, ქართულ ენაზე - 61-ჯერ, რუსულზე 41-ჯერ (სრული თარგმანი - 25-ჯერ, არასრული და მოთხრობად გადაკეთებული - 16-ჯერ), ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე (რუსულის

გამოკლებით) – 51-ჯერ, უცხო ენებზე - 62-ჯერ, აქედან გერმანულად - 10-ჯერ, ფრანგულად 7-ჯერ, ჩინურად - 6-ჯერ, ინგლისურად - 14-ჯერ, უნგრულად - 3-ჯერ, იტალიურად - 2 ჯერ, პოლონურად 8-ჯერ, იაპონურად 3-ჯერ, ჩეხურად და ესპანურად და სხვა ენებზე თითოჯერ (ჩაჩანიძე 1980:19).

ევროპაში გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანებია: პოლონური (კაზიმირ ლაპჩინსკისა, 1863 წ. ვარშავა), გერმანული (არტურ ლაისტისა, 1889 წ. დრეზდენი, ლაიპციგი), ინგლისური (მარჯორი უორდროპისა, 1912 წ., ლონდონი) და სხვ. დღესდღეობით, რუსთველის პოემა თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ზოგიერთ მათგანზე რამდენჯერმე (ხინთიბიძე 2017:6-7), თუმცა ჩვენი კვლევის საგანს პოემის მხოლოდ ინგლისურ და რუსულ ენებზე შესრულებული სრული თარგმანები წარმოადგენს, რასაც დეტალურად ქვემოთ შევხებით, სხვადასხვა ენებზე (მათ შორის, ჩვენი კვლევის ფარგლებში შერჩეული მთარგმნელების მიერ) შესრულებულ თარგმანებთან დაკავშირებულ ინფორმაციას კი, შემაჯამებელი სახით წარმოვადგენთ:

შემაჯამებელი მონაცემები „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების შესახებ, ქრონოლოგიის მიხედვით

№	წელი	თარგმანის ენა	ინფორმაცია მთარგმნელისა და თარგმნილი პოემის შესახებ
1.	1802	რუსული	ევგენი ბოლხოვიტინოვმა თარგმნა პოემის პროლოგის პირველი სტროფი, ასევე ცნობები რუსთველსა და მის პოემაზე (ჩაჩანიძე 1980:16)
2.	1828	ფრანგული	მარი ფელისიტე-ქსავიე ბროსემ თარგმნა პოემის ფრაგმენტები, მოგვიანებით კი პოემა სრულად (თარმანი სამწუხაროდ არ გამოცემულა, ინახება მთარგმნელის პირად არქივში) (ჩაჩანიძე 1980:16)
3.	1833	პოლონური	ალექსანდრე ხოძკომ თარგმნა პოემა სრულად (ჩაჩანიძე 1980:98)
4.	1845	რუსული	პოემის არასრული თარგმანი შეასრულა იპოლიტე ბარტდინსკიმ (ჩაჩანიძე 1980:16)
5.	1863	პოლონური	პოემა სრულად თარგმნა კაზიმირ ლაპჩინსკიმ , რომელიც 1847 წლიდან ცხოვრობდა თბილისში და

მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მწერალთან, ქართული თეატრის ფუძემდებელ გიორგი ერისთავთან. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეში მას დიდი დახმარება აღმოუჩინა გიორგი ერისთავმა (ჩაჩანიძე 1980:17).

6. 1884 ფრანგული ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ **იონა მეუნარგიამ** პოემა თარგმნა სრულად, რათა პოემის შინაარსს გაცნობოდა მხატვარი მიხაი ზიჩი, რომელიც ამზადებდა ილუსტრაციებს 1888 წლის (გ. ქართველიშვილის) გამოცემისთვის. ი. მეუნარგიას თარგმანის ხელნაწერი პეტერბურგში გადაეგზავნა ზიჩის. სამწუხაროდ, ხელნაწერი დაკარგულად ითვლება. იონა მეუნარგიამ 1888 წ. გამოსცა მის მიერ მოთხრობად გადაკეთებული (32 გვ.) თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა თბილისში. 1890 წელს გამოვიდა მეორე გამოცემა ამ წიგნისა (ჩაჩანიძე 1980:117).
7. 1885 ფრანგული პოემის პროზაული თარგმანი სრულად, შეასრულა **აჰხა ბორენმა** (გრაფ ა. ბობრინსკი) (ჩაჩანიძე 1980:62)
8. 1889 გერმანული პოემა სრულად, გერმანულ ენაზე თარგმნა **არტურ ლაისტმა**, რომლის თარგმანის მეორე გამოცემა 1983 წელს გამოიცა, ლაიფციგში. არტურ ლაისტი პირველად, ილია ჭავჭავაძის მოწვევით, 1884 წელს ჩამოვიდა საქართველოში. ერთი წლის შემდეგ გერმანიაში დაიბეჭდა მოგონებები და ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მიმოხილვა. მოგვიანებით გამოიცა მის მიერ გერმანულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის უშუალო დახმარებით

იქნა შესრულებული (გაფრინდაშვილი...1987:74).

9. XIX ს. გერმანული XIX საუკუნის 80-იან წლებში, პოემის ძირითადი ნაწილის თარგმნა გერმანულ ენაზე, შეასრულეს **ბერტა ფონ ზუტნერმა** და მისმა მეუღლემ - **არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერმა**. ცნობილმა ავსტრიელმა საზოგადო მოღვაწემ და ლიტერატორმა ქალმა და მისმა მეუღლემ, იონა მეუნარგიას დახმარებით, თარგმნეს პოემის დიდი ნაწილი. სამწუხაროდ, თარგმანი დაკარგულად ითვლება. ის უნდა მოიძებნოს საზღვარგარეთ - ავსტრიაში, ზუტნერების საარქივო ფონდებში (ჩაჩანიძე 1980:73).
10. 1912 ინგლისური პოემა სრულად თარგმნა **მარჯორი უორდროპმა**. რუსთველის პოემის გარდა, მ. უორდროპმა ინგლისურ ენაზე ააჟღერა ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და „მგზავრის წერილები“, ასევე „წმინდა ნინოს ცხოვრება“ (გაფრინდაშვილი... 1987:73)
11. 1917 რუსული კ. **ბალმონტმა** თავდაპირველად პოემის არასრული თარგმანი შეასრულა, რომელიც 1917 წელს გამოვიდა მოსკოვში, შემდგომში - 1933 წელს ბალმონტის თარგმანი პარიზში გამოსცა დ. ხელამემ (ილუსტრირებულია მიხაი ზიჩის ნახატებით). იგი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო რუსულ გამოცემად (ჩაჩანიძე 1980:118).
12. 1937 რუსული **ნიკოლაი ზაბოლოცკიმ** პირველად პოემის სრული თარგმანი გამოსცა მხატვარ ს. ქობულაძის ილუსტრაციებით. ზაბოლოცკის თარგმანი გამოცემულია დაახლოებით სამეტჯერ (ჩაჩანიძე 1980:122).
13. 1937 რუსული პოემა სრულად თარგმნა **გიორგი ცაგარელმა**.

თარგმანის რედაქტირებაში მონაწილეობდა კ. ანტოკოლსკი, წინასიტყვაობა დაწერა ა. სვანიძემ, ილუსტრაციების ავტორია თ. აბაკელია. 1953 წელს იგივე გამომცემლობამ განახორციელა ამ თარგმანის მეორე გამოცემა მხატვარ ირ. თოიძის ილუსტრაციებით (ჩაჩანიძე 1980:120)

14. 1937-1938 რუსული პოემა სრულად თარგმნა **პანტელიმონ პეტრენკომ**. პეტრენკოს სრული თარგმანი პირველად გამოიცა კ. ჭიჭინაძის რედაქციითა და ს. ქობულაძის ილუსტრაციებით. წიგნი შემკობილია მხატვარ ლ. გუდიაშვილის ილუსტრაციებით (ჩაჩანიძე 1980:125).

15. 1940 რუსული პოემა სრულად თარგმნა **შალვა ნუცუბიძემ**. გამოჩენილი მეცნიერი პროფ. შალვა ნუცუბიძე ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა პოემის თარგმანზე, რომელიც დაასრულა 1940 წელს. თარგმანს ლიტერატურული რედაქცია გაუკეთა პოეტმა ს. გოროდეცკიმ. ამავე წელს გამოიცა მისი თარგმანი სერგო ქავთარაძის წინასიტყვაობითა და მხატვრების: მ. ზიჩის, ს. ქობულაძისა და ირ. თოიძის ილუსტრაციებით (ჩაჩანიძე 1980:127).

16. 1940 რუსული პოემის ერთი სტროფის (#1414) თარგმანი (თარგმანში სტროფი #1416) შეასრულა **იოსებ სტალინმა**, რომლის მიერ თარგმნილი სტროფი შესულია შალვა ნუცუბიძისეულ თარგმანში (ჩაჩანიძე 1980:130).

საილუსტრაციოდ წარმოდგენილი გვაქვს აღნიშნული სტროფი დედანში და თარგმანში:

ანაზადად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.

რა ნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი.

სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,

იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი

(რუსთაველი 1957:294)

თარგმანში:

Вдруг коней вперед рванули, засвистели плети мигом,

Кони врезались, весь город огласился воем, визгом.

С трех сторон втроем ворвались, понеслись буйно, с гиком,

Гром атаки, бой литавров вмиг смешались с воплем, криком.

(რუხაველი 1957:314)

17. 1914 იტალიური პოემა არასრულად თარგმნა **რაფიელ ალექსანდრეს ძე ინგილო-ივანიცკიმ**, რომლის თარგმანიც გამოიცა რომში (ჩაჩანიძე 1980:90).
18. 1943 ჩინური პოემა სრულად ჩინურ ენაზე თარგმნა **ემიო სიაომ**. ამავე წელს პეკინში გამოიცა ლუციუს მიერ მარჯორი უორდროპისეული თარგმანიდან შესრულებული ჩინური თარგმანიც (ჩაჩანიძე 1980:92).
19. 1941-1945 გერმანული პოემა სრულად, გერმანულ ენაზე თარგმნა **მარია პრიტვიცმა**, რომლის თარგმანსაც ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ მკვლევარები (ჩაჩანიძე 1980:77).
20. 1945 იტალიური პოემის პროზაული თარგმანი პროფ. **შალვა ბერიძის** შესრულებით, 1945 წელს გამოქვეყნდა მილანში (ჩაჩანიძე 1980:91).
21. 1947 გერმანული პოემის არასრული თარგმანი, შესრულებული **მარტინ რემანეს** მიერ, ჯერ გამოქვეყნდა გერმანულ პერიოდულ პრესაში 1947 წელს, ხოლო შემდეგ, 1953 წელს ჟურნალში „Neue Gesellschaft“ (ჩაჩანიძე 1980:91).
22. 1955 იაპონური პოემა სრულად, იაპონურ ენაზე თარგმნა **იპეი ფუკურომ** რომელმაც თავდაპირველად, ტოკიოში გამოსცა რუსული ტექსტიდან შესრულებული თარგმანი. 1961 წელს თარგმანი გამოვიდა მეორედ. 1972 წელს ტოკიოში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოვიდა პოემის სრული თარგმანი (ჩაჩანიძე 1980:96).

23. 1955 გერმანული პოემის თარგმანი სრულად შეასრულა **ჰუგო ჯუპერტმა**, რომლის თარგმანი პირველად ბერლინში გამოიცა, მეორედ ისევ ბერლინში გამოვიდა, ამჯერად 1970 წელს (ჩაჩანიძე 1980:75). საინტერესოა, რომ გერმანულ ენაზე მთარგმნელმა, ავსტრიელმა პოეტმა, ჰუგო ჯუპერტმა, ქართული არ იცოდა, იცოდა რუსული და თარგმანის თარგმანი რომ არ გამოსულიყო, შალვა ნუცუბიძე მას პროზაულ ტექსტს რამდენიმე ვარიანტში აწვდიდა, პირდაპირ ქართული ტექსტიდან გერმანულ ენაზე (ნუცუბიძე 1982:171-172).
24. 1964 ფრანგული პოემის თარგმანი სრულად შეასრულა **სერგი წულაძემ**. მისი თარგმანი პარიზში დაიბეჭდა პროფ. შ. ნუცუბიძის კონსულტაციით. შალვა ნუცუბიძე სერგი წულაძეს აწვდიდა ყოველ სტროფზე შვიდ-რვა ვარიანტს ფრანგული თარგმანისას და ს. წულაძე მას ბრწყინვალე ფრანგულით, პოეტური რითმით აშალაშინებდა. საინტერესოა, რომ შ. ნუცუბიძეს ტექსტოლოგობის პრეტენზია არ ჰქონია. მას, როგორც რუსთველის მთარგმნელსა და მკვლევარს, ტექსტის სწორი გაგება ევალებოდა. პოეტური ტექსტის დასადგენად კი პოეზია უფრო ანგარიშგასაწევად მიაჩნდა, რადგან პოეტის მსოფლგაგება ჩაკინძული იყო პოეტურ თქმაში (ნუცუბიძე 1982:191-192).
25. 1966 რუსული პოემა სრულად, რუსულ ენაზე თარგმნა **სოლომონ იორდანიშვილმა**. მან შეასრულა პოემის სიტყვა-სიტყვით თარგმანი - პწკარედი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ქართული ენის არმცოდნე მთარგმნელებისთვის (ჩაჩანიძე 1980:104).
26. 1968 ინგლისური 1968 წელს თბილისში გამოიცა **ვენერა ურუშაძისეული** თარგმანი. მეორედ იგი პატარა ფორმატის წიგნად

გამოვიდა 1971 წელს (ჩაჩანიძე 1980:85).

27. 1970-1971 გერმანული პოემის ფრაგმენტების თარგმნა გერმანულ ენაზე შეასრულა **ჰერმან ბუდენზიგმა**. მის თარგმანს საფუძვლად დაედო მიხეილ წერეთლის პროზაული თარგმანი. თარგმანის ნაწყვეტები 1970-1971 წლებში გამოქვეყნდა, ხოლო 1970 წელს გამოიცა ჟურნალში „Sinn und Form“. 1976 წელს ეს თარგმანი გამოიცა თბილისშიც (ჩაჩანიძე 1980:78).
28. 1975 ფრანგული პოემის შესავალის თარგმნა ფრანგულ ენაზე, შეასრულა **გასტონ ბუაჩიძემ**. მის თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალის საზომი და მდიდარი რუსთველური რითმი (ჩაჩანიძე 1980:70)
29. 1975 გერმანული პოემა სრულად (პროზაულად) თარგმნა პროფ. **მიხეილ წერეთელმა**, რომლის თარგმანი ბერლინში გამოიცა (ჩაჩანიძე 1980:81)
30. 1977 ფრანგული პოემა სრულად თარგმნა **ელისაბედ ორბელიანმა**, რომლის მიერ შესრულებული თარგმანი გამოიცა ს. იორდანიშვილის თანაავტორობით (ჩაჩანიძე 1980:63).
31. 1977 ინგლისური ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა **რობერტ სტივენსონმა** შეასრულა პოემის პროზაული თარგმანი, რომელიც 1977 წელს გამოიცა ნიუ-იორკში (ჩაჩანიძე 1980:86).
32. 1977 ინგლისური 1977 წელს ლონდონში გამომცემლობა „ფილიო სოსაიტმა“ (Folio Society) გამოცა **ქეთრინ ვივიანისეული** პროზაული თარგმანი (ჩაჩანიძე 1980:47).
33. 2015 ინგლისური ლინ კოფინის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ 2015 წელს გამოიცა, თბილისში (Coffin 2015).

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები ასევე შესრულებულია ისეთ ენებზე, როგორებიცაა: ჩეხური, მონღოლური, ლათინური (ერთი სტროფი თარგმნილია პროფ. პანტელეიმონ ბერაძის მიერ (ჩაჩანიძე 1980:108)), ბულგარული, ასევე ინდოეთის ხალხთა ენები,

სლოვენური, სომხური, უკრაინული, აზერბაიჯანული, ბელორუსული, ძველ-ებრაული, აფხაზური, ყირგიზული, ყაზახური, უზბეკური, ოსური, თურქმენული, მოლდავეური, ლიტვეური, იაკუტური, ჩუვაშური, ჩეჩნური, ყაბარდო-ბალყარული, ტაჯიკური, თათრული, ბაშკირული, ესპერანტო და სლოვაკური (ჩაჩანიძე 1980).

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ნებისმიერ ენაზე რასაკვირველია უდიდეს შრომასთან და სირთულეებთან იყო, არის და იქნება დაკავშირებული, რადგან პოემის თითოეული სტროფის, თუ პასაჟის თარგმნამდე, აუცილებელია საკვლევი ფრაზის თუ ცალკეული ტერმინის მნიშვნელობის მართებული ამოცნობა, რაც მოითხოვს პოემისეული სიტყვის (თუ სიტყვების) მნიშვნელობის გადამოწმებას, როგორც პოემის კონტექსტში, ასევე ზოგადად, ძველ და ახალ ქართულში, შემდგომში კი, ამ პრინციპით წაკითხული ფრაზის პოემის საკვლევ კონტექსტში გააზრებას, ასევე დაკვირვებას მიღებული დასკვნის შესაბამისობაზე პოემის იდეურ-მსოფლმხედველობრივ პოზიციასთან და საზოგადოდ, შუასაუკუნეებიდან რენესანსულზე გარდამავალი ეპოქის რელიგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზრის პროცესთან (ხინთიბიძე 2017:34). მხოლოდ ასეთი კვლევის და შესწავლის საფუძველზე შესრულებული თარგმანი პოემისა იქნება ადეკვატური და შეძლებისდაგვარად სრულფასოვანი, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტის, მათ შორის, ტექსტის ოთხი სახის შინაარსობრივი ინფორმაციის გათვალისწინებით. ესენია: 1. ლექსის ზედაპირული შინაარსობრივი ქარგა, ანუ შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია (ი.რ. გალპერინის ტერმინოლოგიის თანახმად); 2. კონცეპტი, ანუ შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია (ისევ ი.რ. გალპერინის ტერმინით), 3. ქვე-ტექსტი, ანუ რასაც გალპერინი შინაარსობრივ ქვე-ტექსტურ ინფორმაციას უწოდებს და 4. ხატი, როგორც ტექსტობრივი კატეგორია - შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაცია (პროფ. ი. მერაბიშვილის ტერმინით) (მერაბიშვილი 2005:196).

თარგმანთან მიმართებაში ასევე საყურადღებოა, რომ მხატვრული და განსაკუთრებით პოეტური ნაწარმოების მეტნაკლებად სრული და სწორი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ იმ ფართო და ღრმა ცოდნის მეშვეობით, რომელსაც მკითხველის თეზაურუსი ჰქვია. ეს უკანასკნელი გულისხმობს არა მხოლოდ მკითხველის ზოგად ინტელექტუალურ მარაგსა და ესთეტიკურ-შემეცნებით გამოცდილებას, არამედ კონკრეტულ ცოდნასაც მწერლისა და ნაწარმოების შესახებ. ეს

ცოდნა აუცილებელია არა მარტო იმ ენის მატარებელი საზოგადოებისათვის, რომელზედაც პოეტური ქმნილება შეიქმნა, არამედ, იმ მკითხველისთვისაც, რომელიც ნაწარმოებს თარგმანში ეცნობა, რადგან ასეთი ცოდნის გარეშე შეუძლებელია პოეტური თარგმანი (მერაბიშვილი 2005:50).

მოცემული კვლევის ფარგლებში, „ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო სტროფების, თუ სხვადასხვა პასაჟების თარგმანების კვლევამდე, პოემის სათაურის ანალიზს წარმოვადგენთ, ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვანი მასალის საფუძველზე.

თავი III. პოემის სათაური თარგმანში

§ 3.1. პოემის სათაური

შოთა რუსთველის პოემის სათაურს მკითხველი თავიდანვე მხატვრულ სამყაროში შეჰყავს. „ვეფხისტყაოსანი“ თავისთავად მხატვრული სახეა, რომელიც შეყვარებულ წყვილზე მიუთითებს (სირაძე 1982:187-189). „ვეფხისტყაოსანი“ მოყმე ნესტანზე შეყვარებული ტარიელია, ვეფხი კი ნესტანის სიმბოლურ სახეს წარმოადგენს, ტარიელმა ხომ განრისხებული ნესტანი ვეფხს ამსგავსა: „რომე ვეფხი შვენერი სახედ მისად დამისახავს, ამაღ მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს...“ (სტროფი #662, რუსთაველი 1992:214) და ვეფხის ტყავით შეიმოსა ნესტანის დაკარგვის შემდეგ (შეყვარებული წყვილის ერთ სახელში მოაზრებას ანალოგი XII საუკუნის აღმოსავლურ პოეზიაშიც მოეპოვება (ქურდიანი 1998:19-20)).

პოემის სათაურთან მიმართებაში, საყურადღებოა საკითხი იმის თაობაზეც, თუ რომელი ცხოველი იგულისხმება რუსთველისეულ ვეფხში და რა სიმბოლურ დატვირთვას ატარებს ის. თუ თანამედროვე ქართულში სიტყვა *ვეფხვი* ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს კატისებრთა ჯიშის გარეულ მტაცებელზე - ვეფხვი (tiger, тигр), ძველ ქართულში სიტყვა ვეფხი უფრო ფართო მნიშვნელობისა იყო და როგორც ბერძნულიდან, ასევე სპარსულიდან თარგმნილ ტექსტებში უპირატესად ლეოპარდს ანუ პანტერას შეესატყვისებოდა. ანალოგიურად აღიქვამდნენ რუსთველის პოემის ვეფხვს ძველ საქართველოშიც, რაზედაც ნათლად მეტყველებენ პოემის XVII და XVIII საუკუნეების ხელნაწერებში არსებული მინიატურები. ასე რომ, რუსთველის პოემის ვეფხისტყაოსანი ჭაბუკი, პანტერის ტყავით შემოსილ მოყმეს წარმოადგენს (ხინთიბიძე 2017:35).

რაც შეეხება ვეფხის სიმბოლურ მნიშვნელობას, საინტერესოა, რომ ვეფხის დაწინწკლული ტყავით, რომელსაც მრავალი ლაქა აქვს, სიმბოლიზებულია მრავლობითობის (მრავალი წინწკალი, მრავალი ზოლი), წარმავლობის სფერო და ამსოფლიური ყოფა (გამსახურდია 1991:49). ვეფხს, როგორც სიმბოლოს, აქვს მეორე მხარეც. ბასილი დიდის „ფიზიოლოგოსში“, რომელიც ცხადია ანტიკური მისტერიების ტრადიციებსაც ითვალისწინებს, ვეფხი (პანტერა) სიმბოლოა ქრისტესი, ხოლო ტყავი მშვენებით ედრება იოსების სამოსს. ამდენად, „ვეფხის ტყავით მოსილის“ გაგება

ფუნქციურად ემთხვევა ჰაგიოგრაფიული „ქრისტეშემოსილის“ გაგებას. იოსები მზიური სახეა ძველი აღთქმისა, იგი სოლარულ მითთან არის დაკავშირებული და არის მესიის წინა-სახე ძველ აღთქმაში (გამსახურდია 1991:200). მითოლოგიაშიც ზეციურ პირველკაცს ვარსკვლავიანი ცა მოსავს, როგორც ვეფხის ტყავი (დაწინწკლული), რაც არის განსახიერება სამყაროსი, უძრავ ვარსკვლავთა ცისა, ფირმამენტუმისა. ამიტომ არის ვეფხის ტყავი სიმბოლო ინიციაციისა, საზეო განათლებისა, ქვენა სამყაროზე, ქვენა ვნებებზე გამარჯვებისა, სულიერი ძალმოსილებისა და სიბრძნისა. ამის გამო ანტიკური მითოლოგიის ღმერთები, გმირები და მისტერიათა ქურუმები ატარებენ მას. ვეფხის ტყავი მოსავს ღმერთ დიონისეს, ინდურ ღმერთს, შივას, შაკ-ნამეს პირველკაცსა და პირველმეფეს, ქეიუმარსს, როსტომს, ბერძნულ სამყაროში პარისსა და იაზონს, ძველ ეგვიპტეში ჰერმეს - ტოტის ქურუმებს (გამსახურდია 1991: 341). შესაბამისად, უდავოა ვეფხის, როგორც ცხოველის, განსაკუთრებული სიმბოლური როლი და მნიშვნელობა პოემაში, თუმცა აღნიშნული, სიღრმისეული წიაღსვლები რასაკვირველია, ვერ აისახება პოემის სათაურის თარგმანში.

§ 3.2. პოემის სათაური ინგლისურ თარგმანებში

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც სათაური, კიდევ ერთ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს პოემის უცხო ენაზე მთარგმნელებისთვის. საქმე ის გახლავთ, რომ ქართული სუფიქსი -ოსანი, ქონების აღმნიშვნელია და პიროვნების მიერ რაღაც მახასიათებლის ქონებაზე მიუთითებს: მანდილ-ოსანი, ცხენ-ოსანი, ჩოხ-ოსანი. შესაბამისად, სიტყვა „ვეფხისტყაოსანიც“, უხეშად თუ განვმარტავთ, ვიღაცას, ვეფხის ტყავში შემოსილს, ანუ ვეფხის ტყავის მატარებელს უნდა აღნიშნავდეს უცხო ენაზე, მაგალითად ინგლისურად - „one who wears a panther’s skin“ ან “wearer of a panther’s skin”. რუსთველის პოემის სათაურად ამგვარი კალკირებული თარგმანი მხატვრულ ღირებულებას მოკლებული იქნებოდა, ამიტომაც მთარგმნელები ამჯობინებენ იმ პერსონაზე მიუთითონ, რომელიც ვეფხის ტყავს ატარებს (ხინთიბიძე 2017:35-36).

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში საინტერესოა თუ როგორ თარგმნიან ჩვენ მიერ შერჩეული მთარგმნელები (რომელთაც უფრო ვრცლად და სიღრმისეულად ქვემოთ შევხებით), პოემის სათაურს:

მარჯორი უორდროპი	The Man in the Panther's Skin
ვენერა ურუშაძე	The Knight in the Panther's Skin
რობერტ სტივენსონი	The Lord of the Panther-skin
ქეთრინ ვივიანი	The Knight in Panther Skin
ლინ კოფინი	The Knight in the Panther Skin

პროფ. ე. ხინთიბიძის განმარტებით, ინგლისურენოვანი სათაურებიდან The Knight (ვ. ურუშაძე, ქ. ვივიანი, ლ. კოფინი) და The Lord (რ. სტივენსონი), ზედმეტად აზუსტებენ რუსთველის პოემის სათაურში მოაზრებული უცხო პერსონის ვინაობას და ამიტომაც, The Man თავისი შედარებითი ნეიტრალურობით, უმჯობესია თარგმანში.

ე. ხინთიბიძე ასევე გვთავაზობს პოემის სათაურის ინგლისურად ამეტყველების ორ ვერსიას. მისი აზრით, პოემის სათაური „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად უმჯობესი იქნებოდა ამგვარად გადასულიყო: The Man in a Panther-Skin (მ. უორდროპის მსგავსად), ან ქართულ ერთსიტყვიან სათაურთან („ვეფხისტყაოსანი“) და შუასაუკუნეების ინგლისურთან მეტი სიახლოვის მიზნით: The Panther-Skin-Clad Man (ხინთიბიძე 2017:36). თავად პროფ. ხინთიბიძე, აღნიშნული ორი ვარიანტიდან პირველს (The Man in a Panther-Skin) ანიჭებს უპირატესობას, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ პირველი ვარიანტი ასახავს იმ სისადავესა და ამავე დროს იმ შინაარსობრივ დატვირთვას, რასაც პოემის სათაური ატარებს და რაც თავდაპირველად „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე პირველი მთარგმნელის, მარჯორი უორდროპის მიერ იქნა შემუშავებული, რომლისგანაც უმნიშვნელოდ განსხვავდება ე. ხინთიბიძის ვერსია. სხვაობა მ. უორდროპისეულ და ე. ხინთიბიძის თარგმანებში აღინიშნება მხოლოდ გამოყენებული არტიკლის სახეობაში. მ. უორდროპი იყენებს განსაზღვრულ არტიკლს The - სიტყვა panther-ის წინ, ნაცვლად ე. ხინთიბიძის მიერ შემოთავაზებული განუსაზღვრელი არტიკლისა (A), რაც რასაკვირველია არ ცვლის სათაურის არსსა თუ შინაარსს, თუმცა უპირატესობა მაინც მ. უორდროპის ვერსიას უნდა მივანიჭოთ, რადგან განსაზღვრული არტიკლის გამოყენებით, მთარგმნელი კონკრეტულ „ვეფხისტყაოსანს“ (ტარიელს) გულისხმობს და მოიაზრებს სათაურში და არა „ვეფხისტყაოსანს“ - ზოგადად, როგორც ეს განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენების შემთხვევაში იქნებოდა ნაგულისხმევი.

პოემის სათაურის მ. უორდოპისეული მიგნება ინგლისურ ენაზე, სამწუხაროდ არ გაიზიარა პოემის არცერთმა მომდევნო მთარგმნელმა და დაეყრდნო არა მ. უორდოპის, არამედ სათაურის ვ. ურუშაძის მიერ შემოთავაზებულ ინგლისურ ვერსიას: *The Knight in the Panther's Skin*. გამონაკლისს წარმოადგენს რობერტ სტივენსონი, რომელმაც პოემის სათაურის ყველა სხვა მთარგმნელისაგან განსხვავებული ვერსია შემოგვთავაზა: „*The Lord of the Panther-skin*“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ვეფხის ტყავის დიდებული“, რასაც უფრო ვრცლად ქვემოთ განვიხილავთ.

აღნიშნულ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესოა ასევე საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია როგორც *Knight*-ის (რაინდი), ასევე სიტყვა *Lord*-ის (ლორდი, დიდებული) გამოყენება სათაურის თარგმნისას, ე.ი. რამდენად მართებულია ტარიელს ეწოდოს *Lord* ან *Knight* (გამსახურდია 1984:153) , როგორც სათაურში, ასევე ზოგადად - ტექსტში.

აღნიშნული თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ ერთია სიტყვა *Knight*-ის ხმარება სათაურში და მეორე - პოემის ტექსტში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ზ. გამსახურდია შემდეგ კვლევას გვთავაზობს: როდესაც რუსთველი ტექსტში ხმარობს სიტყვა „მოყმე“ ტარიელთან დაკავშირებით, რაც, ნ. მარის სამართლიანი თქმით, უცილოდ „რაინდს“ ნიშნავს, მაშინ შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა *Knight*, ვინაიდან მათ, ვინც „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“, ჯერაც არ უწყოდნენ, რომ ეს იყო მეფისწული ინდოეთისა, აქ კი უნდა ითქვას, რომ ქართული „მოყმე“ ხშირად მეფეზეც ითქმის, რასაც ვერ ვიტყვით *Knight*-ზე („მოყმე“ ეწოდებოდა მაგ. დავით სოსლანსაც). სათაურში კი, ტარიელის ვინაობა გარკვევით უნდა ჩანდეს და მისთვის მეფობის რანგის წართმევა და მხოლოდ რაინდად მოხსენიება უმართებულოდ გვეჩვენება. ამიტომ სათაურში სიტყვა *Knight*-ის (ასევე *Chevalier*-ს, *Recke*-ს, *внтязь*-ს) ხმარება უმართებულოა, ვინაიდან ტარიელი იყო მეფე და არა რაინდი. პოემის ტექსტში კი, ვიდრე გაერკვეოდნენ ტარიელის ვინაობაში, მისთვის შეიძლებოდა ეწოდებინათ *knight* - მოყმე, რაინდი.

რაც შეეხება სიტყვა *Lord*-ს გამოტანას სათაურში რობერტ სტივენსონის მიერ, აქაც საკმაოდ რთულადაა საქმე. სწორედ ამიტომ, ზ. გამსახურდიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ვებსტერის მიხედვით სიტყვა *Lord*-ის ქვემოთ წარმოდგენილი მნიშვნელობების გააზრებაც, პოემის სათაურად აღნიშნული სიტყვის გამოყენების მიზანშეწონილობის დადგენისათვის:

Lord:

- 1 პატრონი, პიროვნება, რომელსაც გააჩნია უზენაესი ხელისუფლება. მმართველი, მპყრობელი;
- 2 პატივის აღმნიშვნელი ტიტული, ქმრის ტიტული ცოლთან მიმართებაში, ხშირად იუმორისტული გაგებითაც;
- 3 ბარონი, მამულის მფლობელი, ლენდლორდი;
- 4 კეთილშობილი, პატივის აღმნიშვნელი ტიტული. დიდ ბრიტანეთში ეს ტიტული ეძლეოდა მათ, ვინც კეთილშობილნი იყვნენ დაბადებით, გარკვეული მხარეების პერები, ჰერცოგები, მარკიზები, გრაფები, ვიკონტები და ბარონები. მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები, რომელნიც ლორდთა პალატის წევრები არიან, ეტიკეტის მიხედვით ეს ტიტული ეძლევათ ჰერცოგებისა და მარკიზების შვილებს, აგრეთვე გრაფების უფროს შვილებს;
- 5 საპატიო ტიტული გარკვეული ოფიციალური პირებისა, მაგ., ლორდ ადვოკატი, ლორდ ჩემბერლენი, ლორდ კანცლერი, ლორდ მოსამართლე;
- 6 საღვთო წერილში უზენაესი არსება იეჰოვა, აგრეთვე იესო ქრისტე, რომელსაც ეწოდება ლორდი, ან ჩვენი ლორდი (უფალი);
- 7 ინდოეთში, ბუდა;
- 8 მკისას ყველაზე სწრაფი მომკალი ან მლეწავი (პროვინციული ინგლისური).

სიტყვა „Lord“-ის წარმოდგენილ, რვავე მნიშვნელობასთან ერთად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლორდთა პალატა ბრიტანული პარლამენტის ერთ-ერთი პალატაა, რომელიც შედგება ამქვეყნიური და სასულიერო ლორდებისაგან, ე.ი. მხარეთა ბერებისა და ეპისკოპოსებისაგან. მეფე ან პრინცი ინგლისში ოფიციალურად არასოდეს მოიხსენება ლორდად და არც მხატვრულ ლიტერატურაში დასტურდება მეფის ან პრინცის „ლორდად“ მოხსენიება (თუმც მამართვა „მილორდ“ შესაძლოა შეგხვდეს მეფესთან დაკავშირებით, მაგრამ ეს თითქმის იგივეა, რაც ქართული „ბატონო“). მეფეს „ლორდი“ შეიძლება ეწოდოს ძალზე იშვიათად, ისიც არაოფიციალურად, კერძო საუბარში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სიტყვა „ლორდის“ ხმარება რ. სტივენსონის მიერ სათაურში, ზ. გამსახურდიას მოსაზრებით და ზემოთ მოცემული მისივე კვლევის საფუძველზე, გამართლებული არ არის (გამსახურდია 1984:153), რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს შინაარსობრივი კონტექსტიც, რადგან ტარიელის მხილველებმა მასთან შეხვედრისას დაასკვნეს, რომ ის იყო ჩვეულებრივი მოყმე, ვინაიდან მას არ ჰქონდა შესატყვისები მეფისა ან მემამულისა, რომელიმე მხარის მმართველისა ან თანამდებობის პირისა. შესაბამისად, სათაურის შემთხვევაში, ყველაზე მეტად ადეკვატური და მართებულია ისევ და ისევ უორდროპისეული სათაური „ვეფხისტყაოსნისა“ - „The Man in the Panther’s Skin“, ვინაიდან არც „ლორდი“, არც „რაინდი“ არ აქვს ნახმარი რუსთველს, არამედ კაცი, ვინმე, რაც იგულისმება სიტყვაში „ვეფხისტყაოსანი“, პოემის ტექსტში კი „მოყმის“, „ყმის“ შესატყვისად აჯობებს სიტყვა Knight-ის გამოყენება. ხოლო სტივენსონისეული Lord, როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, გამართლებული არცერთ შემთხვევაში არ არის (გამსახურდია 1984:154-155).

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სათაურის ინგლისურენოვან თარგმანებს შორის მხოლოდ მარჯორი უორდროპისეული თარგმანი სათაურისა: „The Man in the Panther’s Skin“ გადმოსცემს ყველაზე ზუსტად სათაურის არსს: “კაცი ვეფხისტყაოსანი” და არა „რაინდი ვეფხისტყაოსანი“ (გამსახურდია 1984:185), სხვა ინგლისურენოვან თარგმანებთან შედარებით უორდროპისეული თარგმანის უპირატესობაში კი, ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზეც დავრწმუნდებით

§ 3.3. პოემის სათაური რუსულ თარგმანებში

საინტერესო და საყურადღებოა პოემის სათაურის თარგმანებიც, შესრულებული რუსულ ენაზე:

კონსტანტინე ბალმონტი	Носящий Барсову Шкуру
პანტელეიმონ პეტრენკო	Витязь в Тигровой Шкуре
გიორგი ცაგარელი	Витязь в Тигровой Шкуре
ნიკოლაი ზაბოლოცკი	Витязь в Тигровой Шкуре
შალვა ნუცუბიძე	Витязь в Тигровой Шкуре

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, ოთხ მთარგმნელს (პ. პეტრენკოს, გ. ცაგარელს, ნ. ზაბოლოცკის და შ. ნუცუბიძეს) იდენტურად უთარგმნია პოემის

სათაური, კ. ბალმონტისგან განსხვავებით. ბალმონტმა კი, როგორც ჩანს, გაითვალისწინა ვეფხის გააზრება ძველ ქართულში - „პანტერის“, „ლეოპარდის“ მნიშვნელობით და ვეფხის ნაცვლად სიტყვა „Барс“ (ჯიქი) (ჯიქი, ლეოპარდი (ლათ. *Panthera pardus*) — ძუძუმწოვარი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა (<http://www.biodiversity-georgia.net/index.php>)) გამოიყენა თარგმანში. ბალმონტისმიერი თარგმანის საფუძველს ამყარებს პოემისეული ტექსტიც („...იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია...“), თუმცა არ უნდა დავივიწყოთ კ. ბალმონტის წინამორბედის, ე. ს. სტალინსკის ფრაგმენტული რუსულენოვანი თარგმანიც პოემისა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ სათაური შემდეგი სახით უთარგმნია: „Барсова -Кожа“ (ჩაჩანიძე 1980:114-115), რაც შესაძლოა ყოფილიყო საფუძველი პოემის სათაურის კ. ბალმონტისეული ვერსიისა. საინტერესოა, რომ ანალოგიურად (Барсова -Кожа) თარგმნიან პოეტის სათაურს კ. ბალმონტის წინამორბედი სხვა მთარგმნელებიც, მაგ. იპოლიტე ბრდტინსკი (1845 წ. გამოსცა პოემის არასრული თარგმანი) და იონა მეუნარგია (თარგმანი გამოიცა 1888 წ. თბილისში) (ჩაჩანიძე 1980:116-117).

საყურადღებოა ისიც, რომ დღესდღეობით, პოემის ბალმონტისეული თარგმანის სწორედ ზემოთ წარმოდგენილი სათაურით გავრცელების მიუხედავად, მოსკოვის გამოცემებმა, კ. ბალმონტის მოღვაწეობის პერიოდშივე შეუცვალეს სათაური ბალმონტის თარგმანს და გამოაქვეყნეს შემდეგი სახით: „Витязь в Тигровой Шкуре“ (Руставели 1988: 630-631). სათაურის ბალმონტისეული ვერსიის შემთხვევაში, საყურადღებოა ასევე სიტყვა მოყმის, ანუ რაინდის (Витязь) ოსტატურად უგულებელყოფაც, რაც რასაკვირველია არაფერს ვნებს თარგმანს, რადგან წინადადებაში: Носящий Барсову Шкуру, ისედაც იგულისხმება ვიღაც, ვეფხის ტყავის მატარებელი, რაც არა მხოლოდ ადეკვატურად და ამავე დროს პოეტურად წარმოგვიდგენს რუსთველისეული პოემის სათაურს თარგმანში, არამედ უფრო მეტად აახლოებს კიდევ თარგმანს ორიგინალთან.

ბალმონტის შემდეგ, პოემის სათაურის თარგმანმა („Витязь в Тигровой Шкуре“) შეუცვლელად გადაინაცვლა სხვა მთარგმნელების მიერ რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში, რომლებმაც არაფერი შეცვალეს მასში, სიტყვა „რაინდის“ (Витязь) სათაურში გამოყენებასთან დაკავშირებით ზემოთ გამოთქმული მოსაზრება კი (იხ. § 3.2.

პოემის სათაური ინგლისურ თარგმანებში), რასაკვირველია უნდა მოვიაზროთ სათაურის რუსულენოვანი თარგმანების კონტექსტშიც.

თავი IV. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ანალიზი - ერთი სტროფის მაგალითზე (ქართული, ინგლისური და რუსული ენების მასალაზე)

§4.1. “ვეფხისტყაოსნის” ერთი სტროფის ენობრივი საკითხების ანალიზისთვის

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის და ენის საკითხების შესწავლა ჯერ ისევ ჩამორჩება მეცნიერების წინაშე მდგარ მიზნებსა და ამოცანებს, მაშინ როდესაც პოემის კვლევის აუცილებელ წინაპირობას სწორედ მისი ტექსტის და ენობრივი საკითხების შესწავლა წარმოადგენს. ფაქტია, რომ მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილი ტექსტის უქონლობა მრავალ სირთულეს ქმნის და სამწუხარო გაუგებრობას იწვევს მისი ინტერპრეტაციის დროს, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს თარგმნის პროცესს. „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულად რთულ, კომპლექსურ ხასიათს იძენს, რადგან ტექსტის ინტერპრეტაციის, შემდეგ კი თარგმნის პროცესში გამოვლენილი არაერთი, სხვადასხვა სირთულის საკითხი ჯერ კიდევ ელის დამაჯერებელ, დასაბუთებულ დაზუსტებას და მის შესაბამის ასახვას როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ და სხვა ენებზე შესრულებულ თარგმანებში.

საანალიზოდ წარმოდგენილი გვაქვს პოემის 708-ე სტროფი (I საანალიზო სტროფი), ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციის (რუსთაველი 1957:152) მიხედვით, რომელსაც თავდაპირველად დედნის ენობრივი საკითხების დადგენის, შემდეგ კი რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი თარგმანების კონტექსტში განვიხილავთ:

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს **სამ ალი!**
გული მეს საგნად ისრისა, მესრვის საკრავად **სამალი;**
დრო სიცოცხლისა ჩემისა **დღესითგან ჩანს ნასამალი;**
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა **სამალი!**

საანალიზო სტროფის ჩვენთვის საინტერესო ენობრივი საკითხების დეტალურ და სიღრმისეულ განხილვამდე, მიმოვიხილავთ სტროფის კონკრეტული სიტყვების სხვადასხვა სახის დაწერილობისა და მნიშვნელობების საკითხსაც.

პირველივე სიტყვა, შორისდებული „ვა“: ძველ ნაწერებში ყველგან გვხვდება: ვაი, ვაითუ, ვაიმე, დამწერლობა ვა კი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯერ ერთი, ეს შორისდებული არსებითი სახელის ფუნქციითაა ნახმარი და მეორე, სტროფის ბოლოსაა მოქცეული, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგი ხელნაწერი ამ შემთხვევაშიც ვაი, ვაიმე სახეობებს გვიჩვენებს. ძველ გამოცემებში დაწერილობა არეულია: ხან ვაი გვხვდება, ხან ვაი, ხანაც კიდევ სრულიად გაუმართლებელი ვა. უკანასკნელი გამოცემების რედაქტორებმაც (იგულისხმება შემდეგი გამოცემები: 1937 წლის (საიუბილეო), 1951 და 1957 წლებისა (რედაქტორები: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე)) და 1953 წლისა პ. ინგოროყვას რედაქციით) რატომღაც სწორედ ეს უკანასკნელი დაწერილობა აირჩიეს, თუმცა კი დასაბუთების გარეშე (გიგინეიშვილი 1975:21-22).

საყურადღებოა სტროფში გამოყენებული სიტყვაც „დღესითგან“ და მისი დაწერილობის საკითხი სხვადასხვა გამოცემებში. საანალიზო სტროფის ტექსტი 1951 წ. (ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით) და 1967 წლის (საიუბილეო) გამოცემებში დაბეჭდილისგან მხოლოდ ერთი ფორმით განსხვავდება: მე-3 ტაქში აქ გვაქვს **დღესითგან**, ხოლო ზემოდასახელებულ გამოცემებში დაბეჭდილი იყო **დღისითღა**. ეს გასწორება ეკუთვნის ა. შანიძეს. გარდა ამისა, ყველგან დაბეჭდილია **დღისითღა**, როგორც აგრეთვე 1937 და 1951 წლების გამოცემებში იყო. ეს წაკითხვა მომდინარეობს ვახტანგ VI-ის 1712 წლის გამოცემიდან და იყო ყველგან, ვიდრე შანიძემ არ შეცვალა იგი **დღესითგან** - წაკითხვით, 1957 წლის გამოცემაში. ეს წაკითხვა აღმოჩნდა ერთ გვიანდელ ხელნაწერში (H 412). როგორც ჩანს, წინათაც უფიქრიათ ამ სტროფზე და ანალოგიურადვე (გიგინეიშვილი 1975: 9, 36).

აღნიშნულ სტროფთან დაკავშირებით, რასაკვირველია მნიშვნელოვანია პოემაში როგორც მის წინ განვითარებული მოვლენები, ასევე მასში გადმოცემული ამბავიც. მამ ასე, ტარიელთან შეხვედრის და მისი თავგადასავლის გაგების შემდეგ, ავთანდილი ბრუნდება არაბეთში - უცხო ყმის ამბით. თინათინი იხმობს მიჯნურს და ეს უკანასკნელიც უამბობს მას უცხო მოყმის თავგადასავალს, თუმცა გამოუტყდება არაბეთის მეფის ასულს, რომ ის ტარიელთან დაბრუნებას აპირებს, ამჯერად მისი დახმარების მიზნით - ნესტან დარეჯანის საძებრად. თინათინი უწონებს მიჯნურს განზრახვას, თუმცა ვერ მალავს სევდას მოსალოდნელი განშორების გამო, რასაც მოსდევს ავთანდილის ასევე სევდით აღსავსე პასუხი, რაც თინათინთან მოსალოდნელი

განშორებით არის გამოწვეული. სწორედ ზემოთქმული წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო და საანალიზო სტროფის შინაარსს და მასთან დაკავშირებულ ნარატივს, თუმცა ჩვენი კვლევის საგანს არა კონკრეტულად წარმოადგენილი სტროფის შინაარსი, არამედ მისი ენობრივი საიდუმლოებების გახსნის და ინგლისურ და რუსულენოვან თარგმანებში მისი ადეკვატური ინტერპრეტაციის კვლევა წარმოადგენს.

საანალიზო სტროფს შესწავლის საკმაოდ ვრცელი ისტორია გააჩნია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აღნიშნული სტროფის ოთხივე ტაეპში გამოყენებული სიტყვა „სამალი“, რაც არაერთი მეცნიერის კვლევის საგანს წარმოადგენდა მრავალი წლის განმავლობაში.

თავდაპირველად ვახტანგ VI განმარტა II ტაეპის „სამალი“: „სამალი - ოზბეგურს მოკლე ისარს რკინის ღარით (რომ) გააგდებენ - ის არის“ (ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისი 1937, გვ. ტლდ.) (გიგინეიშვილი 1975:10), მოგვიანებით კი თეიმურაზ ბაგრატიონმა დაწვრილებით განიხილა აღნიშნული სტროფი თავის „განმარტებებში“ და ოთხივე ტაეპის **სამალის** განმარტებები შემოგვთავაზა:

1. სადა გლახ დამწვავს **სამალი** - ...**სამალი** - სამი შემწველი ალი, ანუ შემწველი ქარი, ანუ შემწველი ქარი ბაბილოვნისა და აფრიკისა კერძოთა ცხელთა მინდორთა შინა... არ ჩანს რას ემყარება თეიმურაზი, რა არის მისი წყარო, როცა სამალ-ის განმარტებას იძლევა და იგი შემწველი ალი, უდაბნოს შემწველი ქარი ჰგონია. როგორც ჩანს, თეიმურაზს არ მოეპოვებოდა და არც შეიძლება ჰქონოდა რაიმე წყარო ამ სიტყვის განმარტების დროს. მას ხელთ ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი (ვახტანგის გამოცემა), რასაც განმარტებებს უწერდა. პირველი ტაეპის **სამ ალი** მან ერთ სიტყვად ჩათვალა, ფორმით არაბული წარმოშობის სამუმ-ს დაუკავშირა, სამუმად მიიჩნია და ამასთანავე, სამუმ-სამალის მნიშვნელობაც ტაეპისათვის ასატანი, შესაფერი აღმოჩნდა (დამწვავს ცხელი ქარი, ხორშაკი ქარი). დ. ჩუბნაშვილმაც სწორედ ეს სტროფი მიიჩნია წყაროდ, დაეყრდნო თეიმურაზის განმარტებას და ამრიგად ჩამოყალიბდა სამალ-სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა, შესაბამისი არაბული წარმოშობის სიტყვის სამუმის მნიშვნელობისა: „სამალი - ცხელი ქარი აფრიკისა, სამუმი. Самум (ეს სიტყვა რუსულშიც არის შესული). ივ. როსტომაშვილიც, სამუმის ქართულად გადმოცემისას, სარგებლობდა მაშინ

არსებული ერთადერთი ლექსიკონით დ. ჩუბინაშვილისა. ივ. როსტომაშვილის შენიშვნა სამალ-ის შესახებ - არაბული სიტყვაა, ნიშნავს მოშხამულსო - შეიძლება არაბულში ამ სიტყვების ბგერითი მსგავსების ნიადაგზე მისი ავტორის მიერ მათი აღრევის შედეგი იყოს. მოცემული მაგალითზე ჩანს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს სიტყვის მნიშვნელობის ცვლა მცდარი გაგების შემდეგ (გიგინეიშვილი, 1975 :17.)

2. **სამალი** - სამსწრაფლო. ესე არს ღარი ვითარიმე რკინისა, სატყორცი ისრისა... ესე არს ერთი იარაღთაგანი...**საგანი** - ნიშანი რომ დასდო, ისარი ანუ თოფი ესროლო, იგი არს.
3. **ნასამალი** - მესამედი, სამად გაყოფილი, დღისითღა ჩანს **ნასამალი** - ღამე ხომ არ გამოსჩნდება კაცის სახეზედ მწუხარების დაჩნევა და დღისით ამისთვის თქმულა...
4. **სამალი** - დასამალავს ნიშნავს, ანუ ჭირის და მწუხარების დამალვასა, გინა სხვისა რადსამე. **სამალი** დასამალავი ადგილიც არის. გული კაცისა არს მრავალთა სხვათა და სხვათა საქმეთა დასაფარავი ადგილი და ესე არს **სამალი...გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი** - ესე იგი ჟამი წარვიდა, იგი, რომელ აქანამდის მაქვნდა გულსა შინა მიჯნურობა თქვენით - დაფარვით ავთანდილ ეტყვის თინათინს - და აწ ცხად მიყოფიეს წინაშე თქვენსაო“ (ბაგრატიონი 1960:87).

დ. კარიჭაშვილი წერდა: „ამ ტაეპში პირველი სტრიქონის უკანასკნელი ორი სიტყვა სამ ალი ნიშნავს სადმე ალი (თეიმურაზი „სადმეს“ საერთოდ არ მოიხსენიებს). მეორე სტრიქონში სამალი ნიშნავს ერთგვარ ისარს. მესამეში ნასამალი - მესამედს და მეოთხეში სამალი - სამალავს, დასამალავსო“ (გიგინეიშვილი 1975:11), რაც თანხვედრაშია თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებებთან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზემოხსენებულ ერთ სიტყვას - სადმეს).

საანალიზო სტროფის ოთხივე ტაეპის ბოლო სიტყვების ინტერპრეტაციები სხვადასხვა აღიარებული მეცნიერების მიერ, ქვემოთ წარმოდგენილ, ტაეპების მიხედვით დანომრილ ცხრილებში (#1, #2, #3, #4) გვაქვს შეჯამებული, სადაც ნათლად არის ასახული მათ მიერ შემუშავებული განმარტებები ოთხივე ტაეპთან მიმართებაში და აღნიშნულ განმარტებებს შორის გამოვლენილი მსგავსებები, თუ განსხვავებები:

ცხრილი #1 (I ტაეპის სამ ალი)

I ტაეპის სამ ალი		
1	<p>ვახტანგ VI</p> <p>ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI -ის გამოცემისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებამ საკმაოდ შეაფერხა პოემის ტექსტის შესწავლის საქმე. ვახტანგის გამოცემის კორექტურული შეცდომები ეჭვმიუტანლად გადმოდიოდა შემდგომ გამოცემებში და ბევრ შემთხვევაში ამკარა შეცდომების გააზრებასაც კი ახდენდნენ და მათ დასაბუთებას ცდილობდნენ. ვახტანგის გამოცემაში არსებული კორექტურული შეცდომები გაასწორა 1937 წელს ამ გამოცემის აღდგენისას ა. შანიძემ, მაგრამ ზოგი შეცდომა მაინც დარჩა, ან არასათანადოდ გასწორდა (გიგინეიშვილი 1975: 23, 27).</p>	განმარტების გარეშე
2	თ. ბატონიშვილი	სამი (შემწველი) ალი, ანუ შემწველი ქარი
3	დ. კარიჭაშვილი	(სადმე) ალი
4	<p>იუსტ. აბულაძე</p> <p>ეს შეცდომა ((სამ=) ანუ) მხოლოდ 1926 წლის გამოცემის ლექსიკონშია, საიუბილეო გამოცემის ლექსიკონში გასწორებულია. შეცდომის წყაროა დ. კარიჭაშვილის 1903 წლის გამოცემის ლექსიკონი, რომელშიც ამ სიტყვის მართებული განმარტება ტექნიკურად გაუმართავად არის დაბეჭდილი (გიგინეიშვილი 1975:11).</p>	(სამ=) ანუ
5	ს. კაკაბაძე	-
6	კ. ჭიჭინაძე	სამი ალი
7	ა. შანიძე	-
8	მ. ჯანაშვილი	შემოკლებული ფორმა

	სტროფის დანარჩენი ტაეპების შემთხვევებში მკვლევარი ცდებოდა, პირველი ტაეპის შემთხვევაში კი, რაც ეხება სიყვარულის ალს, მისი გაგება, ანგარიშგასაწევია (გიგინეიშვილი 1975: 14).	სიტყვისა სადმე სადმე ალი სიყვარულისა
9	გ. იმედაშვილი („ლიტერატურული ძიებანი“ 1949:175-199)	ცეცხლებრ შემწველი ქარი

ცხრილი #2 (II ტაეპის სამალი)

708-ე სტროფის II ტაეპის სამალი		
მეორე ტაეპის სამალის ქვემოთ წარმოდგენილი ყველა გამარტება, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან გამომდინარეობს. „სამალი არის ღარ რკინისა...“ (გიგინეიშვილი 1975: 11).		
1	ვახტანგ VI	ოზბეგურს მოკლე ისარს რკინის ღარით (რომ) გააგდებენ - ის არის
2	თ. ბატონიშვილი	სამსწრაფლო, ერთი იარაღთაგანი
3	დ. კარიჭაშვილი	ისარი
4	იუსტ. აბულაძე	ისრის სასროლი რკინის ღარი, რომელშიც ჩასდებენ მტკაველზე მეტ ისარს და ისროდნენ (მითითება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე)
5	ს. კაკაბაძე	არის ღარი სატყორცებელი და ისარი მტკაველზე მეტი, მის ღარით სასროლი (სულხან-საბა ორბელიანის

		განმარტებით)
6	კ. ჭიჭინაძე მეორე ტაეპის სამალი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით არის წარმოდგენილი; განმარტებას დამატებული აქვს მხოლოდ ერთი სიტყვა სასწრაფო (?). (გიგინეიშვილი 1975: 16.)	სასწრაფო (ისრის საკრავად)
7	ა. შანიძე	ერთგვარი მშვილდი, არბალეტი (ისრის დასადებად ღარი ჰქონდა შუაზე გაკეთებული)
8	მ. ჯანაშვილი მ. ჯანაშვილის განმარტებით, სამალი - ძველ წიგნებში და დღესაც - სვანურად, უდიდესი სატანაა, რომელიც ებრძოდა ღმერთს ქვეყნის გაჩენის დროს და აგრეთვე შემდეგ იესოსაც (გიგინეიშვილი 1975: 14).	სატანა
9	გ. იმედაშვილი	სწრაფმსროლი (მალე)

ცხრილი #3 (III ტაეპის ნასამალი)

708-ე სტროფის III ტაეპის ნასამალი		
1	ვახტანგ VI	-
2	თ. ბატონიშვილი	მესამედი, სამად გაყოფილი
3	დ. კარიჭაშვილი	მესამედი
4	იუსტ. აბულაძე	-
5	ს. კაკაბაძე	-
6	კ. ჭიჭინაძე	მესამედი
7	ა. შანიძე	მესამედი
8	მ. ჯანაშვილი	-
9	გ. იმედაშვილი	მესამედი (ნასამალი)

ცხრილი #4 (IV ტაეპის სამალი)

708-ე სტროფის IV ტაეპის სამალი		
1	ვახტანგ VI	-
2	თეიმურაზ ბატონიშვილი	დასამალავი
3	დ. კარიჭაშვილი	სამალავი, დასამალავი
4	იუსტ. აბულაძე	რისამე დასაფარავი, გინა დასამალავი, მალვა, ჟამი სამალი - მალვის დრო
5	ს. კაკაბაძე	სამჯერ ქცეული (განმარტება ნათელი და გასაგები არაა (გიგინეიშვილი 1975:11))
6	კ. ჭიჭინაძე	დასამალავი (პატიჟთა)
7	ა. შანიძე	სამალავი
8	მ. ჯანაშვილი	საჩქარო
9	გ. იმედაშვილი	დასამალავი

ამრიგად, ზემოთ მოცემული ცხრილების საფუძველზე ცხადია, რომ საეჭვოა მხოლოდ პირველი ტაეპის სამ ალის განმარტების სიზუსტე, რადგან აღნიშნული სიტყვის პირველი განმარტების ავტორის, თეიმურაზ ბაგრატიონის აზრი პოემის გამომცემლებმა და ლექსიკონის შემდგენლებმა უყურადღებოდ დატოვეს და იგი ორ სიტყვად წარმოადგინეს (სამ ალი). ზოგს ამ სიტყვის პირველი ნაწილი არც განუმარტავს, თუმცა, როგორც ზემოთ დავინახეთ, განმარტეს დ. კარიჭაშვილმა და იუსტ. აბულაძემ (გიგინეიშვილი 1975:12).

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ I ტაეპის სამ ალთან მიმართებაში, რამდენიმე ხელნაწერში იკითხება სად ალი, რაც ერთსულოვნად არის უკუგდებული გამოცემებში, რამდენადაც არღვევს მაჯამურ რითმას და ამასთან, განმეორებული გამოდის ტაეპშიც: სად: სადა - სად ალი; ასევე გვაქვს სამალი, სამ ალი, სამალე, სამ (სამე), თუმცა არც ერთი ეს წაკითხვა მისაღები არ არის და აქ სულ სხვა წაკითხვასთან უნდა გვქონდეს საქმე. საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში

შეტანილი აქვს სიტყვა **ამალი** და მოცემული აქვს შემდეგი განმარტება: „ანაზდად შიმშილით მოზნედა“ (გიგინეიშვილი 1975:37-38) (ეს მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას „ქილილა და დამანაშიც“), თუმცა ამალი/სამალი მეორეს მხრივ, სურვილსაც ნიშნავს, სიყვარულის, ტრფობის გაგებით, რაც სამალის სახით შემოუნახავს ქართული მწერლობის ძეგლებს და სწორედ ეს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სამალს „ვეფხისტყაოსანშიც“ (398-ე სტროფშიც გვხვდება: “მე ვუთხარ: „დაო, შენგან ვეჭვ ამა გულისა წამალსა; ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი ამ **ალსა...**”). შესაბამისად, სამალი უნდა მომდინარეობდეს სიტყვა ამალისგან და სამალ-ის მიღების შესაძლებლობაც სრულიად შეეფერება ქართული ენის ბუნებას, რაც დადასტურებულია სალიტერატურო ქართულშიც (გიგინეიშვილი 1975:41-43).

საანალიზო სტროფის დანარჩენ სამ ტაეპთან მიმართებაში მდგომარეობა გაცილებით ნათელია, რადგან მეორე ტაეპის განმარტება აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს და არც მესამე ტაეპის „ნასამალის“ (მესამედი) განმარტება არის გაუგებარი. მეოთხე ტაეპის სამალიც ყველას ისე ესმის, როგორც თეიმურაზ ბაგრატიონს ესმოდა: სამალავი (თუმცა ს. კაკაბაძის განმარტების - „სამჯერ ქცეულის“ საფუძველი გაუგებარია და წყაროც უცნობი).

მ. ჯანაშვილთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პირველ სამ შემთხვევაში მკვლევარი ცდებოდა, მეოთხე შემთხვევაში კი, მისი გაგება ანგარიშგასაწევია (რასაც ქვემოთაც შევხებით), ხოლო რაც შეეხება გ. იმედაშვილს, ის იზიარებს თეიმურაზისეულ განმარტებას და სრულებით ეთანხმება ამ უკანასკნელის განმარტებებს ოთხივე ტაეპთან მიმართებაში.

„**სამალის**“ გარდა, საანალიზო სტროფში ყურადღებას იქცევს სიტყვა „**დღესითგან**“, რადგან აღნიშნული სიტყვის კვლევა ასევე იწვევდა ინტერესს. ა. შანიძემ, როგორც უკვე აღინიშნა, დღისითლა შეცვალა დღესითგან წაკითხვით, რაც მოიწონა და გაიზიარა შ. ლლონტმაც (ლლონტი 1961:34). **დღისითლა**-ს წაკითხვის საკითხი ალ. სარაჯიშვილმაც აღძრა, თუმცა კი ეს საკითხი თეიმურაზ ბაგრატიონმა დასვა პირველად (**დღისითლა** - წაკითხვას თეიმურაზი ვერ ასწორებს თუ არ ასწორებს, მაგრამ ახსნას უძებნის იმიტომ, რომ ტაეპის შინაარსი არ ესმის კარგად და გული ეთანაღრება, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო (გიგინეიშვილი 1975:13). აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ა. შანიძის მიერ შეტანილი კორექტივისა და **დღისითლას** ნაცვლად **დღესითგან**-ს დამკვიდრებისა, ვერც

ეს წაკითხვა ფენს ნათელს ტაეპის შინაარსს. გამოთქმის - **დრო სიცოცხლისა ჩემისა „დღეიდან, ამას იქით“ მესამედი თუ გამესამედებული ჩანს** - შინაარსი ისევე იწვევს დაეჭვებას, როგორც აქამდე იწვევდა დაეჭვებას შინაარსი ამ სტროფის ძველი წაკითხვებისა. ივ. გიგინეიშვილის აზრით, საკითხს ნათელს ჰფენს ის ვარიანტები, რომლებიც წარმოდგენილია მზეხათუნისეულ (ოქსფორდულ) და H461 ხელნაწერებში. პირველში იკითხება: „**დროდ სიცოცხლისა ჩემისა დღისაღა ჩანს ნასამალი**“, ხოლო მეორეში - „**დროდ სიცოცხლისა ჩემისა დღისიღა ჩანს ნასამალი**“ (გიგინეიშვილი 1975:36). ორი ფორმისაგან - **დღისაღა** და **დღისიღა** - უპირატესობა შეიძლება პირველს მისცემოდა, რამდენადაც ზოგად სახელებში **ის-ი** დაბოლოება პოემაში არ გვხვდება. მაგრამ ქართულისთვის ეს უკანასკნელი ფორმა უცხო არაა. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ხელნაწერთა უმრავლესობაში დადასტურებულია **დღისითღა** ფორმის წყარო, შესაბამისად, უფრო მოსალოდნელია, **დღისიღა** ყოფილიყო. ამრიგად, ტრადიციულად მესამე სტროფი ასე უნდა იკითხებოდეს: **დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისაღა (ან დღისიღა) ჩანს ნასამალი** ([ყველა ახალ გამოცემაში (stuy) ა. შანიძის მოწოდებული **დღესითგან** წაკითხვა დაიბეჭდა] გიგინეიშვილი 1975: 37)).

§ 4.2. რუსთველის ენის გავლენა როგორც ქართულ, ასევე თარგმნილი ლიტერატურის სხვადასხვა ნიმუშებზე - საანალიზო სტროფის კონტექსტში

რუსთველის ენის გავლენა ქართული და თარგმნილი ლიტერატურის სხვადასხვა ნიმუშებზე მეტად მნიშვნელოვანი, თვალშისაცემი და მოცულობითია, თუმცა აღნიშნულ საკითხს ამჯერად საანალიზო სტროფის (სტროფი #708) კონტექსტში განვიხილავთ, რომელშიც წარმოდგენილი სიტყვა **ამალი**, „ქილილა და დამანაშიც“ გვხვდება (ბარამიძე... 1949: 503) და მისი მნიშვნელობა სრულად ემთხვევა სულხან-საბა ორბელიანის მიერ სიტყვა **ამალისთვის** განსაზღვრულ განმარტებას.

საინტერესოა, რომ სიტყვა **სამალი** თანამედროვე ქართულში წარმოდგენილი მნიშვნელობით საერთოდ არ მოიპოვება, თუმცა არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ხსენებული სიტყვის ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობით გამოყენების ერთი შემთხვევა თანამედროვე (წინა საუკუნის) ქართულ სალიტერატურო ენაში.

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ (მოზრდილთათვის) 1914 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ივ. როსტომაშვილის წერილი „ელექტრონის სასწაულები“ (წერილი მეორე), რომელიც რამდენიმე თავისაგან შედგება. ივ. როსტომაშვილი პოპულარული ხასიათის სამეცნიერო წერილებს წერდა ყმაწვილებისათვის საყმაწვილო ჟურნალში. იგი მაშინ ამ წერილებისათვის, რა თქმა უნდა, არაქართული (რუსული) წყაროებით სარგებლობდა. უეჭველია, მისთვის ქართული ტერმინების საკითხი ძალიან მწვავედ იდგა. სამუშის ქართულად გადმოცემისას მას, ბუნებრივი იყო, ესარგებლა მაშინ არსებული ერთადერთი ლექსიკონით დ. ჩუბინაშვილისა. იქ უნდა ამოეკითხა მას, რომ **სამალი სამუმის** შესატყვისია, და როგორც ჩანს, საკმაოდ ფართოდ ისარგებლა კიდევ ამ ცნობით (გიგინეიშვილი 1975: 18).

ივ. როსტომაშვილის აღნიშნული წერილის ერთ-ერთი თავის სათაურია „**სამალი** და გუდანა (კუდიანი ქარი)“. აღნიშნულ წერილში **სამალი** სათაურის გარდა 6-ჯერ არის ნახსენები და ყველგან სამუმის მნიშვნელობით. ივ. როსტომაშვილი ერთ ადგილას პირდაპირ წერს - ამ ქარს უდაბნოს მცხოვრებნი **სამალს** უძახიანო, თანაც შენიშნავს, სამალი არაბული სიტყვაა, მოშხამულს ნიშნავსო (გიგინეიშვილი 1975:17), რაც რასაკვირველია თეიმურაზ ბაგრატიონის გავლენაზე მიუთითებს, რასაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არაფერი აქვს საერთო „ვეფხისტყაოსნის“ „სამალის“ ნამდვილ მნიშვნელობასთან, თუმცა მიუთითებს მათ კავშირზე, ენობრივ ჭრილში.

სამალი ნოდარ ციციშვილსაც აქვს მოხსენიებული „შვიდ მთიებში“ (ჰკადრეს: „ზმანებით უშრეტი გწვავს გულსა მზისა **სამალი**...გაქვთ მიჯნურობა მნათობთა, გწვავს გულს უშრეტად **სამალი**...“). აღნიშნული ნაწარმოების ლექსიკონში სიტყვა **სამალ**-ს ასეთი განმარტება აქვს თანდართული: 1) ისარი; 2) ცხელი ქარი; 3) საწამლავი; 4) სხივი, შუქი (ციციშვილი 1930:240). აქ თავმოყრილია ყველა მნიშვნელობა, რაც კი სიტყვას **სამალი** შეიძლება ჰქონდეს და სრულიად უდავოა, რომ „შვიდი მთიების“ გამოთქმები პირდაპირ იმეორებენ „ვეფხისტყაოსნის“ 708-ე სტროფის გამოთქმებს, რადგან ამ ორი სიტყვის მნიშვნელობა სავსებით იდენტურია. შესაბამისად. დასახელებულ სტროფში **ამალი** უნდა იკითხებოდეს და ეს **ამალი** იგივეა, რაც სამალი „შვიდი მთიებისა“ (გიგინეიშვილი 1975:40), „შვიდი მთიების“ სამალ-ის წყაროს კი სწორედ „708-ე სტროფი უნდა წარმოადგენდეს. ამრიგად, **ამალი**//**სამალი** სურვილს, ტრფობას ნიშნავს და სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს **ამალს** „ვეფხისტყაოსანშიც“.

სურვილი ტრფობის მნიშვნელობით დღესდღეობითაც ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით მთის კილოებში. ასე მაგალითად, გრ. აფშინაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილ ხალხურ „ეთერიანში“ ასეთი ლექსი გვხვდება:

„კარგი ხარ, ხორცის ქადაო,
წვენ გიდგა წურვილივითა,
შაგჭამო, გულზედ მამებში
ეთერის სურვილივითა...
სურვილი სადამ გავგზავნე,
შავკაზმე ქალებურადა...“
(გიგინეიშვილი 1975:41)

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ სამუმის ხსენება გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება“ (1927 წ.), სადაც გალაკტიონი სამუმს აშკარად „ცეცხლებრ შემწველი“ ქარის მნიშვნელობით მოიხსენიებს:

„არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება,
გაესაუბროს ჩემსას თამამად,
მას მომავალი ეალუბლება
მხოლოდ გრიგალად, წვიმად, სამუმად...“
(ქართული პოეზია 1982:326)

განსაკუთრებით საინტერესოა ასევე გალაკტიონ ტაბიძის „პოემა ვეფხისა“ (1927 წ.), სადაც ვხვდებით განსაცვიფრებელ ინტუიტიურ მიგნებებს „ვეფხისტყაოსნის“ ისეთ ენიგმებთან და ალუზიებთან დაკავშირებით, რომელთა მეცნიერული კვლევა იმჟამად არ არსებობდა (გამსახურდია 1991:12-13).

§ 4.3. საანალიზო სტროფის სიყალბის და განსხვავებული ვარიაციების საკითხი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამომცემელთა და ლექსიკონების შემდგენელთა გარდა, ჩვენ მიერ განხილულ საანალიზო სტროფს სხვებიც სწავლობდნენ. ჯერ კიდევ 1897 წელს, თავის კვლევაში „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“, ალ. სარაჯიშვილი ამ სტროფსაც შეეხო და ყალბად მიიჩნია იგი. სარაჯიშვილი საამისო საფუძველს სტროფის შინაარსში ხედავდა და წერდა: „ავთანდილისა და თინათინის გაყრის სცენა იშვიათი

პოეტური სურათია, რომ შიგ ეს ყალბი ხანა არ იყოს გაჩხირული. ეს ხანა განგებ აზვიადებს ავთანდილის ნაღველს წასვლის გამო. ავთანდილის ჩივილი ან მის სულმოკლეობას მოასწავებს, ან ამას ნიშნავს: ხედავ, რა ჭირში ვიგდებ თავს მეგობრისთვისო. ავთანდილის და თინათინის განშორება ვაების სცენა კი არაა, პირიქით, ისინი ერთმანეთს ამხნევებენ და ტირიან მხოლოდ მაშინ, როცა ერთმანეთს მოშორდებიან“. ამის გამო, ა. სარაჯიშვილის აზრით, სტროფი ყალბია, ვიღაც მწიგნობრის ნახელავია (გიგინეიშვილი 1975:44), რაც სავსებით შესაძლებელია, რომ შეიცავდეს სიმართლის მარცვალს, თუმცა აღნიშნული ჰიპოთეზა დამტკიცებული არ არის.

„ვეფხისტყაოსნის“ სხვა ძირითად გამოცემებში ჩვენთვის საინტერესო სტროფის განსხვავებულ ვარიაციებსაც ვხვდებით:

I ტაეპი: ვა] ვაი, ვაჲ, ვი; ვა თუ] თუმცა; გავიჭრა] გავიჭრე; გაჭრილსა] მინდორად; სადა გლახ] სადა გულს, მე გლახ სად; დამწვავს] დამწვამს; სამ ალი] სამალი, სამალე, სად ალი.

II ტაეპი: გული] გულსა; ძეს] ძევს; საგნად ისრისა] საგნად ისრისად; მესრვის] მესვრის (მესურის), მესრის (1957 წლის გამოცემის **მესრვის**- ფორმა არც ერთ ხელნაწერში არაა); საკრავად] საკლად, საკუდავად, საკლავად; სამალი] სამალე.

III ტაეპი: დრო] დროდ; ჩემისა] ჩემისად; დღესითგან ჩანს ნასამალი] დღისითა ჩანსდა სამალი, დღისითლა ჩანსდა სამალი, დღისით ჩანს არ ნასამალე, დღისით ჩანს ნასამალი, დღისილა ჩანს ნასამალი, დღისარა ჩანს ნასამაი, დღესითგან ჩანს ნასამალი.

IV ტაეპი: მალვა მწადს] ფარვა მწადს, მალვა სწადს, ვიშიშვი; მაგრა] მაგრამ; გარდახდა] გარდაჲდა, გარდამჲდა, გადახდა; პატიჟთა] პატიჯთა; სამალი] სამალე. ქვემოთ განვიხილავთ წარმოდგენილი ვარიაციების ენობრივ საკითხებს, დაკავშირებულს კონკრეტულ სიტყვებთან:

ვა, ვაი, ვაჲ: სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად გამოცემათა ვარიანტებში“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა 1964 წელს, ასეთი განსხვავებები (დ,ჯ ...) ნაჩვენებია არ არის, მაშინ როდესაც ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ეს შორისდებული ვაჲ-ს სახითაა დაბეჭდილი დ. ჩუბინაშვილის, დ.

კარიჭაშვილის, ს. კაკაბაძის (1926 წ.) გამოცემებში, ხოლო ს. კაკაბაძის 1913 წ. გამოცემაში ვაი არის, „ვარიანტებში“ კი საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ამ გამოცემებში ვა იკითხებოდეს. აღსანიშნავია, რომ ი ამ შემთხვევაში ხმოვანს, მარცვლის შემქმნელ ი-ს კი არ აღნიშნავს, არამედ უმარცვლო ი-ს, **ი-ს**. როგორც ცნობილია, მხედრულ დამწერლობას ზოგ სხვა ასოსთან ერთად იმთავითვე არც **ი** (უმარცვლო ი) ჰქონია იმის გამო, რომ ენას აღარ მოეპოვებოდა შესაბამისი ბგერები. **ფ, მ, ჯ, ჰ** ასოებისგან „თავიდანვე მხედრულს მარტო ჯ დაჰყვა: მე-11 საუკუნეში, როდესაც პირველად ჩაისახა მხედრული ასოები, ანბანიდან ავტომატურად გამოვარდა ოთხი დანარჩენი (რადგან ენას აღარ გააჩნდა სათანადო ბგერები) დ მხოლოდ შემდეგ, მე-17 საუკუნეში - ერთი მხრივ, ასოთა რიცხოვრივი მნიშვნელობის დასაცავად, და, მეორე მხრივ, ძველი წიგნების სისწორით გადმოწერის მიზნით, მხედრულშიაც შეიქმნა სათანადო ნიშნები: **ფ, მ, ჯ, ჰ** (გიგინეიშვილი, 1975 : 9:21).

საგნად ისრისად: მორფოლოგიურ-სინტაქსურ საკითხთაგან, რომლებიც საანალიზო სტროფში დაისმის, პირველ ყოვლისა აღსანიშნავია მსაზღვრელი სახელის შეწყობა საზღვრულთან მიმართულებით ბრუნვაში; გულის ძეს **საგნად ისრისად** თუ **საგნად ისრისა?** პოემის უკანასკნელ გამოცემებში უპირატესობა პირველ (**დონიან**) ფორმებს აქვთ მინიჭებული რედაქტორთა მიერ, თუმცა საანალიზო სტროფში **საგნად ისრისა** იკითხება ყველგან. ეს უკანასკნელი ძველი ქართულიდან მომდინარე ფორმაა, რომელსაც პოემის ხელნაწერთა უმრავლესობა უჭერს მხარს. ბუნებრივია, იგი უნდა დარჩეს საანალიზო სტროფში (გიგინეიშვილი 1975: 35).

საკლავად: **საკლავად** და **საკრავად** ვარიანტებს შორის შეიძლება უპირატესობა პირველს მისცემოდა; ამას მხარს უჭერს ხელნაწერთა ერთი წყება და ამასთან მნიშვნელობის მხრივ მეტი შესაბამისობაა ფრაზაში (გიგინეიშვილი 1975: 35-36).

ჩემისად: რაც შეეხება მესამე სტროფის გამოთქმის **დრო სიცოცხლისა ჩემისა** ვარიანტებს (**დროდ სიცოცხლისა ჩემისად**), ეს ვარიანტები გადამწერთა შეცდომის შედეგია (გიგინეიშვილი 1975 : 35).

როგორც ვხედავთ, განსხვავებები უფრო ორთოგრაფიულია, ვიდრე ვარიანტული. ვარიანტული წყვილია მხოლოდ **მალვა-ფარვა**. რაც შეეხება ვარიანტებს მალვა და ფარვა, უპირატესობა სამართლიანად მალვას ეძლევა. ლექსიკური ვარიანტების არჩევისას გადაჭრით რომელიმე მათგანის უპირატესობის დამტკიცება საერთოდ ძნელია,

რამდენადაც ვარიანტები სინონიმური ხასიათისაა და მნიშვნელობის თვალსაზრისით თანაბრად ეგუებიან კონტექსტს (გიგინეიშვილი 1975:36). ძველ გამოცემებში წარმოდგენილი ვარიანტული და ორთოგრაფიული სხვაობები პოემის ხელნაწერებში არსებულ ვითარებას ასახავს და პოემის ხელნაწერებში წარმოდგენილ ვარიანტულ სხვაობებს შეუძლიათ შუქი მოჰფინონ ზოგ ბუნდოვან საკითხს.

ხელნაწერების ჩვენებათაგან ზოგი სრულიად არაფერს იძლევა ტექსტის დადგენის თვალსაზრისით, ზოგი კი ძალიან საყურადღებოა არა მარტო ამ სტროფის გასაგებად, არამედ საერთოდ პოემის ტექსტის ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად. ასე მაგალითად, რა თქმა უნდა, კალმის შეცდომაა, როცა ერთ-ერთ ხელნაწერში სიტყვა ვამ ვი-ს სახითაა წარმოდგენილი, ან როცა მეორეში საკლავად-ფორმის ნაცვლად საკლად (მთელი მარცვალაა გამოტოვებული) და სხვა დიალექტური ფორმებია წარმოდგენილი: დამწვამს, პატიჯთა და ა.შ., მაგრამ ძალიან საყურადღებოა ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სხვაობები, რომლებსაც ქმნის წყვილები: ვაი და ვამ, მესრის და მესვრის (მესურის), საგნად ისრისა და საგნად ისრისად და სხვ., აგრეთვე ლექსიკური ვარიანტები - მალვა და ფარვა და მისთ. (გიგინეიშვილი 1975:20).

დასასრულ, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ მოვლენას, რომელიც საანალიზო სტროფშიც გვხვდება და საერთოდ პოემის არაერთი სტროფისათვისაა დამახასიათებელი. ესაა ტაეპების გადასმა: ბევრ სტროფში ტაეპები გადაადგილებულია. ტაეპების გადასმის მიზეზი, ერთი მხრივ კალმისმიერი შეცდომა შეიძლება იყოს, მეორეს მხრივ კი გადამწერის განზრახ „გასწორება“. შეცვლილი ტექსტი შემდგომ გადადიოდა სხვა ხელნაწერებში და ვრცელდებოდა, მაგრამ ზოგ ხელნაწერს მაინც შემოუნახავს თავდაპირველი ვარიანტი.

დ. კარიჭაშვილმა და პ. ინგოროყვამ თავიანთ გამოცემებში გადასვეს კიდევ ტაეპი ორიოდ სტროფში, მაგრამ ხელნაწერების შესწავლა საშუალებას იძლევა ზოგ სხვა სტროფშიც ტაეპები ოფიციალური გამოცემებისაგან განსხვავებულად დავალაგოთ და მართალი ტექსტი აღვადგინოთ.

H 599 ხელნაწერში, რომელიც უძველესია დათარიღებულ ხელნაწერებს შორის (გადაწერილია 1646 წელს), საანალიზო სტროფში მესამე და მეოთხე ტაეპები გადასმულია. აი, ეს დალაგება (ტაეპთა თანამიმდევრობის საკითხი პოემის ბევრ

სტროფს ეხება. ამის შემთხვევა საანალიზო სტროფშიც გვაქვს: ერთ-ერთ ხელნაწერში ამ სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპები გადასმულია (გიგინეიშვილი 1975:20).

- I. ვამ თუ გავიჭრა მინდორად, სადა, გლახ, დამწვავს ამალი!
- II. გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის საკლავად სამალი;
- III. მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი:
- IV. დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისილა ჩანს ნასამალი.

წარმოდგენილი დალაგების მიხედვით, მეოთხე ტაეპი ბუნებრივი გაგრძელებაა მესამე ტაეპის შინაარსისა, მის ახსნას, განმარტებას წარმოადგენს. მასში განმარტებულია, თუ რატომ „გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი“. ტრადიციულ ტექსტში ეს ლოგიკური თანმიმდევრობა დაცული არ არის (გიგინეიშვილი 1975: 55-56).

თუ გავითვალისწინებთ ყველაფერს, რაც ზემოთ ითქვა, საანალიზო სტროფი ასე უნდა იკითხებოდეს:

- ვამ თუ გავიჭრა მინდორად, სადა, გლახ, დამწვავს ამალი!
- გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის (ან: მესრვის) საკლავად სამალი!
- მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი:
- დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისილა (ან: დღისაღა) ჩანს ნასამალი.

აღნიშნულ ხელნაწერს მართებული, ე.ი. თავდაპირველი დალაგება დაუცავს, რომელშიც შინაარსი ლოგიკურად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული. ამ დალაგების მიხედვით, თუმცა სწორი დალაგების მიხედვით, სტროფის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ:

ვამ თუ გავიჭრა მინდორში (ველად), სადაც, ვაგლახ, დამწვავს (დამდაგავს, მომკლავს) ამალი (სურვილი, ტრფობა).

გული (ჩემი) ძევს ისრის საგნად (სამიზნედ), სამალი (არბალეტი, მშვილდი) მესვრის ისარს მოსაკლავად.

პატიჟთა (ტანჯვის) მალვა მსურს (მინდა, რომ ჩემი ტანჯვა დავმალო), მაგრამ პატიჟთა (ტანჯვის) მალვის ჟამი (დრო) გარდახდა (გავიდა, გათავდა). ჩემი სიცოცხლის დრო (ხანგრძლივობა) დღის მესამედილა ჩანს (დარჩა, არის) (გიგინეიშვილი 1975:58)

სწორედ ზემოთ მოცემული წაკითხვა წარმოადგენს საანალიზო სტროფის სწორ შინაარსს, ამიტომ სწორად მოცემული შინაარსის კონტექსტში უნდა მოვახდინოთ

ჩვენთვის საინტერესო სტროფის შეპირისპირებით კვლევა თარგმანებთან და შესაბამისი ანალიზი.

§ 4.4. „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე

ინგლისურენოვანი სამყარო შოთა რუსთველის პოემის ხუთ თარგმანს იცნობს, რომელთა ავტორებიდან სამი ინგლისელი (მარჯორი უორდროპი, რობერტ სტივენსონი, ქეთრინ ვივიანი), ერთი ქართველი (ვენერა ურუშაძე) და ერთიც - ამერიკელია (ლინ კოფინი). თარგმანებთან მიმართებაში, განსაკუთრებით საინტერესოა უცხოელი, მოცემულ შემთხვევაში კი ინგლისელი და ამერიკელი მკვლევარების, თუ მკითხველის პოზიციიდან დანახული „ვეფხისტყაოსანი“, რაც უფრო ნათლად გამოაშკარავებს თარგმანების ავ-კარგს, მათ ღირსებებს, თუ როგორ აღიქვა უცხოელმა პოემის სიმშვენიერე და ა.შ., თუმცა არანაკლებ საინტერესოა მათი შედარებითი ანალიზი ქართველი მკვლევარების მიერ შესრულებულ თარგმანებთან მიმართებაშიც, რასაც დეტალურად ქვემოთ შევხებით. უდავოდ გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უცხოურ თარგმანთა მეცნიერული შესწავლა რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას განეკუთვნება და ჩვენ მიერ განსახილველად შერჩეული თარგმანებიც (ყოველ შემთხვევაში პირველი ოთხი, რადგან მეხუთე, ლ. კოფინის მიერ შესრულებული თარგმანი, ჯერ არ არის სრულყოფილად შესწავლილი რუსთველოლოგების მიერ), დაფუძნებულია რუსთველოლოგიის აღიარებულ მიღწევებზე, . სწორედ ქართველ რუსთველოლოგთა მეშვეობითა და დახმარებით ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ მრავალ ენაზე და თუ XX საუკუნის მეორე ნახევარში ამ მხრივ გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა, ეს სწორედ ქართველ რუსთველოლოგთა დახმარებითა და „ვეფხისტყაოსნის“ უცხოურ ენაზე მთარგმნელთა მჭიდრო თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საქმეში წარმატების მიღწევა უბრალოდ შეუძლებელი და წარმოუდგენელი იქნებოდა.

XX საუკუნეში რუსთველის პოემა არაერთგზის ითარგმნა მრავალ ენაზე, თუმცა გ. იმედაშვილი სავსებით მართებულად აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის კონგენიალური თარგმანი ჯერ ისევ ელის გადაწყვეტას... ვეფხისტყაოსანი ჯერ ქართულად უნდა იყოს გაგებული სიტყვის, პოეტური სიმბოლოს და სტილის თავისებურებებში, რომ განხორციელდეს მისი სხვა ენაზე შესაძლებლად სრულყოფილი

თარგმანი“ (იმედაშვილი 1968:21-22). ამ სიტყვებს მკვლევარი XX საუკუნის 60-იან წლებში წერდა, როცა რუსთველოლოგიას გარკვეული წარმატებები ჰქონდა მიღწეული როგორც პოემის ტექსტების, ასევე რუსთველის მხატვრული აზროვნების, მსოფლმხედველობრივი პრობლემების და სხვა საკითხების დამუშავების მხრივ, თუმცა გ. იმედაშვილის სიტყვებს დღესაც, XXI საუკუნეშიც არ დაუკარგავთ აქტუალობა და თანამედროვე მდგომარეობის შესაფასებლად, კვლავ შეიძლება დავესესხოთ მის სიტყვებს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ რაც უფრო დიდია ამა თუ იმ ნაწარმოების თარგმნის ტრადიცია, მით უფრო დახვეწილ და სრულყოფილ თარგმანებს იღებს მკითხველი (ლაშქარაძე...1980:27). ამასთან, აღსანიშნავია ინგლისურენოვანი თარგმანების გამორჩეულად დიდი მნიშვნელობაც.

„ვეფხისტყაოსანი“ XIX საუკუნის დასაწყისამდე ევროპელი მკითხველისათვის მისაწვდომი არ იყო. მარი ბროსე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც 1928-31 წლებში ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალში გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის და რამდენიმე თავის თარგმანი და მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის სხვა მცდელობებსაც ჰქონდა ადგილი (მაგ. კ. ლაფჩინსკი), უნდა ითქვას, რომ არტურ ლაისტამდე (ა. ლაისტის გერმანული თარგმანი 1889 წელს დაიბეჭდა ლაიფციგში. მისი თარგმანის თაობაზე ს. იორდანიშვილი შენიშნავდა: „ლაისტის თარგმანში პოემას შენარჩუნებული აქვს თავისი მნიშვნელობა, როგორც აღმოსავლეთის, კერძოდ საქართველოს უმესანიშნავეს ლიტერატურულ ძეგლს, თუმცა მხატვრული სიმშვენიერე უმეტეს ნაწილად, არ ჩანსო“ (ანდრონიკაშვილი 1984: 6-7)) და მარჯორი სკოტ უორდროპამდე, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით სერიოზულად არავინ დაინტერესებულა.

§ 4.4.1. „ვეფხისტყაოსანი“ მარჯორი უორდროპის თარგმანში: ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

ევროპელ მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე სრულყოფილი წარმოდგენა მისცა ინგლისელი ქალის, მარჯორი სკოტ უორდროპის მიერ შესრულებულმა თარგმანმა, რომელიც პირველად ინგლისში გამოიცა, 1912 წელს. თარგმანს წინ უძღვის მარჯორის ძმის, ცნობილი დიპლომატის, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენლის და მკვლევარის, ოლივერ

უორდროპის ვრცელი წინასიტყვაობა. წინასიტყვაობა, კომენტარებთან და დანართებთან ერთად პირველ გამოცემას ო. უორდროპმა დაურთო, თუმცა არ შეიძლება იგი მარტო ოლივერს ეკუთვნოდეს. მარჯორი უორდროპი ტექსტის თარგმნის დროს თვითონვე აკეთებდა სქოლიოებს და საჭოჭმანო საკითხებზე სქოლიოში თავის მოსაზრებას გამოთქვამდა „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ სტროფის გამო. უორდროპისეული თარგმანის კომენტარები მკვლევართა განხილვის საგანი არ გამხდარა, თუმცა ისინი ბევრ საინტერესო დაკვირვებას შეიცავენ „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით (ანდრონიკაშვილი 1984:11), რომელსაც რუსთველზე დაწერილ ნაშრომთაგან ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ მკვლევარები (თ. სახოკია, ა. გაწერელია, ს. ცაიშვილი). ნ. ორლოვსკაია აღნიშნული გამოცემის თაობაზე სამართლიანად მიუთითებდა, რომ ხსენებული, 1912 წლის გამოცემა, ინგლისში ქართველოლოგიის განვითარების ისტორიის მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენდა, ხოლო ო. უორდროპის წინასიტყვაობა მრავალი წლის განმავლობაში რჩებოდა ინგლისელი მკითხველისათვის რუსთველისა და მისი მოღვაწეობის ეპოქის შესახებ არსებული ცნობების მთავარ წყაროდ (ანდრონიკაშვილი 1984 :7).

საყურადღებოა, რომ XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც მარჯორი უორდროპმა პირველმა დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ამეტყველება ინგლისურ ენაზე, რუსთველოლოგიურ მეცნიერებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ახსნილი და დასაბუთებული პოემასთან დაკავშირებული საკითხების მთელი წყება, არ იყო გადაწყვეტილი ამ ეროვნული ეპოსის მხატვრული მეტაფორების, რითმის, რიტმის, მსოფლმხედველობის, ჟანრული სპეციფიკის კომპლექსური პრობლემები. ბოლო ხანებში, რუსთველოლოგიამ ამ მხრივ დიდი ნაბიჯები გადადგა. ივ. გიგინეიშვილი აღნიშნავდა: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა, აგრეთვე პოემის უმთავრეს გამოცემათა ვარიანტები და ამით ფართო საზოგადოებისთვის ასე თუ ისე ცნობილი გახდა მრავალი ისეთი ფაქტი, რომლებიც აქამდე სპეციალისტებისთვისაც ძნელი მისაწვდომი იყო“ (გიგინეიშვილი 1975:7).

სწორედ ამიტომ, ოლივერ უორდროპს მისი დის თარგმანი მიაჩნდა კიბის საფეხურის იმ ქვად, რომელიც სხვებს გაუადვილებდა რუსთველის ტექსტის სწორ ინტერპრეტაციას, გაგებას და ხელს შეუწყობდა მეთორმეტე საუკუნის ამ ძეგლით

დაინტერესებას ევროპაში. ეს მართლაც ასე მოხდა, რადგან მარჯორი უორდროპმა დასძლია რუსთველის ენობრივი ფენომენი და „მომძესა მისსა სიძნელე გზისა გაუადვილა“ (ანდრონიკაშვილი 1984:10), რადგან სწორი ორიენტაცია და გეზი მისცა ევროპელ მთარგმნელებს, რაც რასაკვირველია მთარგმნელის მიერ გაწეულ უდიდეს შრომასთან იყო დაკავშირებული.

აღსანიშნავია მ. უორდროპის მიერ ქართული ენის დამოუკიდებლად შესწავლის ფაქტიც და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნამდე, არაერთი ნაწარმოების თარგმნა ქართულიდან ინგლისურ ენაზე. ასევე საინტერესოა მ. უორდროპის ბიოგრაფიული ცნობებიც, დაკავშირებული საქართველოსთან. ის ორჯერ იმყოფებოდა თბილისში (1894-1895 წწ., 1896 წ.), დაახლოებული იყო საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებთან, ილია ჭავჭავაძესთან კი მეგობრული ურთიერთობებითაც იყო დაკავშირებული (<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009107/>). სწორედ ასეთი წინაპირობა ჰქონდა მარჯორი უორდროპის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დაწყებას.

რუსთველის პოემის მ. უორდროპისეული თარგმანიდან, ასევე კომენტარებიდან ცხადია, რომ მთარგმნელს ბევრი ტექსტოლოგიური სამუშაო აქვს განხორციელებული. ის ზედმიწევნით იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მარის, დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძის, მ. წერეთლის და სხვათა ინტერპრეტაციებს. ასევე საგულისხმოა მის მიერ ყველა იმდროინდელი გამოცემის გულდასმით შესწავლა, თუმცა მისი თარგმანის დედანს „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა უნდა წარმოადგენდეს. თარგმანს დართული აქვს ბიბლიოგრაფია, საიდანაც ირკვევა, თუ რა ღრმად და საფუძვლიანად ჰქონდა მთარგმნელს შესწავლილი არა მარტო „ვეფხისტყაოსანი“, არამედ საქართველოს ისტორიის ყოველი მონაკვეთი და ქართული კულტურა (ანდრონიკაშვილი 1984:8).

პოემის თარგმნის პროცესში მ. უორდროპის მიერ გამოყენებულ დედანთან დაკავშირებით, განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ზ. გამსახურდიას, რომელსაც მიაჩნდა, რომ მ. უორდროპი უმთავრესად ეყრდნობოდა „ვეფხისტყაოსნის“ 1846 წლის დ. ჩუბინაშვილისეულ გამოცემას, რომელიც მას უსახსოვრა ევროსინე კლდიაშვილმა, თუმცა მისი აზრით, მთარგმნელი პოემის ქართველიშვილისეული რედაქციითაც სარგებლობდა (გამსახურდია 1984:8), თარგმნის პროცესში.

საყურადღებოა, რომ მ. უორდროპი თავის ნამუშევარს თარგმანს არ უწოდებდა და მხოლოდ თარგმანის განხორციელების ცდად, მცდელობად (attempt) მიაჩნდა იგი. მთარგმნელი პოემას 18 წლის განმავლობაში თარგმნიდა (1891-1909 წწ.) და ფიქრობდა, რომ კიდევ ათი წელი სჭირდებოდა ტექსტის სრულყოფისათვის, თუმცა ამის გაკეთება მას არ დასცალდა, რადგან მეტად ახალგაზრდა, 40 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ, ჯ. ო. უორდროპმა ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში დააარსა უორდროპის სახელობის ქართული ხელნაწერების და ნაბეჭდი წიგნების ფონდი (ენციკლოპედია 2002:862).

რუსთველის პოემის თარგმანთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ მისი მეორე ენაზე შესაბამისი ხერხებით გადატანა-თარგმნა, ორი გზით ხორციელდება, ეს არის პოეტური და პროზაული სტილი. პროზაული უფრო ტექსტის ლიტერატურულ განმარტება-კომენტირებაში გადადის, რადგანაც პოეტური აზროვნება და მეტყველება პროზაულ ფორმაში გარკვეული სახეცვლილებით კონდენსირდება და რუსთველური სიტყვა-თქმები სრულიად სხვაგვარ დატვირთვას იძენს, რაც ძალზედ პრობლემატური თემაა და უკავშირდება ისეთ თეორიულ საკითხს, როგორც არის სიტყვის ფუნქცია პროზასა და პოეზიაში, თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელები ამტკიცებენ, რომ ეს პოემა, პოეტურად თარგმნილი, გაცილებით მეტს აგებს, პროზაულ ვერსიასთან შედარებით (ანდრონიკაშვილი 1984:6).

ევროპულმა მთარგმნელობითმა ისტორიამ პოეტური ნაწარმოების ბევრი ბრწყინვალე პროზაული თარგმანი იცის (პროზით არის თარგმნილი ფრანგულად ჰომეროსის „ილიადა“ დეკონტ დე ლილის მიერ, პროზითვეა თარგმნილი გოეთეს „ფაუსტი“ . ქართულ ლიტერატურაშიც შეინიშნება ეს ცდები. თ. ჩხენკლემა და ზ. კიკნაძემ პროზაულად თარგმნეს „ოდისეა“. შესაძლოა კარგმა პროზაულმა თარგმანებმა მომავალში სათავეც კი დაუდონ პოეტურ თარგმანებს (ლაშქარაძე... 1980:7)) და ამიტომაც ევროპელი მკითხველი მარჯორი უორდროპის თარგმანს ფორმის არჩევის მხრივ ვერ დაიწუნებს, თუმცა ზოგიერთ მკვლევარს მ. უორდროპის თარგმანის ნაკლად მის მიერ სწორედ პროზაული ფორმის არჩევანი მიაჩნია, მაგრამ ასეთი მიდგომა უორდროპის მეცნიერული თარგმანისადმი პრეტენზიულია და მთარგმნელის ღვაწლს ჩრდილს აყენებს, რადგან როგორც უკვე აღინიშნა, მარჯორი თარგმანის გალექსვას აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა სიცოცხლეში. მეორეს მხრივ, მ. უორდროპის თარგმანი

ისეთი კომენტარებით და განმარტებებით არის უზრუნველყოფილი, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა ექმნება „ვეფხისტყაოსნის“ ურთულესი პასაჟების, სტილის და მხატვრული აზროვნების თავისებურებების საკითხებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ყველა სხვა პროზაული თარგმანებისგან განსხვავებით, უორდროპის თარგმანი სტროფებად არის დალაგებული და გაბმული თხრობის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ამასთან, რუსთველოლოგები მიიჩნევენ, რომ უცხოელთაგან მარჯორი უორდროპმა ყველაზე უკეთ გაიგო და გადმოსცა „ვეფხისტყაოსნის“ რთული ფილოსოფიური სამყარო, რამაც მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა პოემის შემდგომ თარგმანებს, რაც მ. უორდროპისეული თარგმანის ანალიზზე და კვლევა-ძიების შედეგებზე იქნა გარკვეულწილად დაფუძნებული (მ. უორდროპის თარგმანი მე-20 საუკუნის დამდეგს შესრულდა და სხვებზე უკეთ არის შესწავლილი (ლ. თაქთაქიშვილი, ზ. გამსახურდია) (ანდრონიკაშვილი 1984:4)). გ. იმედაშვილის თანახმად, თარგმანთაგან რუსთველის მაჯამის ყველაზე მართებული გაგება მოგვეპოვება მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებულ სრულ ინგლისურ თარგმანში, რადგან ის მოკლებულია იმ შეუსაბამობებს და თვითნებობებს, რომელნიც მეტნაკლებად ახასიათებენ რუსულ თარგმანებს. მასში არაა დაკარგული სტროფის არცერთი ტაქის თემა, შესაძლებელი სიზუსტითაა ამოხსნილი მისი აზრი და დაჭერილია საერთო განწყობა (ბაგრატიონი 1960:018-022). ალ. ბარამიძე კი შენიშნავდა: „მინაარსობრივად და აზრობრივად დედანთან შესატყვისობის მხრით გამოირჩევა მარჯორი უორდროპის ინგლისური პროზაული თარგმანი“ (ბარამიძე 1966:364), ნ. მარი კი წერდა: „საერთოდ, სისწორის თვალსაზრისით უორდროპისეული თარგმანი, საუკეთესო თარგმანიაო“ (სავარაუდოა, რომ ნ. მარის ტექსტს მ. უორდროპი ხელნაწერში გაეცნო პეტერბურგში ყოფნისას, სადაც მას მარი კონსულტაციებს უწევდა. თარგმანის სიზუსტის ერთ-ერთ მიზეზად გ. იმედაშვილს ის ფაქტიც მიაჩნია, რომ პოემის ინგლისურ თარგმანზე მუშაობისას მთარგმნელი ილია ჭავჭავაძის კონსულტაციითაც სარგებლობდა (ანდრონიკაშვილი 1984 : 17)).

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ 1894 წ. დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი მარჯორი უორდროპის მიმართ, სადაც ის წერდა: „ყოველ ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი ყველასგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინებებიათ თქვენს ერს მისი

კარგი და ავი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს, და გულისტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია დაჩაგრულთათვის. სასურველია ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული, რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი, რომ აქაც არის წამება და წვალება უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან“ (ჭავჭავაძე 1961:138).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, საანალიზო სტროფის თარგმანს სწორედ მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული თარგმანის კონტექსტში განვიხილავთ, რომელიც მთარგმნელს 690-ე ნომრით და შემდეგი სახით აქვს წარმოდგენილი:

ორიგინალი

#1. თარგმანი მ. უორდროპისა

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ,
დამწვავს სამ ალი!

Woe is me if I wander where, alas! The simoom
burns the roamer:

გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის
საკრავად სამალი;

my heart is the target of an arrow, a dart is shot
to pierce it;

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან
ჩანს ნასამალი;

the term of my life seems by this day to be
shortened to one-third ;

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი
პატიჟთა სამალი (რუსთაველი
1957:152)

I long for a refuge, but the time is past for
seeking shelter against troubles” (Rust’haveli
1966: 162-163).

მარჯორი უორდროპის თარგმანის განხილვისას, როგორც უკვე აღინიშნა, მეტად მნიშვნელოვანია თარგმანზე დართული კომენტარები, რადგან ხშირ შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული კომენტარების დახმარებით არის შესაძლებელი დედნის ტექსტის სრულყოფილად აღქმა თარგმანში, ყველა ნიუანსის გათვალისწინებით და დაცვით. შესაბამისად, თავდაპირველად მივყვეთ სწორედ მარჯორი უორდროპისეულ შენიშვნებს, საანალიზო სტროფის კონკრეტულ სიტყვებთან მიმართებაში.

ჩვენთვის საინტერესო სამ ალის შემთხვევაში, მთარგმნელი შემდეგი სახის განმარტებას გვთავაზობს, შენიშვნის სახით: Samali; some read *sam ali*; three flames. Car. Suggests sadme ali: “somewhere (everywhere) is a flame”. The four Samali’s with which the lines end furnish material for conjecture (თარგმანი ს.ს.: სამალი; იკითხება ასევე, როგორც სამ ალი, (ცეცხლის) სამი ალი. არის ასეთი წაკითხვა: სადმე ალი: „სადღაც (ყველგან)

არის ალი“. სიტყვა სამალი, რომლითაც სრულდება ოთხივე ხაზი, გვთავაზობს ვარაუდების გამოთქმის საფუძველს) (Rust'haveli 1966:162).

არანაკლებ საინტერესოა მეორე ტაეპის შენიშვნებში ჩატანილი ინგლისური ტექსტის მეორე ვერსიაც: “a dart may perchance pierce it” (თარგმანი ს.ს.: ან „სასროლმა (შუბმა) შესაძლოა შემთხვევით განგმიროს იგი“) (Rust'haveli 1966:162), რის შესახებაც მთარგმნელი შემდეგი სახის ინფორმაციას აწვდის მკითხველს დამატებით: Mr. Giorgadze (in Iveria, March 6, 1899) interprets “Alas that I should go away and the flame (of love) burn me elsewhere afar! My heart is the butt of an arrow, which Satan shoots at me. The time of my life till today is a third...” In the Svan folk tales, Satan is called Samal (Samuel) and this seems to give some ground for Mr. Giorgadze’s reading of life 2. (თარგმანი ს.ს.: ბ-ნი გიორგაძე (1899 წლის 6 მარტის ივერიაში) შემდეგი სახის ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „სამწუხაროა, რომ მე უნდა წავიდე და (სიყვარულის) ალმა დამწვას სადღაც, იქ! ჩემი გული ისრის სამიზნეა, რომელშიც სატანა მესვრის მე. ჩემი ცხოვრების დრო დღემდე არის... მესამედი“. სვანურ ხალხურ თქმულებებში, სატანას მოიხსენიებენ სამალად (სამუელი) და როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო ბ-ნი გიორგაძის ინტერპრეტაციის საფუძველი) (Rust'haveli 1966:163).

მეოთხე ტაეპის შემთხვევაში, მთარგმნელი კვლავ გვთავაზობს ალტერნატიულ თარგმანს: Or, “I would (willingly) hide (dissimulate) it” (თარგმანი ს.ს.: ან „მე (ვისურვებდი) მის დამალვას (დაფარვას) (დავმალავდი, დავფარავდი)“ (Rust'haveli 1966:163) და ამგვარად ასრულებს დამატებითი ინფორმაციის უზრუნველყოფას მკითხველისათვის აღნიშნული სტროფის კონტექსტში, საიდანაც ცხადია, თუ როგორ სიღრმისეულ და დეტალურ ცოდნას ფლობს ის არამცთუ თითოეული სტრიქტონის, არამედ ყოველი სიტყვის შესახებ.

საანალიზო სტროფის პირველივე ტაეპის ორიგინალის თარგმანთან შედარებისას, თარგმნილი ტექსტის მკითხველი ხვდება, რომ მთარგმნელს უდიდესი შრომა აქვს გაწეული თარგმნის პროცესში, რადგან ის განსაკვიფრებელი გულისყურით ეპყრობა თითოეული სიტყვის მნიშვნელობას და ამას ადასტურებს საანალიზო სტროფის პირველივე „პრობლემური“ სიტყვა სამ ალი, რომელსაც მ. უორდროპი, როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამის კომენტართან ერთად გვთავაზობს. მ. უორდროპის მიერ დეტალურად არის წარმოდგენილი აღნიშნულ სიტყვასთან დაკავშირებით

მთარგმნელის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, რაც არა მხოლოდ წლების, არამედ საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ქართველი რუსთველოლოგების კვლევის საგანს (იხ. ზემოთ მითითებული ცხრილები #1, #2, #3 და #4, სადაც დეტალურად არის მოცემული ოთხივე ტაეპის სამალის ინტერპრეტაციები).

საყურადღებოა ასევე ისიც, რომ პირველი ტაეპის სამალის თარგმნისას, მთარგმნელი ერიდება რომელიმე ინტერპრეტაციის გადაჭრით მტკიცებას, თუმცა უპირატესობას თეიმურაზისეულ განმარტებას ანიჭებს, რომელსაც როგორც გ. იმედაშვილი აღნიშნავს, სამალი იგივე სამუშაოდ, უდაბნოს შემწველ ქარად მიუჩნევია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთარგმნელი პრაქტიკულად არ ტოვებს უთარგმნელად არც ერთ სიტყვას და შესაძლოა ადგილმონაცვლეობით, მაგრამ მაქსიმალური სიზუსტით მიჰყვება ორიგინალის ტექსტს (მაგ: ვა-woe; თუ გავიჭრა - if I wander, გაჭრილსა სადა - (wander) where; გლახ - alas; დამწვავს: ... burns; სამ ალი - simoon), რაც რასაკვირველია მთარგმნელის დიდ ოსტატობასა და იმ გულმოდგინებაზე მიუთითებს, რითიც განმსჭვალული იყო მთარგმნელი სათარგმნელი ტექსტის მიმართ და რასაც ასე ცხადად გრძნობს თარგმნილი ტექსტის მკითხველიც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი მართალია ზედმიწევნით სწორად და ზუსტად მიჰყვება რუსთველისეულ აზრს და რამდენადაც ძალუმს, იცავს სიზუსტეს დედნის ტერმინოლოგიის გადმოღებისას, თუმცა ამით მისი თარგმანი პწკარედს არ ემსგავსება (გამსახურდია 1984:8).

მეორე ტაეპის შემთხვევაშიც, სახეზე გვაქვს მთარგმნელის მიერ დიდი გულმოდგინების და გულისხმიერების გამოჩენა, რაც ცხადია, თითოეული სიტყვის ინტერპრეტაციასთან მიმართებაში. ის კვლავ ზედმიწევნით თარგმნის რუსთველისეულ ფრაზებს, თუმცა კომენტარის სახით, როგორც უკვე დავინახეთ, თარგმანის სხვა ვერსიასაც შეიმუშავებს: (პწკარედის თარგმანი: ს.ს.) „სასროლი (შუბი) ნასროლია განსაგმირავად“, თუმცა კომენტარში მთარგმნელის ვერსია შემდგია: (თარგმანი: ს.ს.) „სასროლმა (შუბმა) შესაძლოა შემთხვევით განგმიროს იგი“, რაც რასაკვირველია მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ძირითადი თარგმანისგან შინაარსობრივად, თუმცა ჩვენი აზრით, უფრო მეტად არის დაახლოებული დედანთან.

მთარგმნელის მიერ კომენტარების სახით, ტექსტის სხვადასხვაგვარი წაკითხვის შემოთავაზების საფუძველზე, მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ მთარგმნელი

მართლაც აპირებდა დაბრუნებოდა როგორც აღნიშნულ, ასევე მსგავსი სახის სტროფებს, შემდგომი დაზუსტებისთვის, რაც მას, სამწუხაროდ, არ დასცალდა, თუმცა ეს, რასაკვირველია არ აკნინებს მის მიერ გაწეული შრომისა და ღვაწლის სიდიადეს.

საყურადღებოა საანალიზო სტროფის მთარგმნელისეული ინტერპრეტაციები მესამე ტაეპის შემთხვევაშიც. აქაც, სახეზე გვაქვს მთარგმნელის მეტად სერიოზული და სიღრმისეული დამოკიდებულება თარგმნილი ტექსტის მიმართ. აღნიშნულ შემთხვევაშიც, მკითხველი რწმუნდება, რომ მთარგმნელი კარგად იცნობს კონკრეტულ სტროფთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, მათ შორის სვანურ ხალხურ თქმულებასაც (იხ. ზემოთ მ. ჯანაშვილის განმარტება), რომლის თანახმად სამალი - ძველ წიგნებში და დღესაც სვანურად, სატანას უნდა ნიშნავდეს.

სტროფის ბოლო ტაეპის თარგმნისას, ტრადიციულად, მთარგმნელი არ ღალატობს საკუთარ მარგმნელობით მანერას და ზუსტად ასახავს პოემის ავტორის სათქმელს, რომელიც ავთანდილს შემდეგს ათქმევინებს (პწკარედის თარგმანი: ს.ს.) (მე ჩემი ტანჯვის დამალვა მინდოდა, მაგრამ აღარ შემიძლია შენი სიყვარულით მიყენებული მწუხარების დამალვა) - დამალვის ყოველი სურვილი, შესაძლებლობაცა და დროც უკვე გასულიაო.

ამრიგად, საანალიზო სტროფის თარგმანის დედანთან შედარების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მთარგმნელს საანალიზო სტროფში შინაარსობრივი თვალსაზრისით მაქსიმალურად აქვს დაცული რუთველისეული ხაზი და ასევე საუკეთესოდ აქვს ასახული, თარგმანის შესრულების დროისთვის, რუსთველოლოგიაში მოპოვებული კვლევის შედეგებიც, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში. შესაბამისად, სავსებით მართებულია აღიარებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანი არის პირველი მეცნიერული, პროფესიული თარგმანი, რომლითაც ევროპელ მკითხველს საშუალება მიეცა სწორი წარმოდგენა ჰქონოდა რუსთველსა და მის პოემაზე. მ. უორდროპმა, ინგლისური შესატყვისი მოუნახა, უწინარეს ყოვლისა, რუსთველის ლაკონურ მეტყველებას, რის გამოც სამართლიანადაა აღნიშნული მისი თარგმანის მხატვრული ღირებულებების თაობაზე (თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1969:5).

მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული თარგმანის ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მან კარგად შეიცნო სირთულებები, რომელსაც ის, როგორც

მთარგმნელი, წააწყდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდარი მხატვრული მეტყველების გაგებისა თუ ახსნისას. მან ეს სიმწელები ძირითადად დასძლია კიდეც და თუ მისი პოეტური ფორმისა და მხატვრული მეტყველების იდენტური გახსნის მიზანი ბევრ შემთხვევაში წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსთველის ტექსტის გაგება თავისთავად პრობლემატურია. შესაბამისად, შეუძლებელია მთარგმნელს ყოველთვის მოეხერხებინა პოეტური სიმბოლოს, მხატვრული სახის, სხვადასხვა პოეტური ფიგურების მთლიანად და ზუსტი მნიშვნელობით გააზრება. „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური მეტყველების მხატვრულ საშუალებათა უსაზღვრო მრავალფეროვნება, მათი საიდუმლოების შეცნობა და ამოხსნა, მეტაფორული ქვეტექსტების გაშიფვრა მთარგმნელის ძირითადი ამოცანა გახდა. მთარგმნელის წინაშე იდგა თვით რუსთველოლოგიაში გადასაჭრელი საკითხების დაძლევის პრობლემაც, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, მისი მოღვაწეობა დაემთხვა ისეთ ხანას, როცა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მეცნიერულად დაუდგენელი იყო და სხვადასხვა გამოცემებს შორის საგულისხმო სხვაობა არსებობდა. ამ გამოცემებს მთარგმნელი კრიტიკულად მიუდგა და გულდასმით შეისწავლა ყველა იმ დროინდელი გამოცემა, რაც ეტყობა კიდეც მის ნაშრომს და ამიტომაც, მეცნიერული თვალსაზრისით მეტ მნიშვნელობას სძენს მას.

მ. უორდროპისეულ თარგმანთან მიმართებაში, ფაქტია, რომ რუსთველისეული მხატვრული აზროვნების სახეების გახსნა და გაგება, გმირთა ქცევისა და განცდის შესაფერის ფორმაში გადმოტანა, უდავოდ, შეძლო მარჯორი უორდროპმა. ის, ისე როგორც არც ერთი მთარგმნელი მანამდე, ღრმად ჩაწვდა პოემის გმირთა შინაგან სამყაროს, შეიყვარა ქართული სიტყვა და ასეთივე სიყვარულით აამეტყველა პოემა ინგლისურ ენაზე. რასაკვირველია „ვეფხისტყაოსანი“ თავისთავად წარმოადგენს „მხატვრული ოსტატობის გადაულახავ სიმალლეს“ და მასთან შეჭიდება ყველა მთარგმნელისათვის საპატიო მოვალეობაა, მით უმეტეს ეს მოვალეობა თუ ისეთი სიყვარულით, სათნოებით და კეთილსინდისიერებით არის აღბეჭდილი, როგორც ეს მარჯორი უორდროპმა შეძლო (ანდრონიკაშვილი 1984:27) და რაც კიდეც ერთხელ ხაზგასმით აღსანიშნავია - მან გზა გაუკვალა „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომ მთარგმნელებს, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის მეტად რთულ და დღემდე ამოუწურავ საქმეში.

§ 4.4.2. „ვეფხისტყაოსანი“ ვენერა ურუშაძის თარგმანში: ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

მარჯორი უორდროპის შემდეგ, პოემას ვენერა ურუშაძისეულ თარგმანთან მიმართებაში განვიხილავთ, როგორც ზოგადი სახით, ასევე საანალიზო სტროფის კონტექსტში.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა დაიწყო ცნობილმა ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ, პედაგოგმა და მთარგმნელმა ვენერა ურუშაძემ, რომელიც მ. უორდროპის გარდაცვალების წელს (1909 წ.) მოევიწყა ქვეყანას, 1947 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული პოეზიის არაერთი ნიმუშის (მათ შორის, ნ. ბარათაშვილის „მერანის“) ინგლისურად ამეტყველების საქმეში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1986:182), თუმცა მეტად მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე თარგმნის საქმეში.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანის წამოწყებას თავისი საფუძველი ჰქონდა, და, რაც მთავარია არსებობდა ამის საჭიროებაც, რადგან როგორც კევინ ქროსლი-ჰოლანდი, ვენერა ურუშაძის თარგმანის რედაქტორი მიუთითებდა, 60 წლის წინ გამოცემული (მ. უორდროპისეული) თარგმანის ეგზემპლარები კანტიკუნტად იყო შემორჩენილი და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ინგლისურ ენაში მომხდარი ცვლილებებიც ახალი თარგმანის საჭიროებას განაპირობებდა (ანდრონიკაშვილი 1984:31), თუმცა, ვ. ურუშაძის გზა მარჯორი უორდროპის მიერ იყო გაკვალული. „ვეფხისტყაოსანი“ მარჯორი უორდროპისეული პროზაული თარგმანი ვ. ურუშაძეს საკმაოდ წარმატებულად მიაჩნდა. თავისი თარგმანიც პოეტმა ქალმა მარჯორი უორდროპის ხსოვნას მიუძღვნა და აცხადებდა, რომ ვალში იყო მ. უორდროპის წინაშე.

მარჯორი უორდროპის გამოცდილებამ ახალ მთარგმნელს უთუოდ ბევრი პრობლემა გადაუჭრა და მიუხედავად იმისა, რომ ორივე მთარგმნელი სტილის ინდივიდუალური მანერით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მათ შემოქმედებაში მაინც იგრძნობოდა სულიერი ერთობა, რადგან ორივე მთარგმნელის ნამოღვაწარი განმსჭვალული იყო რუსთველის შემოქმედებისა და ეპოქის გააზრების მათი თანადროული მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველებით.

მ. უორდროპისგან განსხვავებით, ვ. ურუშაძემ პოემის თარგმნის პროზაული სტილი უგულებელყო და გადაწყვიტა პოეტურად ეთარგმნა იგი. „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე არსებულ თარგმანებს შორის პირველი პოეტური თარგმანი სწორედ ვენერა ურუშაძეს ეკუთვნის, რომელმაც ის სრული სახით 1968 წელს გამოსცა, თუმცა მანამდე მას „ვეფხისტყაოსნის“ გალექსილი თარგმანების ნაწყვეტები „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ (Urushadze 1958) ჰქონდა გამოქვეყნებული. „ვეფხისტყაოსნის“ ვ. ურუშაძისეულ თარგმანს წინ უძღვოდა მთარგმნელის წინასიტყვაობა და ქართველოლოგის, დ. მ. ლანგის შესავალი წერილი (Rustaveli 1986:9-12), წიგნის რედაქტორები კი კევინ ქროსლი-ჰოლანდი და ნიკო ყიასაშვილი იყვნენ.

ვ. ურუშაძე წინასიტყვაობაში მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე თარგმნის პროცესში წამოჭრილ არაერთ სირთულეს, უპირველეს ყოვლისა კი შესაფერისი სალექსე საზომის გამოყენების საკითხს. ვ. ურუშაძე პირდაპირ მიუთითებდა, რომ დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ რითმული სქემაც კი არ იყო ისეთი რთული, როგორც „ვეფხისტყაოსნის“. მართლაც, შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ XX საუკუნეში შესრულებული ოთხი ინგლისური თარგმანიდან, სამი პროზაული იყო, რასაც კონკრეტული მიზეზები ჰქონდა: ინგლისელებმა ვერ მოუძებნეს და ვერ მიუახლოვეს შაირის ფორმა ვერც ერთ ინგლისურ სალექსე ზომას, რაც წარმოადგენდა რუსთველის პროზად გადატანის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. თუმცა სხვა მთარგმნელებისგან განსხვავებით, ვ. ურუშაძემ განსხვავებული გზა აირჩია და მიიჩნევდა, რომ ჰეგზამეტრი გარკვეულწილად, კონკრეტულ ნიუანსებში, უახლოვდებოდა რუსთველურ შაირს. ჰეგზამეტრის გამოყენებასთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე შესრულებული თარგმანებიც ჰეგზამეტრებით არის გამართული. აქ იგულისხმება ჰ. ბუდენზიგის მიერ გერმანულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, 1972 წელს გამოცემული. იმის გამო, რომ გერმანულ ენაში, შაირის არა თუ მსგავსი, მისი ახლოს მდგომი რაიმე სალექსე საზომიც კი არ არსებობდა, მთარგმნელმა გადაწყვიტა, ეთარგმნა ნაწარმოები არა რითმოვანი ლექსიკით, არამედ ჰეგზამეტრით, რომელიც ბევრნაირი უხერხულობისაგან დაიცავდა თარგმანს. მისი გერმანული ფორმა ასონანსებისა და ალიტერაციების საშუალებას იძლეოდა, რაც რუსთაველის ქმნილებსაც ახასიათებს (ანდრონიკაშვილი 1984 :32).

თავად ვენერა ურუშაძე, მისეულ თარგმანთან დაკავშირებით წერდა: „მე დარწმუნებული ვიყავი რამდენ მკითხველს დაგვარგავდი თავისუფალი ლექსი ან პროზაული თარგმანი რომ არ ავირჩიო“ (თარგმანი: ს.ს.) (Rustaveli 1968:7), თუმცა უპირატესობას როგორც უკვე აღინიშნა, ის მაინც ჰეგზამეტრს ანიჭებს.

ვ. ურუშაძე დიდხანს, წლების განმავლობაში ეჭიდებოდა რუსთველურ სიტყვას, რომ მისი სიტყვის სიდიადე ინგლისურადაც ისევე აელვარებულყო, როგორც ქართულად (ანდრონიკაშვილი 1984:3), თუმცა გარკვეული სირთულეების მიუხედავად, მან მაინც შეძლო ძირითადი დაბრკოლებების გადალახვა, რადგან მისი პოეტური ძიებანი სავსებით დამაჯერებლად ჟღერდა ინგლისურ ლექსში. მთარგმნელი დინამიკურად წარმოგვიდგენს მთელ სურათს, ახერხებს ტაეპი აამეტყველოს მხატვრულად, დაიჭიროს ინტონაციური ნიუნსები და გადმოსცეს განწყობილება, თუმცა, ზოგადად, რუსთველისთვის დამახასიათებელი სიტყვის ექსპრესიულობა მასთან განელეზულ ხასიათს იძენს.

ვ. ურუშაძის მიერ შესრულებულ თარგმანთან მიმართებაში კევინ ქროსლი-ჰოლანდი აღნიშნავდა: „თარგმანი შეესატყვისება ენის ჟღერადობას და ამავე დროს დამაჯერებლად ისმის ინგლისელთათვის. მისი თარგმანი ერთსა და იმავე დროს თავისუფალიც არის არქაიზმებისაგან და კლასიკურ ნორმებშიც თავსდებაო“ (ქროსლი-ჰოლანდი 1976:382). ვ. ურუშაძისეული თარგმანის შეფასებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მისი თარგმანი თავიდან ბოლომდე შესწავლის საგანი არ გამხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზ. გამსახურდიას სადისერტაციო ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობრივი საკითხები“, რომელშიც ძირითადად გაანალიზებულია პოემის პროლოგი მ. უორდროპისა და ვ. ურუშაძის თარგმანებში (ანდრონიკაშვილი 1984:29).

ვ. ურუშაძის ინგლისური თარგმანი პოემის პირველ პოეტურ თარგმანს წარმოადგენს და მისი ღვაწლი და დამსახურება უსათუოდ ძალზე დიდი და მნიშვნელოვანია ამ საქმეში. თარგმანის დედანთან შეჯერებამაც ცხადყო, რომ იგი კეთილსინდისიერად მიჰყვება დედანს, ძირითადად დამლეული აქვს ტექსტის გაგების სიძნელეები და „ვეფხისტყაოსანი“ მის თარგმანშიც არ კარგავს ელვარებას (ანდრონიკაშვილი 1984: 46) და მართალია მის თარგმანს აქვს თავისი დადებითი და ჩრდილოვანი მხარეები, მაგრამ ცხადია, რომ მთარგმნელმა შეძლო გადმოეცა დედნის

სპეციფიკა, ეროვნული სამოსი, პოეტური მეტყველების თავისებურება და მეტაფორული სტილი.

ვ. ურუშაძის თარგმანს ამჯერად საანალიზო სტროფის (#708) ორიგინალის თარგმანთან შეპირისპირებითი ანალიზის კონტექსტში განვიხილავთ, სტროფის თარგმანი კი მთარგმნელს 699-ე ნომრით შემდეგი სახით აქვს წარმოდგენილი:

ორიგინალი

#2. თარგმანი ვ. ურუშაძისა

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ,
დამწვავს სამ ალი!

If in my wandering alone, the flames of my
anguish slay me,

გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის
საკრავად სამალი;

And my sad heart be the target of arrows shot
by Satan.

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან
ჩანს ნასამალი;

The woes I must bear, alas, will shorten the
days of my life.

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი
პატიჟთა სამალი (რუსთაველი
1957:152)

Could I but hide from my sorrow, but, woe, it is
late to seek refuge (Urushadze 1968:102)

საანალიზო სტროფის დედნის პირველივე ტაეპის თარგმანთან შედარებისას ცხადია, რომ მთარგმნელი არ ჩამორჩება რუსთაველის მიერ გატარებულ აზრობრივ ხაზს და შინაარსობრივი სიზუსტით გადმოსცემს მას თარგმანში, რადგან ორივე შემთხვევაში (ველად) გაჭრასთან და წუხილის, (განშორებით გამოწვეული) მწუხარების ალით დაწვასთან (დადაგვასთან) გვაქვს საქმე. თუმცა მთარგმნელთან მეტი დრამატიზმით არის გადმოცემული ვაჟის წუხილი სატრფოსთან განშორების გამო, რადგან მასთან ავთანდილი მხოლოდ (კაემნის ალების) წვით არ კმაყოფილდება და „მწუხარების ალები გამანადგურებენ (მომკლავენ) მეო“ (თარგმანი - ს.ს.), ამბობს მასთან ავთანდილი.

ასევე აღსანიშნავია, რომ ვ. ურუშაძე თარგმანში არ ცდილობს *სამ ალის* სხვადასხვა ინტერპრეტაციების (მაგ. სამი (შემწველი) ალი (თ. ბატონიშვილი), (სადმე) ალი (დ. კარიჭაშვილი) და სხვ.) ასახვას და ზოგადად და ლაკონურად, მხოლოდ „კაემნის ალებით“ გადმოსცემს ავთანდილის სიტყვებს. შესაბამისად, ერთი ტაეპის დედანთან შედარების საფუძველზეც კი თვალშისაცემია, რომ მთარგმნელი შინაარსობრივად მართლაც სწორად ასახავს რუსთაველისეულ ფრაზებს და მაქსიმალურად ცდილობს

თარგმანის მიახლოებას დედანთან, თუმცა ის არ უღრმავდება თითოეული სიტყვის შინაარსს (მაგ. *სამ ალი*), მის მნიშვნელობას და ზოგადი სახით, მაგრამ შინაარსობრივად ტექსტთან მიახლოებით გადმოგვცემს დედნის ავტორის სათქმელს.

რაც შეეხება მეორე ტაეპს, მთარგმნელი აქაც, შინაარსობრივად მეტ-ნაკლები სიზუსტით მიჰყვება რუსთველის ტექსტს და მის მსგავსად აღნიშნავს: „ჩემი სევდიანი გული ისრების სამიზნეს წარმოადგენს, რომელშიც სატანა ისვრისო ისრებს“ (თარგმანი: ს.ს.). ვ. ურუშაძე მოცემულ პწკარში კვლავ მისეულ ექსპრესიულობასა და დინამიზმს სძენს თარგმანს და ავთანდილის გულს კიდევ უფრო სევდიანად წარმოგვიდგენს (and my **sad** heart (და ჩემი **სევდიანი** გული - ს.ს), მაშინ როდესაც რუსთველი გულს მხოლოდ ისრების სამიზნედ მოიხსენიებს და არაფერს ამბობს მის „განწყობილებაზე“ - სევდიანობაზე, თუ პირიქით, სევდისგან დაცლილობაზე.

საანალიზო სტროფის „პრობლემურ“ სიტყვასთან მიმართებაში კი, ამჯერად მეორე ტაეპის სამალთან დაკავშირებით, მთარგმნელი კვლავ უგულებელყოფს რუსთველისეულ „სამალს“ და აღნიშნული სიტყვის თარგმნისას მ. ჯანაშვილის მოსაზრების საფუძველზე შემუშავებულ ინტერპრეტაციას სთავაზობს მკითხველს (როგორც უკვე აღინიშნა, მ. ჯანაშვილის განმარტებით, სამალი - ძველ წიგნებში და დღეს სვანურადაც, სატანას ნიშნავს) და პირდაპირ თარგმნის „And my sad heart be the target of arrows shot by Satan“. აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს მთარგმნელის მიერ რუსთველისეული კონკრეტული სიტყვის გარშემო არსებული სხვადასხვა სახის ინტერპრეტაციებიდან ერთ-ერთის არჩევასთან, რაც დასაბუთებულად არ არის აღიარებული და შესაბამისად, რთულია მისი თარგმანში გადმოტანა ადეკვატურად იქნას აღქმული.

საანალიზო სტროფის მომდევნო, მესამე ტაეპის თარგმნის პროცესს მთარგმნელი კვლავ მის მიერ შერჩეული მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენებით აგრძელებს. ის კვლავ არ ერიდება სიტყვების და წინადადების დამატებასაც თარგმანში, ასე მაგ.: The woes I must bear, alas (დარდები, რომელთა ატანა მე მომიწევს, სამწუხაროდ - ს.ს.), შემდეგ კი პირიქით, საერთოდ უგულებელყოფს გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელ სიტყვებს და შემდეგს ათქმევინებს ავთანდილს: will shorten the days of my life (შეამცირებს ჩემი ცხოვრების დღეებს (ს.ს.)) და კვლავ თავს არიდებს რუსთველისეული ისეთი მნიშვნელოვანი შინაარსობრივი დატვირთვის მქონე

სიტყვების ასახვას თარგმანში, როგორცაა მოცემულ შემთხვევაში: *დღესითგან, ნასამალი*. მართალია მთარგმნელი შინაარსობრივი სიახლოვით მართლაც გადმოსცემს რუსთველისეულ ფრაზებს თარგმანში და მის მიერ სიტყვების და თუნდაც წინადადებების დამატებაც კი არაფერს ვნებს თარგმნილი ტექსტის შინაარსობრივ მხარეს, თუმცა მკითხველს მაინც რჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგ შემთხვევაში მთარგმნელი თავს არიდებს ისეთი სიტყვების გამოყენებას და თარგმანში ასახვას, რომელთან დაკავშირებითაც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები არსებობს (მაგ. სიტყვა „ნასამალი“). ამასთან, აღსანიშნავია, რომ მესამე ტაეპის ნასამალი ალბათ ერთ-ერთი ისეთი სიტყვაა აღნიშნული სტროფისა, რომელზეც მეცნიერთა დიდ უმრავლესობას საერთო აზრი გააჩნია და „მესამედად“ მიაჩნია იგი. რასაკვირველია, ქართველი მთარგმნელი უდავოდ კარგად იცნობდა აღნიშნულ ინტერპრეტაციებს, თუმცა სავარაუდოა, რომ გარკვეული სიტყვების დამატება, ზოგ შემთხვევაში კი პირიქით, ამოღება, ტექსტის გამართვისათვის სჭირდებოდა მას, რადგან სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა თარგმანის განხორციელება პოეტურ სტილში. სტროფის ბოლო, მეოთხე ტაეპის თარგმნისას, ვ. ურუშაძე კვლავ ზოგადი სახით გადმოსცემს დიდი პოეტის მიერ ავთანდილის პირით გამოთქმულ სიტყვებს. აქაც, ისევე როგორც ზემოთ წარმოდგენილ შემთხვევებში, საქმე გვაქვს გარკვეული სიტყვების დამატებასთან: მაგ. *My sorrow...woe...*, თუმცა საერთო ჯამში, საანალიზო სტროფის აღნიშნული, ბოლო ტაეპი ალბათ ყველაზე ახლოს არის დედანთან, როგორც შინაარსობრივი, ასევე ტექსტური სიახლოვის თვალსაზრისით.

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილული თარგმანის ანალიზის საფუძველზე დავინახეთ, ვ. ურუშაძე ცდილობს დაიცვას რუსთველის ხაზი შინაარსობრივი თვალსაზრისით და აღნიშნული მიმართულებით, მაქსიმალურად დაუახლოვოს თარგმნილი ტექსტი ორიგინალს. თუმცა რასაკვირველია შინაარსობრივი სიახლოვის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ტექსტის გამართვისათვის, მთარგმნელი იძულებულია გარკვეული ხერხები გამოიყენოს: ზოგიერთი სიტყვა დაამატოს, და შესაბამისად მეტი ექსპრესიულობა, თუ დინამიზმი შესძინოს თარგმანს, ან პირიქით, საერთოდ ამოიღოს ესა თუ ის ტექსტური ნაწილი, თუნდაც მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე სიტყვები, რაც რასაკვირველია არ აკნინებს თარგმანს, მისი ორიგინალის ტექსტთან სიახლოვის თვალსაზრისით, თუმცა ამ დროს იკარგება

შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაცია თარგმანში, რაც უკარგავს მკითხველს, დედნისეული სურათის სრულყოფილად აღქმის შესაძლებლობას თარგმანში.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ვენერა ურუმადის პოეტური თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“, უდავოდ, გვაძლევს იმის საფუძველს, დავასკვნათ, რომ თარგმანში მიღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ დიალობის და აზრისა თუ სხვადასხვა სახის თავისებურებების ასახვა. გემოვნებითა და მხატვრული ზომიერებით არის შერჩეული ინგლისურად გმირთა სახეებისა და ხასიათების გამომხატველი მხატვრული მეტყველების თავისებურებანი, მოსაწყენი სენტენციურობის დაღი არ დაჰკრავს სიბრძნის გამომხატველ თქმებსა და შეგონებებს. თარგმანის ღირსება უდავოდ არის ასევე ის, რომ ყველგან იგრძნობა ქართული ხასიათის განწყობილებისა და აზროვნების კვალი; „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ახალი ფერადოვნებით კიაფობენ ვენერა ურუმადის თარგმანში. მთარგმნელს იშვითად ღალატობს გემოვნება და ალლო რუსთველის პოეტური ნორმების გააზრებაში. მართალია, არაიშვითად არის თარგმანში გაზვიადება - ფანტაზიის ელემენტები, როცა მხატვრული სახეები გახსნილი არ არის, თანაზომიერება დედანსა და თარგმანს შორის არ იგრძნობა, ან სქემატურად არის ესა თუ ის პასაჟი გადმოტანილი, მაგრამ ძირითადად მაინც მოძებნილია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული აზრის რეალობის გასაღები და რუსთველის შემოქმედებითი მეთოდი თავის არსებით ნიშნებში, უდავოდ, გვხვდება თარგმანში (ანდრონიკაშვილი 1984:30-46).

§ 4.4.3. „ვეფხისტყაოსანი“ რობერტ სტივენსონის თარგმანში: ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

მარჯორი უორდროპის თარგმანი ცნობილ ინგლისელ ქართველოლოგს რობერტ სტივენსონს არადამაკმაყოფილებლად მიაჩნდა, ამიტომაც ჩათვალა „ვეფხისტყაოსნის“ ხელახლა თარგმნა საჭიროდ და თარგმნის მეთოდის შერჩევას, პროზაულ ფორმაზე შეაჩერა არჩევანი (ანდრონიკაშვილი 1984:10).

რობერტ სტივენსონი თითქმის 25 წელი თარგმნიდა პოემას და მისი თარგმანი 1977 წელს გამოიცა, ნიუ-იორკში (გამსახურდია 1984:152).

მთარგმნელმა „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ თარგმანს თან დაურთო ძალზე საინტერესო გამოკვლევა, რომელშიც სხვადასხვა უაღრესად საინტერესო საკითხებთან

ერთად, დასვა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დროს წამოჭრილი გამოწვევების გადაწყვეტის პრობლემა, თუმცა როგორც ზ. გამსახურდია აღნიშნავდა: „მთარგმნელი რომ უკეთ გასცნობოდა რუსთველოლოგიას, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ უკვე არსებული თარგმანების მეცნიერულ-კრიტიკულ ანალიზს, რომელიც პერიოდული პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა (მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, #2. #4, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე), მისი თარგმანი უთუოდ მოიგებდა“ (გამსახურდია 1984:152), თუმცა ზოგიერთი მეცნიერს, მაგ. ნ. ანდრონიკაშვილს, რ. სტივენსონის თარგმანი ინგლისურ თარგმანთა შორის (რასაკვირველია ლ. კოფინის თარგმანის გამოკლებით, რადგან ლ. კოფინმა თარგმანი 2015 წელს შეასრულა - ს.ს.) საუკეთესოდ მიაჩნდა (ლაშქარაძე ... 1980:24).

რ. სტივენსონი პოემის თარგმნას პოეტურად არახელსაყრელად მიიჩნევდა, რადგან მისი აზრით, რუსთველური შაირი, ან, როგორც ის უწოდებდა კატრენი, ნებისმიერ პოეტურ თარგმანში დაიშლებოდა, ასევე ვერ მოხდებოდა მაღალი და დაბალი შაირის დინამიკის დაცვა, თუმცა ის, თუ რას დაკარგავდა პროზაულ თარგმანში რუსთველის პოემა, ესეც კარგად ესმოდა მთარგმნელს. პროზაულ თარგმანში დაიკარგებოდა რუსთველის ლექსის პოეტური მეტყველების უბრწყინვალესი ინსტრუმენტი - პოლიფონიური ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი რითმები, ალიტერაცია და ბევრი სხვა რამ, რაც მთლიან, მწყობრ და სისტემურ პოეტურ სამყაროს ქმნიდა პოემისას, თუმცა მთარგმნელი მაინც წავიდა „დათმობაზე“, რადგან მიიჩნევდა, რომ თუ პროზაულ თარგმანში აღნიშნული უეჭველად მოხდებოდა, არც პოეტურში დაადგებოდა თარგმანს კარგი დღე (ანდრონიკაშვილი 1984:49).

XII საუკუნეში დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, დროისა და სივრცის თვალსაზრისით, რასაკვირველია საოცრად დამორებულია XX საუკუნის ინგლისური ენის სამყაროს, ამიტომაც ეს პოემა ვერ ითარგმნებოდა, როგორც რ. სტივენსონი წერდა, “გუმინდელი გაზეთის” ენაზე. მთარგმნელი აცნობიერებდა, რომ რუსთველის მეტაფორული სისტემის მიახლოებითი თარგმანიც კი ძალიან დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ტექსტობრივი სიძნელეების გარდა, უცხოელ მთარგმნელს კიდევ ერთი გარემოება ურთულებდა საქმეს: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხები რუსთველოლოგიურ მიებათა პრობლემატურ წრეს განეკუთვნებოდა და განეკუთვნება დღესაც, შესაბამისად ბუნებრივია, რომ სანამ უცხოელ მთარგმნელებს

ხელთ არ ექნებათ პოემის მეცნიერულად დადგენილი ტექსტი, მანამდე მათ უსათუოდ გაუჭირდებათ დედნის ყველა თავისებურებების გათვალისწინება და შეცდომებისა თუ გაუგებრობათა თავიდან აცილება, თუმცა ზ. გამსახურდიას თანახმად, თუნდაც პროლოგის თარგმნისას, სტივენსონი თითქმის იმავე შეცდომებს უშვებდა, რასაც იგი უთუოდ აიცილებდა თავიდან, ამ სფეროში უკანასკნელი ხანების მეცნიერულ კვლევას რომ გაცნობოდა და წაეკითხა ბოლოდროინდელი შრომები „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების შესახებ (აღნიშნულის დასტურად, ზ. გამსახურდია იხსენებდა 1970 წელს, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი პოეტი ბუდენზიგი, რომელმაც თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. აკად. ალ. ბარამიძის რეკომენდაციით მან ზ. გამსახურდია, სხვა მკვლევარებთან ერთად მიიწვია კონსულტანტად და გააცნო პროლოგის თარგმანი, რომელიც უკვე იბეჭდებოდა ჟურნალ „Mickiewich Blätter“-ში. „ჩვენ გავასწორეთ კორექტურა და მივუთითეთ მას ტიპურ შეცდომებზე, რომელთაც უშვებს თითქმის ყველა მთარგმნელი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თარგმნისას, რაც არის შედეგი ცალკეული ტერმინებისა და გამოთქმების ვერ გაგებისა და აგრეთვე უორდოპისეული ინტერპრეტაციებიდან გადახვევისა. უნდა ითქვას, რომ პროლოგის თარგმნისას სტივენსონი თითქმის იმავე შეცდომებს უშვებს...“ (გამსახურდია 1984: 152)).

რ. სტივენსონის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში ორი ტენდენცია იგრძნობა: ერთი მხრივ, მთარგმნელი ინარჩუნებს რუსთველისეულ ურთულეს მეტაფორულ სისტემას, შემღებისდაგვარად გადააქვს იგი თარგმანში, მეორე მხრივ კი, ხსნის, ამარტივებს, პერიფრაზს უკეთებს ამ მეტაფორებს. ამ შემთხვევაში, თარგმანი პწკარედივით გამოიყურება და თითქოს კარგავს კიდევ თავის ესთეტიკურ ფუნქციას. თუმცა აღსანიშნავია, რომ მთარგმნელი ითვალისწინებს ინგლისელთა გემოვნებას, რადგან რუსთველისეული მეტაფორული სისტემა ხშირად სრულიად გაუგებარია ინგლისელი მკითხველისათვის და ამიტომ მეტაფორათა ინტერპრეტაციას და პერიფრაზს მიმართავს, სწორედ ამიტომ შენიშნავდა ს. ცაიშვილი: „აღმოსავლურ პოეტიკას გაუცნობელ მკითხველს შეიძლება თვალი მოსჭრას მეტაფორათა ამ სიუხვემ და გაუგებრადაც კი მოეჩვენოს ზოგიერთი ადგილი“ (ცაიშვილი 1974:54), თუმცა უნდა ითქვას, რომ რ. სტივენსონი ძირითადად ვერ ინარჩუნებს თარგმანში რუსთველისეული მეტაფორის სპეციფიკას, რადგან მეტაფორის დაკონკრეტება, „განმარტება“

რუსთველისთვის უცხოა, მთელი სილამაზე მის მეტაფორებშია, მათ განუმარტავობაშია, ზოგჯერ ამოუცნობელობაშიც კი, რადგან რუსთველი მკითხველს მეტწილად უმაღლავს მეტაფორის ობიექტს, სტივენსონი კი პირიქით, აკონკრეტებს, შიფრავს მეტაფორებს და მზა, უკვე გაშიფრულ თარგმანს სთავაზობს მკითხველს. „დაიკარგა მთელი მომხიბლაობა პოეტური მეტყველებისა, დაიკარგა ბუნდოვანება, ყველაფერი ნამდვილი გახდა“ - წერს ზ. გამსახურდია, მეტაფორების სტივენსონისეულ თარგმანებთან მიმართებაში (გამსახურდია 1984:155-156).

ზოგადად აღსანიშნავია, რომ ის რასაც „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარები ითვალისწინებენ რუსთველის მსოფლმხედველობრივი ძირების კვლევა-ძიებისას, უნდა გაითვალისწინოს მთარგმნელმაც. ცალკეული ადგილების სწორი წაკითხვა არ არის მთარგმნელისთვის საკმარისი, რადგანაც პოემის ავტორის მსოფლმხედველობრივი საკითხები მჭიდროდ უკავშირდება პოემის მთლიან მხატვრულ სტრუქტურულ მოდელს და ერთიანობაშია აღსაქმელი. სტივენსონს, თუ ყველგან არა, უმეტესწილად, მეცნიერულად აქვს გააზრებული ტექსტი, იძლევა მის სწორ ინტერპრეტაციას და მისი პროზაული თარგმანიც სწორედ ამ თვალსაზრისითაა გამართლებული და მისაღები. ასევე აღიარებულია ისიც, რომ მთარგმნელი ითვალისწინებს ევროპელი მკითხველის გემოვნებას. მისთვის გასაგებია, რომ რუსთველის მეტაფორული სტილი ბევრგან მიუწვდომელია და გაუგებარი ევროპელი მკითხველისათვის. ამიტომ ხშირად მთარგმნელი აკეთებს ამ მეტაფორათა კომენტარს, პერიფრაზს, თუმცა ეს ხშირ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, აზიანებს თარგმანს და კრიტიკის საფუძველს იწვევს.

მეტად რთულია პოემის თარგმანის ანალიზი და შეფასება ერთ ჭრილში, თუმცა ერთი რამ პირუთვნელად შეიძლება ითქვას: მთარგმნელი არ წასულა იოლი გზით და ეს ემჩნევა თუნდაც იმ კომენტარებს, რომლებიც თარგმანს თან ახლავს, სადაც მოჩანს რ. სტივენსონის დიდი განსწავლულობა პოემის სპეციფიკის საკითხებში. იგი რუსთველის პოემის მიახლოებით ანალოგსაც ვერ პოულობს რუსთველის თანამედროვე დასავლეთ ევროპაში და ამას მთარგმნელი ბევრგან ამტკიცებს ევროპული ლიტერატურის შედარებით „ვეფხისტყაოსანთან“.

მართალია, რ. სტივენსონის თარგმანი პროზაულია, მაგრამ იგი არ არის პროზა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ჩვენს წინაშეა ფაქიზად და ნატიფად მოწოდებული

პოეტური პროზა. დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ მთარგმნელმა ძირითადად შეინარჩუნა რუსთველური მეტრისა და რითმის დაქტილური და ტროქეული ხასიათი. ინვერსიულ წყობაში იგრძნობა ორიგინალის აზრობრივი სიღრმე და მხატვრული ძალა. რაც შეეხება რუსთველისეულ პოეტურ ფიგურებს, სტივენსონმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გასაგები გაეხადა ინგლისელი მკითხველისათვის რუსთველის სამყარო მისი ყველა ნიუანსით. ამის გამო შეიძლება ბევრი რამის გაწირვა მოუხდა სრულიად შეგნებულად, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ ენაზეც რომ პროზის ენაზე ითარგმნოს, აქაც უამრავი სამკაული და თვალ-მარგალიტი დაიკარგება, რამეთუ პროზა და პოეზია თავისი საკუთარი კანონებით ცხოვრობენ და, როცა პოეზია პროზის საუფლოში იჭრება, პროზა ინარჩუნებს თავის უფლებებს.

ამჯერად დავუბრუნდეთ საანალიზო სტროფს (#708), რომელსაც სწორედ რობერტ სტივენსონისეულ თარგმანთან მიმართებაში წარმოვადგენთ, სტროფის თარგმანი კი მთარგმნელს 478-ე ნომრით შემდეგი სახით აქვს წარმოდგენილი:

ორიგინალი

#3. თარგმანი რ.სტივენსონისა

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ,
დამწვავს სამ ალი!

Alas, wherever I may be, when I have departed
three flames will consume me.

გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის
საკრავად სამალი;

This day has shortened my life to a third,

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან
ჩანს ნასამალი;

My heart has become a target for the arrow of
grief.

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი
პატიჟთა სამალი (რუსთაველი
1957:152)

I long for a refuge, but no hope is there now of
a shelter from pain (Stevenson 2003: 61)

საანალიზო სტროფის დედნისა და თარგმანის პირველივე ტაეპის შედარებისას ცხადია, რომ მთარგმნელი ცდილობს შინაარსობრივად დაიცვას ორიგინალი ტექსტის სიზუსტე, შესაბამისად, საანალიზო სტროფის პირველი ხაზიც მაქსიმალური სიზუსტით ასახავს რუსთველისეულ სათქმელს: „სადაც არ უნდა ვიყო, შენგან მოშორებით, ვაი რომ სამი ალი გამანადგურებს, დამდაგავს მე“ (თარგმანი: ს.ს.), ამბობს

სტივენსონთან ავთანდილი, ხოლო შემდეგ, მთარგმნელი აერთიანებს მეორე და მესამე ტაეპების შინაარსობრივ ხაზს და კვლავაც ტექსტთან მაქსიმალური შინაარსობრივი სიახლოვით გადმოსცემს დედნისეულ ფრაზებს. სტროფის ბოლო ტაეპის თარგმნის პროცესშიც, მთარგმნელი არ ღალატობს თარგმნის შერჩეულ სტილს, მისეულ მანერას და შინაარსობრივი სიზუსტის დაცვით გადააქვს დედნის შინაარსი თარგმანში, თუმცა რასაკვირველია თარგმანში არ იგრძნობდა ის დიდი პოეტური სინატიფე, სილამაზე და მელოდიურობა, რაც ასე ხელშესახები და თვალშისაცემია ორიგინალის მკითხველისათვის.

ერთი საანალიზო სტროფის თარგმანის ორიგინალთან შედარების საფუძველზე რასაკვირველია შეუძლებელია რ. სტივენსონის, ისევე როგორც დანარჩენი მთარგმნელების მიერ შესრულებულ თარგმანებთან დაკავშირებული ყველა საჭირბოროტო პრობლემის განხილვა, მათ შორის რუსთველოლოგიური ტერმინოლოგიის სრული ანალიზი, თუ თარგმანში მისი გადაღების ადეკვატურობის შემოწმება, თუმცა ჩვენ ვიზიარებით ზ. გამსახურდიას მოსაზრებას, რომ ყველა თარგმანის შესწავლა, ზოგადად, აუცილებელია მრავალი მიმართულებით, რადგან როგორც ზ. გამსახურდია აღნიშნავს: „პრაქტიკულად უნდა შევადაროთ, თუ როგორ აირეკლა უცხოურ თარგმანებში რუსთველის საბუნებისმეტყველო, იურიდიული, ასტრონომიული, ასტროლოგიური და სხვა დარგებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია; როგორ არის გაგებული და თარგმნილი მისი მაჯამები, აფორიზმები და სხვადასხვა ბრძნული სენტენციები, რაც კოლოსალურ შრომას საჭიროებს მრავალი მკვლევარისას, საჭიროა შესწავლა რუსთველის სტილისტური თავისებურებების, მისი პოეტური სახეების არეკვლის უცხოურ თარგმანებში და ა.შ.... დროა დაიწყოს სერიოზული მეცნიერულ-კრიტიკული ყოველმხრივი შესწავლა უკვე არსებული თარგმანებისა, შეიქმნას მუდმივმოქმედი საკონტროლო-საკოორდინაციო კომისია, რომელიც წინასწარ შეისწავლის და გააკონტროლებს ახალ თარგმანებს და წარმოადგენს დასკვნებს მათ შესახებ. ამ კომისიაში რუსთველოლოგებმა უნდა ითანამშრომლონ უცხო ენების მცოდნეებთან. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის საქმის ბედის ანაზრად მიტოვება ჭეშმარიტად დაუშვებელია...“ (გამსახურდია 1984: 179). აღნიშნულ სიტყვებს 1984 წ. წერდა მკვლევარი, მაგრამ სამწუხაროა, რომ მის სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალურობა და დღევანდელიობასთანაც შესაძლებელია იქნას მისადაგებული, რაც

თავიდან აგვაცილებდა თუნდაც იმ გაუგებრობებსა, თუ ბუნდოვანებას, რასაც პოემის უახლეს თარგმანში ვხვდებით.

§ 4.4.4. „ვეფხისტყაოსანი“ ქეთრინ ვივიანის თარგმანში: ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

რუსთველის მთარგმნელებსა და ინტერპრეტატორებს შორის საინტერესოა ინგლისელი მწერლის და მთარგმნელის, ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომლის ქეთრინ ვივიანის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანიც, რომელიც 1977 წელს გამოსცა ლონდონის ფოლიოს საზოგადოებამ (Folio Society), რაც დიდად მისასალმებელ მოვლენას წარმოადგენდა ქართველი საზოგადოებისთვის, ვინაიდან ვივიანისეული თარგმანის სახით ჩვენი კლასიკოსის უკვე მეოთხე თარგმანი შეემატა ინგლისურენოვან სამყაროს.

ქეთრინს დამთავრებული ჰქონდა სორბონის უნივერსიტეტი ფრანგული ცივილიზაციის განხრით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან გააგრძელა ფრანგული და ინგლისური ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესწავლა, თარგმნიდა ფრანგულიდან, წერდა ლექსებსა და პიესებს. მოგვიანებით, ქ. ვივიანმა ქართული ენის სემინარები გაიარა დევიდ მარშალ ლანგის ხელმძღვანელობით ლონდონის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკისა და აფრიკათმცოდნეობის ინსტიტუტში და სამოციანი წლების შუახანებიდან სიცოცხლის ბოლომდე, დიდი რუდუნებითა და სიყვარულით ემსახურებოდა ქართველოლოგიას (<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/archive/2/9>).

ქართული ენის შესწავლა ქეთრინ ვივიანმა პოემის მარჯორი უორდროპისეული თარგმანის წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა, ენის შესწავლის შემდეგ კი, სამოციანი წლების მიწურულს, პოემის თარგმნას მიჰყო ხელი.

ქეთრინ ვივიანმა პოემის თარგმანი ქართველ რუსთველოლოგებთან (ს. სერებრიაკოვი, მ. კარბელაშვილი, მ. გიგინეიშვილი და სხვ.) მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელა (ანდრონიკაშვილი 1984:69). 1972 წელს ის საგანგებოდ ეწვია თბილისს და ქართველი მეცნიერების დახმარებით დახვეწა და შეასწორა კიდევ საკუთარი თარგმანი. დიდი დახმარება აღმოუჩინა მას აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ, რომელმაც ყოველგვარი პირობა შეუქმნა მთარგმნელს, ტექსტის რთული ადგილების გასაგებად.

„ვეფხისტყაოსნის“ ვივიანისეული გამოცემა შემკობილია მამუკა თავაქარაშვილისეული ილუსტრაციებით. წიგნს ახლავს დ. ლანგის და ალ. ბარამიდის წინათქმები (ალ. ბარამიძე წერდა: „რუსთაველის პროზაულად ამეტყველების საქმეში ვივიანისეული მიდგომა სავსებით მისაღებია, რადგან მან მოგვცა როგორც ზუსტი სიტყვასიტყვითი, ასევე რიგი ადგილების თავისუფალი თარგმანიც, რომელიც ხელს შეუწყობს პოემის უფრო კარგად აღქმა-გაგებას და კიდევ უფრო პოპულარულს გახდის ამ ნაწარმოებს ინგლისურენოვან სამყაროში. მისეული მიდგომა ტექსტისადმი შესაძლოა ვინმეს საკამათოდ მოეჩვენოს, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მთარგმნელმა ჩანაფიქრს ბრწყინვალედ გაართვა თავი, ამიტომაც ქართული კულტურის ყველა მეგობარს და განსაკუთრებით ყოველ ქართველს ეს წიგნი გულში დიდი მადლიერების გრძნობას აღუძრავს“ (Rustaveli 2003:5)) და მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც მოჩანს ქალბატონი ქეთრინის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ქართული მწერლობის და განსაკუთრებით რუსთაველის პოემის მიმართ, მის მიერ შესრულებული თარგმანი კი ძალზედ საინტერესო ცდას წარმოადგენს რუსთაველის პოემის ინტერპრეტაციის საქმეში (ანდრონიკაშვილი 1984:69).

ქ. ვივიანი შესავალში მადლიერების გრძნობით იხსენიებს მ. უორდროპს, რომლის მეცნიერულად თარგმნილმა ტექსტმა, ს. წულაძის პწკარედის თარგმანთან ერთად, დიდი დახმარება გაუწია მას პოემის ცალკეული ადგილების გაგების თვალსაზრისით. დასაფასებელია ასეთი კეთილსინდისიერება, რადგან არსებობს მაგალითები, როდესაც მთარგმნელები არ ახსენებდნენ მ. უორდროპს, თუმცა კი მისი თარგმანით საკმაოდ ჰქონდათ ნასარგებლები. ზოგადად, მართალია განმეორებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მ. უორდროპი ერთგვარი გზის მაჩვენებელია სხვა მთარგმნელებისთვის და მისეული ინტერპრეტაციებიდან გადახვევა მხოლოდ და მხოლოდ შეცდომას და უზუსტობებს იწვევს (გამსახურდია 1984:185).

უეჭველია, რომ ინგლისურ გამოცემათა შორის ქ. ვივიანისეულ თარგმანს თავისი კუთვნილი და საპატიო ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ იმ პერიოდში არსებობდა თარგმანის გამოცემის აუცილებლობაც, რადგან მ. უორდროპის თარგმანი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა, ვ. ურუშაძის თარგმანი საქართველოში იყო გამოცემული და საეჭვო იყო, რომ ის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ინგლისელი მკითხველისათვის, სტივენსონის თარგმანიც ამერიკაში იყო გამოცემული და

შესაბამისად, პოემის თარგმანი სანთლით სამეზარეულო იყო ინგლისში. ძალზე საინტერესოა თვით ვივიანის მოსაზრება თარგმანის საჭიროებაზე და იმ უდიდეს აქტუალობაზე, რამაც განაპირობა მისი თარგმანის შექმნის საჭიროება. წინასიტყვაობაში მთარგმნელი აღნიშნავდა: “შოთა რუსთაველის ფეოდალური საზოგადოება დიდი ხანია გაქრა ჩვენი მხედველობიდან და ის ეპოქა, რომელშიც ის ცხოვრობდა, ჩვენთვის უცხოა. ამ პოემას უფრო ზეპირად ამბობდნენ, ვიდრე კითხულობდნენ... ამ პოემის ახალი თარგმანის ფორმა არჩეულია იმ პრინციპით, რომ ეს შორეული წარსული თანამედროვე მკითხველის მხედველობის არეში მოაქციოს და ისეთივე აქტუალური გახადოს ეს წარსული დღევანდელი ადამიანისთვის, როგორც რუსთაველის ეპოქაში იყო“ (Rustaveli 2003:17).

ქ. ვივიანის თარგმანი შესრულებულია ნაწილობრივ სიტყვა-სიტყვით და პროლოგის და ავთანდილის ანდერძის გარდა, ქართული ტექსტი ყველგან შემოკლებული და ადაპტირებულია, რათა ადვილად წასაკითხი და გასაგები იყოს მკითხველისათვის. პროლოგის თარგმნისას მთარგმნელი ირჩევს თავისუფალ ლექსს, დაქტილურ-ქორეული ტერფით. მარცვალთა რაოდენობა სტრიქონში არამყარია: გვხვდება 11, 12, 13-მარცვლიანი სტრიქონები ერთ სტროფში. თავისუფალი ლექსისათვის დამახასიათებელია საზომიდან გადახვევა, სტრიქონთა სიგრძის დარღვევა. საზომს ხშირად არღვევს ე.წ. რიტმის მოდულატორებიც, ხოლო რიტმის მონაცვლეობა ასეთია: a b c b. ქ. ვივიანის მიერ წარმოდგენილ თარგმანში, თავისუფალი ლექსი ლაკონურად და მაქსიმალურად იტევს დედანში გადმოცემულ აზრს, ხოლო მე-2 და მე-4 სტრიქონების შერითმება რბილ, მუსიკალურ ფონს უქმნის ლექსს და არ ღლის ყურს (ლაშქარაძე... 1980:28).

პოეტური სახეები და მეტაფორები მთარგმნელის მიერ უმეტესწილად თავისუფალი თარგმანის პრინციპით არის შესრულებული, რასაც თავად მთარგმნელიც აღიარებს. ქ. ვივიანის განცხადებით, ეს არის „თავისუფალი პროზაული თარგმანი“, რაც ზოგიერთი მეცნიერების გაოცებასაც კი იწვევს, ვინაიდან როდესაც რომელიმე დიდი კლასიკოსის (მაგ. ჰომეროსის ან დანტეს) პოემას პროზად თარგმნიან, ეს საწინდარია თარგმანის სიზუსტის, პრეციზულობის და მეცნიერული დასაბუთებულობის, რადგან პოეტურ თარგმანში შეუძლებელია სიზუსტის შენარჩუნება. პოეტური ქმნილების პროზად თარგმნის შემთხვევაში კი, თარგმანს ერთადერთი გამართლება შეიძლება ჰქონდეს -

ადეკვატურობის შენარჩუნება. პოეტური ნაწარმოების თავისუფლად თარგმნა - ლექსის სახით, კიდევ გასაგებია (როგორც მაგ. კაუპერისეული ჰომეროსი), მაგრამ პოემის პროზად თარგმნა და ისიც „თავისუფლად“ მეტისმეტიაო, აღნიშნავს ზ. გამსახურდია, თუმცა მიიჩნევს, რომ ქ. ვივიანმა თარგმანის „თავისუფლად“ მონათვლა ალბათ თავის დასაზღვევად უფრო გააკეთა, რადგან არ იყო დარწმუნებული, რომ თავს გაართმევდა პოემის რთულ ადგილებს და თუ ვინმე შეედავებოდა, იგი თავს გაიმართლებდა იმით, რომ ეს იყო თავისუფალი თარგმანი. ზ. გამსახურდია საკუთარ მოსაზრებას იმით ასაბუთებდა, რომ მსოფლიო კლასიკოსების თარგმანები ყველასთვის ცნობილია, მაგრამ არსად გაჟღერებულა მაგ. დანტეს, ჰომეროსის, ან გოეთეს თარგმნა „თავისუფლად“ სერიოზული ლიტერატორების მიერ, ისიც პროზად, რაც ისევ ზ. გამსახურდიას აზრით, ლიტერატურული ეთიკის დარღვევას და უპატივცემულობას აღნიშნავს ავტორისადმი (გამსახურდია 1984:185-186).

ქ. ვივიანის მიერ შესრულებული თარგმანის ზოგიერთი ადგილის ანალიზი ცხადს ჰყოფს, რომ ის საკმაოდ ადეკვატურია და სულაც არ არის თავისუფალი თარგმანი, რადგან ძირითადად ერთგულად მისდევს ტექსტს. ალაგ-ალაგ, მართალია თარგმანში არის შეცდომები, განსაკუთრებით საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური გამოთქმების გადმოღებისას, მაგრამ აშკარაა, რომ ეს შეცდომები ქ. ვივიანს მოუვიდა, ისევე როგორც სხვა მთარგმნელებს, არა არა-კომპეტენტურობის შედეგად, არამედ ტერმინოლოგიურ ნიუანსებში გაურკვევლობის გამო. მთარგმნელი კი ისე წარმოგვიდგენს საქმეს, თითქოს ეს შეცდომები ტექსტიდან შეგნებული, ცნობიერი გადახვევებია, ვინაიდან იგი თარგმნის თავისუფალ მეთოდს მიმართავს, თუმცა მეცნიერების აზრით, რ. სტივენსონის და ქ. ვივიანის თარგმანებს გაცილებით უფრო შეეფერებათ ეპითეტი „თავისუფალი“, ვიდრე ვივიანისეულ თარგმანს, განსაკუთრებით პროლოგთან მიმართებით (გამსახურდია 1984:192). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ დაშვებული შეცდომები გაცილებით უფრო მცირეა და უმნიშვნელო, ვიდრე მისი წინამორბედი მთარგმნელების. ამის მიზეზი კი უთუოდ არის ის, რომ მან აირჩია რუსთველოლოგებთან კონსულტირების გზა და გაითვალისწინა მათი რჩევები, რასაც ის თავადაც აღნიშნავს შესავალში.

პროლოგთან შედარებით, გაცილებით უფრო სუსტად არის თარგმნილი პოემის დანარჩენი ტექსტი, რაც ზოგიერთი მკვლევარის გაოცებას იწვევს, რადგან ლექსად

თარგმნილ პროლოგში უფრო მეტი ერთგულება ჩანს ტექსტის მიმართ, ვიდრე პროზად თარგმნილ დანარჩენ პოემაში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოემის დანარჩენი ტექსტი (პროლოგის გარდა) პროზად არის თარგმნილი, სადაც ალაგ-ალაგ იგრძნობა ტექსტის გაუბრალოება, დედნის სტილის გაღარიბება და აღწერითი აქსესუარების შეკვეცა და სქემატიზაცია. რუსთველისეული მეტაფორები აქაც, ისევე როგორც სტივენსონისეულ თარგმანში, ზოგჯერ არაადეკვატურად არის გადმოცემული. მეტაფორებთან დაკავშირებით როგორც ცნობილია, რუსთველს სჩვევია მეტაფორის ობიექტის შენიღბვა, მისი მეტაფორა გამოცანას ჰგავს ხშირად, ამიტომ, მთარგმნელმა მის გაშიფვრაზე კი არ უნდა იზრუნოს, არამედ შექმნას თავის ენაში მსგავსი მეტაფორები (გამსახურდია 1980:200).

ვივიანის თარგმანი პოემის პოპულარული გარდათქმვა და ის ფაქტობრივად პოემის შემოკლებულ, ადაპტირებულ თარგმანს წარმოადგენს, თუმცა საინტერესოა ქ. ვივიანისეული ინტერპრეტაცია, საანალიზო, 708-ე სტროფის კონტექსტში, რომელიც მთარგმნელთან 418-ე ნომრად არის წარმოდგენილი:

ორიგინალი

#4. თარგმანი ქ. ვივიანისა

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ,
დამწვავს სამ ალი!

... when I am far away

I shall suffer a thousand times.

Wherever I go to the fire of love will consume
me.

გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის
საკრავად სამალი;

My heart is a target where an arrow has found
its mark.

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან
ჩანს ნასამალი;

This will take years from my life,

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი
პატიჟთა სამალი (რუსთაველი
1957:152)

but the time is past for seeking refuge from
misfortune (Rustaveli 2003: 62)

საანალიზო სტროფის პირველი ტაეპის შემთხვევაში, მთარგმნელი შინაარსობრივ სიახლოვეს გამოხატავს რუსთველთან, თუმცა კი საკუთარ ინტერპრეტაციასაც

სთავაზობს მკითხველს, რადგან მთარგმნელი ზოგადი სახით გვამცნობს ავთანდილის სათქმელს: ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა..., ქ. ვივიანის ავთანდილი კი (ველად) გაჭრას საერთოდ უგულვებელყოფს და აღნიშნულის სანაცვლოდ, განშორებაზე, (მიჯნურთან) სიშორეზე მიუთითებს. რასაკვირველია შინაარსობრივად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ორივე შემთხვევაში მიჯნურთან განშორებასთან გვაქვს საქმე, თუმცა კი, გაჭრასა და (უბრალოდ) შორს ყოფნას შორის სხვაობა აშკარა და ცხადია რუსთველთან, ქ. ვივიენის თარგმანისგან განსხვავებით.

ამავე ტაეპის მომდევნო წინადადებასთან დაკავშირებით, სადაც ავთანდილი ამბობს „გლახ დამწვავს სამ ალიო“, ბევრი ინტერპრეტაცია არსებობს (იხ. ზემოთ), თუმცა კი მთარგმნელი არც ერთს არ ითვალისწინებს და რუსთველის სიტყვების ნაცვლად, საკუთარ ტექსტს სთავაზობს მკითხველს: ათასჯერ (thousand times) დავიტანჯები (დავიდაგებო) - ათქმევინებს ის ავთანდილს, თუმცა კი მომდევნო წინადადებით (wherever I go to the fire of love will consume me), მთარგმნელი ცდილობს გამოასწოროს პირველ ორ წინადადებაში დამწვებული უზუსტობები და სწორედ აღნიშნული წინადადებით ახერხებს მანამდე უგულვებელყოფილ შინაარსობრივ ხაზთან დაწევას და მიახლოებას დედანთან. საანალიზო სტროფის პირველივე ტაეპის დედანთან შედარების საფუძველზეც კი ცხადია, რომ საქმე გვაქვს მთარგმნელის მართლაც რომ თავისუფალ თარგმანთან, რადგან ის ცდილობს ზოგადი სახით გადმოსცეს დედანში წარმოდგენილი სურათი და არ უღრმავდება თითოეული სიტყვის მნიშვნელობასა, თუ სხვადასხვა მკვლევარების მიერ შემუშავებულ ინტერპრეტაციებს.

ჩვენთვის საინტერესო სტროფის მეორე ტაეპთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელს ასევე სწორად აქვს გაგებული და ზედმეტი გადახვევებისა და ინტერპრეტაციების გარეშე გადმოსცემს დედნისეულ აზრს თარგმანში, თუმცა კი შესაძლოა აღვნიშნოთ ერთი უზუსტობა, რაც ნამდვილად არ აყენებს ჩრდილს მთარგმნელის მიერ შესრულებულ თარგმანს. ეს არის წარსული დროის გამოყენება მთარგმნელის მიერ, მაშინ როდესაც აღნიშნული დროის გამოყენებით მთარგმნელი ავთანდილს ათქმევინებს: My heart is a target where an arrow has found its mark (გული მიზანია, რომელშიც ისარი უკვე ნასროლიაო (თარგმანი - ს.ს.)), რუსთველი კი ამავსე აზრს მიჯნურთან მომავალში მოსალოდნელ განშორებას უკავშირებს: თუ გაგმორდები, გულში მომხვდება ისრებიო, ეუბნება ავთანდილი თინათინს.

708-ე სტროფის მესამე ტაეპი, მთარგმნელს კვლავ სწორად აქვს აღქმული და ასახული თარგმანში, მაგრამ აქაც, ისევე როგორც სტროფის პირველი ორი ხაზის შემთხვევაში, ის უგულვებელყოფს როგორც თავად რუსთველის, ასევე რუსთველის ინტერპრეტატორების მოსაზრებებს და სიტყვა „ნასამალს“ (მესამედი) საერთოდ არ იყენებს. მთარგმნელი ასევე თავს არიდებს სიტყვის „დღესითგან“ გამოყენებას. აღნიშნული სიტყვების თარგმანში დაკარგვის გამო, ავთანდილს გულის ნადები მთარგმნელთან უფრო ზოგად ხასიათს იძენს: ეს წაიღებს ჩემი ცხოვრების წლებსო (ან: ამას დაჭირდება ჩემი ცხოვრების წლები) (თარგმანი - ს.ს.) - ვკითხულობთ თარგმანში, რაც რასაკვირველია გამოხატავს რუსთველის აზრს, თუმცა ზედაპირულად და სიღრმისეული განცდების ასახვის გარეშე.

სტროფის ბოლო ტაეპთან მიმართებაშიც უნდა ითქვას, რომ მთარგმნელი არ ღალატობს თავისუფალი სტილით თარგმნის პრინციპს და ისეთ სიტყვათა შეთანხმებებს, როგორც არის, მოცემულ შემთხვევაში: *მაღვა მწადს*, საერთოდ არ იყენებს თარგმანში, თუმცა აღნიშნული კონტექსტის უგულვებელყოფის შემდეგ, ის ახერხებს დაეწიოს დედნის შინაარსობრივი ხაზის განვითარების პროცესს და მთარგმნელობითი ოსტატობის გამოყენებით, გადმოსცემს ბოლო ტაეპის შინაარსს:...მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი (but the time is past for seeking refuge from misfortune), რაც ფაქტობრივად დედნის ტექსტის ამეტყველებად გვესახება თარგმანში.

პოემის ქ. ვივიანისეული თარგმანის შეფასება ერთი სტროფის ანალიზის საფუძველზე რასაკვირველია არ არის მართებული, თუმცა ფაქტია, რომ მთარგმნელი ირჩევს მართლაც რომ თავისუფალ სტილს თარგმნისას და ეს ერთი სტროფის მაგალითზეც აშკარაა მკითხველისთვის. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ქ. ვივიანის მიერ შესრულებული თარგმანი უფრო რუსთველის ადაპტაციის, გათანამედროვეობის მცდელობას წარმოადგენს, რასაც ალბათ ბუნებრივად აღიქვამს მკითხველი, იმდენად დამაჯერებელია მთარგმნელის პოზიცია თარგმნის პროცესში, თუმცა კი ამ ბუნებრიობაში შეიძლება ითქვას, რომ იკარგება ნამდვილი „ვეფხისტყაოსანი“ და რუსთველის ჭეშმარიტი სული, რაც არ ეხება ლექსად თარგმნის პროლოგს, რადგან პროლოგი იმდენად კარგად არის შესრულებული, რომ ის საშუალებას იძლევა, რომ ინგლისელმა მკითხველმა იგრძნოს ჩვენი დიდი წინაპრის სიბრძნე და ლექსის

მომხიზველელობა (ლაშქარაძე... 1980:35), თუმცა არ შეიძლება არ დავაფასოთ მთარგმნელის, როგორც მწერლის დახვეწილი გემოვნება, ფაქიზი და გულშიჩამწვდომი, სადა, მაგრამ ღრმა ნიუანსებით დატვირთული სული, როგორც ეროვნული სინამდვილის გადმოცემის გულწრფელი მცდელობა და სურვილი.

§4.4.5. „ვეფხისტყაოსანი“ ლინ კოფინის თარგმანში: ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

ამერიკელი პოეტის, მწერლისა და მთარგმნელის, ლინ კოფინის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ 2015 წელს გამოიცა თბილისში. თარგმანის გამომცემლის, ნ. ალხაზიშვილის თანახმად, ტექსტი თარგმნილია პოემის 1966 წლის გამოცემის მიხედვით, რომლის რედაქცია ეკუთვნით ი. აბაშიძეს, ალ. ბარამიძეს, პ. ინგოროყვას, ა. შანიძესა და გ. წერეთელს. ნ. ალხაზიშვილის ცნობით, ტექსტი შემდგომ შედარებულია ნ. ნათაძის სასკოლო გამოცემასთან. პროლოგის თარგმანი შესრულებულია გ. ჯოხაძის პწკარედის მიხედვით, ხოლო დანარჩენი ტექსტის თარგმანის საფუძველს დ. კიზირიას პწკარედი წარმოადგენს. გამომცემლის განცხადებით, თარგმანში გათვალისწინებულია, როგორც ნ. ნათაძის, ასევე ლ. გიგინეიშვილის შენიშვნები (Rustaveli 2015:358), რომელმაც ბოლოთქმა დაურთო ხსენებულ თარგმანს. თარგმანს წინათქმის სახით დართული აქვს მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯის რუსული და ევრაზიული კვლევების პროფესორის, სტივენ ჯოუნსის წინასიტყვაობა, სადაც ის მთარგმნელის წინამორბედებად ქ. ვივიანსა და რ. სტივენსონს მოიხსენიებს და აცხადებს, რომ ლ. კოფინის თარგმანი პოემის ერთ-ერთ უზუსტეს და კითხვად თარგმანს წარმოადგენს ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში (Rustaveli 2015:6), რასაც ნაწილობრივ შესაძლოა დავეთანხმოთ კიდევ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პოემის თარგმნას ინგლისურ ენაზე, ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში, მართლაც არ ჰქონია ადგილი.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში (მთარგმნელი წიგნს 3 წლის განმავლობაში თარგმნიდა (Rustaveli 2015:358), მთარგმნელის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, რუსთველისეული ქართული ხმოვანების ასახვა და მეორე მხრივ, ერთგულების შენარჩუნება ტექსტისადმი, რათა არ მომხდარიყო მნიშვნელოვანი ნიუანსების და სიღრმეების დაკარგვა თარგმანში. „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში, რასაკვირველია მეტად რთულია აღნიშნული ასპექტების ერთდროულად შენარჩუნება თარგმანში,

რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ნებისმიერ სხვა ენაზე იმ მარჯვე და ამბივალენტური სიტყვების გადმოცემა, რომელსაც რუსთველი იყენებდა საკუთარ გამოთქმებში, თუმცა ზოგადად მთარგმნელის ოსტატობაზე მეტყველებს მისი შეძლებისდაგვარად გამართულად ასახვა თარგმანში, შინაარსობრივი ცვლილების გარეშე. ლ. კოფინი კი, ძირითადად ზოგადი შინაარსის ასახვასა და ლექსის ხმოვანების შენარჩუნებაზე აკეთებს აქცენტს, რის გამოც კოფინისეული თარგმანი დედანთან შედარებით ბუნდოვანებას იძენს, ზოგჯერ კი მეტად მნიშვნელოვანი შინაარსობრივი დატვირთვის მქონე ნიუანსები არამცთუ სრულად არ არის მოცული და ახსნილი, არამედ არასწორ ინტერპრეტაციადაც კი გვევლინება თარგმანში.

ლ. გიგინეიშვილი ბოლოთქმაში აღნიშნავს, რომ ახალი ინგლისურენოვანი ტექსტი ადასტურებს, თუ როგორ ღირსეულად და გამბედავად „გაუწია მეტოქეობა“ მთარგმნელმა მეთორმეტე საუკუნის წინამორბედს, თუმცა უნდა ითქვას აღნიშნული სიტყვების ზედმეტად სუბიექტური და გადაჭარბებული ხასიათი, მთარგმნელთან მიმართებაში, რადგან თარგმნილი ტექსტი ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად შესწავლილი და დანამდვილებით მტკიცება იმისა, შეძლო თუ არა მთარგმნელმა ღირსეული მეტოქეობა გაეწია დიდი რუსთველისთვის, მეტად საკამათო საკითხია და რასაკვირველია გულწრფელ გაოცებას იწვევს მკითხველში. ამასთან, აღნიშნული სიტყვები არა მხოლოდ აკნინებს წინამორბედ მთარგმნელებს, არამედ მათზე მაღალ საფეხურზეც კი აყენებს ლ. კოფინის თარგმანს, მაშინ როდესაც წინა თარგმანებთან მიმართებაში ზ. გამსახურდია ჯერ კიდევ 1984 წ. წერდა: „ინგლისური თარგმანები ვერ აკმაყოფილებს მეცნიერული კრიტიკის მოთხოვნებს... ეს ეხება ვ. ურუშაძის, რ. სტივენსონის, ქ. ვივიანის თარგმანებს“ (გამსახურდია 1984:209), და ეჭვი გვეპარება ლ. კოფინის თარგმანი მათზე აღმატებული ყოფილიყო, თუმც კი აღნიშნული, რასაკვირველია, მეტად სასურველი და მისაღები იქნებოდა ქართველი საზოგადოებისთვის. საინტერესოა ასევე ისიც, რომ მთარგმნელი მადლობას უხდის გაწეული დახმარებისთვის წიგნის რედაქტორებს, თუმცა კი არაფერს ამბობს წინამორბედ მთარგმნელებზე, რაც სამწუხაროდ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ის არ იცნობს თუნდაც მ. უორდროპის მიგნებებს და მის მიერ გაკვალულ გზას, რასთან გაცნობა და ზიარებაც, რასაკვირველია უფრო მეტად აამაღლებდა მისეული თარგმანის

ხარისხს, როგორც მეცნიერული, ასევე დედნის ტექსტთან სიახლოვის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თვალსაზრისით.

უახლესი, ლ. კოფინისეული თარგმანის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად, საინტერესოა საანალიზო, 708-ე სტროფის ინტერპრეტაცია ლინ კოფინის თარგმანში, რომელიც მთარგმნელთან, 713-ე სტროფად არის წარმოდგენილი:

ორიგინალი

#5. თარგმანი ლ. კოფინისა

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ,
დამწვავს სამ ალი!

Woe is me, if I should stray: the killing fire of
love will start.

გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის
საკრავად სამალი;

I am the target of an arrow; I'm the object of a
dart.

დრო სიცოცხლისა ჩემისა **დღესითგან**
ჩანს **ნასამალი**;

The time of my life henceforth is diminished to
a one third part.

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი
პატიჟთა **სამალი** (რუსთაველი
1957:152)

The time to hid my pain is past. There is no
refuge for my heart (Rustaveli 2015:159)

საანალიზო სტროფის პირველივე ტაეპის დედანთან შედარებისას ცხადია, რომ მთარგმნელი შინაარსობრივად ახლოს არის რუსთაველისეულ ტექსტთან, თუმცა კი ვხვდებით გარკვეულ უზუსტობებს. ასე მაგალითად: დედანში ვკითხულობთ: ვა თუ გავიჭრა..., თარგმანში კი გვაქვს: ვაი მე (ჩემს თავს), თუ უნდა (იძულებული ვიქნები, რომ) გავიჭრა (თარგმანი - ს.ს.). დედანში ავთანდილი აგრძელებს: გაჭრილსა სადა, გლახ დამწვავს სამ ალი..., თარგმანში კი, ლ. კოფინის ავთანდილი ამბობს: სიყვარულის მკვლელი ცეცხლი დაიწყებაო (თარგმანი - ს.ს.). წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელი მართალია შინაარსობრივად სწორად გადმოსცემს ავთანდილის სიტყვებს და მის გულის ნადებს თარგმანში, თუმცა კი, განსხვავებულად, მთარგმნელისეული ინტერპრეტაციით, რადგან კოფინთან ავთანდილი საკუთარ ველად გაჭრას თითქოს სხვის მიერ მასზე დაკისრებულ

ვალდებულებად წარმოგიდგენს, მაშინ როდესაც დედანში ეს ავთანდილის საკუთარ პასუხისმგებლობას და უპირველესყოვლისა, მის სურვილს წარმოადგენს.

თარგმანში ავთანდილი ასევე ამბობს, რომ განშორების შემდეგ დაიწყება სიყვარულის მკვლელი ცეცხლი, ე.ი. ის აკონკრეტებს ცეცხლის „ტიპს“, თუმცა კი არაფერს ამბობს მკვლელი ცეცხლის დაწყების მოსალოდნელ შედეგზე: მკვლელი ცეცხლით წვაზე, დადაგვაზე, ცეცხლის ალით დაფერფვლაზე თუ ა.შ., რაც რასაკვირველია, შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან გადაცდომას არ წარმოადგენს დედნისაგან, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთარგმნელს თარგმნის მარტივი გზა აქვს არჩეული და ის ამკარად არ იცნობს მისი წინამორბედი მეცნიერების მიერ შემუშავებულ და გააზრებულ ინტერპრეტაციებს. მთარგმნელი სიტყვასიტყვით მიყვება პწკარედის თარგმანს და არ ცდილობს თითოეული სიტყვისა, თუ ფრაზის სიღრმეებში შევიდეს და შესაბამისად გაეცნოს ქართველი თუ უცხოელი მთარგმნელებისა თუ რუსთველოლოგების მიგნებებს.

საანალიზო სტროფის მეორე ტაეპთან დაკავშირებით, მთარგმნელი კვლავ შინაარსობრივად სწორად გადმოსცემს ავთანდილის სათქმელს: ისრის სამიზნე ვარ (და) სასროლი (შუბის) ობიექტო (თარგმანი - ს.ს.), ამბობს მასთან ავთანდილი, მაშინ როდესაც დედანში, პოემის გმირი უფრო დაზუსტებით და სიღრმისეულად გადმოსცემს საკუთარ გრძნობებს: გული ძეს საგნად ისრისა (სიტყვა „გულს“ მთარგმნელი საერთოდ უგულებელყოფს), მესრვის საკრავად სამალიო. აღნიშნული ფაქტი ტექსტის დედანში მომავალს ეხება, ავთანდილი ამბობს, რომ თუ გავიჭრები ველად, (მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება) გული ... სამალის სამიზნეო, რაც მთარგმნელს თითქოს უფრო გამარტივებულად, მკითხველისთვის ადვილად გასაგებად და აწმყო დროის გამოყენებით აქვს წარმოდგენილი.

სტროფის მომდევნო ტაეპი ყველაზე მეტად არის დაახლოებული დედანთან, რადგან აქ ზედმიწევნითი სიზუსტით არის გადმოცემული ავთანდილისეული გრძნობები, თანაც, მთარგმნელი არ ერიდება თარგმანში ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვების გადატანას, როგორც არის *დღესითგან* (henceforth), რაც არაერთ მთარგმნელს აქვს გამოტოვებული თარგმანში და *ნასამალი*, ანუ სიცოცხლის ერთი მესამედით შემოკლება, რაც ვფიქრობთ, თარგმანს დედანთან აახლოვებს და თარგმანის სასიკეთოდ მეტყველებს.

რაც შეეხება საანალიზო სტროფის ბოლო ტაეპს, უნდა ითქვას, რომ სტროფის როგორც აღნიშნული, ისევე ამავე სტროფის მესამე ტაეპი, დედანთან სიახლოვით ასახავს ავთანდილის განცდებს, თუმცა მთარგმნელს გამოტოვებული აქვს ისეთი ხატობრივი ინფორმაციის გადატანა თარგმანში, როგორც არის *მალვა მწადს* და დამატებული აქვს საკუთარი ინტერპრეტაცია შემდეგი სიტყვებით: ჩემი გული - my heart, რაც, რასაკვირველია, არ აკნინებს თარგმნილ ტექსტს, თუმც არც სძენს რაიმეს მას და გარკვეულწილად ამორებს დედნისაგან, ხატობრივი ინფორმაციის თარგმანში დაკარგვით.

§ 4.5. „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე

„ვეფხისტყაოსნის“ და მისი ავტორის შესახებ პირველად რუსმა და უცხოელმა მკითხველმა გაიგო მიტროპოლიტ ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნიდან „საქართველოს ისტორიული მდგომარეობის ასახვა პოლიტიკური, ეკლესიური და სამეცნიერო მდგომარეობის მიხედვით“ (Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учёном ее состояний, Спб. 1802). წიგნი მალევე ითარგმნა გერმანულ ენაზე, მოკლე შინაარსი კი ფრანგულად. დღესდღეობით, რუსთველის პოემა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზეა გაჟღერებული თარგმანების საშუალებით (რუსთველი 1988:30), თუმცა პოემის სრული ტექსტი რუსულად სულ ხუთი ავტორის მიერ არის თარგმნილი, ესენი არიან: (1) კონსტანტინე ბალმონტი, (2) პანტელეიმონ პეტრენკო, (3) გიორგი ცაგარელი, (4) ნიკოლაი ზაბოლოცკი და (5) შალვა ნუცუბიძე .

არსებობს პოემის გარკვეული ფრაგმენტების რუსულენოვანი თარგმანებიც, რაც რუსული მთარგმნელობითი ხელოვნების აღიარებული სპეციალისტების მიერ არის შესრულებული (პ. ანტოკოლსკი, ვ. დერჟავინი, ე. ევტუშენკო (რუსთველი 1988:30)), თუმცა თარგმნილი მასალის ფრაგმენტულობის გამო, მათ განხილვას მოცემულ კონტექსტში თავს ავარიდებთ.

„ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებთან მიმართებაში საგულისხმოა, რომ მთარგმნელების წყაროს წარმოადგენდა დედნის სხვადასხვა ტექსტები. როგორც ცნობილია, პოემა შემონახულია მხოლოდ XVII საუკუნის დროინდელ ასლებში, მათ შორის კი შეინიშნება მნიშვნელოვანი ხასიათის ტექსტობრივი შეუსაბამობები, რადგან შუა საუკუნეების ტრადიციის შესაბამისად, გადამწერი ხშირად ირგებდა რედაქტორის,

ზოგჯერ კი თანა-ავტორის როლს ნაწარმოების გადაწერის პროცესში, ახდენდა რა საკუთარი და თანამედროვე პერიოდის შეხედულებების გათვალისწინებას და ცვლიდა დედნის ამა თუ იმ ნაწილს, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეხედულებების საფუძველზე.

პოემის საავტორო ტექსტის სრული რეკონსტრუქციის მიზანი, ე.ი. შემდგომი დამატებების და ცვლილებების მოცილება, მიზნად დაისახა პოემის პირველმა გამომცემელმა ვახტანგ VI-მ, 1712 წელს. აღნიშნული პერიოდიდან ტექსტის სამეცნიერო კრიტიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა პოემის მკვლევარები საკმაოდ არგუმენტირებულ ტექსტოლოგიურ გადაწყვეტებს მხოლოდ ბოლო დროს თუ მიუახლოვდნენ. შესაბამისად, როდესაც მაგალითად ბალმონტი მუშაობდა პოემის ტექსტის თარგმანზე გასული საუკუნის 10-იან წლებში, პეტრენტკო - 30-იან წლებში, ხოლო ზაბოლოცკი 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იანი წლების დასაწყისში, ქართული ტექსტი, რომელზეც ისინი მუშაობდნენ, მისი შესწავლის სხვადასხვა ეტაპს ასახავდა. სწორედ ეს არის თარგმანებში არსებული განსხვავებების, ასევე პოემის თავების და სტროფების სხვადასხვა ნუმერაციის და აზრობრივი, თუ სხვა სახის შეუსაბამობების მიზეზი, თუმცა ეს არ ასახულა პოემის სიუჟეტზე, მისი ძირითადი პერსონაჟების ხასიათებსა და მნიშვნელოვანი დრამატული ეპიზოდების შინაარსზე. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვემოთ წარმოდგენილი რუსული თარგმანები პოეტურ თარგმანებს წარმოადგენს, სადაც ასახულია მთარგმნელობითი მეთოდების არა მხოლოდ სხვადასხვა სტილი, არამედ მთარგმნელობითი ხელოვნების სკოლების გავლენაც კი, თუმცა, სხვადასხვა თარგმანების პარალელურ რეჟიმში გაცნობა უზრუნველყოფს პოემის მხატვრული თავისებურებების გაცნობის შესაძლებლობას (Руставели 1988: 31-32).

კონკრეტული თარგმანების განხილვამდე უნდა აღინიშნოს, რომ რუსთველის პოემა დაწერილია ნატიფი, მოქნილი, თექვსმეტ-მარცვლიანი ლექსით, რომელიც ცნობილია „შაირის“ სახით. მონოტონურობის თავიდან აცილების მიზნით, პოემის ავტორი იყენებს შაირის ორ სახეობას, ე.წ. მაღალ შაირს (4+4+4+4) და დაბალ შაირს (5+3+5+3, ან 3+5+3+5 მარცვალი), ცეზურა (პაუზა ლექსის სტრიქონში) ორივე შემთხვევაში, ძირითადი ლექსის შუა ნაწილზე მოდის (8+8).

შაირის ორივე სახეობის სტროფები ოთხი ხაზისგან შედგება. მაღალი შაირის რითმები ხშირად ქალურია, დაბალი შაირის - დაქტილური. გამონაკლისს წარმოადგენს ომონიმური (მაჯამური) რითმები - ისინი აუცილებლად ოთხმარცვლიანია (ომონიმური სტროფი პოემაში სულ დაახლოებით ოცია), რითმიკა კი ხორციელდება შემდეგი სქემით: ა-ა-ა-ა.

მაღალი და დაბალი შაირის სტროფების რეგულარული თანმიმდევრობა პოემაში არ აღინიშნება, მათ გამოჩენას ტექსტში თითქმის ყოველთვის შინაარსი განაპირობებს. მაღალი შაირი, როგორც წესი, ვლინდება სწრაფი მოქმედების, დრამატული სცენების, ჩხუბის, ბრძოლის სურათის და მისთ. აღწერისას, დაბალი შაირი კი წარმოდგენილია ძირითადად შენელებული მოქმედების აღწერის დროს, მოქმედი პირების საუბრის პროცესში. მარცვლების რაოდენობა და ცეზურის მდებარეობა მაღალი და დაბალი შაირის სტროფებში იდენტურია, მაგრამ განსხვავებულია მათი რიტმი. სამწუხაროდ, დაბალი შაირი არ მიესადაგება რუსული კლასიკური ლექსის არც ერთ ცნობილ სქემას, ხოლო მაღალი შეესაბამება მაგალითად ზემოხსენებულ ქორეას. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ პოეზიაში ასეთი ქორეა არ არსებობს, ოთხსტროფიანი ქორეის ორი სახის კომბინაცია იძლევა მაღალ შაირთან მიახლოების შესაძლებლობას. რუსული თარგმანების ავტორებიც ასე იქცევიან და დედნის ტექსტობრივი წყობის მიუხედავად, სტროფს ცეზურის გამოყენებით ორ ნაწილად ჰყოფენ (Руставели1988:32-33).

საინტერესოა, თუ როგორ არის საანალიზო (708-ე) სტროფი თარგმნილი რუსულენოვან თარგმანებში, რასაც უფრო ვრცლად და დეტალურად, ქვემოთ შევხებით.

§ 4.5.1. „ვეფხისტყაოსანი“ კონსტანტინე ბალმონტის თარგმანში - ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის პირველი სრული პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე გამოჩენილ რუს პოეტს, კონსტანტინე ბალმონტს ეკუთვნის. ქართულ პოემას იგი ასე გაეცნო: საოკეანო ხომალდით მოგზაურობისას კ. ბალმონტი შეხვდა მარჯორი უორდროპის ძმას - დიპლომატ ოლივერ უორდროპს, რომელიც კითხულობდა მისი დის მიერ ინგლისურად თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“. ბალმონტი იმდენად დაინტერესდა პოემით, რომ გადაწყვიტა შესდგომოდა მის თარგმნას, ხოლო მანამდე

პირადად გასცნობოდა რუსთველის სამშობლოს. თავისი გადაწყვეტილება ბალმონტმა სისრულეში მოიყვანა და მისი თარგმანი პირველად 1917 წელს გამოიცა მოსკოვში (ჩაჩანიძე 1980:18).

პოემის თარგმნის პროცესში კ. ბალმონტს დახმარებას უწევდნენ ქართველი კონსულტანტები (მათ შორის პოეტი ტიციან ტაბიძე, აკადემიკოსი ნ. მარი), ამასთან, ის სარგებლობდა მ. უორდროპის ინგლისური თარგმანით და ასევე ეუფლებოდა ქართულ ენას, რომ ჰქონოდა პოემის დედანში წაკითხვის შესაძლებლობა, თუმცა საკუთარი თარგმანი მაინც „გადამღერებად“ მიაჩნდა პოეტს (რუსთაველი 1988:630-632).

ბალმონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ეფექტურია, თუმცა დედნისგან განსხვავდება სტროფის ის სტრუქტურა, რასაც ბალმონტი თარგმნის პროცესში იყენებს. მასთან ვხვდებით რვამარცვლიან ლექსს შემდეგი რითმიკით (a-a-a-b-c-c-c-b), რაც წინააღმდეგობაში მოდის რუსთველისეულ რითმასთან.

ბალმონტთან მსგავსი რითმები ჩნდება გაორმაგებული სიხშირით, რაც ზღუდავს სიტყვების შერჩევის თავისუფლებას. მთარგმნელი უკვე ვეღარ მიჰყვება დედანს სასურველი ძალდატანების გარეშე და იძულებულია დაემორჩილოს რითმიკის დაპროგრამებული სქემის კარნახს. ბალმონტი, რომელიც კეთილხმოვანების ვირტუოზულ ხელოვნებას ფლობს, იძულებულია, არ გამოიყენოს იგი და უერთგულოს რითმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ის ხშირად არღვევს ფრაზაში აზრის დაყოფის და პწკარში ტექსტის დაყოფის თანხვედრის კანონს, რაც იწვევს აზრის გადმოცემის გართულებას ტექსტში (რუსთაველი 1988:34), თუმცა ს. იორდანიშვილმა („ვეფხისტყაოსნის“ პწკარედის რუსული თარგმანის ცნობილი ავტორი) დეტალურად შეისწავლა ბალმონტის ტექსტი დედანთან მიმართებაში და მიუხედავად მის მიერ გამოვლენილი ყველა შინაარსობრივი ხასიათის განსხვავებისა, დაასკვნა აღნიშნული თარგმანის დიდი უპირატესობა სხვებზე (რუსთაველი 1988:632).

საინტერესოა საანალიზო სტროფის ბალმონტისეული თარგმანი:

ორიგინალი

#1. თარგმანი კ. ბალმონტისა

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ,
დამწვავს სამ ალი!

Быть с тобой – с собой быть в бое. Прочь
идти – терзанье злое,

გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის
საკრავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა **დღესითგან**
ჩანს **ნასამალი**;

В десять сотен раз лихое. В сердце стрелы
бьют, как в цель.
Ветер жгучий веет в очи. Стала жизнь моя
короче.

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი
პატიჟთა **სამალი** (რუსთაველი
1957:152)

Полны горя зреют ночи, и тоска – моя
постель (Руставели 1988:125).

სტროფის პირველივე ტაეპი თარგმანში პოეტურად მომხიბლავი და მიმზიდველია, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ თარგმანი დედანს შინაარსობრივად გარკვეულწილად შორდება კიდეც, რადგან დედანში ავთანდილი თინათინს ეუბნება: თუ დაგშორდები, (მიჯნურობის) ცეცხლი დამწვავსო, თარგმანში კი მთარგმნელი (მიჯნურობით გამოწვეულ) ცეცხლს და აღნიშნული ცეცხლით დაწვას საერთოდ არ ახსენებს და შემდეგი შინაარსის სიტყვებს ათქმევინებს ავთანდილს: შენთან ყოფნა საკუთარ თავთან ჭიდილს ნიშნავსო, რაც რასაკვირველია ზუსტად არ ასახავს პირველი ტაეპის შინაარსს, თუმცა კი, ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით, შინაარსობრივადაც და აზრობრივადაც, აღნიშნული ინტერპრეტაცია გამართულ ხასიათს იძენს, შემდეგი მიზეზის გამო, რადგან ავთანდილი ცდილობს აუხსნას თინათინს მისი წასვლის გარდაუვალობა და სწორედ ამის ასახვას ცდილობს ბალმონტი. როდესაც ავთანდილი ეუბნება თინათინს: შენთან ყოფნა საკუთარ თავთან ჭიდილს ნიშნავს, შენთან დაშორება კი ტანჯვის ველზე გასვლასო, ე.ი. შენთან დარჩენაც არ მომასვენებს, შენთან განშორება კი ტანჯვად გადამექცევასო. შესაბამისად, მთარგმნელისეული ინტერპრეტაციისა და მის მიერ, დედანში წარმოდგენილი გარკვეული სიტყვების (მაგ. სამ ალი) საკუთარი სიტყვებით ჩანაცვლების მიუხედავად, მთარგმნელი არ შორდება დედანს და

შინაარსობრივად სწორად, თუმცა კი განსხვავებულად, გამოხატავს რუსთველის სათქმელს.

მეორე ტაეპის თარგმანში წარმოდგენილი პირველივე წინადადება (В десять сотен раз лихое) მთარგმნელის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს (სავარაუდოდ თარგმანის ტექსტის გამართვის მიზნით, რადგან მას არაფერი აქვს საერთო დედანთან შინაარსობრივ ჭრილში (ან თუ აქვს, მეტად ზოგადი), თუმცა მდგომარეობა სრულებით იცვლება ამავე ხაზის მეორე წინადადების შემთხვევაში, რადგან აქ მთარგმნელი დიდი სიზუსტით ასახავს ქართველი პოეტის სიტყვებს თარგმანში და თანაც, ისეთი პოეტურობითა და სილამაზით, რომ გარკვეულწილად ამართლებს პირველ წინადადებაში დაშვებულ უზუსტობას და ტექსტის მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ პირველმა წინადადებამ მისცა მთარგმნელს ის საფუძველი, რომელზეც ასეთი ოსტატობით ააგო ამავე ხაზის დაბოლოება, მეორე წინადადების სახით. მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ მთარგმნელი მხოლოდ იმისთვის იყენებს და მიმართავს იმპროვიზაციას, რათა ტექსტი უფრო პოეტურად აამეტყველოს თარგმანში, რაც იწვევს გარკვეულ გადაცდომებს როგორც ტექსტობრივი, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრით. შეუძლებელია ერთი ენიდან სხვა ენაზე თარგმნის პროცესში ყველა ასპექტის ზედმიწევნით დაცვა, იქნება ეს დედანში არსებული ყველა სიტყვის გამოყენება, შინაარსი, პოეტური არსი, პოეტიკის ესთეტიკა თუ სხვ., წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მივიღებთ პწკარედის თარგმანს და არა პოეტურად შესრულებულ ნიმუშს პოეზიისას, თუმცა რასაკვირველია აღნიშნულმა არ უნდა გამოიწვიოს თარგმნილი ტექსტის ისეთი დაშორება დედნისგან, რომ თარგმანი დამოუკიდებელ ნაწარმოებად იქნას აღქმული.

სტროფის მომდევნო, მესამე ტაეპში, აშკარაა მთარგმნელის არა მხოლოდ პოეტური, არამედ მთარგმნელობითი ოსტატობა და ხელოვნება, რადგან სწორედ აქ ახერხებს ის არა მხოლოდ მესამე ტაეპის შინაარსის გადმოცემას, არამედ სწორედ აქ ეძლევა მას პირველ ტაეპში გამოტოვებული შინაარსის ასახვის შესაძლებლობაც და კვლავაც, მეტად პოეტურ ჭრილში. თუმცა მთარგმნელს, როგორც ჩანს, ისევ წინადადებების გამართვის მიზნით, დამატებული აქვს ისეთი სიტყვები, როგორიც არის მაგ. Оши - თვალეზი (რაც დედანში ხსენებული საერთოდ არ არის), მაშინ როდესაც უგულებელყოფილი აქვს ისეთი სიტყვა, როგორიც არის: დღესითგან (დღეიდან), რაც როგორც ზემოთაც

დავინახეთ, მნიშვნელოვანი ხატობრივი ინფორმაციის მქონეა დედანში. მთარგმნელთან ასევე ვკითხულობთ: Стала жизнь моя короче (სიცოცხლე დამიმოკლდა), თუმცა კი, რუსთველის მსგავსად, ის არ აზუსტებს სიცოცხლის შემცირების მასშტაბს, მაშინ როდესაც რუსთველთან ავთანდილი ამბობს: „დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი“ (ე.ი. სიცოცხლის მესამედილა დამრჩაო). შესაბამისად, კვლავაც ცხადია, რომ თარგმნის პროცესში პოეტი იჩენს გარკვეულ დამოუკიდებლობას და საკუთარ ინტერპრეტაციას სძენს თარგმანს, რასაც ის დიდი პოეტური ოსტატობით აკეთებს, და ეს გარკვეულწილად ამორებს თარგმანს დედნისგან, თუმცა კი ძირითადი შინაარსობრივი ღერძის დარღვევის გარეშე.

რაც შეეხება სტროფის დასასრულს, აღნიშნული, მეოთხე ტაეპი გარკვეულწილად თითქოს ასახავს კიდევ რუსთველის მიერ გამოხატულ ავთანდილის განწყობას, თუმცა აქ უფრო მეტად ბალმონტისეული გრძნობებია გადმოცემული, რაც წინა ტაეპების ლოგიკური დასრულების ხასიათს იძენს, კვლავაც მთარგმნელის ინტერპრეტაციით. შესაბამისად, სახეზე გვაქვს მთარგმნელის დაშორება დედნისგან და რეალური შინაარსის ასახვის ნაცვლად (დედანში ავთანდილი ამბობს: ახლა პატიჟთა (ტანჯვის) მალვის დრო არ არისო, რაც თარგმანში საერთოდ არ არის ასახული), მკითხველს აქვს სტროფის ბალმონტისეული დასასრული, რაც ბალმონტის არა როგორც მთარგმნელის, არამედ როგორც პოეტის პოეტურ ინტერპრეტაციად გვესახება თარგმანში.

ამრიგად, ერთი სტროფის ანალიზის საფუძველზე, დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მთარგმნელი (კ. ბალმონტი) ხშირად მიმართავს საკუთარ ინტერპრეტაციას, თუმცა ზოგადად ინტერპრეტაცია და ხშირ შემთხვევაში მთარგმნელის ფანტაზია, რასაკვირველია არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს და არ უნდა მიიღოს ისეთი ხასიათი, რაც შეცვლის ძირითადი ტექსტის არსებით შინაარსს. საანალიზო სტროფის ანალიზის მაგალითზე, ბალმონტი, პოეტური ოსტატობის წყალობით, თავს ართმევს და არ არღვევს სტროფის ძირითად შინაარსობრივ არსს, გარკვეული გადახვევებისა და მის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციების მიუხედავად. ზოგადად, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ თარგმანების შესრულებისას აღინიშნება ერთი ტენდენცია - შეიქმნას თარგმანის მკითხველისათვის გასაგები ნაწარმოები, რომელსაც მკითხველი აღიქვამს როგორც მშობლიური ლიტერატურის ნიმუშს (ფანჯიკიძე 2005:18-19), რასაც კ. ბალმონტი წარმატებით

ართმევს თავს, პოეტური თვალსაზრისით, თუმცა ეს თარგმანის დედნისაგან კიდევ უფრო მეტად დაშორებას განაპირობებს. ამასთან ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბალმონტი არ ფლობდა ქართულ ენას და თავისუფალი მიდგომა ჰქონდა პოემის ტექსტის მიმართ, რამაც გამოიწვია არაერთი ასეთი უზუსტობა მისეულ თარგმანში (Руставели 1937:7).

§ 4.5.2. „ვეფხისტყაოსანი“ პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანში: ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

საანალიზო (708-ე) სტროფის პ. პეტრენკოსეული თარგმანის კვლევამდე, საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ თარგმანთან დაკავშირებული ინფორმაცია, ზოგადი სახით.

თარგმანში პ. პეტრენკო არ ითვალისწინებს შაირისთვის დამახასიათებელ ლექსთწყობას (მაღალ და დაბალ შაირს), თუმცა თანმიმდევრულად მიყვება რიტმიკულ სქემას და თარგმანში გამოვლენილი სხვა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად, რაც მის თანამედროვე ლიტერატურაშიც აღინიშნებოდა, პეტრენკოს თარგმანი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღირსებების გათვალისწინებით, სათანადოდ ითვლება პოემის რუსულ თარგმანებში ერთ-ერთ საუკეთესოდ და მას დღესაც არ დაუკარგავს მხატვრული ღირებულება (Руставели 1988:634).

თარგმნის პროცესში, პ. პეტრენკომ აირჩია სტროფის გაცილებით მარტივი კონსტრუქცია, თუმც კი გართიმული სიტყვების იმავე განლაგებით და სიხშირით, რაც ქართულ ტექსტში არის წარმოდგენილი. აღნიშნული მიდგომის გამოყენებით, მთარგმნელმა უზრუნველყო სიტყვების მანევრირების გაცილებით ფართო შესაძლებლობა, ბალმონტთან შედარებით. ქალურ რითმაზე უარის თქმით, პ. პეტრენკომ საკუთარ თარგმანს შესძინა სტროფებს შორის არსებული კონსონანსების წინ წამოწევის და მათი შეთამაშების გაძლიერების შესაძლებლობა.

ამასთან, მთარგმნელის მიერ შემუშავებულმა, რითმის ხაზგაუსმელმა ხასიათმა საშუალება მისცა მას, რომ თავიდან აეცილებინა ტექსტის მონოტონურობა. სწორედ ამიტომ, მისი თარგმანი გაცილებით მსუბუქად იკითხება, ის უკეთ ამახსოვრდება მკითხველს და კითხვის გაგრძელება ყოველგვარი ძალდატანების გარეშე არის შესაძლებელი, ნებისმიერი მონაკვეთიდან. ზოგადად, „ვეფხისტყაოსნის“ მონუმენტური

ეპიკური წყობა გაცილებით გასაგებია მკითხველისათვის პეტრენკოს თარგმანში, ბალმონტის თარგმანთან შედარებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ პეტრენკოს არ დასცალდა თარგმნის დასრულება, რადგან ის პოემის თარგმანის დასრულებამდე გარდაიცვალა. სწორედ ამით აიხსნება გარკვეული პასაჟების დაუსრულებლობა და ზოგიერთი ადგილის სიუხეზე. მთარგმნელს რომ მისცემოდა პოემისთვის დასრულებული სახის მიცემის შესაძლებლობა, მისი ნაშრომი მიიღებდა გაცილებით დახვეწილ და დასრულებულ ფორმას, მხატვრული თვალსაზრისით (Руставели1988:34-35).

ზოგადად აღსანიშნავია, რომ რუსთველის პოემაში მეტად მნიშვნელოვანია მისთვის დამახასიათებელი, ე.წ. რუსთველისეული ალიტერაციები, რადგან სწორედ მათი გამოყენებით ხდება „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის არაჩვეულებრივი ორკესტრირების მიღწევა. ალიტერაციის უმდიდრესი რეზერვიდან ფრაზებში ერთი და იგივე ძირის მქონე სიტყვების გამოყენება პეტრენკოსეული თარგმანის დადებით მხარეს წარმოადგენს (Руставели 1988:30), რისი მაგალითიც საანალიზო ლექსში საუკეთესოდ არის წარმოჩენილი, რაც მეტნაკლებად მხოლოდ პეტრენკოს და შალვა ნუცუბიძეს (იხ. ქვემოთ) აქვთ საკუთარ თარგმანებში გატარებული, ბალმონტის და ზაბოლოცკისგან განსხვავებით, თუმცა ამჯერად ისევ პ. პეტრენკოს თარგმანს დავუბრუნდეთ:

ორიგინალი

#2. თარგმანი პ. პეტრენკოსი

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ,
დამწვავს სამ ალი!

Горе мне, коль буду брошен на сожжение в
простор.

გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის
საკრავად სამალი;

Ныне целью стало сердце, стрелы бьют его в
упор,

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან
ჩანს ნასამალი;

Потому две трети блеска потерял цветок с
тех пор

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი
პატიჟთა სამალი (რუსთაველი
1957:152)

Больше скрыть нельзя страданий, распознает
правду взор
(Руставели 1988:320)

პირველი ტაეპის დედნის თარგმანთან შედარების საფუძველზე, ცხადია, რომ მთარგმნელი შინაარსობრივად გამართულად ასახავს რუსთველისეულ ფრაზებს თარგმანში, რადგან ორივე შემთხვევაში (როგორც დედანში, ასევე თარგმანში), ველად

გაჭრასთან, ტანჯვასთან და (სიყვარულის ალით გამოწვეულ) წვასთან გვაქვს საქმე. ამასთან, აღნიშნულ სიახლოვეს დედანთან მთარგმნელი დიდი პოეტური ოსტატობითა და საკუთარი სიტყვებისა თუ მთარგმნელისეული სუბიექტური ინტერპრეტაციების გამოყენების გარეშე აღწევს.

მეორე ტაეპის შემთხვევაშიც, მთარგმნელი არ ღალატობს შერჩეულ მთარგმნელობით მანერას და ზედმიწევნითი სიზუსტით ასახავს დედნის შინაარსობრივ ხაზს თარგმანში. *გული ძეს საგნად ისრისა, მესვრის საკრავად სამალი* წარმოდგენილი პასაჟის შინაარსი ასეთია: (ავთანდილი ამბობს:) ეს ჩემი გული თითქოს ისრის სასროლ საგნად არის ქცეული, რომელსაც (სიყვარულის) ისარი სჭრის და როგორც სწრაფი სროლით ნატყორცნ ისარს ვერ გადაურჩება ნიშანი, ასევეა ჩემი გულიო; მთარგმნელიც დიდი ოსტატობით და ლაკონურად, სხარტად ახერხებს დედანში გადმოცემული აზრის ასახვას თარგმანში.

მესამე ტაეპის შინაარსი დედნის თანახმად, შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს: (ავთანდილი ამბობს): დრო მიდის - მე ჩემი სიცოცხლის მხოლოდ მესამედი დამრჩა ამ ცხოვრებაში გასავლელიო, მთარგმნელთან კი აღნიშნული პასაჟი შემდეგ სახეს იძენს: ყვავილმა დაკარგა ბრწყინვალეების (ან ბზინვარების, ელვარების) (нлеск) ორი მესამედი, რაც ერთი შეხედვით შესაძლოა არაადეკვატურ თარგმანად მივიჩნიოთ, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ყვავილს სიცოცხლის სიმბოლოდ მოვიაზრებთ, აზრი უფრო ნათელი გახდება და მთარგმნელის ჩანაფიქრსაც აეხდება ფარდა, რადგან ამ შემთხვევაში შემდეგ წაკითხვას მივიღებთ (შინაარსობრივად): ყვავილმა დაკარგა ელფერის (ე.ი. სიცოცხლის, სიცოცხლის ელფერის - სიცოცხლის ნიშანწყალის) ორი მესამედი, ე.ი. შემოკლდა (მისი სიცოცხლისუნარიანობა ორი მესამედით), რაც, რასაკვირველია განსხვავდება მხოლოდ მესამედით შემოკლებასთან, როგორც ამას რუსთველი ამბობს, თუმცა მთარგმნელს ორი მესამედის გამოყენება ალბათ მხოლოდ ტექსტური გამართვისთვის დაჭირდა და მთავარი მისთვის სიცოცხლის შემოკლების ასახვა იყო რუსულ ენაზე, რაც შესაბამისად აისახა კიდევ თარგმანში. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ წარმოდგენილი ორი ტაეპისგან განსხვავებით, მესამე ტაეპში მთარგმნელი განსხვავებულად (ორი მესამედი - მხოლოდ მესამედის ნაცვლად) გადმოგვცემს რუსთველის სათქმელს, თუმცა არსებითად არ უხვევს ძირითადი შინაარსიდან და მართალია მცირედი და უმნიშვნელო განსხვავებით, მაგრამ

შინაარსობრივად მაინც სწორად გადმოსცემს ტექსტში განვითარებული აზრის საფუძველს.

მეოთხე ტაეპის შემთხვევაში, მთარგმნელი უბრუნდება სტროფის დასაწყისში მიღწეულ სიახლოვეს დედანთან და აქაც, ზედმიწევნით იცავს დედანთან შინაარსობრივ თანხვედრას, თარგმნის პროცესში. *მალვა ძწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი* - წარმოდგენილი პასაჟის შინაარსი ასეთია: (ავთანდილი ამბობს:) მე ჩემი ტანჯვის დამალვა მინდოდა, მაგრამ აღარ შემიძლია შენი სიყვარულით გამოწვეული მწუხარების დამალვა, მისი დამალვის ყოველგვარი სურვილი, შესაძლებლობა და დრო უკვე გავიდაო, რის გადმოცემასაც, ჩვენი აზრით, მთარგმნელი კვლავ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით, ვირტუოზული ოსტატობითა და პოეტურობით აღწევს.

ამრიგად, ერთი სტროფის პეტრენკოსეული თარგმანის დედანთან შედარების საფუძველზე შესაძლოა განვაცხადოთ, რომ მთარგმნელი (პ. პეტრენკო) მაქსიმალური სიზუსტით ასახავს დედნის შინაარსობრივ მხარეს და გარკვეული, მაგრამ უმნიშვნელო ხასიათის უზუსტობების მიუხედავად, რაც ჩვენი აზრით ტექსტობრივი გამართვის მიზნით უნდა ყოფილიყო გამოყენებული, თარგმანის ხარისხი დაბლა არ იწევს, რადგან მასში შენარჩუნებულია დედნის როგორც შინაარსობრივ-ფაქტობრივი, ასევე შინაარსობრივ-კონცეპტუალური, ქვეტექსტური და შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაცია. ასევე არ უნდა დავივიწყოთ პეტრენკოს მიერ რუსთველისეული ალიტერაციების ასახვის საკითხიც, რომელის გადმოცემასაც ის გასაოცარი სინატიფით ახერხებს თარგმანში. ასე მაგალითად: 1. სამ ალი - **простор**; 2. სამალი - **в упор**; 3. ნასამალი - **с тех пор**; 4. სამალი - **правду взор**, რაც მართალია აცდენაშია დედნისეულ სიტყვებთან, მნიშვნელობის თვალსაზრისით, თუმცა თარგმანში ადვილად და ძალდაუტანებლად იკითხება, რისი მიგნებაც მთარგმნელის დიდ ოსტატობასთან და მის გაწაფულობასთან არის დაკავშირებული, როგორც მთარგმნელობით, ასევე პოეტურ კონტექსტში. რთულია ალიტერაციის გადატანა თარგმანში ისე, რომ არ მოხდეს ტექსტის ძირითადი შინაარსობრივი კონტექსტის ცვლილება, რასაც წარმატებით ახერხებს მთარგმნელი. არანაკლებ საგულისხმოა მთარგმნელის მეტად ბუნებრივი, ლაკონური და ამავე დროს თარგმნილი ტექსტის თვალშისაცემი სისადავე, რის გამოც თარგმანი არა თარგმნილი ტექსტის, არამედ ამავე ენაზე შექმნილი ნაწარმოების

შთაბეჭდილებას უტოვებს მკითხველს, რაც უდავოდ პეტრენკოს, როგორც პოეტისა და მთარგმნელის, დიდ ოსტატობაზე მიუთითებს.

§ 4.5.3. „ვეფხისტყაოსანი“ გიორგი ცაგარელის თარგმანში: ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

ცნობილი ქართველი მთარგმნელისა და მწერლის, გიორგი ცაგარელის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ 1937 წელს გამოიცა მოსკოვში, შოთა რუსთველის დაბადებიდან 750-ე წლისთავის აღსანიშნავად. საინტერესოა, რომ წინასიტყვაობაში, მთარგმნელი მადლობას უხდის ამხანაგ ბერიას და ამხანაგ ლენინს, ამხანაგ სტალინს კი მსოფლიოს უდიდეს რეფორმატორად მოიხსენიებს, რაც თავდაპირველად მკითხველში გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს, თუმცა კითხვები უმაღვე ქრება, წიგნის გამოცემის თარიღის (1937 წ.) გათვალისწინებით.

გამოცემის რედაქტორი ლ. ელსნერი, ასევე წინასიტყვაობის ავტორი ა. სვანიძე და თავად მთარგმნელი (გ. ცაგარელი), წიგნის დასაწყისში პოემის სიდიადეზე და მის მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას, თარგმანთან მიმართებაში კი აღნიშნავენ მის ერთ-ერთ უპირატესობას - სიახლოვეს დედანთან, იმ დროისთვის არსებულ, ერთადერთ რუსულენოვან (ბალმონტისეული) თარგმანთან შედარებით.

„ვეფხისტყაოსნის ჭეშმარიტი თარგმანი შეასრულა გიორგი ცაგარელმა, რომელიც კარგად ფლობს როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებს. მის მიერ შესრულებული თარგმანის უდიდეს უპირატესობას კი მისი განსაკუთრებული სიახლოვე წარმოადგენს დედანთან“ - წერდა ა. სვანიძე საიუბილეო გამოცემის შესავალ ნაწილში (Руставели1937:7), საანალიზო სტროფი (#708) კი გიორგი ცაგარელთან, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

ორიგინალი

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა,
გლახ, დამწვავს სამ ალი!
გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის
საკრავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან
ჩანს ნასამალი;
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი
პატიჟთა სამალი (რუსთაველი
1957:152)

#3. თარგმანი გ. ცაგარელისა

Но едва тебя покину, буду мучиться жесточе.
От стрелы, разящей сердце, невозможно мне
уйти.
День мой близится к закату, ускользя в
сумрак ночи.
Но к чему твердить о бедах, ожидающих в
пути?! (Руставели 1937:104)

პირველივე ტაეპის თარგმნისას, მთარგმნელი გ. ცაგარელი ცდილობს შინაარსობრივი სიახლოვის დაცვით გადმოსცეს რუსთველისეული აზრი და შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს ავთანდილს თინათინის მისამართით: როგორც კი დაგტოვებ, (მით უფრო) აუტანელი გახდება ჩემი ტანჯვაო (თარგმანი: ს.ს.), რაც რასაკვირველია შინაარსობრივად გადმოსცემს ავთანდილის სათქმელს, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს მთარგმნელის მიერ დაშვებული, გარკვეული „უზუსტობები“. კერძოდ, მთარგმნელი არაფერს ამბობს ველად გაჭრაზე და მხოლოდ (თინათინთან) განშორებაზე მიუთითებს, რაც სრულებითაც არ გულისხმობს აუცილებლად ველად გაჭრას. გ. ცაგარელი ასევე უგულებელყოფს სამ ალის ინტერპრეტაციების გამოყენებას და არც ალით წვას ან დადაგვას ახსენებს - ე.ი. თავს არიდებს აღნიშნული სიტყვების რომელიმე ინტერპრეტაციის გამოყენებას და შეიძლება ითქვას, რომ მოკლე შინაარსის სახით გადმოსცემს ავთანდილის განცდებს.

მეორე ტაეპის შემთხვევაშიც, მთარგმნელი შინაარსობრივად გამართულად, თუმცა კი ამჯერად, საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემს ავთანდილს სათქმელს, გამოხატულს რუსთველის მიერ. აქაც, ისევე როგორც სტროფის პირველი ტაეპის შემთხვევაში, მთარგმნელი თავს არიდებს შემდეგი სიტყვების გამოყენებას: საგნად ისრისა...სამალი, თუმცა კი კვლავაც მოკლე შინაარსს სთავაზობს მკითხველს: ვერ გავქცევი გულის განმგმირავ ისარსო (თარგმანი: ს.ს.), რაც გარკვეულწილად მოკლებულია ავთანდილის განცდების სიმძაფრეს.

საანალიზო სტროფის მესამე ტაეპიც, ფაქტობრივად, ზოგადი ხასიათის შინაარსობრივ თარგმანს წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაშიც, მთარგმნელი უბრალოდ უგულებელყოფს შემდეგ სიტყვებს: დრო სიცოცხლისა...დღესითგან... ნასამალი და საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს თარგმანში: ჩემი დღე სრულდება, უერთდება რა ღამის ბინდს (ე.ი. მიიღევა, სრულდება) (თარგმანი: ს.ს.), რაც შესაძლოა ცალკე ხატოვნად და პოეტურადაც იქნას აღქმული, თუმცა ჩვენი აზრით, აღნიშნული ინტერპრეტაცია შორს არის ავთანდილის სიტყვებისაგან, რასაც მას რუსთველი ათქმევინებს, რადგან მასში ნაკლებად არის გამოხატული პოემის გმირის განცდების სიმძაფრე და სიღრმე.

მომდევნო ტაეპშიც, გ. ცაგარელი დედნის თარგმანში ასახვის ნაცვლად, კვლავ ფაქტობრივად საკუთარი ინტერპრეტაციას წარმოგვიდგენს: რა აზრი აქვს ტანჯვაზე წუხილს, ის ხომ გარდუვალია და (უცილობლად) გადაგვხვდება (ცხოვრების) გზაზეო (თარგმანი: ს.ს.), ამბობს მასთან ავთანდილი.

ამრიგად, თარგმნილი ტექსტის დედანთან შედარების საფუძველზე, ფაქტია, რომ მთარგმნელს ძალიან კარგად ესმის რუსთველისეული აზრი, თუმცა თარგმნის პროცესში ის შედარებით „მარტივ“ ფორმას იყენებს, რათა უფრო გასაგები გახადოს რუსთველისეული პასაჟი მკითხველისათვის და მართალია შინაარსობრივად ის მნიშვნელოვნად არ შორდება დედნისეული ტექსტის არსს, თუმცა თარგმანში მის გამარტივებულად ასახვას ანიჭებს უპირატესობას, რაც როგორც ფაქტობრივი, ასევე ხატობრივი ინფორმაციის დაკარგვას იწვევს, თუმცა კი, შინაარსობრივ-კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაციის შენარჩუნებით.

§ 4.5.4. „ვეფხისტყაოსანი“ ნიკოლაი ზაბოლოცკის თარგმანში: ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

კ. ბალმონტის და პ. პეტრენკოს გარდა, „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი ცნობილმა რუსმა პოეტმა, ნ. ზაბოლოცკიმაც დაგვიტოვა. ზაბოლოცკის მიერ შესრულებული თარგმანი პირველად 1957 წ. გამოიცა მოსკოვში, სიმონ ჩიქოვანის რედაქციით. აღსანიშნავია, რომ თავად სიმონ ჩიქოვანი, ისევე როგორც ნ. ზაბოლოცკი, თარგმნის პროცესში ხშირად მიმართავდა ცნობილი რუსთველოლოგისა და მთარგმნელის, ს. იორდანიშვილის მიერ შესრულებულ პწკარედის თარგმანს (ამის

გამო მეტად გასაკვირია, რომ ზაბოლოცკისთან გამოტოვებულია 10 დანამდვილებით რუსთველისეული სტროფი, რომელიც წარმოდგენილია როგორც იორდანიშვილის პწკარედში, ასევე პოემის ქართულ გამოცემებშიც. ესენია შემდეგი სტროფები: 110,124, 298-299, 366, 408, 480, 1013-1014, 1164 (იორდანიშვილის მიხედვით) (Руставели 1988: 637-638)).

ნ. ზაბოლოცკი ფლობდა პოეტური სიმაღლეების მიღწევის იშვიათ შესაძლებლობას, რასაც გამოხატავდა არა მხოლოდ საკუთარი ლექსების, არამედ თარგმანების მეშვეობითაც. ზაბოლოცკი ბევრს მუშაობდა რუსთველის პოემაზეც და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია აღნიშნული მიმართულებით. პოემის მისეული თარგმანი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად და კითხვადად, რასაკვირველია რუსულ თარგმანებს შორის. საინტერესოა, რომ ისეთმა საკითხებმა, რომლებსაც თავს არიდებდა მაგალითად პეტრენკო, ზაბოლოცკის კალმის ქვეშ შეიძინეს მართლაც იშვიათი და თარგმნილი პოემისთვის ასე საჭირო გამომსახველობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზაბოლოცკის მიერ შესრულებული თარგმანი პოეტისთვის დამახასიათებელი გამართული სტილისტიკის და რაციონალური სიცხადის მიუხედავად, გარკვეულწილად მოკლებულია შინაგან მუსიკალურობას და ასე აუცილებელ სიახლოვეს დედანთან (Руставели 1988:35).

შ. ნუცუბიძის მაგალითი (იხ. ქვემოთ), რომელმაც სტროფები ვაჟურ რითმებთან - მაღალ შაირთან დააკავშირა, ხოლო ქალური რითმების სტროფები - დაბლებთან, გამოიყენა ზაბოლოცკიმაც, თუმცა სტროფების მონაცვლეობა რითმების ორი სახეობით არ ასახავს თარგმანში დედნის რეალურ სურათს. ზაბოლოცკი ყველგან ერთხელ შერჩეულ სიმეტრიებს იყენებს: ვაჟური რითმების სტროფებს მასთან წინ უსწრებს ქალური რითმების ორი სტროფი. მის თარგმანში თითოეული თავი იწყება ასეთი წყვილით და სრულდება აუცილებლად ვაჟური რითმების სტროფით (47-ე თავის გამოკლებით) (Руставели1988:33), თუმცა ზაბოლოცკის მიერ შესრულებული თარგმანის ანალიზს ამჯერად საანალიზო სტროფის კონტექსტში გავაგრძელებთ, რომელსაც ზაბოლოცკი შემდეგი სახით წარმოგვიდგენს:

ორიგინალი

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ,
დამწვავს სამ ალი!

გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის

საკრავად სამალი;

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან

ჩანს ნასამალი;

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი

პატიჟთა სამალი (რუსთაველი 1957:152)

#4. თარგმანი ნ. ზაბოლოცკისა

Горе мне! Опять, скитаясь, я увижу много
зла.

Как в мишень, вонзилась в сердце

беспощадная стрела,

Сократилась на две трети жизнь, разбитая

дотла,

И хотел бы скрыть я горе, да пора на то

прошла (Руставели 1988:511)

ზაბოლოცკისეული პირველივე ტაეპის წაკითხვის საფუძველზე, მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ნ. ზაბოლოცკი კარგად იცნობს პეტრენკოს თარგმანს, რადგან ის სწორედ პეტრენკოს მსგავსად იწყებს საანალიზო სტროფის თარგმანს (Горе мне), რაც შემთხვევითი ხასიათის არ უნდა იყოს, რადგან მსგავსი გამეორება თარგმანისა, ამავე სტროფის მესამე ტაეპშიც იჩენს თავს (იხ. ქვემოთ). რაც შეეხება შინაარსობრივ სიახლოვეს დედანთან, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ტაეპის მეორე ნაწილი შეიძლება ითქვას, რომ შინაარსობრივად თანხვედრაშია ორიგინალის ტექსტთან, თუ ტანჯვას ბოროტებასთან გავაიგივებთ, თუმცა გლახ დამწვავს სამ ალი-ს ნაცვლად სიტყვის „ბოროტება“ (я увижу много **зла**) გამოყენება, მართალია უარყოფით ემოციებთან არის დაკავშირებული, მაგრამ განსხვავდება რუსთაველის მიერ (სიყვარულით, ტრფობით) გამოწვეული ტანჯვის ემოციებთან და ნაკლებად აღიქმება ბოროტების კონტექსტში. აღნიშნული მიზეზით მიგვაჩნია, რომ მთარგმნელს მართალია გაგებული და გააზრებული აქვს რუსთაველისეული კონკრეტული პასაჟის კონტექსტის შინაარსი, თუმცა მაინც, საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემს ავთანდილის განცდებს თარგმანში.

მეორე ტაეპში, მთარგმნელი მეტ სიახლოვეს იჩენს დედნის ტექსტის მიმართ და შინაარსობრივად მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოსცემს რუსთაველისეულ აზრს თარგმანში: ჩემი გული თითქოს ისრის სასროლ საგნად არის გადაქცეულიო, ამბობს რუსთაველთან ავთანდილი და მთარგმნელიც, ასეთივე დრამატიზმით გადმოსცემს ავთანდილის განცდების სიღრმეს.

მესამე ტაეპში, ისევე როგორც საანალიზო სტროფის პირველი ტაეპის თარგმანში, თავს გვახსენებს ამავე სტროფის ზაბოლოცკისეული თარგმანი (იხ. ზემოთ), რომელიც სიცოცხლეს ასევე ორი მესამედით ამოკლებს. ნ. ზაბოლოცკი ფაქტობრივად იმეორებს პ. პეტრენკოს „მიგნებას“ და მის ნათქვამს იმეორებს, რაც, ჩვენი აზრით, მოწმობს, რომ მის საფუძველს საანალიზო სტროფის შემთხვევაში მაინც, სწორედ პეტრენკოს მიერ შესრულებული თარგმანი წარმოადგენს. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს მთარგმნელის მიერ აღნიშნული პასაჟისთვის მეტი დრამატიზმის შექმნა, რადგან ტაეპის საფინალო სიტყვები *разнота дотла* (სრულიად, მთლიანად დანგრეული, განადგურებული - თარგმანი: ს.ს.), სწორედ მთარგმნელის ინტერპრეტაციას წარმოადგენს და (ავთანდილის) ფაქტობრივად უიმედო მომავლის სურათს წარმოგვიდგენს, რუსთველისგან განსხვავებით.

მეოთხე ტაეპში, მთარგმნელი კვლავ უახლოვდება ორიგინალის ტექსტს და მაღალი პოეტური ოსტატობითა და მთარგმნელობითი უნარის საუკეთესო გამოვლინებით, მეტად ბუნებრივად გადმოგვცემს ავთანდილის პირით ნათქვამ რუსთველისეულ სიტყვებს თარგმანში, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასე უნდა წავიკითხოთ: მე ჩემი ტანჯვის დამალვა მინდოდა, მაგრამ აღარ შემიძლია შენი სიყვარულით გამოწვეული მწუხარების დამალვა - მისი დამალვის ყოველგვარი სურვილი, შესაძლებლობა და დრო უკვე გავიდაო, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ადეკვატურად არის ასახული და გადმოცემული თარგმანში.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი (ნ. ზაბოლოცკი) მართალია მიყვება დედნის ტექსტის შინაარსობრივ მხარეს თარგმნის პროცესში, თუმცა სახეზეა გარკვეული უზუსტობებიც, არა მხოლოდ ტექსტური და ენობრივი, არამედ გარკვეულწილად, შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, თუმცა ძირითადი შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაციის ძირეული ცვლილების გარეშე. ასევე არ უნდა დავივიწყოთ ნ. ზაბოლოცკის მიერ რუსთველისეული ალიტერაციების ასახვაც თარგმანში, რის მიღწევასაც ის დიდი ოსტატობით და სინატიფით ახერხებს. მაგ.: 1. სამ ალი - **зла**; 2. სამალი - **стрела**; 3. ნასამალი - **дотла**; 4. სამალი - **прошла**, რაც რასაკვირველია თარგმანის დადებით მხარეს წარმოადგენს, და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიტყვები შინაარსობრივი თვალსაზრისით (პეტრენკოს მსგავსად) შესატყვისობაში არ არის დედნისეულ ალიტერაციასთან, აღნიშნული მაინც დადებით

პოეტურ ელფერს სძენს თარგმანს და გარკვეულწილად, პოეტური ჟღერადობის თვალსაზრისით, თარგმანს ორიგინალს უახლოვებს.

§ 4.5.5. „ვეფხისტყაოსანი“ შალვა ნუცუბიძის თარგმანში: ზოგადად და ერთი სტროფის მაგალითზე

პოემის რუსულენოვანი თარგმანი შეასრულა ასევე ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ფილოლოგმა და ფილოსოფოსმა, შალვა ნუცუბიძემ. მეცნიერი ინტენსიურად იკვლევდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას და მასთან დაკავშირებულ "აღმოსავლური რენესანსის" საკითხებს. მისი მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე ქართველოლოგიის ეს დარგი დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა. დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ასევე ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის, პეტრე იბერის იდენტობის საკითხის კვლევაში (ენციკლოპედია 1984:490), რასაც უფრო ვრცლად და სიღრმისეულად, ქვემოთ შევხებით.

პოემის შალვა ნუცუბიძისეულ თარგმანთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ მისი თარგმანი დანარჩენი რუსული თარგმანებისგან გამოირჩევა დედანთან სიახლოვით - შინაარსობრივი თვალსაზრისით, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ შ. ნუცუბიძე, როგორც რუსთველოლოგი, ფილოსოფოსი და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიკოსი, ხშირად მიმართავდა საკუთარ ინტერპრეტაციას პოემის თარგმნის პროცესში (Руставели 1988:31), რაც, რასაკვირველია, რუსთველის ტექსტთან გარკვეულ დისტანცირებას იწვევს.

საინტერესოა საანალიზო სტროფის შ. ნუცუბიძისეული თარგმანი:

ორიგინალი	#5. თარგმანი შ. ნუცუბიძისა
ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს სამ ალი!	Убежать в поля? Но можно ль от огня остаться целым?
გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის საკრავად სამალი;	Для стрелы открыто сердце, легким стало ей прицелом,
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი;	Сократилось время жизни, став в три раза меньше в целом,

მალვა შწადს, მაგრა გარდახდა ჟამი
პატიჟთა სამალი (რუსთაველი
1957:152)

Мне убежища от муки не найдется в мире
целом (Руставели 1988:170)

თარგმნილი ტექსტის დედანთან შედარების შედეგად ცხადია, რომ მთარგმნელი ცდილობს დედანში გადმოცემული შინაარსის ზედმიწევნით გადატანას თარგმანში, თუმცა, მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მართლაც თარგმნილი ტექსტია და არა ბუნებრივად, ძალდატანების გარეშე შექმნილი პოეტური ქმნილება, როგორც ეს ზემოთ განხილული რუსი ეროვნების მთარგმნელების შემთხვევაში იყო წარმოდგენილი, როდესაც თარგმნილი ტექსტები თითქოს დამოუკიდებელ, პოეტურ ნაწარმოებებად გვევლინებიან, თუმცა კი შინაარსობრივი თუ სხვა სახის უზუსტობებით. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ დანარჩენი მთარგმნელები, შ. ნუცუბიძისგან განსხვავებით, თარგმანს საკუთარ, მშობლიურ ენაზე ასრულებდნენ, რამაც მათ თარგმანებს ასეთი ბუნებრივი და ადვილად კითხვადი ტექსტის ელფერი მისცა.

საანალიზო სტროფის მეორე ტაეპის, როგორც დანარჩენი, მესამე და მეოთხე ტაეპის შემთხვევაშიც, მთარგმნელი მის მიერ შერჩეულ მთარგმნელობით მეთოდს არ ღალატობს და ცდილობს შინაარსობრივად მაქსიმალურად დაუახლოვოს თარგმანი დედნისეულ ტექსტს, რაც ისევე როგორც პირველი ტაეპის შემთხვევაში, მკითხველისთვის მძიმედ საკითხავი ტექსტის ხასიათს იძენს.

აღნიშნულ კონტექსტში, რასაკვირველია, რთულია უპირატესობა მივანიჭოთ მთარგმნელს, რომელიც სათარგმნ ტექსტს მშობლიურ ენაზე თარგმნის, ან პირიქით - მთარგმნელს, რომელიც სათარგმნ მასალას უცხო ენაზე თარგმნის და მის მშობლიურ ენას სწორედ დედნის ენა წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში, ინდივიდუალურად აღსანიშნავ დადებით მხარეებთან ერთად, დედანთან გარკვეულ უზუსტობებსა და შეუსაბამობებს ვიღებთ, რაც ზოგადი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ართულებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსულენოვანი მთარგმნელების მიერ შესრულებულ თარგმანებს გარკვეული უპირატესობა გააჩნიათ შ. ნუცუბიძის (და გ. ცაგარელის) მიერ შესრულებულ თარგმანთან, მხოლოდ და მხოლოდ პოეტური თვალსაზრისით, რადგან შ. ნუცუბიძის თარგმანი შინაარსობრივი და აზრობრივი სიზუსტით სჯობს უკვე

ხსენებულ თარგმანებს, რაც გასაკვირი არ არის, რადგან წარმოდგენილ მთარგმნელებს შორის ალბათ არავინ ისე კარგად და სიღრმისეულად არ იცნობდა შ. რუსთველის პოემას, როგორც შალვა ნუცუბიძე.

„რუსულ თარგმანებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რუსთველის პოემა კვლავ ელის თარგმანს, რომელიც დედნის ადეკვატური იქნება, როგორც აზრობრივი, ასევე მხატვრულ-ექსპრესიული თვალსაზრისით, ჯერჯერობით ასეთი თარგმანი არ შესრულებულა და თანამედროვე მკითხველსაც მხოლოდ ზემოთ აღნიშნული 5 თარგმანი აქვს რუსულ ენაზე“ (თარგმანი - ს.ს.), წერდნენ ალ. ბარამიძე და ს. ცაიშვილი 1988 წელს (Руставели1988:35), მას შემდეგ კი, აღნიშნული მიმართულებით არაფერი შეცვლილა - დღემდე.

თავი V. „ვეფხისტყაოსნის“ ორი ტაეპის შინაარსობრივი პლანის ანალიზი ინგლისურ და რუსულ თარგმანებთან მიმართებაში

§ 5.1. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი

სადისერტაციო ნაშრომის მოცემულ თავში განვიხილავთ „ვეფხისტყაოსნის“ 1492-ე სტროფის პირველ ორ ტაეპს, პოემის 1957 წლის გამოცემის, საკუთრივ, ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციის მიხედვით:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:

ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,

ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,

თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“

(რუსთაველი 1957:310)

აღნიშნულ პწკარებში გამოხატული მოსაზრება რუსთაველის ქმნილების ერთ-ერთ საფუძველს, ნეოპლატონისტური მოძღვრების გამოხატულებას წარმოადგენს.

ნეოპლატონიზმი, თავის მხრივ, ის ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომელიც სიკეთის უპირატესობას ასაბუთებს ბოროტებაზე, რაც ქართულ აზროვნებაში თავდაპირველად ნეოპლატონიზმის პირველი გადამამუშავებლის, ფსევდო-დიონისეს ნაშრომებით არის წარმოდგენილი, ხოლო შემდგომ განვითარებას იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში ჰპოვებს. „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული დივნოსი, შალვა ნუცუბიძის მტკიცებით, გახლავთ V საუკუნის ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი, არეოპაგეტული წიგნების ავტორი (Нуцубидзе 1957: 6-7), იგივე ფსევდო-დიონისე არეოპაგელი. საყურადღებოა, რომ პირველად ქართული მონასტერი საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩნდება ასურელი მამების საქართველოში მოსვლამდე, ე.ი. ქართული მონასტრების საქართველოში დაარსებამდე. მთელი ქართული საზღვარგარეთული კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის წინამძღვარი ხდება საქართველოს უფლისწული პეტრე იბერი, რომელიც მძევლად იყო განმწესებული ბიზანტიის საიმპერატორო კარზე (სუმბაძე 1999: 62-63). პეტრე იბერს მიუღია ანტიკური აზროვნების მემკვიდრეობა, რომელიც მან გადასცა შემდგომ საუკუნეებს, მისი შეხედულებები კი, უდავოდ, წარმოადგენს შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ უტყუარ წყაროს და საფუძველს (ნუცუბიძე 1982: 12-15).

რუსთველთან ცხოვრების არსის ფილოსოფიური ძიების იდეას განაპირობებს თინათინის უპირობო მისწრაფება უცნობის, მისტიკურის, მაგრამ აუცილებლად არსებითის მიმართ, რაც უზრუნველყოფს პოემაში კონცეპტუალურად მაღალი იდეალების გატარებას. ნაწარმოები ამქვეყნიური სიყვარულის აპოთეოზია და სიკეთის გამოხატულების ძირითად ფორმას აქ სწორედ ამქვეყნიური, მაგრამ, ამავე დროს, ღვთაებრივ სიმაღლემდე აყვანილი სიყვარული წარმოადგენს, სადაც სიყვარულის ობიექტი - ადამიანია. თეზას ადამიანის გაღმერთების შესახებ, ანუ თეორიას ე.წ. „თეოზისზე“, სწორედ პეტრე იბერთან - ფსევდო-დიონისესთან ვხვდებით, რომელიც იძლევა, როგორც ღმერთის გაადამიანურების, ასევე ადამიანის გაღმერთების შესაძლებლობის საფუძველს (Нуцубидзе 1988: 86-87).

პეტრე იბერის „პირდაპირი გზა სიკეთისკენ“ წარმოადგენდა ანტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ მიღწევას, ხოლო მისკენ მიმავალი გზა გაკაფული იყო ანტიკური ფილოსოფიის ისეთი კორიფეების მიერ, როგორებიც იყვნენ პლატონი, არისტოტელე, პლოტინი და პროკლე. პლატონის თანახმად, სამყაროს სისტემაში წარმოქმნილი იდეები ექვემდებარებიან სისტემის წესრიგს. სწორედ აღნიშნული მიდგომის საფუძველზე შეიმუშავა მან იდეათა იდეა, როგორც უმაღლესი სიკეთის იდეა (Нуцубидзе 1988: 88). არისტოტელემ გადაამუშავა პლატონის იდეალიზმი და იდეისა და მოვლენების თანაფარდობასთან მიმართებაში წარმოდგენილი კრიტიკული არგუმენტების მიუხედავად, ვერ შეარყია იდეებისა და უმაღლესი იდეის ურთიერთქმედების არსი, როგორც წესრიგი აღნიშნული იდეებისა (Нуцубидзе 1988:89).

შ. ნუცუბიდის თანახმად, არისტოტელეს ყურადღების მიღმა დარჩა წესრიგის და სიკეთის მიზეზის იდეა. მისთვის შეუმჩნეველად, იდეა გადაიზარდა მიზეზში - არსებობის ფორმის და წესრიგის სახით, ხოლო სიკეთის იდეა გახდა არსებობის ერთიანობისა და ერთადერთობის გამომხატველი არსი (Нуцубидзе 1988: 98-99), რისი გასაღებიც ნეოპლატონისტებმა აღმოაჩინეს და რასაც ასახავს რუსთველი ჩვენთვის საინტერესო ტაეპში „...ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“, ე.ი. უფლისგან მოვლენილია მხოლოდ კეთილი, ხოლო ბოროტებას უკვე მიზეზი განაპირობებს, რაც თანხვედრაშია ბიბლიურ დაბადებასთან: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი...“ (ბიბლია 2013: 7), რაც, სწორედ სიკეთის, კეთილი ადამიანის დაბადებას გულისხმობს.

ნეოპლატონიზმის სწავლებაც სამყაროს ერთიანობის შესახებ გულისხმობდა ღმერთის და ადამიანის გაიგივებასა და ბოროტების უგულვებელყოფას (Нутцунидзе 1988:93), რაც საანალიზო ტექსტის ძირითად არსს წარმოადგენს. სწორედ ეს გახლავთ ზემოაღნიშნული ტაეპების ძირითადი იდეა, რომელშიც პირდაპირ იკითხება ნეოპლატონიზმის მოძღვრების დედააზრი.

საყურადღებოა, რომ რუსთველი დიონისე არეოპაგელს პოემაში მხოლოდ სახელით, თუმცა შეცვლილი ფორმით, „დივნოსით“ მოიხსენიებს, მის კონცეფციასთან ერთად, რაც ადასტურებს კიდევ დივნოსის და დიონისე არეოპაგელის იგივეობას (რუსთაველი 1974: 542). დიონისე არეოპაგელის კონცეფცია გულისხმობს ბოროტების შექმნას არა უფლის, არამედ სხვადასხვა გარემოებების მიზეზით, რადგან ბოროტება ცალკე, როგორც სუბსტანცია, არ არსებობს. ბოროტება სიკეთის ნაკლებობას წარმოადგენს.

§ 5.2 საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ინგლისურ თარგმანებთან მიმართებაში

§ 5.2.1. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი მარჯორი უორდროპის თარგმანში

საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზს ამჯერად მარჯორი უორდროპის, რობერტ სტივენსონის, ქეთრინ ვივიანის, ვენერა ურუშაძისა და ლინ კოფინის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებულ თარგმანებთან მიმართებაში განვიხილავთ.

როგორც ზემოთ განხილული მაგალითების შემთხვევაში დავინახეთ და წარმოდგენილი საანალიზო ტაეპების ანალიზის შემთხვევაშიც დავრწმუნდებით, მ. უორდროპი დიდი მთარგმნელობითი ოსტატობის გამოყენებით და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ახერხებს დედნის შინაარსობრივი ქარგის გადატანას თარგმანში.

ქვემოთ წარმოვადგენთ საანალიზო სტროფს, მარჯორი უორდროპისეულ თარგმანთან ერთად:

ორიგინალი

#1. თარგმანი მ. უორდროპისა

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს
გააცხადებს:

This hidden thing Divnos the sage reveals:

ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა

God sends good,

არ დაბადებს...(რუსთაველი 1957:310)

He creates no evil...(Rust'haveli 1966: 329)

მ. უორდროპი „ამ საქმესა დაფარულსა“ შემდეგი სახით თარგმნის: „*this hidden thing*“, და მიუხედავად იმისა, რომ „საქმეში“ სავარაუდოდ სწორედ სიმართლე, ჭეშმარიტება უნდა მოიაზრებოდეს, მთარგმნელი ზუსტად ასახავს რუსთველისეულ სიტყვებს თარგმანში, რადგან დიდი პოეტი არა დაფარულ „*სიმართლეზე*“ (ან *სიბრძნეზე*) საუბრობს, როგორც ამას სხვა მთარგმნელები იტყვიან (ვ. ურუშაძე - *following wisdom*; რ. სტივენსონი - *arcane truth*; ლ. კოფინი - *hidden truth*), არამედ სწორედ „საქმეზე“ გველაპარაკება.

დიონისეს სახელიც „დივნოს“ მთარგმნელს შეუცვლელად აქვს გადატანილი თარგმანში და შესაბამისად, იცავს საკუთარი სახელის უთარგმნელობის პრინციპს, განსხვავებით სხვა მთარგმნელებისგან, რომლებიც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, *დივნოსის* (ე.ი. დიონისეს) ვინაობას „დაუფარავად“ ამცნობენ მკითხველს.

საინტერესოა, რომ ცნობას დივნოსის და დიონისე არეოპაგელის იგივეობის შესახებ, პოემის კომენტარებშიც ვხვდებით, რომელიც ო. უორდროპმა დაურთო მარჯორის თარგმანებს (Rust'haveli 1966:329).

ა. გაწერელის თანახმად, ო. უორდროპისთვის საეჭვო არ იყო დივნოსისა და ფსევდო დიონისე არეოპაგელის იგივეობა და მისი აზრით, არეოპაგელის ტრაქტატის „საღმრთოთა სახელთათვის“ („დე დივინის ნომინიბუს“) სათანადო ადგილები მას ვახტანგ VI კომენტარებში უნდა ჰქონოდა წაკითხული. შესაბამისად, როგორც დიონისეს ვინაობა, ასევე საანალიზო სტროფში („ამ საქმესა დაფარულსა...) ასახული არეოპაგიტული მოძღვრება ბოროტისა და კეთილის შესახებ დოკუმენტური მითითებით პირველად გხვდება უორდროპისეული თარგმანის შენიშვნებში, რაც ოლივერ უორდროპის დამსახურებაა და არ უნდა იქნას დავიწყებული (გაწერელია 1977: 21-22).

მეორე ტაეპის შემთხვევაში, მ. უორდროპი კვლავ სრული სიზუსტით ასახავს დედნისეულ აზრს თარგმანში და შესაბამისად, სწორად გადმოცემს დიონისეს დამოკიდებულებას სიკეთისა და ბოროტების მიმართ.

აქვე აღვნიშნავთ პოემის მთლიან ტექსტზე ჩვენი დაკვირვების ზოგად შთაბეჭდილებას: მთარგმნელს ზედმიწევნით სწორად გადმოაქვს რუსთველისეული მოსაზრებები თარგმანში, რაც თანხვედრაშია თარგმანმცოდნეობის თანამედროვე მეთოდოლოგიასთან, საკუთრივ, როდესაც დედანი და თარგმნილი ტექსტი მინიმუმ ოთხი სახის შინაარსობრივი ინფორმაციის გამოყოფისა და რეალიზაციის თვალსაზრისით ფასდება (მერაბიშვილი 2005:288). სწორედ ამიტომ, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ რუსთველისეული ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების გახსნა, გაგება და შესაბამისი ასახვა თარგმანში საუკეთესოდ მოახერხა მთარგმნელმა, კონკრეტული მაგალითის საფუძველზე და ზოგადადაც, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნა, მთარგმნელმა ქალმა მნიშვნელოვნად გაუკვალა გზა პოემის შემდგომ მთარგმნელებს.

§ 5.2.2. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ვენერა ურუშადის თარგმანში

მ. უორდროპის შემდეგ, განვიხილავთ საანალიზო ტექსტს, წარმოდგენილს ვ. ურუშადის თარგმანში:

ორიგინალი

#2. თარგმანი ვ. ურუშადისა

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს
გააცხადებს:

Dionysious the sage has revealed the following
wisdom to us:

ღმერთი კარგსა მოავლინებს და
ბოროტსა არ დაბადებს...(რუსთაველი
1957:310)

“God is the giver of good and not the creator of
evil...(Rustaveli 1986:198)

ვ. ურუშადის თარგმანი პირველი ტაეპის შემთხვევაში, დაახლოებულია ორიგინალთან, შინაარსობრივი თვალსაზრისით, თუმცა რუსთველისეული აღქმისგან განსხვავებით, რომელსაც დიონისე არეოპაგელის მოძღვრება სამარადისოდ მიუჩნევია („გააცხადებს...“), მთარგმნელი ავიწროებს ნეოპლატონისტური მოძღვრების თვალსაწიერს და დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას არა განუსაზღვრელ დროში,

არამედ უკვე გაცხადებულად, წარსულის ქმედებად წარმოგვიდგენს (revealed: გააცხადა, დაადგინა, გამოავლინა). აქვე ვხვდებით მთარგმნელისეულ ჩანართებს: მაგ. „*following wisdom*“ (*შემდეგი სიბრძნე*), რაც საერთოდ არ გვაქვს დედანში.

მეორე ტაეპის შემთხვევაში, ვ. ურუშაძე უფრო მეტად უახლოვდება დედანს და არ არღვევს დიონისე არეოპაგელის დამოკიდებულებას სიკეთისა და ბოროტების მიმართ, გამოხატულს რუსთველის მიერ, რაც რასაკვირველია კონკრეტული ტაეპების თარგმანის სასიკეთოდ მეტყველებს.

საანალიზო სტრიქონების ვ. ურუშაძისეული თარგმანის შესწავლის საფუძველზე, ცხადია, რომ მთარგმნელი ცდილობს დაიცვას რუსთველის ხაზი შინაარსობრივი თვალსაზრისით და დაუახლოვოს თარგმნილი ტექსტი ორიგინალს, გარკვეული სიტყვების დამატებით კი მეტი ექსპრესიულობა, თუ დინამიზმი შესძინოს თარგმანს, თუმც შინაარსობრივი ცვლილების გარეშე. შესაბამისად, აღნიშნული, უმნიშვნელო ხასიათის ჩანართების მიუხედავად, მთარგმნელი აკმაყოფილებს ზემოთ განხილულ ოთხივე კრიტერიუმს (დედნის ტექსტის თარგმანში ასახვის თვალსაზრისით) და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სწორად გადმოსცემს ტექსტის შინაარსობრივ-კონცეპტუალურ ხაზს (რაც, მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტული ფილოსოფიური მოძღვრების დედაარსს ასახავს, ზოგადად კი პოემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს), ეს კი, თარგმანზე მხოლოდ სასიკეთოდ მეტყველებს.

§ 5.2.3. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი რობერტ სტივენსონის თარგმანში

ვ. ურუშაძის თარგმანის შემდეგ, „ვეფხისტყაოსნის“ რობერტ სტივენსონისეულ თარგმანსაც შევეხებით, რასაკვირველია, საანალიზო ტაეპების კონტექსტში.

საინტერესოა საანალიზო სტროფის წაკითხვა რ. სტივენსონთან:

ორიგინალი	#3. თარგმანი რ. სტივენსონისა
ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს	Denys the wise has revealed this arcane truth to
გააცხადებს:	us:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და	God sends good, and good only; evil is not his
ბოროტსა არ დაბადებს...(რუსთაველი	creation... (Rustaveli 1977:179)
1957:310)	

რ. სტივენსონს *დივნოსი* თარგმანში შემდეგი სახით გადმოუცია: *Denys*, რაც განსხვავდება ყველა სხვა მთარგმნელების ვერსიებისგან, თუმცა როგორც ჩანს, მთარგმნელისეული ინტერპრეტაციის საფუძველს ბერძნულ-რომაული სახელის (დიონისე) ფუძეზე წარმოქმნილი სახელი დენნისი ან დენის (*Dennys, Dennis, Denis*) უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ნეოპლატონისტური მოძღვრება, მთარგმნელს ადეკვატურად აქვს ასახული თარგმანში.

რ. სტივენსონისეული თარგმანის დედანთან შედარების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მთარგმნელთან არ არის დაკარგული საანალიზო ტაეპების ძირითადი აზრი და შინაარსობრივი თანხვედრა დედანთან, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კონკრეტული საანალიზო ტაეპის შემთხვევაში, მიღწეულია.

§ 5.2.4. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ქეთრინ ვივიანის თარგმანში

რუსთველის მთარგმნელებს და ინტერპრეტატორებს შორის საინტერესოა ინგლისელი მწერლის და მთარგმნელის, ქეთრინ ვივიანის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანიც, თუმცა საანალიზო სტროფის თარგმანი ქ. ვივიანთან სამწუხაროდ ვერ მოვიძიეთ, რადგან მთარგმნელს გამოტოვებული აქვს ჩვენთვის საინტერესო სტროფი მისეულ თარგმანში, საანალიზო სტროფის შემცველ თავს კი („სამთაგანვე ქვაბს მისვლა და მუნით არაბეთს წასვლა“ (*The Return to Arabia*)), მთარგმნელი საანალიზო სტროფის მომდევნო სტრიქონით იწყებს (Rustaveli 2003:107)). ქ. ვივიანის თარგმანი, მისი წინამორბედი მთარგმნელებისგან განსხვავებით, პოემის პოპულარული გარდათქმვა და მის მიერ შესრულებული ვერსია, ფაქტობრივად, პოემის გარკვეულწილად შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს. თავად მთარგმნელიც აცხადებს, რომ ეს არის პოემის „თავისუფალი პროზაული თარგმანი“, რაც, გარკვეულწილად, ხსნის მთარგმნელის მიერ ზოგიერთი პასაჟის გამოტოვებას თარგმანში. რაც შეეხება საანალიზო სტროფს, ეს სტროფიც ქ. ვივიანთან გამოტოვებულია და, ამდენად, ჩვენ არ გვეძლევა შესაძლებლობა ვიმსჯელოთ, თუ როგორ გაიგო ქ. ვივიანმა ნეოპლატონიზმის იდეის შემცველი სტროფი დედანში.

§ 5.2.5. საანალიზო ტექსტების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ლინ კოფინის თარგმანში

„ვეფხისტყაოსნის“ უახლესი თარგმანი, როგორც უკვე აღინიშნა, შესრულებულია ლინ კოფინის მიერ. პოემის თარგმანი შესრულებულია პოეტური ფორმის მიცემის მცდელობით. დამატებით იმასაც დავძენთ, რომ მთლიანი პოემის შეფასების თვალსაზრისით, ხშირად ვაწყდებით შემთხვევებს, როდესაც თარგმანში პოემის ინფორმატულობა ხშირად დარღვეულია სხვადასხვა ასპექტით, იქნება ეს ფაქტობრივი, კონცეპტუალური, ქვეტექსტური, თუ ხატობრივი პარამეტრი. სამწუხარო ფაქტია, რომ ლინ კოფინს არასდროს უცდია ქართული ენის შესწავლა. შესაძლებელია, ესეც იყო ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი პოემის ტექსტის მართებული წვდომისა. ასევე ამკარაა, რომ ის არ ითვალისწინებს წინამორბედი მთარგმნელების წარმატებულ ინტერპრეტაციებს და, ამდენად, მასთან რუსთველოლოგიური მიღწევები და მიგნებები არ არის სათანადოდ გაზიარებული. თარგმანის ხარვეზებზე განსაკუთრებით კარგად მეტყველებს სწორედ ჩვენთვის საინტერესო, ქვემოთ წარმოდგენილი საანალიზო სტროფი:

ორიგინალი	#5. თარგმანი ლ. კოფინისა
ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს	This hidden truth was revealed to us by
გააცხადებს:	Dionysus, The wise
ღმერთი კარგსა მოავლინებს და	God creates only good; He lets no evil in the
ბოროტსა არ დაბადებს...(რუსთაველი	world arise...(The Knight in the Panther Skin
1957:310)	2015:318)

როგორც უკვე აღინიშნა, რუსთველთან დიონისეს დამოკიდებულება სიკეთისა და ბოროტების მიმართ, მარადიულობას უკავშირდება. რაც შეეხება ლინ კოფინს, ის ქართულ, დედნისეულ სიტყვას „გააცხადებს“, წარსულ დროში გადმოსცემს, რაც ავიწროებს ნეოპლატონისტური მოძღვრების სიღრმეს, გადმოცემულს რუსთველის მიერ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ურუშაძის და ლ. კოფინის მიერ შესრულებული ჩვენთვის საინტერესო პჭკარების თარგმანები ერთმანეთთან უფრო ახლოს არის, ვიდრე ორიგინალთან: *Dionysius the sage has revealed the following wisdom to us* - ვკითხულობთ ვ. ურუშაძესთან, ლ. კოფინთან კი იგივე პჭკარის თარგმანს შემდეგი ინტერპრეტაციით

ვხვდებით: *This hidden truth was revealed to us by Dionysus, the wise*, რაც ქართულად სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „ეს დაფარული ჭეშმარიტება გაცხადებული იყო ჩვენთვის დიონისე ბრძენის მიერ“.

რაც შეეხება მეორე ტაეპს, აქ მთარგმნელი რუსთველის ტექსტის შესაბამისად, აწმყო განუსაზღვრელ დროში გადმოსცემს დიონისე არეოპაგელის დამოკიდებულებას სიკეთისა და ბოროტების მიმართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ტაეპის ძირითადი შინაარსი ნეოპლატონიზმის მოძღვრების ირგვლივ უხეშად არის დარღვეული თარგმანში. თუ დედანში ვკითხულობთ: „...და ბოროტსა არ დაბადებს“, ინგლისური თარგმანი *he lets no evil in the world arise* (უფალი არ დაუშვებს ქვეყანაზე ბოროტების აღმოცენებას) არა მხოლოდ შეუსაბამობაშია ზემოთ განხილულ ნეოპლატონისტურ მოძღვრებასთან სიკეთისა და ბოროტების შესახებ, არამედ, უფრო მეტიც, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას. ინგლისურენოვან მკითხველს ამ პწკარის წაკითხვისას გაუჩნდება შეკითხვა: თუ უფალი არ უშვებს ბოროტების აღმოცენებას, მაშ რატომ არსებობს ბოროტება დედამიწაზე? აი, ასე შეიქმნა სრულიად აბსურდული და გაუმართლებელი შინაარსი ინგლისურ თარგმანში.

ბუნებრივია, ისმის სხვა კითხვა: თუ ლ. კოფინი, რომელმაც ქართული ენა არ იცის, სარგებლობდა ნ. ნათაძის განმარტებებითა და კომენტარებით, როგორ გაიზიარა, ან გაიზიარა თუ არა მან ნათაძისეული ინტერპრეტაცია? ისმის კიდევ შემდეგი კითხვა: რაიმე ცდომილებას ხომ არ შეიცავდა თავად ნათაძისეული განმარტება ზემოაღნიშნული პწკარისა? გადავამოწმეთ რა ნ. ნათაძესთან ზემოაღნიშნული სტროფის ინტერპრეტაცია, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ნ. ნათაძის მიერ ნეოპლატონიზმის იდეის შემცველი რუსთველის ტექსტის სწორ მეცნიერულ წვდომაში. ჩანს, მთარგმნელი არ გაეცნო სიღრმისეულად ნათაძისა და სხვა ქართველ სწავლულთა განმარტებებს და, ასევე, არ გაიზიარა ამ სტრიქონის ის მართებული ინტერპრეტაციები, რომლებიც ასახულია, პირველ ყოვლისა, მ. უორდროპის, ხოლო შემდეგ ვ. ურუშაძისა და რ. სტივენსონის ინგლისურ თარგმანებში.

§ 5.3. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი რუსულ თარგმანებთან მიმართებაში

§ 5.3.1. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი კონსტანტინე ბალმონტის თარგმანში

„ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის განხილვას, ამჯერად რუსულენოვანი თარგმანების კონტექსტში, საკუთრივ, კონსტანტინე ბალმონტის მიერ შესრულებული თარგმანის მაგალითზე გავაგრძელებთ:

ორიგინალი	#1. თარგმანი კ. ბალმონტისა
ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს	Мудрый Дивнос сокровенье нам явил в
გააცხადებს:	словах реченья:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და	“В бoгe благо, возрожденье. Не из бoга
ბოროტსა არ დაბადებს...(რუსთაველი	дышит зло...” (Руставели 1988:223)
1957:310)	

პირველი საანალიზო ტაეპის თარგმნისას, კ. ბალმონტი ინარჩუნებს სიახლოვეს ორიგინალთან, შინაარსობრივი თვალსაზრისით, თუმცა, საკუთარ, პოეტურ ხელწერასაც ასახავს თარგმანში. თუ რუსთველთან ვკითხულობთ: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“, კ. ბალმონტი ფაქტობრივად იმავე შინაარსის ამეტყველებას ახდენს რუსულ ენაზე, თუმც დასძენს, რომ *ბრძენმა დივნოსმა დაფარული საქმე გამოთქმით („სიტყვით“)* განგვიცხადაო, რაც კ. ბალმონტისეულ პოეტურ გააზრებად ევლინება თარგმანის მკითხველს.

რაც შეეხება *დივნოსს*, კ. ბალმონტი არ ცვლის მას, ე.ი. არ თარგმნის სახელს, *დივნოსად* გადააქვს თარგმანში და სხვა მთარგმნელებისგან განსხვავებით (ისევე როგორც მაგ. მ. უორდროპი), არ არღვევს საკუთარი სახელების უთარგმნელობის პრინციპს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, მკვლევარები *დივნოსში* სწორედ დიონისეს მოიაზრებენ. მოცემულ შემთხვევაში და ზოგადად, მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი მთარგმნელი უნდა ეყრდნობოდეს ორიგინალის ტექსტს და ამოსავალ წერტილს მისთვის სწორედ დედნის ავტორის მიერ დაწერილი ტექსტი თუ სიტყვა უნდა წარმოადგენდეს და არა მისი შემდგომი განმარტებები, თუ ინტერპრეტაციები, თუნდაც დამტკიცებული და აღიარებული, მეცნიერების მიერ.

საანალიზო ტაეპის მეორე ნაწილის თარგმანთან შედარებისას უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსობრივად, კ. ბალმონტი კვლავ ცდილობს ტექსტთან მიახლოებას, მისეული, პოეტური ხელწერით, რაც არამცთუ აკნინებს თარგმანს, არამედ პირიქით, გარკვეულწილად დადებით ხასიათსაც სძენს მას, რის გამოც ის ძალდაუტანებლად, ბუნებრივად იკითხება თარგმანში. რუსთველთან ვკითხულობთ: „*ღმერთი კარგსა მოავლინებს...*“, ბალმონტთან კი არა ღმერთისგან სიკეთის მოვლინებას, არამედ ამ ორი მცნების ერთმანეთთან გაიგივებას, გაერთიანებას ვხვდებით. მთარგმნელი უფალს სიკეთესთან აიგივებს და ამბობს, რომ *უფალშია სიკეთე (კეთილდღეობა) და აღორძინება*, რაც შინაარსობრივად რუსთველის აზრის გაგრძელებად, ან ქვეტექსტად და შესაბამისად, მთარგმნელი პოეტის პოეტურ გააზრებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მეორე ტაეპის უმნიშვნელოვანესი აზრის თარგმნისას კი, კ. ბალმონტი კიდევ უფრო მეტად უახლოვდება რუსთველს. მთარგმნელი კვლავ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტურობით თარგმნის ბოროტების არდაბადებას უფლის მიერ და დიდი სინატიფით, ოსტატობითა და ამავე დროს, შინაარსობრივი გამართულობით ასახავს ნეოპლატონისტური მოძღვრების არსს თარგმანში, რაც რასაკვირველია, მეტად მისასალმებელ ფაქტს წარმოადგენს და ამავედროულად, სასიამოვნოდ იკითხება თარგმანში.

§ 5.3.2. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანში

საინტერესოა საანალიზო ტაეპის ანალიზი ასევე პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანთან მიმართებაში, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო ტაეპები ქვემოთ წარმოდგენილი სახით აქვს თარგმნილი:

ორიგინალი	#2. თარგმანი კ. პეტრენკოსი
ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს	Нам Дионисом премудрым сумрак тайны
გააცხადებს:	озарен:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და	Не творит создатель злого, милосерд его
ბოროტსა არ დაბადებს...(რუსთველი	закон (Руставели 1988: 413)
1957:310)	

პ. პეტრენკო, პირველი ტაეპის თარგმნისას, მიყვება დედნისეული ტექსტის შინაარსს და დიდი პოეტური ოსტატობის გამოყენებით, ასევე ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, ახერხებს დედნის შინაარსის ადეკვატურად ასახვას თარგმანში.

საინტერესოა, რომ პ. პეტრენკოს, კ. ბალმონტისგან განსხვავებით, თარგმანში პირდაპირ არ გადააქვს სახელი „დივნოსი“ და მას არეოპაგელის აღიარებულ სახელით – დიონისეთი თარგმნის.

მეორე ტაეპის პირველ ნაწილში, პ. პეტრენკო კვლავ ინარჩუნებს ერთგულებას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიმართ და მასთან, ისევე როგორც რუსთველთან, „ღმერთი... ბოროტსა არ დაბადებს“, თუმცა უკვე მეორე ნაწილში, მთარგმნელი საკუთარი ინტერპრეტაციით გამოხატავს რუსთველის სათქმელს. რუსთველთან ვკითხულობთ: „ღმერთი კარგსა მოავლინებს...“, პ. პეტრენკოს თანახმად კი, „...კეთილმოწყალეა მისი კანონი“, რაც რასაკვირველია განსხვავდება დედნისაგან, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ შინაარსის მიხედვით ფაქტობრივად იგივე სათქმელს, უფრო ზოგადი სახით გამოხატავს. შესაბამისად, პეტრენკოსეული ინტერპრეტაცია ტექსტისა დედნის ტექსტიდან მნიშვნელოვან გადახვევად არ უნდა მივიჩნიოთ და აღნიშნული მხოლოდ პოეტის მიერ ტექსტის გასამართად გამოყენებულ ხერხად უნდა აღვიქვათ, რადგან მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია არ არღვევს და ძირითადად არ ეწინააღმდეგება ნეოპლატონიზმის არსს სიკეთისა და ბოროტების შესახებ, თუმც კი, კ. ბალმონტთან შედარებით, საანალიზო ტაეპების პეტრენკოსეული თარგმანის ბოლო ნაწილი უფრო მეტად მთარგმნელისეულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

§ 5.3.3. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი გიორგი ცაგარელის თარგმანში

რუსთველისეული კონკრეტული ტექსტის ინტერპრეტაციას, ამჯერად ცნობილი ქართველი მეცნიერის, გ. ცაგარელის მიერ შესრულებული თარგმანის კონტექსტში წარმოვადგენთ:

ორიგინალი	#3. თარგმანი გ. ცაგარელისა
ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს	Вот чему нас поучает Дионисий
გააცხადებს:	умудренный:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და	“Бог добро являет миру, нечестивое поправ...” (Руставели 1953: 228)

ბოროტსა არ დაბადებს...(რუსთაველი

1957:310)

გიორგი ცაგარელი, საანალიზო ტაეპის პირველი ნაწილში, თარგმნის მინიმალისტურ მეთოდს იყენებს და რუსთაველის მიერ ლაკონურად, მაგრამ მკაფიოდ გამოხატულ აზრს (*ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს*), კიდევ უფრო მეტად ამოკლებს: *აი, რას გვასწავლის ბრძენი დიონისეო*, რაც შინაარსობრივად რასაკვირველია წინააღმდეგობაში არ მოდის დედანთან და მეტად მოკლედ და სხარტად გადმოსცემს რუსთაველის სათქმელს, თუმცა თარგმანში დაკარგულია *დაფარული საქმის* მნიშვნელობის სიღრმე, რითიც თითქოს გაუბრალოებულია დივნოსის სათქმელის სიბრძნე.

რაც შეეხება მეორე ტაეპს, ამ შემთხვევაში მთარგმნელს დიდი სიზუსტით გადააქვს რუსთაველის სიტყვები რუსულ ენაზე. ეს განსაკუთრებით შეეხება მეორე ტაეპის პირველ ნაწილს, ხოლო უკვე ფრაზის დაბოლოებას (*და ბოროტსა არ დაბადებს*), გ. ცაგარელი, უკვე საკუთარი ინტერპრეტაციით თარგმნის: *ღმერთი... ბიწიერს (ცოდვილს) გამოასწორებს*, რაც დედნისეულ აზრს შესაძლოა უხეშად არ ეწინააღმდეგებოდეს, შინაარსობრივი თვალსაზრისით, მაგრამ მაინც არაადეკვატურ ინტერპრეტაციად გვესახება თარგმანში.

§ 5.3.4. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი ნიკოლოზ ზაბოლოცკის თარგმანში

გ. ცაგარელის შემდგომ, საინტერესოა ასევე ამჯერად არა ქართველი, არამედ კვლავ რუსი მთარგმნელისა და პოეტის, ნ. ზაბოლოცკის მიერ რუსულ ენაზე ამეტყველებული საანალიზო სტროფი:

ორიგინალი
ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს
გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და
ბოროტსა არ დაბადებს...(რუსთაველი
1957:310)

#4. თარგმანი ნ. ზაბოლოცკისა
Мудрый Дивнос человека учит тайне
сокровенной,
“Нам добро ниспосылает, а не зло творец
вселенной...” (Руставели 1988: 604)

პირველი ტაეპის თარგმანს ნ. ზაბოლოცკი მისთვის დამახასიათებელი პოეტურობით წარმოგვიდგენს. მთარგმნელი შინაარსობრივად მიყვება ორიგინალს, თუმცა, გარკვეულწილად, საკუთარ ხელწერასაც სთავაზობს მკითხველს. რუსთველთან ვკითხულობთ, რომ ბრძენი დივნოს „საქმესა დაფარულსა...გააცხადებს“, ნ. ზაბოლოცკის თარგმანში კი, *ბრძენი დივნოსი ადამიანს ასწავლის დაფარულ (საქმეს) - საიდუმლოებას*, რაც რასაკვირველია არ აკნინებს თარგმანს, რადგან შინაარსობრივი ხატი არ არის დარღვეული და დედანში გატარებული აზრიც სწორად არის ასახული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნ. ზაბოლოცკიც, კ. ბალმონტის მსგავსად, პოემის ავტორის მიმართ ერთგულებას ინარჩუნებს და სახელი *დივნოსი*, სხვა მთარგმნელებისგან განსხვავებით, უცვლელად გადააქვს რუსულ ენაზე.

რაც შეეხება მეორე ტაეპს, ნ. ზაბოლოცკი აქაც ინარჩუნებს ერთგულებას მის მიერ შერჩეული მთარგმნელობითი სტილისა და ხერხის მიმართ და მართალია სწორედ მისთვის დამახასიათებელი პოეტურობით, მაგრამ პოემის ავტორის მიმართ განსაკუთრებული შინაარსობრივი ერთგულებით გადმოსცემს რუსთველის სიტყვებს, რის გამოც თარგმანი განსაკუთრებულად ლალ და პოეტურ ჟღერადობას იძენს.

§ 5.3.5. საანალიზო ტაეპების შინაარსობრივი პლანის ანალიზი შალვა ნუცუბიძის თარგმანში

ზემოთ განხილული ოთხი მთარგმნელის შემდეგ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცნობილი ქართველი რუსთველოლოგისა და მეცნიერის, შალვა ნუცუბიძის თარგმანი საანალიზო სტროფისა, რადგან მას, როგორც აღიარებულ რუსთველოლოგსა და ფილოსოფოსს, რასაკვირველია, სწორად აქვს გადმოტანილი რუსთველის მიერ გამოხატული ნეოპლატონისტური არსი თარგმანში:

<p>ორიგინალი ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს: ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს...(რუსთაველი 1957:310)</p>	<p>#5. თარგმანი შ. ნუცუბიძისა Мудрый Дивнос открывает дела скрытого исток: Лишь добро являет миру, а не зло рождает бог... (Руставели 1957:330)</p>
---	--

პირველივე ტაეპში ცხადია, რომ მთარგმნელი ინარჩუნებს ერთგულებას დედნის ტექსტის მიმართ, შინაარსობრივად მიყვება დედნის ავტორის მიერ განვითარებულ ხაზს, თუმცა უფრო განავრცობს და ვრცლად წარმოგვიდგენს პოემის ავტორის სათქმელს. რუსთველი ამბობს: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“, შ. ნუცუბიძე კი აღნიშნული ფრაზის დაახლოებით შემდეგი სახის ინტერპრეტაციას სთავაზობს მკითხველს: *ბრძენი დივნოსი გააცხადებს დაფარული საქმის წყაროს (სათავეს)*, რაც შინაარსობრივად არ არის ძლიერ დაშორებული ორიგინალისგან, თუმცა აშკარაა მთარგმნელისეული გაზვიადება რუსთველისეული ტექსტისა, ასევე, კითხვისას გარკვეულწილად იგრძნობა თარგმნილი ტექსტის სიმძიმე, რაც ნაკლებად იყო საგრძნობი რუსულენოვანი მთარგმნელების მიერ შესრულებულ თარგმანებში.

რაც შეეხება მეორე ტაეპს, აქ მთარგმნელი ისევ მეცნიერული სიზუსტით გადმოსცემს რუსთველისეულ ფრაზებს და მხოლოდ რამდენიმე სიტყვის (მაგ. *Лишь* (მხოლოდ), *миру* (სამყაროს) დამატებით კმაყოფილდება, რაც სავსებით მისაღებია და ცხადია, რომ პოეტური თარგმნის შესრულების პროცესში, ეს მთარგმნელის მიერ ტექსტის გამართვის მიზნით გამოყენებულ ხერხს წარმოადგენს. რაც მთავარია, თარგმანში არ არის დარღვეული ნეოპლატონიზმის ძირითადი არსი, გამოხატული რუსთველის მიერ, რაც საანალიზო ტაეპების კონტექსტში მთარგმნელების ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. ცნობილ რუსთველოლოგსა და დიდ მეცნიერს, რასაკვირველია, დამღეული აქვს რუსთველისეული ფილოსოფიური სიღრმის სირთულე, ადეკვატურად და სწორად აქვს გადმოცემული თარგმანში დიონისეს ფილოსოფიური აზრის რუსთველისეული აღქმა, რაც რუსთველის კონკრეტული სტროფის ჩვენთვის საინტერესო ტაეპების სწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, თუმცა კი, მისი თარგმანი მოკლებულია იმ სიმსუბუქეს, პოეტურ ჟღერადობასა და ბუნებრიობას, რასაც რუსულენოვან პოეტებთან და მთარგმნელებთან ვხვდებით.

თავი VI. სიყვარული “ვეფხისტყაოსანში” - ერთი ტაეპის მიხედვით (ქართული, ინგლისური და რუსული ენების მასალაზე)

§ 6.1. სიყვარული „ვეფხისტყაოსანში“ - ერთი ტაეპის მიხედვით

შოთა რუსთველი, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, არ არის შეზღუდული მხოლოდ ნეოპლატონური მოძღვრებით, როგორც ეს ეკლესიას (და არა მხოლოდ მას) მიაჩნდა (იხ. ზემოთ), თუმცა იოანე პეტრიწის მსგავსად, ის საკუთარ, არასტანდარტულ თეორიებს ამკვიდრებდა და დაუფარავად აცხადებდა, რომ სიყვარულისთვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ასპექტების იერარქია, რასაც სწორედ პლატონთან ვხვდებით. რუსთველის თვალსაზრისი მიჯნურობის დანიშნულებაზე ქრისტიანულია თავისი არსით და ემყარება დიონისე არეოპაგელისა და მაქსიმე აღმსარებლისეულ გაგებას სიყვარულისას, რომელთაც ქრისტიანულად გარდაქმნეს პლატონისეული მოძღვრება სიყვარულზე. რუსთველისეული მიჯნურობის კრედო, ისევე როგორც შაირობის კრედო, თავისი არსით ქრისტიანულია და ემყარება საღვთო წერილსა და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას. ეს არის გზა სუბლიმაციისა, სულიერი კათარზისისა და განღმრთობისა, ქრისტიანული თვალსაზრისით. აქვე თვალშისაცემია პავლე მოციქულისეული დებულება საღვთო სიყვარულის მიბაძვისა: „შეუდექით სიყვარულსა და ჰბაძვდეთ სულიერსა მას“ (კორ. 19:1). გარდა ამისა, რუსთველი თავად გვხმარება იმის გარკვევაში, თუ რა წყაროდან მოდის მისეული კრედო მიჯნურობისა („წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ?“) (გამსახურდია 1984:117-118, 157).

სხვადასხვა დადებითი თუ უარყოფითი ასპექტების მუხედავად, რუსთველისთვის სიყვარული დაკავშირებულია ღვთაებრივი სრულყოფილების იდეასთან, რასაც ქვემოთ წარმოდგენილი მორიგი საანალიზო ტაეპის კონტექსტში განვიხილავთ, რა თქმა უნდა, ისევე თარგმანებთან მიმართებაში, თუმცა საანალიზო ფრაზის განხილვამდე, ზოგადი სახით მიმოვიხილავთ სიყვარულის თემას „ვეფხისტყაოსანში“.

ძველი ბერძნული ფილოსოფიური აზროვნების თანახმად, რომელსაც ქრისტიანულ თეოსოფიასთან ერთად ყველაზე მეტად ემყარება რუსთველი, მიჯნურობა, სიყვარული, ეროსი, სიბრძნის თაყვანისცემაა, გონიერების ტრფიალია. ანტიკური აზროვნების ტიტანი პლატონი სიყვარულის, ეროსის რაობის განსაზღვრას უძღვნის საგანგებო

ტრაქტატს - „ნადიმი“, აღიარებულს ერთ-ერთ შედეგად პლატონის ქმნილებათა შორის. პლატონის კონცეფციით, რომელიც გაზიარებულია მთელ ანტიკურ ფილოსოფიაში და რომელმაც აშკარად იპოვა გაგრძელება და განვითარება ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში, სიყვარული სამყაროს ერთიანობის და ჰარმონიის პრინციპია. პლატონის აზრით, ეროსი ბრძენია და მას ყველაზე მეტად ძალუძს სიბრძნეს, სათნოებას და ნეტარებას აზიაროს კაცი. ეროსი „გონიერებას ეტრფის, ეძებს და ძალაც შესწევს მისი პოვნისა და მთელის არსებით თავყვანს სცემს სიბრძნეს. „სიბრძნე ხომ უმშვენიერეს ფენომენტა რიცხვს ეკუთვნის, ხოლო ეროსი მშვენიერებისადმი სიყვარულია, მამასადამე ეროსს უეჭველად უყვარს სიბრძნე“. აი, რატომაც არის რუსთველის მიჯნურისათვის აუცილებელი ზნეობრივი სრულქმნილება მოცალეობა - გონებრივ-შემეცნებითი მოღვაწეობა, ხოლო ამ გონებრივ-შემეცნებითი პროცესის საგანი მიჯნურობის, როგორც რაობის გააზრება, ჭკრეტა და წვდომა. რუსთველის მოცალეობა უმაღლესი სიბრძნის, ჭკრეტის, წვდომის გზაა, ხოლო ეს უმაღლესი სიბრძნე სიყვარულია, „ღმერთი სიყვარულის არს“ (იოანე I, 4, 8, 16) (ხინთიბიძე 2009:507).

რუსთველთან სიყვარულს აქვს საკუთარი ლოგიკა, რომელიც ავითარებს ადამიანის სულს და ხელს უწყობს ადამიანის ღვთაებრივი სრულყოფილების განცდას. „შეყვარების“ მომენტი წარმოდგენილია თეოფანიაში, რომელშიც ადამიანი უახლოვდება რაღაც ღვთაებრივს. სწორედ ეს იყო საიდუმლოება არეოპაგელისა, რომლის აზროვნების საყრდენი იყო „თეოზის“ - გაღმერთება ადამიანისა და არა ღმერთის გაადამიანება, რაც V საუკუნეში აზროვნებაში გადატრიალებას ნიშნავდა, ომის გამოცხადებას რელიგიაში - ზეცა არ უნდა ჩამოეტანათ მიწაზე, ღმერთი არ უნდა დასულიყო ადამიანამდე, არამედ ადამიანი უნდა ასულიყო ღმერთამდე, რაც ამავე დროს სარწმუნოების უმაღლეს მწვერვალამდე აზიდვას ნიშნავდა, ახალი ადამიანის მეუფებას მოასწავებდა (ნუცუბიძე 1982:14-15).

რუსთველთან სიყვარულის გრძნობა მოდის ღმერთისგან და უფლის მიერ სიყვარულთან დაკავშირებით წარმოდგენილი „წესების“ დაცვა უზრუნველყოფს ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანების მიერ სრულყოფილების მიღწევას (Rustaveli 2015:350). რუსთველი კი არ გმობს ადამიანურ სიყვარულს, არამედ მიელტვის მის გაღვთაებრივებას. მისთვის, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის, ეს ორივე ამბავი ერთი მთლიანობაა. მან კარგად იცის, რომ ღვთისადმი სიყვარული განუყოფელია

მოყვასის სიყვარულისაგან. ადამიანური სიყვარულის გაღვთაებრივება, აი, რა არის “ვეფხისტყაოსნის” ლაიტმოტივი, რაც პროლოგშივე ათქმევინებს პოეტს: **“იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენისაო”**. სწორედ ეს არის სიყვარული, რომელიც „აღვამაღლებს“, „სიკვდილსა მიგვაახლებს“, ე.ი. საიქიოს, სულიერ სამყაროს მიგვაახლებს. „სიკვდიმდე გასატანი მიჯნურთა სურვილი, რომელიც „სიკვდილსა მიგვაახლებს“ ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს რუსთველი ღმერთს ევედრება, ისეთი სურვილი მომეცი მიჯნურობისა, რომ სიკვდილამდე შემრჩესო. აქ არის ვედრება ისეთი მიჯნურობისათვის, რომელიც თავად გაგვიტანს სიკვდილამდე, გამოიწვევს სიკვდილს. რა სიკვდილია ეს სიკვდილი? ეს არის სიკვდილი სიცოცხლეშივე, სულიერ სამყაროსთან, ღმერთთან დაკავშირება სიცოცხლეშივე, „შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა“, გოეტესეული *sterbe und werde* “მოკვდი და იარსებე”. რატომ არის სიყვარულის ძალა შედარებული სიკვდილის ძალასთან? იმის გამო, რომ ორივე მიმყვანია ღმერთთან, ორივეს წყალობით ადამიანი ღმერთს ეზიარება (გამსახურდია 1984:101-102). ეს არის ქვაკუთხედი ქრისტიანული ეთიკისა, თავად „ვეფხისტყაოსანი“ კი მთლიანად, ადამიანური ეროსის სუბლიმაციის და კათარზისის გზას წარმოადგენს (იგივე მთლიანობაა საღვთო და ადამიანურ მიჯნურობას შორის რენესანსის დიდ გენიოსებთან, დანტესთან და პეტრარკასთან. დანტესათვის იყო ბეატრიჩე, რაც პეტრარკასათვის - ლაურა, რუსთველისათვის - თამარი, ხოლო გურამიშვილისათვის - „ზუბოვკის“ იდუმალეებით მოცული გმირი (უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ასევე ესმის ნ. ნათამეს) (გამსახურდია 1984: 89-92).

სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულზე მეტყველებს ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული სტროფის ქვემოთ განხილული ერთი ტაეპიც კი, რომლის საბოლოო მიზანი საზეო მიჯნურობის შექებაა, იგავურად (სოლომონის „ქებათა ქების“ ანალოგიურად, სადაც ამსოფლიური მიჯნურობის ეპიზოდები გამოყენებულია საზეო მიჯნურობისათვის ქების შესასხმელად, ვინაიდან მიჯნურთა შორის ურთიერთდამოკიდებულება მეტაფორულ-ალეგორიულ პლანს ქმნის, რომელშიც ასახულია ადამიანის სულის დამოკიდებულება ღმერთთან. აი, ამიტომ ამბობდა დავით გურამიშვილი, რომ შოთამ „რგო იგავთ ხეო“, ე.ი. ვეფხისტყაოსანი შეიცავს იგავური ენით ნათქვამ ღრმა შინაარსს (გამსახურდია 1984:103.).

§ 6.2. საანალიზო ტაეპის თარგმანები ინგლისურ ენაზე

საანალიზო ტაეპი („იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“) პოემის 1957 წ. რედაქციაში მე-20 ნომრით არის წარმოდგენილი, მასში მოცემული სიტყვა „აღმაფრენა“ კი ქრისტიანული მისტიკის ტერმინია და მისი ვარიანტები არეოპაგელთან გვხვდება, როგორც „აღფრინვებულება“ (იხ. პეტრე იბერი, შრომები, 119, 27), აგრეთვე „აღმავლობა“, „აღმატებულება“ (გამსახურდია 1984: 110).

საანალიზო ტაეპის განხილვას მთლიანი სტროფის კონტექსტში ამჯერად ინგლისურენოვანი თარგმანების, თავდაპირველად კი, ცხადია, მარჯორი უორდროპის თარგმანით დავიწყებთ, რომელთანაც ხსენებული სტროფი 27-ე ნომრად და შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

ორიგინალი	#1. თარგმანი მ. უორდროპისა
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა	I speak of the highest love – divine in its kind.
მნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;	It is difficult to discourse thereon, ill to tell forth with tongues.
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;	It is heavenly, uprising the soul on pinions.
ვინცა ეცდების, თბომამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (რუსთაველი 1957:10)	Whoever strives thereafter must indeed have endurance of many griefs (Rust'haveli 1966: 24)

წარმოდგნილ სტროფში მარჯორი უორდროპი რუსთველის მსგავსად მეტად ლაკონურად და სხარტად გამოხატავს სიყვარულის ძირითად არსს თარგმანში, თუმცა აღნიშნულ სტროფში მთარგმნელი მხოლოდ ჩვენ მიერ შერჩეულ, საანალიზო ტაეპზე აკეთებს დამატებით განმარტებას, სქოლიოში ჩამოტანილი შენიშვნის სახით: „giving elevation to those who strive to endure and undergo many afflictions“ (აღმაფრენა მიეცემა მხოლოდ მათ, ვინც ეცდება და აიტანს (მოითმენს) მრავალ მწუხარებას (სევდას, გასაჭირს) თარგმანი: ს.ს.) და მოცემული განმარტებით, ცდილობს დაანახოს მკითხველს რუსთველის აღნიშნული ფრაზის სიღრმისეული ნიუანსიც, რაც მომდევნო ტაეპშიც არის განმეორებული, ორიგინალის მსგავსად.

მარჯორი უორდროპი, საანალიზო ტაეპის შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზემოთ განხილული სხვა მაგალითების დროს, საოცარ ერთგულებას იჩენს პოემის ტექსტის მიმართ და უდიდესი მთარგმნელობითი ოსტატობით ახერხებს რუსთველისეული ფრაზების გადატანას თარგმანში, მკითხველისთვის კი იქმნება შთაბეჭდილება, მთარგმნელობით პროცესს იგი ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ასრულებს, თუმცა კი მკითხველისთვის საგრძნობია ის დიდი შრომა და თავდადება, რაც თარგმანის მიღმა იქნა მთარგმნელის მიერ გაწეული. უზარმაზარი შრომის შედეგი კი არის ის, რომ მისეული თარგმანი ძალდაუტანებლად იკითხება, სადა და ლაკონურია, და ამავდროულად სათარგმნი ტექსტი თარგმანში დიდი სიზუსტით არის გადმოცემული. მასში არ არის არც ერთი გადახვევა, არ არის დაკარგული არც ერთი სიტყვა, რის გამოც არ იკარგება დედნის შინაარსი და რაც მთავარია - რუსთველისეული სულისკვეთება.

მთარგმნელების რიგითობას არც ამჯერად დავარღვევთ და მარჯორი უორდროპის შემდეგ, საანალიზო ტაეპს ვენერა ურუშაძის თარგმანში განვიხილავთ (ვ. ურუშაძესთან საანალიზო ტაეპის სტროფი 20-ე ნომრით არის წარმოდგენილი):

ორიგინალი	#2. თარგმანი ვ. ურუშაძისა
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა მნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;	I speak of love's highest form- elevated, pure and heavenly, Eloquence weakens when the tongue attempts to speak of such love.
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;	It uplifts to heaven the soul of those who endure love's anguish
ვინცა ეცდების, თბომამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (რუსთაველი 1957:10)	A lover, therefore, must know how to endure and bear these afflictions (Rustaveli 1986: 17)

ვენერა ურუშაძის მიერ შესრულებული თარგმანი ჩვენთვის საინტერესო ფრაზისა, მარჯორი უორდროპის თარგმანთან შედარებით, ოდნავ მძიმედ იკითხება, მასში არ იგრძნობა ის სისადავე და სილალე, რასაც დედანში და თუნდაც, უორდროპისეულ თარგმანში ვხვდებით, თუმცა ვენერა ურუშაძე ცდილობს გადმოსცეს ის, თუ რას გულისხმობს რუსთველი ხსენებულ ტაეპში და ამის მიღწევას მთარგმნელი რუსთველისეული ფრაზის მისეული განმარტებით, ინტერპრეტაციით ახერხებს. ვ.

ურუშაძეს თითქოს არ სურს დაკარგოს რუსთველისეული სიტყვების შინაარსი და თარგმანის ნაცვლად, ფაქტობრივად მის გაშიფვრას, განმარტებას სთავაზობს მკითხველს: *სიყვარულს ზეცაში აჰყავს იმათი სული, ვინც აიტანს (მოითმენს, დაითმენს) სიყვარულის ტანჯვას (წუხილს)* (თარგმანი: ს.ს.) - ფაქტობრივად სწორედ ეს არის ვენერა ურუშაძისეული თარგმანის ქართული ვერსია, რაც რუსთველის სიტყვების ინგლისურად თარგმანზე მეტად, მარჯორი უორდროპისეული შენიშვნის (იხ. ზემოთ) განმეორებად გვესახება თარგმანში.

რაც შეეხება რობერტ სტივენსონს, მას საანალიზო სტროფი 17-ე ნომრად წარმოუდგენია:

ორიგინალი	#3. თარგმანი რ. სტივენსონისა
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა; იგია საქმე საზო, მომცემი აღმაფრენათა; ვინცა ეცდების, თბომამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (რუსთაველი 1957:10)	I would speak of a love first whose nature is heavenly; Hard is it to discourse on, to treat of in words: A thing of this world, it draws the soul to heights beyond: He who attains to it will receive strength against grief (Rustaveli 2003:16)

რობერტ სტივენსონის შემთხვევაში, საქმე გვაქვს სათარგმნი ტექსტის მთარგმნელისეულ, სუბიექტურ ინტერპრეტაციასთან. სტივენსონს თითქოს ჭირდება გარკვეული კონტექსტის შექმნა იმისთვის, რომ შემდეგ, ტაეპის მეორე ნაწილში „დაეწიოს“ რუსთველს. რუსთველთან ვკითხულობთ: „*იგია საქმე საზო..*“, რ. სტივენსონი კი მართალია არ ეწინააღმდეგება პოემის ავტორს, შინაარსობრივი თვალსაზრისით, მაგრამ მისი სიტყვების ანალოგიურად თარგმნის ნაცვლად, შემდეგს აცხადებს: *იგი (სიყვარული) არ არის ამქვეყნიური საქმე* (თარგმანი: ს.ს.), რაც გულისხმობს იმას, რომ სიყვარული არის არა ამქვეყნიური, არამედ *საზო* საქმე. შესაბამისად, შეიძლება განვაცხადოთ, რომ თარგმანის შინაარსი რასაკვირველია სწორია, რადგან შინაარსობრივი თვალსაზრისით ის წინააღმდეგობაში არ მოდის დედანთან, თუმცა უდავოა, რომ რუსთველის სათქმელი მთარგმნელის მიერ

განსხვავებულად, თუ შეიძლება ითქვას, გართულებულად არის წარმოდგენილი - საწინააღმდეგო აზრის შეპირისპირებით.

ფრაზის მეორე ნაწილში მთარგმნელი მეტ ერთგულებას ინარჩუნებს დედნის მიმართ, „უბრუნდება“ მას და სასიამოვნო პოეტური ოსტატობით ახერხებს რუსთველის არამცთუ მარტივი, არამედ სათარგმნად მეტად რთული ფრაზის ადეკვატურად წარმოდგენას თარგმანში.

საინტერესოა საანალიზო ტაეპის ქეთრინ ვივიანისეული თარგმანიც, რომელსაც საანალიზო ტაეპის შემცველი სტროფი 20-ე ნომრად წარმოუდგენია და შემდეგი სახით უთარგმნია:

დედანი	#4. თარგმანი ქ. ვივიანისა
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი	I speak of the Love that is highest, Heaven's in
გვართა ზენათა	kind-
ძნელად სათქმელი, საჭირო	Hardly to be described or by the tongue
გამოსაგები ენათა;	expresses-
იგია საქმე საზეო, მომცემი	Love that exalts and gives man wings for upward
აღმაფრენათა;	flight:
ვინცა ეცდების, თბომამცა ჰქონდა	Great trials are his who ventures upon that
მრავალთა წყენათა (რუსთაველი	request
1957:10)	(Rustaveli 2003:20)

ქეთრინ ვივიანის თარგმანი ინარჩუნებს ერთგულებას სათარგმნი ტექსტის მიმართ და შეიძლება ნაკლები პოეტურობით, თუმცა კი შინაარსობრივი სიზუსტით გადმოსცემს რუსთველის სათქმელს. დიდი პოეტი ამბობს: „*იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენისა*“, ქ. ვივიანი კი რუსთველისეული ტაეპის არა იმდენად პოეტურ თარგმანს, არამედ უფრო მის განმარტებას სთავაზობს მკითხველს: *სიყვარული აამაღლებს და ფრთებს შეასხამს ადამიანს აღმაფრენისთვის* (თარგმანი: ს.ს.), რაც რასაკვირველია მოკლებულია რუსთველისთვის დამახასიათებელი აზრის გადმოცემის ლაკონურობას და სიდიადეს, თუმცა კი მთარგმნელი შინაარსობრივად გამართულად გადმოსცემს სიყვარულის ძირითად არსს და შინაარსობრივი გადახვევა დედნის ტექსტიდან აქ თავს არ იჩენს.

„ვეფხისტყაოსნის“ უახლეს თარგმანში, ლინ კოფინთან, საანალიზო სტროფი 20-ე ნომრად და შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

ორიგინალი	#5. თარგმანი ლ. კოფინისა
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა	To deliberate and speak about ideal love is now my goal:
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;	Of all loves, the very hardest to describe, define or extol.
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;	It is Divine Love that inspires us, that raises up our soul.
ვინცა ეცდების, თბომამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (რუსთაველი 1957:10)	Whoever strives for that kind of love will end up paying a toll. (Rustaveli 2015:14)

ლინ კოფინის მიერ შესრულებულ თარგმანთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი შინაარსობრივად არ არღვევს რუსთველისეულ ქარგას, თუმცა კი საკუთარ ინტერპრეტაციებს და დამატებებს გვთავაზობს თარგმანში. გავმეორდებით და სიციხადისთვის კიდევ ერთხელ მოვიყვანთ რუსთველის ჩვენთვის საინტერესო ტაეპს: „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენისა“, რაც ლ. კოფინისეულ თარგმანში დაახლოებით შემდეგი სახით იკითხება: ეს ღვთაებრივი (საღვთო) (როგორც ჩანს ლ. კოფინი აღნიშნულ სიტყვას „საზეოს“ სათარგმნად იყენებს, რაშიც მას ვერ შევედავებით) სიყვარულია, რაც *შთაგვაგონებს და ამალღებს ჩვენს სულს...*(თარგმანი: ს.ს.)

ერთი წაკითხვით, შეიძლება ითქვას, რომ ლ. კოფინი სწორად თარგმნის რუსთველის ტაეპს და მისი ძირითადი შინაარსობრივი ქარგაც თარგმანში დაკარგული არ არის, თუმცა დედნის თარგმანთან შედარების საფუძველზე ცხადია, რომ თარგმნილი ტექსტი მოკლებულია იმ სისადავეს, ძალდაუტანებლობასა და ამავე დროს სიდიადეს, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ხელწერას წარმოადგენს და რისი მიღწევაც თარგმანში ფაქტობრივად დაუძლეველი, თუმცა მიახლოებით მაინც შესაძლებელია (როგორც ეს მოხდა მაგალითად მარჯორი უორდროპის შემთხვევაში, რომელმაც ზედმეტი განვრცობის და განმარტებების გარეშე გადმოსცა კონკრეტული ფრაზა ინგლისურენოვან თარგმანში).

§ 6.3. საანალიზო ტექსტის თარგმანები რუსულ ენაზე

რუსულენოვანი თარგმანების განხილვას, კვლავაც კონსტანტინე ბალმონტის თარგმანით ვიწყებთ:

ორიგინალი	#1. თარგმანი კ. ბალმონტისა
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა; იგია საქმე საზო, მომცემი აღმაფრენათა; ვინცა ეცდების, თბომამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (რუსთაველი 1957:10)	О любви пою верховной – неземной и безгреховой. Стих об этом полнословный трудно спеть, бегут слова. Та любовь от доли тесной душу мчит в престор небесный Свет сверкает в ней безвестный, здесь лишь видимый едва. (Руставели 1988:42)

სიყვარულის არსის ჩამოყალიბებას ჩვენთვის საინტერესო ფრაზაში რუსთველი, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, მეტად ლაკონურად და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტური ოსტატობით ახერხებს, რისი გადატანაც თარგმანში რასაკვირველია გარკვეულ სირთულეებს იწვევს. ამას მოწმობს კ. ბალმონტისეული თარგმანი აღნიშნული ტექსტისა, სადაც მთარგმნელს, პოეტური და მთარგმნელობითი ოსტატობის მიუხედავად, დამატებითი ფონის შექმნა დასჭირდა (*Та любовь от доли тесной*), რუსთველისეული ფრაზის დედაარსის თარგმანში გადმოსაცემად, თუმცა მიგვაჩნია, რომ აღნიშნულმა „მეთოდმა“ გაამართლა, რადგან ფრაზის მეორე ნაწილში მან ღირსეულად ასახა რუსთველისეული სიყვარულის მნიშვნელობა და აღქმა თარგმანში: ... *душу мчит в престор небесной*, რაც შესაძლოა სიტყვასიტყვით არ გამოხატავდეს დიდი პოეტის სათქმელს, მაგრამ შინაარსობრივად და ასევე პოეტურად, ორიგინალს არ ჩამოუვარდება.

საინტერესოა საანალიზო ტექსტის პანტელეიმონ პეტრენკოსეული თარგმანიც:

ორიგინალი	#2. თარგმანი პ. პეტრენკოსი
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი	Чувство истинное – это отражение высших

გვართა ზენათა	сил.
მნელად სათქმელი, საჭირო	Надо, чтоб язык поэта несказанность
გამოსაგები ენათა;	изъяснил.
იგია საქმე საზეო, მომცემი	Есть возвышенная сила широко растущих
აღმაფრენათა;	крыл-
ვინცა ეცდების, თბომამცა ჰქონდა	Тот, кому она открылась, все страданию
მრავალთა წყენათა (რუსთაველი	открыл.
1957:10)	(Руставели 1983:241)

წარმოდგენილი მაგალითის საფუძველზე, ცხადია, რომ მთარგმნელი ინარჩუნებს ერთგულებას დედნის ტექსტის მიმართ, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია საანალიზო ტაეპის პირველი ნაწილის თარგმნისას, სადაც პ. პეტრენკო ახერხებს რუსთველის მსგავსი ლაკონურობითა და ამასთანვე შინაარსობრივი თანხვედრით გადმოსცეს დედნისეული არსი. რაც შეეხება იმავე ფრაზის მეორე ნაწილს, აქ მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მთარგმნელი ჩამორჩება დედნის ტექსტის რიტმს და ამჯერად უკვე გარკვეული ძალდატანებით თუ სიზნანტით გადმოსცემს რუსთველისეულ პასაჟს თარგმანში. მართალია პეტრენკო აღნიშნულ მონაკვეთში არ უხვევს შინაარსობრივი ქარგიდან, მაგრამ თარგმანში მაინც იგრძნობა სისადავისა და გარკვეული ძალდაუტანებლობის ერთგვარი ნაკლულობა, ამავე ფრაზის პირველი ნაწილისგან განსხვავებით.

საინტერესოა საანალიზო ტაეპის გიორგი ცაგარელისეული თარგმანიც:

ორიგინალი	#3. თარგმანი გ. ცაგარელისა
იგია საქმე საზეო, მომცემი	К ясным высям нас возносит любящего
აღმაფრენათა...	светлый жребии... (Руставели 1953:14)

გიორგი ცაგარელი თარგმნის პროცესში რასაკვირველია ცდილობს მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცეს რუსთველისეული სიყვარულის არსი, თუმცა ამისთვის ის არა მხოლოდ მის მიერ შემუშავებულ მთარგმნელობით ხერხს, არამედ საკუთარ ინტერპრეტაციასაც მიმართავს. თარგმანში ჩვენ ვხვდებით ისეთ სიტყვებს და ეპითეტებს, რაც რუსთველთან საერთოდ არ არის. შედარებისთვის, რუსთველთან ვკითხულობთ: „*იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენისა*“, სადაც ზედმეტი სიტყვების გამოყენების გარეშე არის მოცემული სიყვარულის არსის გამოხატულება, გ. ცაგარელის

თარგმანში კი თვალშისაცემია სიტყვების სიუხვე: *ნათელ სიმაღლეებამდე (მწვერვალებამდე) ააამაღლებს მიჯნურს ნათელი ბედი* (დაახლოებით ასე შეიძლება ითარგმნოს გ. ცაგარელის აღნიშნული ხაზი ქართულ ენაზე), რაც ჩვენი აზრით, გარკვეულწილად ართულებს რუსთველისეული აზრის შინაარსს და მეტ ბუნდოვანებას სძენს მას, არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ პოეტური თვალსაზრისითაც.

საინტერესოა საანალიზო ტაეპის ნ. ზაბოლოცკისეული თარგმანიც:

ორიგინალი	#4. თარგმანი ნ.ზაბოლოცკისა
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა; იგია საქმე საზო, მომცემი აღმაფრენათა; ვინცა ეცდების, თბომამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (რუსთაველი 1957:10)	Есть любовь высоких духом, отблеск высшего начала. Чтобы дать о ней понять, языка земного мало. Дар небес, она нередко нас, людей, преображала И терзала тех несчастных, чья душа ее взлала (Руставели 1987:431)

საანალიზო ფრაზის პირველი ნაწილი, ახლოს არის რუსთველისეულ აზროვნებასთან, რადგან მასში დიდი სისადავით, ლაკონურობითა და განსაკუთრებული პოეტური ოსტატობით არის გამოხატული სიტყვები: „*იგია საქმე საზო*“ (*Дар небес*), რაც რასაკვირველია სიტყვასიტყვით თარგმანს არ წარმოადგენს, თუმცა კი, ჩვენი აზრით, მეტად პოეტური მთარგმნელობითი მიგნებაა.

ფრაზის მეორე ნაწილი კი, თითქოს არა იმავე ტაეპის გაგრძელებას, არამედ სხვა კონტექსტის მქონე ფრაზის თარგმანს წარმოადგენს, რადგან ის მეტად განსხვავდება ორიგინალისაგან. თარგმანში არაფერია ნათქვამი აღმაფრენასა თუ აღმაფრენასთან მიახლოებულ გრძნობაზე და თითქოს მოკლებულია პოეტურ გამომსახველობას. მთარგმნელი გარკვეული სიმშრალით გადმოსცემს სიტყვათა წყობას თარგმანში და რუსთველისეული აღმაფრენის ნაცვლად („*მომცემი აღმაფრენისა*“), შემდეგი სახის თარგმანს გვთავაზობს: „*она нередко нас, людей, преобразала*“, რაც დაახლოებით ასე შეიძლება წავიკითხოთ: ...*(სიყვარული), რასაც ჩვენ, ადამიანები, ხშირად (არცთუ იშვიათად) შევუცვლივართ* (თარგმანი: ს.ს.), რაც ცხადია მოკლებულია

რუსთველისეული აზრის აღმაფრენას და სიდიადეს და შესაბამისად დაშორებულია დედნისგან.

რუსულენოვანი თარგმანების განხილვას, შალვა ნუცუბიძის თარგმანით დავასრულებთ (სტროფი 18-ე ნომრად არის წარმოდგენილი თარგმანში):

ორიგინალი	#5. თარგმანი შ. ნუცუბიძისა
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა; იგია საქმე საზო, მომცემი აღმაფრენათა; ვინცა ეცდების, თბომამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (რუსთაველი 1957:10)	О любви, об изначальной , в высь к идеям восходящей, Не сказать словами. Слово здесь приводит к скорби вящей. Хоть любовь и одаряет страстью, выпренье порящей, Не снести ее страданий и душе страстотерпящей (Руставели 1957:28)

შალვა ნუცუბიძე, საანალიზო ტექსტის თარგმნისას, ცდილობს მიუახლოვდეს დედნისეულ ტექსტს და შესაბამისი სიზუსტით გადმოსცეს რუსთველისეული სიყვარულის არსი თარგმანში, თუმცა, თუ რუსთველთან ვკითხულობთ: „იგია საქმე საზო, მომცემი აღმაფრენისა“, შალვა ნუცუბიძესთან სიყვარული განსხვავებულად არის წარმოდგენილი: *სიყვარული აღგვავსებს მოლივლივე ჟინით (ვნებით)* (მიახლოებითი თარგმანი: ს.ს.), რაც შინაარსობრივად შესაძლოა ადეკვატურ თარგმანადაც იქნას მიჩნეული, თუმცა კი მასში არ იგრძნობა ის სისადავე და ლაკონიზმი, რაც ალბათ მხოლოდ რუსთველისთვის იყო დამახასიათებელი და რისი გადმოცემაც თარგმანში, ფაქტობრივად, დაუძლეველ სირთულეებთან იყო და არის დაკავშირებული.

დასკვნა

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ არსებული თარგმანები ევროპულ და აღმოსავლურ ენებზე ვერ აკმაყოფილებს მეცნიერული კრიტიკის მოთხოვნებს. მეცნიერების მიერ უკვე დიდი ხანია წარმოებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანთა კრიტიკული შესწავლა, იმისთვის, რომ პოემის მომავალმა მთარგმნელებმა თავიდან აიცილონ გაუგებრობები, სხვადასხვა მიმართულებით. წარმოდგენილი კვლევის მიზანს, არსებული ინგლისურ და რუსულენოვანი თარგმანების კრიტიკული შეფასება წარმოადგენს, რამდენიმე მაგალითის დედანთან შეპირისპირების კონტექსტში.

თარგმანების ადეკვატურობის განსაზღვრისათვის უმთავრესად განვიხილავთ რუსთველის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ, ასევე სიყვარულთან და პოემის სათაურთან დაკავშირებულ შეხედულებებს და ტერმინოლოგიას. ჩვენ მიზანს ასევე წარმოადგენს დავადგინოთ თუ რამდენად არის თარგმანში წარმოდგენილი რუსთველი, როგორც მოაზროვნე. ნაშრომის ფარგლებში, განხილულია რამდენიმე, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი სიმბოლური და შინაარსობრივი დატვირთვის მქონე მაგალითი პოემიდან, რომლის კონტექსტის და ტერმინების ფილოსოფიური თუ აზრობრივი მნიშვნელობის დადგენის შემდეგ, ინგლისური და რუსული ტექსტები განხილულია ქართულ დედანთან შეპირისპირებით.

„ვეფხისტყაოსნის“ უცხოური თარგმანების განხილვა, ქართული ტექსტის კომენტარების გარეშე შეუძლებელია, რადგან დედნის განუმარტავად ვერ გავერკვევით, თუ რაში მდგომარეობს ამა თუ იმ უცხოური თარგმანის სიავეარგე. შესაბამისად, რაც უფრო მეტად დაემყარება თარგმანი ჭეშმარიტ თარგმანებას, მით უფრო სრულყოფილი იქნება იგი და ნაკლები იქნება „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯების საფრთხე.

ნაშრომის ფარგლებში განხილული ოთხი ინგლისურენოვანი თარგმანი (მ. უორდროპისა, ვ. ურუშაძისა, რ. სტივენსონისა და ქ. ვივიანისა) ძირითადად შესწავლილია ქართველი მკვლევარების მიერ. გამონაკლისს წარმოადგენს პოემის უახლესი, „ვეფხისტყაოსნის“ 2015 წელს შესრულებული თარგმანი, რომელსაც ხსენებული ოთხი თარგმანის პარალელურად ვიკვლევთ. წარმოდგენილი კვლევის შედეგად, განისაზღვრა, რომ თარგმანისას ხუთივე მთარგმნელი სხვადასხვა პრინციპით

ხელმძღვანელობს, კერძოდ: (1) **მ. უორდროპს** ახასიათებს ტექსტის სიზუსტისა და ლაკონური გამოხატვისაკენ სწრაფვა. მის თარგმანში ნაკლებად ვხვდებით ზედმეტ სიტყვებს, თუ მთარგმნელისეული ინტერპრეტაციის შედეგად მიღებულ ფრაზებს. მთარგმნელი ცდილობს ტექსტი მეტად ნათელი და გასაგები გახადოს მკითხველისათვის. ამასთან, ცხადია, რომ ტექსტის დადგენის თვალსაზრისით, მას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი და გამოკვლეული რუსთველოლოგიაში იმ დროისთვის მოპოვებული მიღწევები, რაც მაქსიმალური სიზუსტით არის ასახული თარგმანში და უზრუნველყოფს თარგმნილი ტექსტის მეტ სიახლოვეს დედანთან; (2) **ვ. ურუშაძის** მიზანს თარგმანში ტექსტის გამომხატველობითი მხარის მაქსიმალური გახსნა წარმოადგენს, რასაც ხშირ შემთხვევაში თავისუფალი თარგმანის ტენდენციისაკენ მივყავართ. ვ. ურუშაძესთან ხშირად ვხვდებით მთარგმნელისეულ ინტერპრეტაციებს, თუმცა, ძირითადი შინაარსობრივი ქარგა შენარჩუნებულია. მთარგმნელი მიყვება რუსთველისეულ შინაარსობრივ ხაზს და მისეული ინტერპრეტაციების მიუხედავად, შინაარსობრივ-ფაქტობრივი, ასევე შინაარსობრივ-კონცეპტუალური და ქვეტექსტის ფაქტორი შენარჩუნებულია თარგმანში; (3) **რ. სტივენსონის** თარგმნის პრინციპს ტექსტის აზრობრივი მხარის მაქსიმალური გახსნა წარმოადგენს, რისთვისაც ის ხშირად სიტყვებსა და ცნებებს ზედმეტად ანაწევრებს და შლის, რაც თავის მხრივ, მრავალსიტყვაობას იწვევს და ამცირებს პოეტურ გამომხატველობას თარგმანში. ამასთან, ის საკუთარ ინტერპრეტაციებსაც მიმართავს და მაგ. საკუთარი სახელის (დივნოსის მაგალითი) თარგმნისას, ყველასგან განსხვავებულ ვერსიას სთავაზობს მკითხველს; (4) **ქ. ვივიანს** ამოდრავებს ტექსტის დაცვისა და ლაკონიზმის პრინციპი. ტექსტიდან გადახვევებსა და სიტყვების გამოტოვებას მასთან სისტემატური ხასიათი არ აქვს, რაც ხშირად ლექსის საზომის შეზღუდვითაც შეიძლება იყოს გამოწვეული. ზოგიერთი არქაული და გრძელი სიტყვის ხმარება კი, ბევრ შემთხვევაში აფერხებს ლექსის დინამიკას და ამძიმებს სტილს. ასევე უნდა აღინიშნოს ქ. ვივიანთან გარკვეული პასაჟების გამოტოვება (მაგ. დიონისე არეოპაგელთან დაკავშირებული სტროფი), რაც, რასაკვირველია მნიშვნელოვან შეუსაბამობას წარმოადგენს დედანთან, რადგან აღნიშნულ სტროფს მეტად საინტერესო შინაარსობრივი და აზრობრივი დატვირთვა გააჩნია. მართალია მთარგმნელს არჩეული აქვს თავისუფალი სტილი თარგმნისა, მაგრამ ეს მაინც არ უნდა გულისხმობდეს

რუსთველის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მსოფლმხედველობის შემცველი სტროფისა, თუ ტაეპების უგულებელყოფას თარგმანში; (5) რაც შეეხება უახლეს, **ლინ კოფინისეულ** თარგმანს, პოემის თარგმანი შესრულებულია პოეტური ფორმის მიცემის მცდელობით. დამატებით იმასაც დავძენთ, რომ მთლიანი პოემის შეფასების თვალსაზრისით, ხშირად ვაწყდებით შემთხვევებს, როდესაც თარგმანში პოემის ინფორმატულობა ხშირად დარღვეულია ფაქტობრივი, კონცეპტუალური, ქვეტექსტური, თუ ხატობრივი ასპექტით. სამწუხარო ფაქტია, რომ ლინ კოფინს არასდროს უცდია ქართული ენის შესწავლა. შესაძლებელია, ესეც იყო ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი პოემის ტექსტის მართებული წვდომისა. ასევე აშკარაა, რომ ის არ ითვალისწინებს წინამორბედი მთარგმნელების წარმატებულ ინტერპრეტაციებს და ამდენად, მასთან რუსთველოლოგიური მიღწევები და მიგნებები არ არის სათანადოდ გაზიარებული. ლ. კოფინი, რომელმაც ქართული ენა არ იცის, სარგებლობდა ნ. ნათაძის განმარტებებითა და კომენტარებით, თუმცა როგორც ჩანს, მთარგმნელი სიღრმისეულად არ გაეცნო ნათაძისა და სხვა ქართველ სწავლულთა განმარტებებს და ასევე, არ გაიზიარა პოემის ის მართებული ინტერპრეტაციები, რომლებიც, პირველ ყოვლისა, ასახულია მ. უორდროპის, ხოლო შემდეგ ვ. ურუშაძისა და რ. სტივენსონის ინგლისურ თარგმანებში.

მთარგმნელებს შორის მეტად რთულია უპირატესობის მინიჭება რომელიმე მათგანისთვის, რადგან ხუთივე თარგმანი თავისებური, განსხვავებული კუთხითა და ამოცანით უდგება „ვეფხისტყაოსანს“ და მის სხვადასხვა სახის, საინტერესო და მაღალკვალიფიცირებულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. თუმცა, თარგმანებში გამოვლენილი უზუსტობები დედნისეულ ტექსტთან უდავოა, რაც პირველ რიგში უნდა იქნას აღმოფხრილი. ასევე მიგვაჩნია, რომ განხილული მაგალითების საფუძველზე, პოემის პირველი მთარგმნელი, მარჯორი უორდროპი საუკეთესოდ ახერხებს მიახლოებას რუსთველთან, და ჩვენი აზრით, სწორედ მისი თარგმანით უნდა ხელმძღვანელობდნენ მთარგმნელები, რასაკვირველია, დედნის შემდეგ.

ნაშრომის ფარგლებში, საანალიზო სტროფებისა და ტაეპების ინგლისურენოვან თარგმანებთან ერთად, განხილულია შესაბამისი პასაჟების რუსული თარგმანებიც, შესრულებული კ. ბალმონტის, პ. პეტრენკოს, გ. ცაგარელის, ნ. ზაბოლოცკისა და შ. ნუცუბიძის მიერ.

ზემოთ ჩამოთვლილი მთარგმნელების მიერ შესრულებულ თარგმანებში სახეზეა გარკვეული უზუსტობები და შეუსაბამობები, რომელთა კვლევის საფუძველზე შესაძლოა მათი ინდივიდუალური მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთება, კერძოდ: (1) **კ. ბალმონტი** თარგმნის პროცესში ხშირად მიმართავს მისეულ, პოეტურ ინტერპრეტაციას, თუმცა ზოგადად ინტერპრეტაცია და ხშირ შემთხვევაში მთარგმნელის ფანტაზია, არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს, რაც შეცვლის ძირითადი ტექსტის არსებით შინაარსს. აღსანიშნავია, რომ თარგმანების შესრულებისას მნიშვნელოვანია ტენდენცია შეინიშნება, სახელდობრ, შეიქმნას მკითხველისათვის გასაგები ნაწარმოები, რომელსაც მკითხველი აღიქვამს როგორც მშობლიური ლიტერატურის ნიმუშს, რასაც კ. ბალმონტი ნამდვილად ახერხებს. მართალია, ბალმონტისეული თარგმანი პოემისა, თავისთავად, ავთენტურ სახეს იღებს, თუმცა ეს, თარგმანის დედნისაგან კიდევ უფრო მეტად დაშორებას და განცალკევებას განაპირობებს; (2) **პანტელეიმონ პეტრენკოს** შემთხვევაშიც, საგულისხმოა მთარგმნელის მეტად ბუნებრივი, ლაკონური და ამავე დროს თარგმნილი ტექსტის მკითხველისათვის თვალშისაცემი სისადავე, რის გამოც თარგმანი არა თარგმნილი ტექსტის, არამედ ამავე ენაზე შექმნილი ნაწარმოების შთაბეჭდილებას უტოვებს მკითხველს, რაც, ისევე როგორც კ. ბალმონტის შემთხვევაში, პეტრენკოს არა როგორც მთარგმნელის, არამედ მისი, როგორც პოეტის ოსტატობაზე მეტყველებს; (3) **გიორგი ცაგარელთან** ცხადია, რომ მთარგმნელი კარგად იცნობს რუსთაველის პოემას, თუმცა ცდილობს არ ჩაუღრმავდეს თითოეული სიტყვის მნიშვნელობასა თუ სხვადასხვა მეცნიერულ ინტერპრეტაციებს და სტროფის თითოეულ ხაზში გატარებულ აზრს სიღრმისეული ანალიზის გარეშე, ძირითადი შინაარსობრივი ხაზის დაცვით გადმოგვცემს. ცაგარელის თარგმანი ხსენებულ ორ თარგმანთან შედარებით მძიმედ იკითხება და მოკლებულია პოეტურ მოქნილობასა და სისხარტეს; (4) **ნიკოლაი ზაბოლოცკის** შემთხვევაში, მართალია თარგმნის პროცესში იგი იცავს დედნის შინაარსობრივ ქარგას, თუმცა სახეზეა თარგმანში გამოხატული გარკვეული უზუსტობებიც, არა მხოლოდ ტექსტობრივი და ენობრივი, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, რაც ტექსტის ძირითადი არსის ცვლილებას იწვევს; მეტად საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო რუსულენოვანი ვერსიაც, შესრულებული (5) ცნობილი მეცნიერისა და ფილოსოფოსის, **შალვა ნუცუბიძის** მიერ. თარგმნის პროცესში, იგი მართალია მიყვება რუსთაველის

შინაარსობრივ ფაბულას, თუმცა პოეტური თვალსაზრისით, მეტწილად ჩამორჩება რუსთველის პოეტურ რიტმს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ მთარგმნელებს შორის ალბათ არავინ ისე კარგად და სიღრმისეულად არ იცნობს რუსთველის პოემას, როგორც შ. ნუცუბიძე, თუმცა მისი, ისევე როგორც გიორგი ცაგარელის შემთხვევაში, საქმე უნდა გვექონდეს მშობლიური ენიდან უცხო ენაზე თარგმნის „პრობლემასთან“, რამაც განაპირობა თარგმანის შედარებითი არაავთენტურობა და სიმძიმე, განსხვავებით რუსულენოვანი მთარგმნელებისგან, რომელთაც დიდი პოეტური ოსტატობით მოუხერხებიათ პოემის აღქერება რუსულ ენაზე, თუმცა კი სხვა, მნიშვნელოვანი ხასიათის უზუსტობების ფონზე.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1988 წელს, ალ. ბარამიძე და ს. ცაიშვილი რუსთველის რუსულენოვან თარგმანებთან დაკავშირებით წერდნენ, რომ საზოგადოება კვლავ უნდა დაელოდოს ისეთ რუსულენოვან თარგმანს, რომელიც ადეკვატური იქნება დედნისა, როგორც აზრობრივი, ასევე მხატვრულ-ექსპრესიული თვალსაზრისით, რადგან ასეთი თარგმანი ჯერ არ არის შესრულებული და თანამედროვე მკითხველსაც მხოლოდ ზემოთ აღნიშნული 5 თარგმანი აქვს წაკითხული უსულ ენაზე.

ნიმანდობლივია ზვიად გამსახურდიას მოსაზრება, რომელიც ყველა არსებულ როგორც ინგლისურ, ასევე რუსულენოვან თარგმანს და განსაკუთრებით უახლეს თარგმანებს შეიძლება მივუსადაგოთ. ზვიად გამსახურდიას თანახმად, არსებული თარგმანების კრიტიკული შესწავლის გარდა, თავად მთარგმნელებმა არ უნდა ითაკილონ თავიანთი თარგმანების ხელახალი გადახედვა რუსთველოლოგებთან ინტენსიური თანამშრომლობის საფუძველზე. მათ არ უნდა ჩათვალონ თავიანთი თარგმანები ერთხელ და სამუდამოდ დასრულებულ, ხელშეუხებელ ნაწარმოებებად და მუდამ მზად უნდა იყვნენ ახალი კორექტივებისათვის, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი პროგრესი „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე და განსაკუთრებით, ინგლისურ ენაზე თარგმნის დიად საქმეში.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სამწუხაროდ, XXI საუკუნეში, ნაცვლად რუსთველის პოემის თარგმანის ხარისხის გაუმჯობესებისა, ინგლისურენოვანმა მკითხველმა მიიღო რუსთველისთვის შეუფერებელი ვარიანტი. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს არა მარტო კვლევის ფარგლებში განხილული და შესწავლილი მაგალითები, არამედ ლ. კოფინის მიერ შესრულებული თარგმანი მთლიანობაში,

დაწყებული ფორმით და შინაარსით დამთავრებული. ბუნებრივია, ინგლისურენოვანი საზოგადოება ჩვენი საუკუნის უკეთეს ვარიანტს დაელოდება, რათა „ვეფხისტყაოსანმა“, ადეკვატური თარგმანის გზით, კიდევ უფრო მეტი სახელი და დიდება მოიხვეჭოს და აქვე იმასაც დავძენთ, რომ მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ დღესდღეობით ყველაზე მართებულ ვარიანტად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ანდრონიკაშვილი ნ., ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანები, თბილისი, 1984.
2. ზაგრატიონი თ., განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა (გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით), თბილისი, 1960
3. ზარამიძე ალ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, (ტ. VII), თბილისი, 1978.
4. ზარამიძე ალ., შოთა რუსთველი, თბილისი, 1975.
5. ზარამიძე ალ., შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966.
6. ბიბლია, თბილისი, 2013.
7. გამსახურდია ზ., „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბილისი, 1984.
8. გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, 1991.
9. გაფრინდაშვილი ნ., ოძელი მ., ნარკვევები ლიტერატურულ ურთიერთობათა და ურთიერთმიმართებათა ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, თბილისი, 1987.
10. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბილისი, 1959.
11. გეგეჭკორი ა., „ვეფხისტყაოსანი“ ბიოგრაფის თვალთ, თბილისი, 2010.
12. გიგინეიშვილი ივ., გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბილისი, 1975.
13. ენციკლოპედია, თბილისი, 2002.
14. იმედაშვილი გ., „თეიმურაზ ზაგრატიონის რუსთველოლოგიური ცდანი“, ლიტერატურული ძიებანი, (V), თბილისი, 1949 .
15. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი (რედაქტორი ალ. ჭინჭარაული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლო სიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ), თბილისი, 1974.
16. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი (ნ. ნათაძის რედაქციით), თბილისი, 1992.
17. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი (სარედაქციო კოლეგია: ალ. ზარამიძე, კ. კველიძე, ა. შანიძე), თბილისი, 1957.

18. „ვეფხისტყაოსნის“ უახლესი თარგმანები ევროპულ ენაზე, (რედაქტორები: დ. ლაშქარაძე, ს. ცაიშვილი), თბილისი, 1980.
19. თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ., „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, საქართველოს ქალი (#3), თბილისი, 1969.
20. იმედაშვილი გ., ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბილისი, 1968.
21. ინგოროყვა ჰ., თხზულებათა კრებული, (ტომი I), თბილისი, 1963.
22. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1958.
23. „ლიტერატურული ძიებანი“, თბილისი, 1949, V.
24. მერაბიშვილი ი., თარგმანი - კულტურათა დიალოგი, თბილისი, 2005.
25. მერაბიშვილი ი., პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბილისი, 2005.
26. ნუცუბიძე ქ., შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან), თბილისი, 1982.
27. სირაძე რ., სახისმეტყველება, თბილისი, 1982 წ.
28. ფანჯიკიძე დ., ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2005.
29. ქართული პოეზია, თბილისი, 1982.
30. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (ტ. 10), თბილისი, თბილისი, 1986.
31. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (ტ. 7), თბილისი, 1984.
32. ქილილა და დამანა (ა. ბარამიძის და ჰ. ინგოროყვას რედაქციით), თბილისი, 1949.
33. ქროსლი-ჰოლანდი კ., ვინ მოყვარესა არ ეძებს, კრებულში: „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“, (ტ. I), თბილისი, 1976.
34. ქურდიანი მ., „ვეფხისტყაოსანი“ როგორც სათაური სემიოტიკური თვალსაზრისით: ბურჯი ეროვნებისა, (#1), თბილისი, 1998.
35. ლლონტი შ., ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961.
36. შანიძე ა., ბარამიძე ალ., აბულაძე ილ., ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, მესამე გამოცემა, თბილისი, 1936.
37. ჩაჩანიძე ვ., ვეფხისტყაოსანი მსოფლიოს ხალხთა ენებზე, თბილისი, 1980.
38. ცაიშვილი ს., შოთა რუსთაველი- დავით გურამიშვილი, თბილისი, 1974.

39. ციციშვილი ნ., შვიდი მთიები (კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით), თბილისი, 1930.
40. წერეთელი გ., მეტრი და რიტმა „ვეფხისტყაოსანში“, თბილისი, 1973.
41. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, (ტ. X), თბილისი, 1961.
42. ხინთიბიძე ა., ქართული ლექსის ისტორია და თეორია, თბილისი, 2009.
43. ხინთიბიძე ე., მეთოდური მითითებანი რუსთველოლოგიაში, თბილისი, 1989.
44. ხინთიბიძე ე., ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, თბილისი, 2009.
45. ხინთიბიძე ე., „ვეფხისტყაოსანი“ შექსპირისა და მისი თანამედროვეების ინგლისურ დრამატურგიაში, თბილისი, 2017.
46. Руставели Ш., Витязь в Тигровой Шкуре, Перевод с Грузинского Георгия Цагарели под редакцией В. Эльснера, Москва, 1937.
47. Руставели Ш., Витязь в Тигровой Шкуре, Перевод Гиоргия Цагарели, Москва, 1953.
48. Руставели Ш., Носящий Барсову Шкуру, Перевод Пантелеимоном Петренко Тбилиси, 1983.
49. Руставели Ш., Витязь в Тигровой Шкуре (Вступительная статья, составление, подготовка текста и примечания А. Г. Барамидзе и С.С. Цаишвили), Ленинград, 1988.
50. Руставели Ш., Витязь в Тигровой Шкуре, Перевод с Грузинского Шалва Нуцубидзе, Тбилиси, 1957.
51. Нуцубидзе Ш., Собрание Сочинений, (Т. V), Тбилиси, 1988.
52. Anthology of Georgian Poetry, Translated by V. Urushadze, Tbilisi, 1958.
53. Rustaveli Sh., The Man in the Panther's Skin, A Close Rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop with a Preface by Sir Oliver Wardrop, Tbilisi, 1966.
54. Rustaveli Sh., The Knight in the Panther's Skin, Translated by V. Urushadze, Tbilisi, 1968.
55. Rustaveli Sh., The Lord of the Panther Skin, translated by R.H. Stevenson, Tbilisi, 2003.

- 56. Rustaveli Sh.**, The Knight in the Panther's Skin, Translated by Venera Urushadze, Tbilisi, 1986.
- 57. Rustaveli Sh.**, The Knight in Panther Skin, A Free Translation in Prose by Katherine Vivian, Tbilisi, 2003.
- 58. Rustaveli Sh.**, The Knight in the Panther Skin, New Translation by Lyn Coffin, Tbilisi, 2015.

ელ. რესურსები

<http://www.biodiversity-georgia.net/index.php>

<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009107/>

<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/2/9>